

**მიხეილ ბაქალაია**

**ადამიანით ვაჭრობა -  
ტრეფინინგი**

(საქართველოს მატალითზე)

თბილისი

2011

წიგნში განხილულია ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის კუთხით მსოფლიო კრიმინოლოგიური საზოგადოების მიერ გაკეთებული თანამედროვე მიდგომები, ასევე საქართველოს მაგალითზე ანალიზისა და აპრობაციის საფუძველზე წარმოდგენილია სპეციფიკური თავისებურებები და რეკომენდაციები.

ნაშრომი წარმოადგენს ტრეფიკინგთან დაკავშირებით ქართულ ენაზე არსებული ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ წყაროს.

ნაშრომი განკუთვნილია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ადამიანის უფლებადამცველთათვის, ექსპერტთათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის, კრიმინოლოგიით დაინტერესებულ პირთათვის და ასევე ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: სამართალმცოდნეობის დოქტორი  
პროფესორი **გიორგი ლლონიძე**

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი **მარინა ჯაჭავაძე**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი **ჯემალ ჯანაშია**

სამართალმცოდნეობის და პოლიტიკის მეცნიერებათა  
დოქტორი  
პროფესორი **ჯემალ გახონიაძე**

© მალხაზ ბაძალა

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

ISBN 978-9941-0-3439-8

შესავალი .....5

**თავი I – ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი - როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი** .....8

§1. ადამიანით ვაჭრობასთან – ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის წარმოშობის და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა .....8

§2. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის ცნება .....27

ა). საერთაშორისო სამართლის აქტების მიხედვით .....27

ბ). ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის ცნება საქართველოს კანონმდებლობით .....38

**თავი II – ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მდგომარეობა, არსებული სტატისტიკა** .....43

§1. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის სტადიები.....43

ა). ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მსხვერპლის რეკრუტირება.....43

ბ). ადამიანთა ვაჭრობის – ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაადგილება, მათ შორის საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა .....45

გ). ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაცია .....50

§2. ტრეფიკინგის მსხვერპლი სუბიექტები – ვიქტიმურობა .....60

§3 ადამიანთა ტრეფიკინგში ჩაბმული ორგანიზაციები და დამნაშავეთა კატეგორიები.....64

§4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასამორჩილებლად გამოყენებული იძულების საშუალებები.....71

§5. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მდგომარეობის დინამიკის ძირითადი ტენდენციები საქართველოსთვის.....79

§6. საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის შესახებ – სოციოლოგიური კვლევის შედეგები.....86

ა). სოციოლოგიური კვლევის მიზნები და მეთოდური საფუძვლები .....86

ბ). კვლევით მიღებული შედეგების ანალიზი .....90

<b>თავი III — ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის დეტერმინაცია – მიზეზები .....</b>	<b>117</b>
§1. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წარმოშობის მიზეზებისა და პირობების ზოგადი დახასიათება .....	117
§2. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მიზეზები და პირობები საქართველოში .....	128
§3. პროსტიტუცია როგორც ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის მიზეზი .....	137
<b>თავი IV — ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი და სახელმწიფო პოლიტიკა.....</b>	<b>148</b>
§1. ადამიანით ვაჭრობასთან – ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები .....	148
ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტები .....	148
ბ) ევროსაბჭოს სტანდარტები .....	159
გ) ამერიკის შეერთებულ შტატების სტანდარტები .....	165
§2. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წინააღმდეგ არსებული პრევენციული ზომები .....	168
§3. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სუბიექტების ორგანიზაციული ასპექტები .....	176
§4. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში .....	187
<b>დასკვნა .....</b>	<b>205</b>
დასკვნითი რეკომენდაციები .....	209
<b>English Resume .....</b>	<b>217</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>237</b>
<b>დანართები .....</b>	<b>246</b>

## შესავალი

### ახლევის ახსიალობა

XXI საუკუნის მსოფლიოსთვის (ასევე საქართველოსთვისაც) ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგით) გამოწვეულმა პრობლემამ მეტად საშიში სახე მიიღო, განსაკუთრებით მისი ზრდის ტემპისა და გავრცელების მასშტაბურობის გათვალისწინებით. ყოველ წელს მატულობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა. მსოფლიო მასშტაბით მსხვერპლთა სავარაუდო ციფრი, ყოველი მოცემული მომენტისთვის, საშუალოდ 2.5 მილიონ ადამიანს შეადგენს.[67] ასევე მატულობს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა გამოყენების სფეროებიც. თუ საწყის ეტაპზე ყველაფერი მონობით შემოიფარგლებოდა, დღესდღეისობით, მედიცინის განვითარებასთან ერთად, ადამიანებს ორგანოთა ტრანსპლანტაციის და სუროგატი დედობისთვის იყენებენ, ხოლო ტექნოლოგიების გაუმჯობესების პარალელურად სულ უფრო და უფრო მაღალშემოსავლიანი საქმიანობის წყაროდ აქცევენ.

ტრეფიკინგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რაც გამოწვეულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ჯერ კიდევ რთული ეკონომიკური ვითარებით, რის გამოც საქართველო ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის და ასევე ტრანზიტის სახელმწიფოდ მიიჩნევა. ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი – მილიონ ადამიანზე მეტი, სამუშაოს საძებნელად წასულია საზღვარგარეთ, სადაც მათი უმეტესობა არაღებულად იმყოფება, დაკავებულია უკანონო და დაბალანაზღაურებადი საქმიანობით და ამდენად ნებისმიერი მათგანი წარმოადგენს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლს. [33, 16]

აღნიშნული მდგომარეობა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს სწრაფ და გააზრებულ რეაგირებას, რათა შემუშავებულ იქნას აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის, მსხვერპლის გამოვლენის, დაცვისა და რეაბილიტაციის სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა, როგორც კვლევის

ობიექტი ახალი მივლენაა, შესაბამისად, საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების კანონმდებლობებში ტრეფიკინგმა თავის ადგილი მხოლოდ XXI საუკუნეში დაიმკვიდრა, რაც გვაძლევს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ კანონმდებლობის სრულყოფილებაში და წარმოვაჩინოთ ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკისა და შესაბამისად კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნული ფენომენის მიხეხების და პირობების შესწავლა და ტრეფიკინგის თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების დადგენა, რაც, თავის მხრივ, კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელ პერიოდში ადამიანთ ვაჭრობის, როგორც მოვლენის გამწვავებით, რასაც ხელი შეუწყო თანამედროვე ეკონომიკურმა ვითარებამ – სადაც, როგორც ცნობილია, ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას ადამიანური რესურსი წარმოადგენს. ხოლო ეკონომიკაში, კონკურენციის პირობებში, მუშახელის ხელმისაწვდომობა და ფასი განსაზღვრავს ზოგადად წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და შესაბამისად მის სარფიანობას ბაზარზე.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი ლეგალური მუშახელის ანაზღაურება მაღალია, რაც ზოგიერთ საქმიანობას არარენტაბელურს ხდის, რიგ შემთხვევაში ლეგალური მუშახელი თავის მხრივ არაა თანახმა შეასრულოს ზოგიერთი სახის სამუშაო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა წარმოშვა მოთხოვნა იაფ მუშახელზე, რაც ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისგან შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. ისინი კარგად იცნობენ რა არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, მიზანდასახულად ავითარებენ დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც შედარებით ნაკლები რისკისა და მცირე ინვესტიციების პირობებში დიდი მატერიალური შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევიან. ამ ორგანიზაციებმა საკუთარი საერთაშორისო ქსელების გამოყენებით, რითაც აქამდე იარაღისა და ნარკოტიკების ტრეფიკს ახორციელებდნენ, მოახდინეს არალეგალური შემოსავლების სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზე მყოფი ტრანსნაციონალური

კრიმინალური ბიზნესის განვითარება, რომელიც გულისხმობს ადამიანთა გადაყვანას ნაკლებად ხელსაყრელი რეგიონებიდან უფრო „კეთილმოწყობილ“ რეგიონებისკენ, როგორცაა დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. სწორედ ამ ნევატიური საქმიანობის შესწავლა და აღმოფხვრა იქცა 21-ე საუკუნის დასაწყისის მეტად აქტუალურ საკითხად.

უკანასკნელ პერიოდში ადამიანთა ტრეფიკინგი მსოფლიო მასშტაბით განვითარდა, მოიცვა რა უფრო მეტი სახელმწიფო ვიდრე ოდესმე, რასაც მსოფლიოს რეგიონებს შორის ეკონომიკური დისბალანსის ზრდასთან ერთად, განაპირობებს სატრანსპორტო კომუნიკაციების, განსაკუთრებით ავიაგადაზიდვების განვითარება. თანამედროვე სამყაროში პრობლემას არ წარმოადგენს ათასობით კილომეტრის დაფარვა, თბილისიდან ნიუ-იორკამდე ფრენას სულ რაღაც 16 საათი სჭირდება, მაშინ, როცა წინა საუკუნეებში ასეთი მანძილის დაფარვას რამოდენიმე თვის სახიფათო მოგზაურობა ესაჭიროებოდა.

ტრეფიკინგისთვის განვითარებადი ქვეყნები ძირითადად წარმოადგენენ წარმოშობის სახელმწიფოებს, საიდანაც მსხვერპლი ტრანზიტი სახელმწიფოების გავლით ან პირდაპირ გადაჰყავთ დანიშნულების სახელმწიფოებში – იქ, სადაც ხორციელდება ექსპლოატაცია. რიგ შემთხვევაში მსხვერპლი დამოუკიდებლად ახდენს საზღვრების გადალახვას, ხშირად ლეგალური საშუალებებით, ან საერთოდაც პიროვნება ხდება მსხვერპლი ყოველგვარი საზღვრების გადალახვის გარეშე – საკუთარ სამშობლოში. აშკარაა, რომ ტრეფიკინგი ისეთი დანაშაულია, რომლისგანაც სახელმწიფო თავს განვითარების მაღალი დონით ვერ დაიხდევს და უბრალოდ მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოდან ტრანსფორმირდება ექსპლუატაციის სახელმწიფოდ, უკანასკნელი კვლევების თანახმად, საერთოდაც, მსხვერპლად გახდომის რისკი მატულობს იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა შორის სადაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაღალია კანონმორჩილება და სამართლიანობა.



**თავი I – ადამიანით ვაჭრობა - ტრაფიკინგი –  
როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი.**

**§1. ადამიანით ვაჭრობასთან - ტრაფიკინგთან დაკავშირებული  
დაწესებულების წარმოშობის და გავრცელების მოკლე  
ისტორიული მიმოხილვა.**

ადამიანით ვაჭრობის (ტრაფიკინგის), როგორც პრობლემის აღიარების და სამართლებრივი განსაზღვრების შედეგებით სიხლის მიუხედავად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოცენებულ დანაშაულად, რადგან მას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ დასაბამიდან ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა – სუსტის მონური შრომის გამოყენება იძულების და ჩაგვრის გზით, რაც ადამიანის ბუნებაში ზის და მისი ცხოველური ყოფიერების გადმონაშთად შეიძლება მივიჩნიოთ.

ადამიანით ვაჭრობა - ტრაფიკინგი თანამედროვე ფორმაა მსოფლიოში უსსოვარი დროიდან გავრცელებული მონებით ვაჭრობის - მონათმფლობელობის. ჯერ კიდევ ბიბლია იცნობდა მსგავსი ტიპის მოქმედებას და მიუღებლად თვლიდა მას, „მაგრამ ეს ხალხი გაძარცვულია და დარბეული, გამოქვაბულში არიან ჩაყრილნი და საპყრობილეში გამოკეტილნი; ტყვედ მიჰყავთ, მხსნელი კი არ არის; იტაცებენ და არავინ ამბობს: დააბრუნე!“ [4, 678] გვამცნობს ესაია წინასწარმეტყველი იუდეველთა ყოფის შესახებ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1790 წელს დაწერილ ბაბილონის მეფე ჰამურაბის კანონებშიც მრავლად გვხვდება მონათმფლობელობის მარეგულირებელი ნორმები, მაგალითად:

კანონთა კრებულის მეჩვიდმეტე მუხლში ნათქვამია: „თუ ვინმე იპოვის გაქცეულ მონას და დაუბრუნებს მას პატრონს, მაშინ პატრონი ვალდებულია გადაუხადოს მპოვნელს 2 ვერცხლის შეკილი“.

მეთვრამეტე მუხლი გვამცნობს – „თუ მონა არ ასახელებს თავის პატრონის ვინაობას, მაშინ მპოვნელმა უნდა მიიყვანოს იგი სასახლეში, სადაც გაირკვევა მისი მფლობელის ვინაობა და დაუბრუნდება ის მას“.

„და თუ მპოვნელი არ დააბრუნებს გაქცეულ მონას და მას მიაკვლევინებს მპოვნელის სახლში, მაშინ მპოვნელი სიკვდილით დაისჯება“ მუხლი 19 და ა.შ.[63]

როგორც ჩანს, ჰამურაბის მეფობის წლებში ბაბილონში საკმაოდ კარგად იყო რეგულირებული მონათა სამართლებრივი მდგომარეობა და მონათმფლობელობა ჩვეულებრივ, ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა.

მონების შრომაზე, მათ ექსპლუატაციაზე იღვა რომის იმპერიაც, სადაც მონათა რაოდენობა 5/3 შეფარდებით აღემატებოდა დანარჩენ მოსახლეობას. რომაელები მონებს „**Instrumento Vocale**“-ს – „მოლაპარაკე იარაღს“ უწოდებდნენ. რომაელი იურისტების აზრით, რომში მონებს ისეთი ადგილი ეკავათ, როგორც საკუთრების უფლების ყველა სხვა ობიექტს. მონათმფლობელი უფლება-მოსილი იყო მონა ყვიდა ან გაეყიდა, გაეცვალა, გაეჩუქებინა, გაექირავებინა, მზითევაში გაეტანებინა, და ბოლოს ფიზიკურად გაენადგურებინა.[15, 48]

მონის ყოფა-ცხოვრებაზე რომის იმპერიაში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1874 წელს იტალიელი მწერლის რაფაელო ჯიოვანოლის მიერ დაწერილი ისტორიული თხზულება „სპარტაკი“, რომელშიც აღწერილია ქრისტესშობამდე 110 წელს დაბადებული გლადიატორის სპარტაკის ისტორია, რომელიც ხელმძღვანელობდა მონათა აჯანყებას რომის იმპერიის წინააღმდეგ და რომლის მეთაურობითაც 120 ათასიანი მონათა არმია წარმატებით იბრძოდა მრავალი წლის მანძილზე და რომ არა ადამიანური შური და ორპირობა, მონათა არმიას სავსებით შეეძლო თვით რომის იმპერიის დამარცხება და რომის აღება.[23]

ადამიანით ვაჭრობა შუასაუკუნეების ევროპაში მივიწყებული და აკრძალული იყო ძირითადად ქრისტიანული რელიგიის გავ-

ლენით. ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ადამიანით ვაჭრობამ ფართო გავრცელება ჰპოვა ამერიკის აღმოსავლეთის და მისი ათვისების დაწყების კვალდაკვალ.

ესპანელმა დამპყრობლებმა შეამჩნიეს რა, რომ ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას არ გააჩნდა იმუნიტეტი ევროპელების მიერ შეტანილ და გავრცელებულ დაავადებებისადმი, რის გამოც ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა დიდი რაოდენობით იღუპებოდნენ, დაიწყო ჯანმრთელი და გამძლე მონების აფრიკის ტერიტორიიდან გადაყვანა ამერიკაში. 1518 წელს ესპანეთის მეფე ჩარლზმა გასცა სპეციალური სამეფო ნებართვა, რითაც დაიწყო 350 წლიანი ტრანს-ატლანტიკური მონათა ვაჭრობა.[31, 8]

მონების გადაყვანა ამერიკის შეერთებულ შტატების ტერიტორიაზე, აშშ-ს კონგრესმა აკრძალა მხოლოდ 1809 წლიდან, რა დროისთვისაც იქ დაახლოებით 4 მილიონამდე მონა ირიცხებოდა, რომლებიც ძირითადად სამხრეთ შტატებში კოტონის და ბრინჯის პლანტაციებზე მუშაობდნენ. საბოლოოდ მონობა აშშ-ს ტერიტორიაზე, სამოქალაქო ომის პერიოდში, 1863 წელს პრეზიდენტ აბრაჰამ ლინკოლნის მიერ გაუქმდა, რასაც ზოგი მკვლევარის აზრით სამხედრო-პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა.[40] რადგან ლინკოლნს სურდა შავკანიანი მოსახლეობის მხარდაჭერის მიღება სამხრეთ შტატებში, რომლებიც მისდამი მტრულად იყვნენ განწყობილი და ამ ქმედებით იქ მნიშვნელოვანი დასაყრდენის შექმნა.[37]

ამერიკის შეერთებული შტატების გარდა ტრანს-ატლანტიკურ მონათა ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულების ქვეყანას ბრაზილია წარმოადგენდა, სადაც არსებული გაუსაძლისი კლიმატური პირობები მოითხოვდა მუშახელის ხშირ განახლებას, რის გამოც იქ აფრიკიდან გადმოყვანილ მონათა მთლიანი რაოდენობის 40 პროცენტის ექსპლუატაცია ხდებოდა.[65]

ბრაზილია იყო უკანასკნელი სახელმწიფო ამერიკის ნახევარსფეროში, სადაც მონობა გაუქმდა, ეს მოხდა მხოლოდ 1888 წელს, მანამდე კი ბრიტანეთმა თავის კოლონიებში - 1833 წელს და

საფრანგეთმა - 1848 წელს გააკეთეს იგივე. ნავარაუდევია, რომ ტრანს-ატლანტიკურ მონათა ვაჭრობის მსხვერპლთა რიცხვი ამ პერიოდისთვის 11 მილიონ ადამიანს უტოლდებოდა.[65]

საქართველოსთვისაც აღნიშნული ქმედება უხსოვარი დროიდან ყოფილა აქტუალური. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში შემავალი ერთ-ერთი უძველესი - „სამართალი ბერძნული“ - მოხსენიებს აღნიშნული ტიპის მოვლენას, კერძოდ, მასში მოცემულია ცალკეულ ნორმათა კრებული „ნასყიდის ყრმისათვის“, სადაც ნათქვამია:

„ნასყიდი ყრმა მიდღეში სასამართლოში არ მიიყვანება და ვერცავენ მოკლავს მოსამართლე, და არცა უფლება აქუს. თავისის ბატონის საქონელზედ მოსამართლე ვერას აწყენს, ამისთვის რამეთუ ნასყიდი და არა აქუს რა – ნურცა რას მისცემ, ნურცა რას სთხოვ.

უკეთუ სუბუქი დანაშაული რამ ქონდეს ნასყიდს ყრმასა, ბატონისა მისისაგან შეენდობის, თუ თავისის ბატონის მორჩილი და მამებელია, ანუ მისის განგებულისა.

ნასყიდი ყრმა არავისთან იჩივლებს და ვერც მისგან იჩივლებს ვინმე მოსამართლესთანა – თუ საქმე ვისმეს აქუს, მის ბატონთან უნდა იჩივლოს“.[8, 170]

აღნიშნული მუხლი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ იმ პერიოდისთვის საქართველოში ადამიანით ვაჭრობის ფართოდ გავრცელების და მის ჩვეულებრივ მოვლენად არსებობის შესახებ.

ამ ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ გაყიდულ ადამიანს არავითარი უფლებები არ გააჩნდა, მისი პიროვნება წარმოადგენდა ნივთს პატრონის ხელში, რომელსაც მისი სურვილისამებრ განკარგავა შეეძლო.

შუა საუკუნეების საქართველოში მონად გახდომის ძირითად მიზეზებს ვალის წარმოშობა, ომში ან მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლაში დამარცხება წარმოადგენდა, რისი მაგალითიც მოცემულია „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში“, რომელიც დანაშაულად აცხადებდა და დიდ სასჯელს აწესებდა სამცხე-საათა-

ბაგოში არსებულ ჩვეულებას: კაცი რომ მის მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაიმარჯვებდა, დამარცხებული სახლში მიყავდა და მის მიმართ დამამცირებელ ზომებს მიმართავდა. „ბექას სამართალი“ კრძალავს ასეთ ჩვეულებას და მიუთითებს, რომ გამარჯვებულს „გამარჯვება ეყოფა“ და დამარცხებულს სახლში ნუ წაიყვანს შესარცხვენად და ნურც ქონებას წაართმევს, წინააღმდეგ შემთხვევაში „სისხლის ნახევარი დაუურვოს და წადებული ქონებაც უკლებლივ დააბრუნოსო“.[9] ხოლო ომში დატყვევების მარეგულირებელი იმდროინდელი სამართლის ნორმა მოცემულია „მხითარ გოშას სამართალში“, კერძოდ, მის ოცდამეხუთე თავში ნათქვამია:

„მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს კაცი, დარჩომილის კაცის იარაღი, ტანისამოსი, ცხენი, ვინც დაინარჩუნოს, მისი იყოს, და კაცი, ჯაჭვი და მუზარადი ხელმწიფეს მიათვან“.[9, 388]

პრაქტიკულად იდენტურად არის გადაწყვეტილი აღნიშნული პრობლემა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში, სადაც ნათქვამია:

„ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე ირჩოდნენ, მისი ასე იქნას. თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დანარჩუნებლისა არის; ჯაჭვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი ხელმწიფისა არის, – მძიმე თვალი თუ მარგალიტი“.[9, 525]

ხოლო მატერიალური მდგომარეობის გამო ადამიანის მონის მდგომარეობაში ჩავარდნის დამადასტურებელია ბერძნულ სამართალში მოცემული მუხლი „შვილის გასყიდვისათვის“, სადაც ნათქვამია:

„უკეთუ ვინმემ თავისის სიღარიბით გაყიდოს შვილი, ვაჟი ანუ ქალი, გასყიდვა იგი დაიჯერების“.[8, 136]

ანუ ადამიანს ჰქონდა თავისი შვილების სიღარიბის გამო გაყიდვის უფლება, მაგრამ აქვე იყო დათქმა, რომ მასვე ჰქონდა შვილის უკან გამოსყიდვის უფლებაც თუ იგი მოახერხებდა სახლადუ-

რის გადახდას ან სანაცვლოდ სხვა ყმის მიცემას და ასევე შეიძლება არ ჰქონდა ბავშვების სხვაზე გადაყიდვის უფლება:

„მაგრამ მსყიდველმან მან სხვაგან არ უნდა გაყიდოს და, როდესაც თავისმან პატრონმა მისი დახსნა შეიძლოს, უნდა ისევ დაახსნეინოს.“

თუ ფასი არ ქონდეს, მის მაგიერ სხვა ყრმა მისცეს, და თავისი შვილი ისევ დაახსნეინოს. უკეთუ მსყიდველმა მისი შვილი აღარ დაახსნეინოს, მოსამართლემ გამოართვას და მისცეს.“[8, 136].

შვილის გაყიდვა მოხსენებულია ასევე სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მიერ 1846 წლის 3 ივლისს გამოცემულ ბრძანებაში „შვილის გასყიდვის აკრძალვის შესახებ“, სადაც ვკითხულობთ:

„ერთის კერძობითის შემთხვევისაგან ცნობილ არს მომხდარი 1835 წელშიდ მამისაგან გასყიდვა შვილისა, რასა ზედა მეპატონეს განუცხადებია თანხმობა და ხელი მოუწერია“. [13, 21]

იმავე ბრძანებით დავით დადიანი საქმის გამოძიებას ითხოვს და კრძალავს მსგავს შემთხვევებს, ადამიანებით მოვაჭრეებს კი მკაცრი სასჯელით ემუქრება.

დავით დადიანმა ასევე აკრძალა ადამიანის ტყვეობაში ჩავარდნის სხვა ხერხის გამოყენებაც, კერძოდ ადამიანის დაგირავება. მან 1842 წლის 10 ნოემბერს გამოსცა ბრძანება „ადამიანის დაგირავების აკრძალვის შესახებ“, სადაც წერია:

„ადეკრძალვის ყოველთა ესევითარი, რომელნი არიან მამა შვილისა, გინა ძმა ძმასა და ნათესავი ნათესავსა, ანუ კაცი სულსა ვერ დააგირავებენ“.[62, 33]

საქართველოში ადამიანებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მასიური და მეტად საშიში ხასიათი XV და XVI საუკუნეებში მიიღო. რასაც მრავალი მიზეზი ჰქონდა: ამ დროს საქართველო განიცდიდა დასავლეთში თურქეთისა და აღმოსავლეთით ირანის მძლავრ ზეგავლენას, გარეშე მტრების შემოსევების შედეგად საქართველო ცალ-ცალკე სამთავროებად იყო დაყოფილი, ხოლო ცალკეული ქართული სამთავროების ბატონები ვერ ახერხებდნენ საერ-

თო ენის პოვნას, შეკავშირებას და უფრო მეტიც, ხშირად ურთიერთ ქიშპობით იყვნენ დაკავებულნი, რასაც ქვეყნის აღსრულება და მოსახლეობის აწიოკება მოსდევდა. ქვეყანაში არ არსებობდა ძალა რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა მოსახლეობის დაცვაზე და ქვეყანაში კანონიერების უზრუნველყოფაზე.

იმ პერიოდისთვის განსაკუთრებით საშიში სახე ადამიანების, ძირითადად ახალგაზრდების გატაცებებმა შეიძინა. გატაცებული მოსახლეობა შემდგომში ქვეყნის გარეთ გაჰყავდათ და სხვადასხვა ქვეყნის მონათა ბაზრებზე დიდი წარმატებით ყიდდნენ. განსაკუთრებით ბევრი ქართველი იყიდებოდა სტამბულის და ეგვიპტის ბაზრობებზე, სადაც ქართველი ტყვეები დიდად ფასობდნენ.

ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, მეჩვიდმეტე საუკუნეში ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან სამი ათასამდე ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთში, სადაც მათზე განსაკუთრებლად დიდი მოთხოვნა იყო, მათი ფიზიკური მონაცემებიდან და მათზე არსებული ზოგადი წარმოდგენებიდან გამომდინარე, რის გამოც სამეგრელოს ტერიტორიაზე ყველა ნაბიჯში იგრძნობოდა ტყვის სყიდვის შედეგები.[17]

გამოჩენილი მკვლევარი ჩარლზ დარვინი წერდა:

„სპარსეთის სისხლი გაკეთილშობილდა ორი ეროვნების – ქართველების და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხებზე ლამაზები არიან. სპარსეთში თითქმის არ არის არც ერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალი არ იყოს.“[42]

უცხოეთში გაყიდული ქართველი მანდილოსანი ტყვეები ძირითადად ირანში შაჰების და სხვა სპარსელი დიდებულების ცოლებად გვევლინებოდნენ და ჰარამხანებში ჰპოვებდნენ ღირსეულ ადგილს, რაზეც დავით ბაქრაძე აღნიშნავს, რომ:

„მაჰმადიანი შავი ხალხები ძლიერ ეტანებოდნენ ჩვენს ხალხს, ქართველთა შვილებით ამშვენებდნენ თავიანთ მოდგმას.“[2]

ხოლო მამრობითი სქესის ტყვეები ძირითადად მომავალ ეგვიპტელ მამლუქებად გვევლინებოდნენ. ეგვიპტეში ქართველი ტყვე-

ბი ყველა სხვა ერის წარმომადგენლებზე ძვირად ფასობდნენ. აღსანიშნავია, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდან ქართველები ეგვიპტეში მამლუქების უმრავლესობას შეადგენდნენ. 1381-1517 წლებში კი მათი რაოდენობა ისე გაიზარდა და მათ იმხელა სიმდიდრე და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, რომ ეგვიპტის მმართველები წარმოსობით ქართველი, ყოფილი მამლუქები, იყვნენ.[7, 311]

შუა საუკუნეების პერიოდში ადამიანებით ვაჭრობაში ფართო მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ფეოდალები, რომელთაც პირადი გამოჩენა უფრო მნიშვნელოვან ღირებულებად მიაჩნდათ, ვიდრე თავიანთი ქვეშევრდომების სიკეთე. ისტორია ასე მოიხსენიებს ზოგიერთ ქართველ დიდებულს:

ალექსანდრე მეფე (1683-1695 წწ.) - ცუნდრუკი, უღვთო ტყვის მსყიდველი;

მამია გურიელი - „ჰყიდდა ტყვეთა გურულთა და აძლევდა იმერთა;“

იმერეთში გიორგი აბაშიძის მეფობაზე (1702-1707 წწ.) - „ვერ-ავინ იკადრებდა განცილვად ტყვისა, თვინიერ მისსა;“

გაბრიელ ჭყონდიდელი - „უღვთო მეძავ-მემრუშე სოლომი და ტყვის გამყიდველი და სავსე ბოროტითა;“

სვიმონ ქუთათელი - „მღვდელმთავარი იყო, მაგრამ ტყვეებით ვაჭრობდა.“[14, 137-167]

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში, მდგომარეობა იმდენად საშიში იყო, რომ ცენტრალური სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა აქტიური ზომები მიეღო გამტაცებელთა წინააღმდეგ. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სოლომონ პირველის მოღვაწეობა. მან „აღმოკვეთა კნინდა ორნი დიდი ბოროტ-მოქმედებანი სრულიად იმერეთსა შინა, ესე იგი კაცთა კვლა და მპარვიანობა.“[18, 671]

სოლომონ პირველმა დასავლეთ საქართველოს დიდებულებს: კაცია დადიანს, ერისთავ როსტომს, მამია გურიელს, გიორგი ბატონიშვილს, თეიმურაზ ბატონიშვილს, დადიანის ძეს მანუჩარს, ერისთავ ზაალშარვაშიძეს და ყველა სხვა დიდებული გვარის

წარმომადგენლებს 1759 წლის 30 დეკემბერს დაადებინა ხელწერილი ტყვის გაუსყიდველობის თაობაზე, სადაც მოცემული იყო შემდეგი პირობა:

„სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაში ერთმანეთს უსუსტოთ, კიდევ ერთმანეთს მოუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილ და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მოუდგეთ ამაზე, და არას შეწუხებისა და გაჭირვებისთვის ჩვენ ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ, და ამ საქმეშიდ ჩვენს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საწინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღმრთისა და კაცისათვის.

აწ ვინც და რამაც ძემან კაცისამან ეს შეეშალოს, დიდმან ან მცირემან, ისიმც შეიშლები სჯულისა და უსჯულოსა მეცნიერებისაგან; მასამც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი ამათ ზემოწერილნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცილნი; მასაც ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, მეხტეხილობა დეოსკორესი, დანთქმა დათან და აბირონისი“.[10, 714]

გვიან შუასაუკუნეების საქართველოში ადამიანთა ვაჭრობასთან ბრძოლაში დადებითი როლი შეასრულა „კათალიკოსთა სამართალმა“, რომელიც კრძალავდა ადამიანებით ვაჭრობას და მასზე მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა.

„კათალიკოსთა სამართალის“ წიგნის პირველივე მუხლი ეთმობა ადამიანთა ვაჭრობას და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ

რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, და ან გლეხმან, წმინდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განხდელი.

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს.

და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურშვილი, უნდა გლეხი, მაშინც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, – ძელსა მიეცეს.

და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არის წმინდათა მოციქულთასა“.[8, 393]

აღნიშნული ნორმა იყო პირველი შემთხვევა საქართველოში მოქმედ კანონში ადამიანებით ვაჭრობისთვის სიკვდილით დასჯის შეტანის მხრივ.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონის ნორმები ვრცელდებოდა მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომებზე, იგი კრძალავდა მხოლოდ ქართველებით ვაჭრობას. ამასთან კანონი არეგულირებდა ადამიანებით ვაჭრობის საკითხებს, იგი არ კრძალავდა საქართველოში ტყვეების შემოყვანას და მათ ქრისტიანებად მოქცევას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გასაგები იყო ეკლესიის მიდგომების გათვალისწინებით, რომელიც იწონებდა უცხო რჯულის ადამიანების მოქცევას მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. შესაბამისად, „კათალიკოსთა სამართალის“ წიგნის საფუძველზე ხშირი იყო თურქის ან ირანელის პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც სტამბულის ბაზარზე ყიდულობდნენ საქართველოს ქვეშევრდომებს.

ტყვეთა სყიდვის აკრძალვასთან ერთად საქართველოს ზოგიერთ რეგიონში შემოდებულ იქნა ბეგარა ტყვეობაში ჩავარდნილების დასახმარებლად და ასევე მათ გამოსასყიდად, რომელსაც „სატყვევო“ ეწოდებოდა, რაც ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის ხაზის მაჩვენებელი უფრო იყო, ვიდრე რეალური ქმედითი ღონისძიება. მსგავსი გადასახადებით იესებოდა ერეკლე მეორეს მიერ 1789 წელს შექმნილი სპეციალური ფონდი ლეკთა მიერ „წარტყვნილი და დაღესტანსა და ირანში გაყიდული ქართველების დასახსნელად“.

გლეხობა, რომელიც ყველაზე დაზარალებულ ფენას წარმოადგენდა, თავის მხრივ საკუთარი ძალებით ებრძოდა ადამიანთა გამტაცებლებს, რისი მაგალითიცაა დასავლეთ საქართველოში



დამნაშავეების გამოსატყეხად ორდალების „ღეთის მსჯავრის“ – შანთის და მღუღარის გამოყენების პრაქტიკა.[12, 417-423] ასევე ცნობილია გლეხების მიერ ტყვეებით მოვაჭრეთა ცეცხლზე დაწვის ფაქტებიც.[49, 170-171]

ამავე ისტორიული ეპოქის საქართველოში ადამიანით ვაჭრობას ადასტურებს მრავალი ცნობილი ისტორიული თუ ლიტერატურული თხზულება, ისეთები როგორებიცაა: ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვითა“, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, კ. თათარაშვილის „მამლუქი“, გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარიანი“, დავით გურამიშვილის „ქართლის ცხოვრება“ და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება – იგი 1728 წელს ლეკებმა დაატყვევეს და გაყიდვის მიზნით დაღესტნის სოფელ ოსოქლოში დამწყვდელი ჰყავდათ.

ადამიანით ვაჭრობის პრობლემას ნაშრომები მიუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა და მკვლევარებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით ბაქრაძემ, ს. კაკაბაძემ, ნ. დადიანმა, ი. ნებიერიძემ, ს. მაკალათიამ, მ. თათარაშვილმა, პ. გუგუშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ი. მეუნარგიამ, მ. დუმბაძემ, ვ. გაბაშვილმა, ო. სოსელიამ, ი. დოლიძემ, ს. ნებიერიძემ, შ. ბურჯანაძემ, გ. ძიძარამ, მ. რეხვიაშვილმა, ა. კილასონიამ და სხვებმა, რაც პრობლემის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

საქართველოში „ტყვის სყიდვასთან“ დაკავშირებით მდგომარეობა შეიცვალა 1802 წლის შემდეგ, როდესაც საქართველო გახდა რუსეთის ადმინისტრაციული ერთეული და საქართველოს კანონებმა, მათ შორის საეკლესიო კანონებმაც დაკარგეს ძალა.

რუსეთის ხელისუფლებამ, აკრძალა ადამიანებით ვაჭრობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოში კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა ადამიანების გატაცებები მათი მონებად გაყიდვის მიზნით. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო ბატონების მხრიდან ქვეშევრდომების გაყიდვის შემცირება და თითქმის გაქრობა, სანაცვლოდ აღნიშნულ პერიოდში გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომლებიც ვერაგულად ესხმოდნენ თავს

ქართულ სოფლებს, მათი აოხრების და მათ შორის მოსახლეობის გატაცების მიზნით.

საბჭოთა კავშირის არსებობისას, ადამიანებით ვაჭრობა პრაქტიკულად არ წარმოებდა, სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერის, ყოველმხრივი კონტროლის მექანიზმების სრულყოფის, საზღვრების ჩაკეტილობის, დასაქმების და ადამიანთა სოციალურ-მატერიალური დონის გაუმჯობესების – შედარებით გათანაბრების გამო, მაგრამ არ შეიძლება არ ავლნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის ძნელად-ხელმისაწვდომ რეგიონებში ტრეფიკინგის დღევანდელი გაგებით მოცულ ქმედებებს მრავლად ქონდა ადგილი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზეც – ზემო სვანეთის, მთიანი აჭარის თუ სხვა მაღალმთიან რეგიონებში, რაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა.

საქართველოსთვის ვითარება რადიკალურად შემობრუნდა და ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი კვლავ აქტუალური და საზოგადოებისთვის ცნობილი პრობლემა გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც დაიწყო სახელმწიფოს წყობის დეზორგანიზაციისკენ მიმართული პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები, განაღდა ეგრეთ წოდებული ეთნიკური კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს საზოგადოებრივი ცხოვრება საქართველოში.

საქართველოს ეკონომიკა აღმოჩნდა უუნარო გაეძლო საერთაშორისო საზღვრების გაღებისთვის და საბაზრო პრინციპებზე გადასვლისთვის. ქართულ საწარმოთა უმრავლესობა აწარმოებდა არაკონკურენტუნარიან პროდუქციას, რის გამოც მათი უმრავლესობა გაკოტრდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების და ეკონომიკის საერთო საბჭოთა სქემიდან გამოსვლისთანავე.

ქვეყანა წარმოჩინდა როგორც იმპორტიორი სახელმწიფო, სადაც თითქმის არაფერი იწარმოებოდა. საქართველოს ექსპორტის უმეტესი ნაწილი ჯართზე და ხის მორებზე მოდიოდა.

ქვეყანაში ეკონომიკის განადგურებამ გამოიწვია ტოტალური უმუშევრობა. მოზღვავებულმა უმუშევრობამ, კი კრიმინოგენული ვითარების გაუარესება. გაიზარდა დანაშაულთა საერთო მანკვინებლები. ყოველივე ზემოთაღნიშნულის ფონზე, ქვეყანაში ფულის შოვნის უმთავრეს წყაროდ სხვადასხვა ბანდ-ფორმირებებში გაწვერიანება მოგვევლინა. ამ ბანდ-ფორმირებებს ქვეყანა და-ყოფილი ჰქონდათ სამოქმედო ტერიტორიებად და ეწოდნენ კონკრეტულ სამოქმედო არიალში არსებული დაწესებულების და მოსახლეობის დაშანტაჟება - გამოძალვას.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება გახდა უუნარო და არც ცდილობდა დაპირისპირებოდა ქვეყანაში მოთარეშე ზემოთხსენებული სახის ბანდ-ფორმირებებს, იგი ძირითადად დაწინაურებული ფორმირების გავლენის ქვეშ ექცეოდა, უფრო სწორედ წარმოადგენდა მას და მისთვის საჭირო პოლიტიკას ატარებდა.

1992 წელს კი მოხდა სამწუხარო ფაქტი - სამოქალაქო ომი, რომელიც პირველ რიგში ასეთი დაჯგუფებების ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ბრძოლას წარმოადგენდა.

ამ პერიოდში რუსეთის დახმარებით და უშუალო მითითებით, ეთნიკურმა სეპარატისტულმა ბანდებმა პროვოცირება გაუკეთეს ვითომდა ეთნიკურ კონფლიქტებს, რაზეც წამოეგო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. სეპარატისტებთან დაპირისპირებამ გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლებისგან არაკონტროლირებადი ტერიტორიების წარმოქმნა შიდა ქართლში და აფხაზეთში.

ქვეყანაში დაიძრა შიდა მიგრაციული პროცესები, იძულებით საკუთარი საცხოვრებელიდან გაძევებულ იქნა 300 000-ზე მეტი ადამიანი ზემოთხსენებული რეგიონებიდან, რომლებიც ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქცნენ ღტოლვილებად. ასევე რთული ვითარება იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამცხე-ჯავახეთში, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზები იდგნენ და ამ რეგიონებშიც აღვივებდნენ სეპარატისტული

მოძრაობას, მაგრამ არ ჩქარობდნენ იქ არსებული მდგომარეობის ეთნიკურ კონფლიქტში გადაყვანას, რადგან ეს დაძაბულობა მათთვის კოზირი იყო საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ პირთა დასაშანტაჟებლად და სამართავად.[16]

ყველაფერმა აღნიშნულმა გამოიწვია მოსახლეობის უკიდურესი გაღატაკება. „ცხოვრების დონე საქართველოში 1988 წლიდან 1998 წლამდე შემცირდა 7-ჯერ, მთლიანი შიდა პროდუქტი - 2,250 დოლარიდან 370 დოლარამდე წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, რის შედეგად მოსახლეობის 80%-მდე აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ღებულობენ რა საარსებო მინიმუმზე ნაკლებს, დაახლოებით 50 დოლარს თვეში“.[66]

დამოუკიდებლობის მოპოვებამ, ეკონომიკურმა კოლაფსმა, ტოტალურმა უმუშევრობამ და სიღატაკემ 90-იანი წლების საქართველოში წამოჭრა პროსტიტუციის და ქუჩის მაწანწალა - ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების პრობლემა, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში მიხუმათებული იყო და შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისთვის არც არსებობდა.

საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში და თურქეთთან მიმდებარე ქალაქებში, დიდი სისწრაფით გავრცელდა პროსტიტუცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა. გაიზარდა მეძავთა თავშეყრის ადგილების რაოდენობა და ქუჩის პროსტიტუტა რიცხვი, რის შედეგადაც სტატისტიკის დეპარტამენტის და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, „1990 წლიდან – 1999 წლამდე ხუთჯერ გაიზარდა ვენერიულ დაავადებულთა რიცხვი“.

შექმნილი საერთო სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი ბავშვი გახდა მაწანწალა, რომლებიც თავს ირჩენენ მათხოვრობით და ქურდობით. დამოუკიდებელი ორგანიზაციის „ბავშვები და გარემოცვა“-ს მონაცემებით თბილისში 2006 წელს დაფიქსირებული იყო 2500-ზე მეტი უსახლკარო ბავშვი, რომლებსაც არ



გააჩნდათ სახელმწიფო დახმარება. ჩატარებული კვლევების შედეგად ქ. თბილისში ქუჩის ბავშვების რაოდენობა 1100-დან 1200-მდე მერყეობდა, რომელთაგან 70% თბილისში მაცხოვრებელი, 18% - სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული გახლდათ, 12% - კი, ლტოლვილი იყო. უსახლკაროთა საშუალო ასაკი 13 წელს შეადგენდა. მათხოვართა 87% საკუთარ შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ თავის მშობლებს აძლევდნენ. ამ ბავშვების 54% არ იცოდნენ წერა და კითხვა, 22% არ მუშაობდა და არც სწავლობდა, 42% ქონდა გარკვეული პრობლემები ჯანმრთელობასთან, 24% ეწეოდა სიგარეტს, 2% ალკოგოლიზმით იყო დაკავებული, ამდენივე ნარკომანიით. ყველაფერი ეს მათ მომავალში პოტენციურ ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომას უქადდა.

ქვეყანაში ეკონომიკის არ არსებობამ, სიღატაკემ, მოსახლეობის ყოველმხრივ დაუცველობამ, განუკითხაობამ და შიდა ომებმა, 1990-იან წლების საქართველოში, ასევე გამოიწვიეს მთელი რიგი უარყოფითი მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესები:

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით 1987 წლიდან 2003 წლამდე საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 5,6 მილიონიდან 4,5 მილიონამდე - ანუ საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1,1 მილიონით - 25 პროცენტით, რაც ცალსახად უნდა ჩაითვალოს დემოგრაფიულ კატასტროფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემცირება ძირითადად ახალგაზრდა, შრომისუნარიან მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. აღნიშნული შემცირება მეტწილად დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინებასთან, საიდანაც, სავსებით მართებულია ვივარაუდოთ, რომ მიგრანტთა ერთი ნაწილი ექცეოდა არაკეთილსინდისიერი ექსპლოატაციის ქვეშ, რადგან მათ არ იცოდნენ ტრეფიკინგის, როგორც მოვლენის არსებობის შესახებ, ტელევიზია კი უცხოეთის რიგ სახელმწიფოებს უკეთებდა ისეთ იმიჯს, თითქოსდა პიროვნებისთვის იქ მოხვედრა იყო გარანტია და საკმარისი შემდგომი უზრუნველი ცხოვრებისთვის.

სასოწარკვეთილი შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, მასმედიის გავლენის გათვალისწინებით, გულუბრყვილოდ ენდობოდა მათთვის არაკეთილსინდისიერ დამსაქმებლების მიერ დახატულ ნათელი და უზრუნველი მომავლის სურათებს უცხო სახელმწიფოებში, რაც სატყუარას წარმოადგენდა სასოწარკვეთილი მოსახლეობის დასაყოლიებლად.

1991-2003 წლებში, როდესაც ზემოთხსენებული მოვლენები ანგრევდნენ ქვეყანას, ნათელია, რომ ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლად საქართველოს მოქალაქეთა ხილვა არც თუ ისე წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ ადამიანებით ვაჭრობის ლატენტურობის გათვალისწინებით და მის შესახებ მოსახლეობაში ცოდნის არ არსებობის კვალობაზე შეიძლება ვთქვათ, რომ მასზე ნათელი წარმოდგენა არავის ჰქონდა და არც არავინ ცდილობდა ხელისუფლებიდან ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის წინააღმდეგ რაიმე ზომების გატარებას და დღესდღეისობით შეიძლება მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვისაუბროთ 1990-იან წლებში ტრეფიკინგის ფორმებზე, მის გავრცელებაზე და საერთოდ ტრეფიკინგის არსებობა - არ არსებობაზე.

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგი ადამიანებს ეკიდება, როგორც გასაყიდ ან შესაძენ ნივთს, რომელიც თანამედროვე პირობებში შეიძლება ჩააბა იძულებით შრომაში, ჩვეულებრივ, სექსუალურ ინდუსტრიაში, თუმცა ტრეფიკინგის მსხვერპლთ ხშირად აგრეთვე იყენებენ სოფლის მეურნეობის სექტორში, ლეგალურ თუ არალეგალურ სამეწარმეო საქმიანობაში, სამხედრო კონფლიქტებში კომბატანტებად, ორგანოთა დონორებად, სუროგატ დედებად, თუ უბრალოდ წამების ობიექტებად. მათი გამოყენების სფეროები დღითიდღე მატულობს და მრავალფეროვანი ხდება.

როგორც ვხედავთ, ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის სახის ქმედებებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელი და სპეციფიკა გააჩნდა, მაგრამ მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანის ჩაგვრა ჩვეულებრივ საყოველთაოდ მისაღებ მოვლენას

წარმოადგენდა და არ იწვევდა საზოგადოების უარყოფით შეფასებას.

ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს მომხდარმა ეპოქალურმა ტექნოლოგიურმა სიახლეებმა თავისი გავლენა მოახდინეს ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროზე. თანამედროვე პირობებში, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ადგილი აქვს ახალი ტიპის მონური შრომის გამოყენებას, რომელიც ძველისგან განსხვავდება იმით, რომ თანამედროვე ხერხების და მეთოდების გამოყენებიდან გამომდინარე ადამიანის დამონება უფრო იაფი და ხელმისაწვდომი გახდა.

ძველი ტიპის მონობა მოიცავდა ადამიანის იურიდიულ მფლობელობას, მის შექმნას, რაც საკმაო მატერიალურ სახსრებს მოითხოვდა, ისევე, როგორც მონის შემდგომი მოვლის ვალდებულებას. შექმნილი მონის დაღუპვა გულისხმობდა გარკვეული მატერიალური ზიანის მიღებას მფლობელისათვის, ვინაიდან მასში ინვესტირებული მატერიალური სახსრები იკარგებოდა.

რაც შეეხება თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის მონობას, აქ მსხვერპლის დაუფლების ფორმების უმრავლესობიდან გამომდინარე ექსპლუატატორი არ იხდის პიროვნების დამონებისთვის თითქმის არაფერს და დამონების ინოვაციური ხერხებიდან გამომდინარე ამ ქმედებისთვის მას იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომის საფრთხეც თითქმის არ ემუქრება. მსხვერპლის დამორჩილების უპირველეს სახეს თანამედროვე პირობებში მოტყუება და იძულება წარმოადგენს.

დღევანდელ პირობებში პრობლემას წარმოადგენს ტრეფიკინგის ის თვისება, რომ ჩადებული დანახარჯების სიმცირის ფაქტი ტრეფიკორთათვის არ წარმოშობს დამონებული პიროვნების მოვლის ვალდებულებას. ოცდამეერთე საუკუნის მონებისთვის ამერიკელმა მეცნიერმა კევინ ბეილსმა ჩამოაყალიბა ახალი დეფინიცია - „disposable people“ - რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ როგორც - „ერთჯერადი გამოყენების ადამიანები“, რაშიც მან იგულისხმა, რომ ძველი ეპოქისგან განსხვავებით თანამედროვე

პირობებში მსხვერპლთა უმოწყალოდ გამოყენება ხდება მათი სიცოცხლის ბოლომდე და პიროვნების გარდაცვალების დადგომის ფაქტს ექსპლუატატორის მხრიდან არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება, ინვესტირებული სახსრების სიმცირის და გარდაცვლილის სანაცვლოდ ახალი მსხვერპლის იოლი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.[30]

უნდა ითქვას, რომ მსხვერპლი გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება იქცეს ტრეფიკორისათვის შემოსავლის წყაროდ. თანამედროვე პირობებში იგი ფასეულობას წარმოადგენს როგორც ორგანოთა დონორი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეოცე საუკუნის დემოკრატიულმა ტრანსფორმაციამ – ადამიანის უფლებების, მათი თანასწორობის, შრომითი უფლებების და პირობების აღიარებამ მოახდინა ადამიანთა ტრეფიკინგის სახის ქმედებების დაგმობა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყება და ჩვეულებრივი მოვლენიდან კრიმინალის ჩარჩოებში მოქცევა.

საერთაშორისო მასშტაბით ტრეფიკინგის ორგანიზებულ დანაშაულად ჩამოყალიბებას და საყოველთაო გაერცვლებას ხელი შეუწყო ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებმა, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის დაშლამ და ახალი ცალკეული სახელმწიფოების წარმოშობამ, ასევე საზღვრების გახსნამ და მათი დაცულობის შესუსტებამ.

ეგრეთ წოდებული რკინის ფარდის მოშლამ და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ეკონომიკის სტაგნაციამ გამოიწვია ის, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მიაწვდა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი კარგად ანაზღაურებადი სამუშაოსა და ცხოვრების უკეთესი პირობების მოლოდინით, რამაც არნახული ბიჭვი მისცა თითქოსდა „მივიწყებულ“ დანაშაულს – ადამიანებით ვაჭრობას – ტრეფიკინგს.

ტრეფიკინგის დანაშაულმა გაგრძელების მასშტაბითა და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების საშიშროებით, აგრეთვე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების ოდენობით, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, როგორც ცნობილია, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მსოფლიოში მესამე ადგილი დაიკავა.

ადამიანებით ვაჭრობა დღევანდელ მსოფლიოში ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი, უმეტესად ქალები და ბავშვები, ხდებიან სექსუალური ექსპლუატაციისა თუ სხვა მიზნით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლნი საკუთარ თუ უცხო ქვეყნებში.

ყველა საერთაშორისო კვლევა მიუთითებს მსხვერპლთა რაოდენობის ზრდაზე, „არსებული სარწმუნო წყაროების მონაცემებით, ტრეფიკინგში ჩართული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად, ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარი ქვეყნების მიმართულებით მილიონამდე ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ.“[60]

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით იპყრობს ყურადღებას, ვინაიდან საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებისთვის სავალდებულო ადამიანის უფლებებს და ძირითად ფასეულობებს.

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანებით უკანონო ვაჭრობის გამოვლენილ მსხვერპლთა უმეტესობა ქალებია, განსხვავებით წინა საუკუნეებისაგან, როდესაც მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მოთხოვნადი იყვნენ და შესაბამისად მსხვერპლთა უმრავლესობას ისინი წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, ამჟამად მსხვერპლთა შორის დიდი წილი ახალგაზრდებზე მოდის. ყველა მათგანი განწირულია უმძიმესი ცხოვრებისთვის, მათ სიცოცხლეს ანგრევს ექსპლუატაცია სხვა ადამიანების მხრიდან და ამ ადამიანების გაუმაძღრობა.

თუ ადრეულ პერიოდში მონობაში ჩავარდნა ძირითადად უცხო სახელმწიფოში გადაყვანით და იქ ექსპლოატაციით ხდებოდა,

დღესდღეისობით ადამიანთა ტრეფიკინგს ადგილი აქვს შიდა სახელმწიფოებრივადაც, ერთი რეგიონიდან სხვა რეგიონის მიმართულებით, ძირითადად ბუნებრივი პირობების გამო ძნელად ხელმისაწვდომ მოშორებულ რეგიონებისაკენ, სადაც ძნელად ხორციელდება სახელმწიფო სახელისუფლებო კონტროლი, როგორცაა მაგალითად საქართველოში: ზემო სვანეთი, აჭარის მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და სხვა სასაზღვრო რეგიონები, რომლებიც წლის უმეტეს პერიოდში მეტეოროლოგიური პირობების გამო გარე სამყაროს მოწყვეტილია.

ასევე დღესდღეისობით ადამიანთა ვაჭრობისთვის მეტად მიმზიდველია სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს მოწყვეტილი რეგიონები, კონფლიქტის ზონები, როგორცაა საქართველოს მაგალითზე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი, სადაც არ მოქმედებს არც ქართული არც საერთაშორისო კანონმდებლობა თუ სახელისუფლებო კონტროლი და სადაც ძირითადად ძალადობის მსხვერპლს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს.

## § 2. ადამიანთა ვაჭრობის ტრეფიკინგის ცნება

### ა) საერთაშორისო სამართლის აქტების მიხედვით

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნების ჩამოყალიბებას და ამ მოვლენის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბით საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია.

დაწყებული 1904 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს გაბნეული ცოდნის შეჯერებას, ადამიანთა ტრეფიკინგის გამოცანის ნაწილების თავმოყრას, შემეცნებას და ამ გზით მის ამოხსნას.

საერთაშორისო საზოგადოებამ, ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელების საწყის ეტაპზე, იხელმძღვანელა რა სევმენტური მიდგომით, უფლებადაცვითი ღონისძიებები გაატარა მიზნობრივი ჯგუფების დასაცავად, როგორც იყო თეთრი კანისფერის ქალები და ადამიანთა

ტრეფიკინგის გამოვლინების ზოგიერთი ფორმის წინააღმდეგ, მაგალითად სექს ტრეფიკინგის, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივად, ადამიანთა ტრეფიკინგზე აკუმულირებული ცოდნის და მის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობის გაძლიერებასთან ერთად, მოიცვა თანამედროვე გაგებით ადამიანთა ტრეფიკინგის ცნებაში არსებული სულ უფრო და უფრო მეტი ელემენტები.[34, 26]

მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეჯერებული და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის არსებობისა, ადამიანთა ვაჭრობის ცნების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ. კვლავაც აღმონდება ადამიანთა ტრეფიკინგის ის ახალი, აქამდე უცნობი ნიშან თვისებები თუ გამოვლენის ფორმები, რომლებიც დღეს მოქმედი დეფინიციის გადახედვის ვალდებულებას მომაგვალშიც წარმოშობენ, რაც ევოლუციური პროცესია და დამახასიათებელია ნებისმიერი მეცნიერებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან არ ჩამორჩნენ შესასწავლი მოვლენის განვითარებას.

საერთაშორისო სამართლის აქტებს, რომლებიც ეხებიან ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემას, სადაც გადმოცემულია ამ აქტების შემუშავების პერიოდისთვის ადამიანთა ტრეფიკინგზე არსებული მსოფლმხედველობა და შესაბამისად შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა აქტების გამოცემის დროისთვის ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ:

1. 1904 წლის 18 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“;
2. 1910 წლის საერთაშორისო კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“;
3. 1921 წლის 30 სექტემბრის საერთაშორისო კონვენცია „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ“;
4. 1926 წლის კონვენცია „მონობის შესახებ“;
5. 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია „იძულებითი შრომის შესახებ“;
6. 1933 წლის 11 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია „სრულწლოვანი ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ“;

7. 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“;

8. 1949 წლის ენევის კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ“;

9. 2000 წლის 15 ნოემბერს მიღებული გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, მიღებული 2000 წლის 12 დეკემბერს;

10. „ევროპული კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია, მიღებული ვარშავაში 2005 წლის 16 მაისს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტები სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ მოწყობის და პირობების გათვალისწინებით შეიქმნა.

პირველი ორი დოკუმენტი (1904 წლის 18 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ და 1910 წლის საერთაშორისო კონვენცია „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“) წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „კონსოლიდირებული შეთანხმების“ ნიმუშს - ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებების სახეს, რომელიც გაეროცელებული იყო 1648 წლის ვესტფალიის შეთანხმებიდან 1919 წლამდე - ერთა ლიგის შექმნამდე 270 წლიან პერიოდში, რომელიც ცნობილია როგორც „ძველი დიპლომატიის“ ხანა. ამ ხანაში ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობი ხორციელდებოდა და მათი მთავარი ნიშანი იყო რეზიდენტი ელჩების (საუბარია პირებზე, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მიმღებ სახელმწიფოში უშუალოდ არიან საქმის კურსში იქ არსებულ ვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში მათი წარმოშობის სახელმწიფოს ინტერესებს ახორციელებენ) უშუალო და ექსკლუზიური მოღვაწეობა ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის და საერთაშორისო შეთანხმებების დადების პროცესში.[28]



1904 წლის „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ ხელშეკრულება წარმოადგენს ევრო-ცენტრულ დოკუმენტს, მის ინიციატორები არიან ევროპის ქვეყნები, რადგან იმ დროისთვის ევროპა ითვლებოდა ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმომავლის და ასევე მათი ექსპლოატაციის რეგიონად, რაც ძირითადად სექსუალური ექსპლოატაციის ფორმას იღებდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ამ შეთანხმებას შეუერთდა 1908 წელს. ეს ხელშეკრულება, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ეხებოდა მხოლოდ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს – ევროპული რასის ადამიანებს. იგი იცავდა მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს და მხოლოდ სექსუალური ექსპლოატაციის სფეროს ეხებოდა.

1904 წლის ხელშეკრულებით, ქვეყნები ვალდებულიყვნენ იღებდნენ შექმნათ ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო კოორდინაციისთვის პასუხისმგებელი ორგანო, აღეკვეთათ საექსპორტო ქალბატონების გადასვლა საზღვარზე, რისთვისაც ეწარმოებინათ რინიგზის სადგურების, პორტების და სხვა თავშეყრის ადგილების კონტროლი და ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლა საექსპორტ პირებზე, მოეხდინათ იმ ქალბატონების რეპატრიაცია, რომლებიც სურვილს გამოთქვამდნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში და თუ მათ საამისო სახსრები არ გააჩნდათ, სახელმწიფოებს ავალდებულებდა მოეხდინათ მგზავრობის დაფინანსება.[108]

1910 წლის „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია, ისევე როგორც 1904 წლის შეთანხმება, ეხებოდა მხოლოდ ევროპის ქვეყნებს და მის კოლონიებს, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ წარმოადგენდა ამ კონვენციაზე ხელმომწერ მხარეს განსხვავებით 1904 წლის ხელშეკრულებისაგან.

1910 წლის „თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციის თანახმად ქვეყნები ვალდებული იყვნენ დაესაჯათ პიროვნება, რომელიც სექსუალური ექსპლოატაციისათვის

გამოიყენებდა ქალს ან 20 წლამდე გოგონას, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდებოდა ამ სახის ქმედების განხორციელება, ან ქმედების ნაწილი და რა ხერხებს გამოიყენებდა დამნაშავე ქალის ხელში ჩასაგდებად – მოტყუებას, ფიზიკურ ზეწოლას და თუგინდ მის ნებაყოფლობით თანხმობას.

ქვეყნები კონვენციის თანახმად ვალდებული იყვნენ კანონმდებლობაში შეეტანათ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის დასასჯელად საჭირო ცვლილებები.[109]

ერთა ლიგის ჩამოყალიბების შემდგომ, 1919 წლიდან, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების შექმნა ხდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით.

1921 წლის 30 სექტემბრის ერთა ლიგის ფარგლებში მიღებულმა საერთაშორისო კონვენციამ „ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ“ გააფართოვა ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის გეოგრაფიული ფარგლები, მოიცავს თითქმის ყველა ქვეყანა, მაგრამ კვლავ აშშ-მ თავი შეიკავა მის ხელმწერაზე.

1921 წლის კონვენცია არ ეხებოდა ყველა ადამიანს განურჩევლად სქესისა და ასაკისა და მოიცავდა მხოლოდ მდედრობით სქესის უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მაგრამ 1910 წლის კონვენციისგან განსხვავებით უკვე ორივე სქესის 22 წლამდე ახალგაზრდებს მოიცავდა.

მანამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან განსხვავებით 1921 წლის კონვენციით ქალების და ბავშვების საერთაშორისო გადაადგილების დაცულობა და კონტროლი სავალდებულო იყო არა მხოლოდ უშუალოდ სადგურებსა და პორტებში, როგორც ეს 1904 წლის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ მოძრავ ხომალდებზეც და მატარებლებზეც მთელი მგზავრობის განმავლობაში, რაზეც სავალდებულო კონტროლი წესდებოდა.[110]

მონობასთან ბრძოლის საქმეში მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა 1926 წლის კონვენციას „მონობის შესახებ“, რომ-

ლითაც მხარეები თანხმდებოდნენ, რომ შეეცდებოდნენ მონობის ყველა გამოვლენის აღმოფხვრას. აქ ჩამოყალიბებული მონობის დეფინიცია გახდა ადამიანთა ტრეფიკინგის თანამედროვე დეფინიციის საფუძველი. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში მონობა განმარტებულია, როგორც ადამიანის მდგომარეობა, რომლის მიმართაც გამოიყენება კერძო საკუთრებისთვის დამახასიათებელი ძალაუფლება. ხოლო იმავე მუხლის მეორე აბზაცში მონობით ვაჭრობა განმარტებულია, როგორც ყოველგვარი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის შექენასთან ან მის ხელში სხვაგვარად ჩაგდებასთან, ან მის განკარგვასთან. ასევე ზემოთაღნიშნულის განხორციელებისთვის ჩადენილი ყოველგვარი მოქმედება – გადაზიდვა, გაცვლა, მოტყუება, ყიდვა-გაყიდვა ითვლება მონებით ვაჭრობად.

ამ კონვენციის თანახმად ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება აკრძალონ ადამიანებით ვაჭრობა, მონათმფლობელობა, ვალდებულებები არიან გააკონტროლონ თავიანთი ტერიტორიული წყლები და საჰაერო სივრცე, რათა აღიკვეთოს მონების ტრანსპორტირება. [111]

რაც შეეხება 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას „იძულებითი შრომის შესახებ“, იგი კრძალავს ყოველგვარ იძულებით შრომას, ადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულებითი შრომის გამოყენების ფარგლებს და გამოყენების სფეროებს, კრძალავს მდებარეობითი სქესის და ასევე არასრულწლოვანების იძულებითი შრომას. კონვენცია სახელმწიფოს მიერ კანონიერების ფარგლებში გამოყენებულ იძულებითი შრომის (საომარი მდგომარეობის დროს, დამნაშავეებისათვის) მაქსიმალურ ვადას ზღუდავს 60 დღით წელიწადის განმავლობაში და ასევე მოუწოდებს მხარეებს იძულებით შრომად ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამუშაოების დანიშნისგან თავის შეკავებისკენ.[112]

1933 წლის 11 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენციის „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ“ არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მან ტრეფიკინგის ცნება განავრცო ყველა მდებარეობითი სქე-

ნის წარმომადგენელზე, ყურადღება გაამახვილა საზღვრის გადაკვეთის ფაქტის მნიშვნელობაზე და ასევე მსხვერპლის თანხმობის მნიშვნელობის არქონაზე დანაშაულის დასჯადობისთვის. აღნიშნულმა კონვენციამ დასჯად ქმედებად აღიარა ტრეფიკინგის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და ასევე ტრეფიკინგის მცდელობა.[113]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების შემდეგ, 1945 წლის 24 ოქტომბრიდან, საერთაშორისო სამართლის და მათ შორის ადამიანთა ტრეფიკინგის მსოფლიო მასშტაბით სახელმძღვანელო და მარეგულირებელი საკითხების ჩამოყალიბება ხდება ამ ორგანიზაციის მეშვეობით.

რაც შეეხება უშუალოდ ადამიანთა ტრეფიკინგს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, აქ საწყის ეტაპზე ტრეფიკინგში მოიაზრებოდა და ბრძოლა ეცხადებოდა მხოლოდ სექსუალურ ექსპლუატაციას ქალებსა და ბავშვებში.

გაეროს ფარგლებში ამ მიმართულებით მიღებულ საერთაშორისო სამართლის დოკუმენტს წარმოადგენდა 1949 წლის „ადამიანთა ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია, რომლის პირველ და მეორე მუხლებში ნათქვამია, რომ აღნიშნულ აქტში იგულისხმება ქმედებები, როდესაც ვინმე:

ა) უბიძგებს, დაიყოლიებს ან გარყენის მეორე პირს პროსტიტუციის მიზნით ან ეწევა მეორე პირის პროსტიტუციული საქმიანობის ექსპლუატაციას თუნდაც ამ მეორე პირის თანხმობით;

ბ) აქვს საროსკიპო ან მართავს მას, შეგნებულად აფინანსებს ან მონაწილეობს საროსკიპოს დაფინანსებაში;

გ) აქირავებს ან ქირაობს შენობას ან ფართის ნაწილს, თუმცა იცის, რომ იგი მესამე პირის მიერ პროსტიტუციული მიზნით იქნება გამოყენებული.

პარალელურად გაეროს ეგიდით ტარდებოდა მრავალი საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, რათა მომხდარიყო ადამიანთა ვაჭრობის და პროსტიტუციის პრობლემის სამართ-

ლებრივი გაფორმება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. პრობლემას წარმოადგენდა ასევე ადამიანთა ტრეფიკინგის რაობის შემცენება, რაც იყო ბოლო დრომდე მკვლევართა დავის საგანი, რომლებიც ვერ თანხმდებოდნენ იმაში თუ რა არის ადამიანთა ტრეფიკინგი – „ადამიანების კონტრაბანდა“ თუ „ადამიანებით ვაჭრობა“?!

აღნიშნული პრობლემების თეორიულ გადაჭრას მრავალი წლის შრომა დასჭირდა. ადამიანთა ტრეფიკინგის საკითხების თანამედროვე გადაწყვეტა მოგვცა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციამ მიღებულმა 2000 წლის 15 ნოემბერს, უშუალოდ კი მისმა დამატებითმა ოქმმა – „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, მიღებულმა 2000 წლის 12 დეკემბერს. ამ უკანასკნელში ჩამოყალიბებულია ტრეფიკინგის თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია შემდეგი სახით:

ა) ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანების გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებელის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადახურვას.

ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს;

გ) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, უნდა ჩაითვალოს „ტრეფიკინგად“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება; დ) „ბავშვი“ გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე.[116]

აღნიშნული დეფინიცია, მისი სწორად აღქმის მიზნით, პირობითად სამ ნაწილად არის გაყოფილი:

**პირველ ნაწილში** მოცემულია კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც ცალკე და ერთობლიობაში თუ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებია - ადამიანების გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება;

**მეორე ნაწილში** მოცემულია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება, კერძოდ, მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე;

**სოლო მესამე ნაწილში** მოცემულია დანაშაულის მიზანი – ადამიანის ექსპლუატაცია.

ტრეფიკინგის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი იყო აქ შეტანილი ის დებულება, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია ზემოაღნიშნული რომელიმე საშუალება, მაშინ ტრეფიკინგის დანაშაულის არსებობის მტკიცებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თანახმა არის თუ არა მსხვერპლი ასეთ ექსპლუატაციაზე - მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე დამნაშავის გამამართლებელ არგუმენტად არ მიიღება.

და ბოლოს, რაც შეეხება 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენციას, აქ მოცემული დეფინიცია თითქმის იდენტურია გაეროს დეფინიციის და მოცემულია შემდეგი სახით:



(ა) „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, ან თაღლითობის, ან მოტყუების, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, გულისხმობს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, კატორღულ მუშაობას ან ორგანოების ამოცლას;

(ბ) „ადამიანებით უკანონო ვაჭრობის“ მსხვერპლის თანხმობა, გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებულ იქნა (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალებით.

(გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება განიხილება როგორც „ადამიანებით უკანონო ვაჭრობა“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე საშუალება;

(დ) „ბავშვი“ ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს.

(ე) „მსხვერპლი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს ადამიანებით უკანონო ვაჭრობის ობიექტს ამ მუხლის განსაზღვრების შესაბამისად.[118]

ევროსაბჭოს კონვენცია წარმოადგენს ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვან ანტიტრეფიკინგულ მექანიზმს, რომელიც დებულობს არამხოლოდ რეკომენდაციულ სახეს, არამედ იმ სახესაც, რომლის ფარგლებშიც შექმნილია ქვეყნების მონიტორინგის და შეფასების სისტემა.

ევროსაბჭოს კონვენცია წარმოადგენს პირველ ევროპულ კონვენციას ამ მიმართულებით, რომლის ძირითადი მიზანია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა-რეაბილიტაცია. კონვენციის მიზნებში ასევე შედის ტრეფიკინგში ჩართულ დამნაშავეთა დასჯისა და ტრეფიკინგის პრევენციის საკითხები.

ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციის ჩამოყალიბებასთან ერთად საერთაშორისო კანონმდებლობაში შემუშავდა მასთან დაკავშირებული სტანდარტული დეფინიციები, რომლებიც აადვილებენ მოვლენების ერთგვაროვან აღქმას მსოფლიო მასშტაბით, მაგალითად ისეთი მოვლენების, როგორიცაა:

ადამიანით ვაჭრობა – ყველა ქმედება ან განზრახვა, რომელიც უკავშირდება პირის ან პირთა ჯგუფის ყიდვას, გაყიდვას, გატაცებას, ან ამგვარი ქმედებებით მოგების მიღებას, უბრალოდ, ასეთი პირის შენახვას, მის მოტყუებას, იძულებას, შანტაჟის გზით გამოყენებას;[13, 30]

ექსპლუატაცია – პროსტიტუციაში ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმაში ჩაბმას, იძულებით მუშაობას ან მომსახურებას, მონობას ან მონობასთან გაიგივებულ მდგომარეობაში ჩაყენებას, დაბეჩავებას ან სხეულიდან ორგანოების, ორგანოს ნაწილის, ან ქსოვილის ამოკვეთას გადანერგვის მიზნით;

სავალო კაბალა – მდგომარეობა, სადაც ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება არ ითვლება ვალის დაფარვად და სამუშაოს ხანგრძლივობა და ფორმა განსაზღვრული არ არის;

მონობასთან გაიგივებული მდგომარეობა – მუშაობა ან მომსახურება, რომელსაც პიროვნება იძულებით ასრულებს;

მსხვერპლის წარმოშობის სახელმწიფო – ქვეყანა, სადაც ხდება მსხვერპლის რეკრუტირება;

ტრანზიტი სახელმწიფო – ქვეყანა, რომლის გავლითაც გადაყავთ მსხვერპლი;

დანიშნულების სახელმწიფო – ქვეყანა, სადაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლის ექსპლუატაცია;

სუროგატი დედა — ქალი, რომელიც ხელოვნური განაყოფიერებით ან ემბრიონის იმპლანტაციით აჩენს ბავშვს;

მიგრანტთა კონტრაბანდა — სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის არალეგალური შესვლის უზრუნველყოფა, მისგან საამისოდ მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით. სწორედ ამ მიზნით განსხვავდება იგი ადამიანთა ტრეფიკინგისგან, რაზეც ქვემოთ დეტალურად გვაქვს საუბარი;

არალეგალური მიგრაცია — მოიცავს როგორც მიგრანტთა კონტრაბანდას ისე ადამიანთა ტრეფიკინგს და საერთოდ ყველა სახის არალეგალურ გადაადგილებას სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ისევე როგორც ქვეყანაში არალეგალურ-უვიზო ცხოვრებას, მიუხედავად იქ მოხვედრის საშუალებისა, რომელიც თავისთავად შეიძლება ლეგალურიც ყოფილიყო.

### **ბ) ადამიანით ვაჭრობის — ტრეფიკინგის ცნება საქართველოს კანონმდებლობით:**

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) საერთაშორისო დეფინიციის შეცნობის შემდგომ მნიშვნელოვანია გავიგოთ საქართველოს რეალობაში და შესაბამისად მის კანონმდებლობაში რა სახე მიიღო ამ მოვლენამ.

საქართველოს კანონმდებლობაში ტრეფიკინგის ცნება დაინერგა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება გაეროს და ევროსაბჭოს მოთხოვნებთან საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის, რის გამოც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წელს შეიტანეს ცვლილებები. კოდექსს დამატა ორი ახალი მუხლი 143<sup>1</sup> „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და 143<sup>2</sup> „არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ - სადაც ტრეფიკინგი განმარტებულია შემდეგი სახით: მუხლი 143<sup>1</sup>. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით,

მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

მუხლი 143<sup>2</sup>. არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)  
არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობაში ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის დეფინიცია სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და წარმოადგენს გაეროს დეფინიციის ანარეკლს, მაგრამ ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსით ტრეფიკინგის გაყოფა ორ სხვადასხვა ნაწილად და არასრულ-

წლოვნების ტრეფიკინგის ცალკე გამოყოფა აუცილებლობას არ წარმოადგენს. არასრულწლოვნების ტრეფიკინგი ქმედების დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ყოფილიყო მოცემული, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემთხვევებშია მოცემული.

არასრულწლოვნით ვაჭრობის - ტრეფიკინგის მუხლის ცხოვრებაში რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები. კერძოდ, მუხლის სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს მისი შინაარსი გავიგოთ არაერთგვაროვნად, მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს სამართალდამცავები იყენებენ ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის შემთხვევებში, მაშინ როდესაც ბავშვი გამიზნულია შეილად აყვანისთვის, რა დროსაც ადგილი არ აქვს ვაჭრობის ობიექტის ექსპლოატაციას, ხოლო ექსპლოატაციის მიზნის არ არსებობა გამოირიცხავს ამ მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ჯეროვნად არ სრულდება ქართული მართლმსაჯულების მხრიდან. ასევე ამ მუხლის სტრუქტურა საშუალებას იძლევა შინაარსის სხვაგვარი გაგების: მუხლი, როგორც ვხედავთ, იწყება სიტყვებით – „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა,“ შესაბამისად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადამიანის მიმართ გარიგების განხორციელება უკვე დასრულებული დანაშაულია და არ არის ამისთვის აუცილებელი ექსპლოატაციის მიზნის არსებობა.

კარგი იქნებოდა ქართველი კანონმდებელი გასცდენოდა საერთაშორისო კანონმდებლობის მოცემულობას, არ მოეხდინა საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის სიტყვა-სიტყვითი თარგმნა და თავად შეეცადა ჩამოეყალიბებინა ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგის საკუთარი უნიკალური დეფინიცია, რომელიც უფრო მორგებული იქნებოდა ქართულ ენასთან და არ წარმოშობდა მისი წაკითხვისას გაუგებრობებს. ასე-მაგალითად შესაძლებელი იყო ტრეფიკინგის დეფინიციის პირველი ნაწილი ჩამოეყალიბებოდა იყო შემდეგი სახით:

„ა) ადამიანის მიმართ უკანონო, ბათილი გარიგების განხორციელება, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.“

დეფინიციის ასეთი სახით ჩამოყალიბება გაამარტივებდა მის გაგებას, რადგან უკანონო და ბათილი გარიგებები სამოქალაქო სამართლის მიხედვით თავის თავში მოიცავენ ამჟამად მოქმედი ტრეფიკინგის დეფინიციის ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს. კერძოდ ავტომატურად უკანონო და ბათილია გარიგებები, რომლებიც დადებულია „მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, სახლადურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია“. შესაბამისად ამ გარემოებების მოხსენიება დეფინიციას მხოლოდ მოცულობაში ზრდის და ართულებს მას.

რაც შეეხება ადამიანის ყიდვა-გაყიდვის არ მოხსენიებას, ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანი სამოქალაქო სამართლის თანახმად არ შეიძლება იყოს ლეგალური ვაჭრობის ობიექტი და შესაბამისად ეს ქმედებებიც ერთიანდება უკანონო გარიგების ცნების ქვეშ.

აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის მაისში დამატებული 143<sup>3</sup> მუხლი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა, რითაც კრიმინალიზირებულია წინასწარი შეცნობით კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლოატაციას.

143<sup>3</sup> მუხლის სანქციით დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე. ამ მუხლის არსებობის მიზანშეწონილობა შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ ადამიანთა ტრეფიკინგის პრევენციის მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მუხლის ცხოვრებაში განხორციელება, პირისთვის ბრალის წაყენება და, მითუმეტეს, მტკიცება ძალზედ რთული ამოცანაა, რაც ჯერჯერობით არ განხორციელებულა (საქართველოში არავინ გასამართლებულა ამ მუხლით). ამ მუხლის სარგებლობაზე

საუბარია ასევე 2010 წლის ამერიკის შეერთებული შტატების „ადამიანთა ტრეფიკინგის 2010 წლის ანგარიში“.[84, 154]

შეჯამების სახით, აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მსოფლმხედველობა ადამიანთა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის მანძილზე რადიკალურად იცვლებოდა, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა მონური შრომისგან დაცულ ადამიანთა ჯგუფი, თუ თავიდან იგი მხოლოდ ევროპული რასის მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებზე გაავრცელეს, თანდათან მან არასრულწლოვნები და მამაკაცებიც მოიცვა, ისევე როგორც სხვა რასის წარმომადგენლები. ასევე ადამიანთა შრომის გამოყენების სფეროები შეიზღუდა დაწყებული მონობიდან შემდგომ სექსუალური ექსპლუატაციის ჩათვლით და ბოლოს ყოველგვარი ძალადობრივი შრომის აკრძალვამდე მივიდა. აღნიშნულის მწვერვალი იყო 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს „ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია“, რითაც დაიგმო რასობრივი, ეთნიკური თუ სხვა სახის დისკრიმინაცია, ისევე როგორც ადამიანთა მონობის ყოველგვარი გამოვლინება, სასტიკ პირობებში ყოლა, წამება. დეკლარაციაში სხვა მრავალ უფლებებთან ერთად, აღიარებულია ადამიანების კანონის წინაშე თანასწორობა და დაცულობა – ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ჩამონათვალი არ არის საბოლოო და კვლავ განიცდის ზრდას ადამიანთა უფლებების გაფართოების კვალბაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ჩამორჩა საერთაშორისო სტანდარტებს და მოახერხა შემჭიდროვებულ ვადებში მოეხდინა მისი საკანონმდებლო ბაზის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან, რითაც დაიმსახურა მსოფლიო საზოგადოების და ექსპერტების უმაღლესი შეფასება და განიხილება ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მხრივ ლიდერ სახელმწიფოთა შორის.[68]

## თავი II – ადამიანთა ვაჭრობის – ტრაფიკინგის მდგომარეობა, არსებული სტატუსი

### §1. ადამიანთა ვაჭრობის ტრაფიკინგის სტადიები

ადამიანთა ვაჭრობა - ტრეფიკინგი ძალზე რთული და კომპლექსური მოვლენაა მასში ჩართული კრიმინალური ორგანიზაციების და მონაწილე პირების რაოდენობის და მრავალფეროვნების გამო. ტრეფიკინგი, როგორც მის დეფინიციიდან ჩანს, მოიცავს ადამიანთა გადაბირებას, შეკრებას, საზღვარზე გადაყვანას, ტყვეობას, ექსპლუატაციას, ხეწოლას, იძულებას და სხვა მრავალ ელემენტს, შესაბამისად ტრეფიკინგის სტადიებში ასახვას ჰპოვებს თითოეული მათგანი. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელის მიხედვით ადამიანთა ტრეფიკინგი დაყოფილია შემდეგ სტადიებად:

- ა. მსხვერპლის რეკრუტირება;
- ბ. მსხვერპლის გადაადგილება (მათ შორის და არა მხოლოდ საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა);
- გ. მსხვერპლის ექსპლუატაცია - მოგების მიღების მიზნით ადამიანური რესურსების არაკანონიერი გამოყენება.

#### ა). ადამიანთა ვაჭრობის – ტრეფიკინგის მსხვერპლის რეკრუტირება

რეკრუტირება გულისხმობს მსხვერპლის ხელში ჩაგდებას ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდები შედარებით სრულყოფილად ჩამოთვლილია ტრეფიკინგის საერთაშორისოდ აღიარებულ, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ტრეფიკინგის განსაზღვრებაში, სადაც აღნიშნულია შემდეგი საშუალებები: პირის გადაცემა, თავშესაფრის მიცემა ან მიღება, მუქარა, ძალის გამოყენება ან იძულების სხვა საშუალება, მოტაცება, თაღლითობა, მოტყუება, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენება, ან იმ პირის თანხმო-



ბის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებელის მიცემა ან მიღება, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი. თანამედროვე გარემოში, მსხვერპლთა რეკრუტირებისათვის, გამოყენებული მეთოდები სულ უფრო და უფრო იხვეწება და ახალ ფორმებს პოულობს.

ამავე დოკუმენტში დადგენილია, რომ მსხვერპლის ნებაყოფლობით თანხმობის შემთხვევაშიც კი ტრეფიკორი სრული სიმკაცრით აგებს პასუხს კანონის წინაშე ჩადენილი ქმედებისათვის.

თანამედროვე რეალობაში მსხვერპლის რეკრუტირებაში ჩართული არიან როგორც ორგანიზაციები, ასევე ცალკე დამოუკიდებლად მოქმედი დამნაშავე ფიზიკური პირები. მათ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიულად გაფორმებული ლეგალური ფორმა, ისევე როგორც არალეგალური სახე - დანაშაულებრივი ორგანიზაციები.

კერძო პირების მოქმედებას მსხვერპლთა რეკრუტირების საქმეში გააჩნია თავისი სპეციფიკა, ისინი შეიძლება მოქმედებდნენ როგორც მიზანმიმართულად, გაცნობიერებულად – ჰქონდეთ ინფორმაცია თუ რა ელით მათ მიერ რეკრუტირებულ პირებს, ასევე მოქმედებდნენ გულუბრყვილოდ, გაუცნობიერებლად – არის შემთხვევები როდესაც პიროვნებებს, ძირითადად მანდილოსნებს, პირდებიან, რომ თუ ისინი უცხოეთში სამუშაოდ გასამგზავრებლად შეკრებენ გარკვეული რაოდენობის ჯგუფს, მაშინ თავად ეს პირები მგზავრობისთვის და დასაქმებისთვის არ გადაიხდიან არავითარ გასამჯელოს. ამ დროს ამ გულუბრყვილო შემკრებმა, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში თავადაც ხდება შემდგომ ტრეფიკინგის მსხვერპლი, არაფერი იცის დამკვეთი ორგანიზაციის ბოროტი განზრახვების შესახებ. ასეთი მიდგომის გამოყენება ტრეფიკორთათვის ძალზედ ეფექტურია, რადგან პიროვნება, რომელმაც არ იცის რეკრუტირების მიზანი, მოქმედებს უფრო ლაღად, ასეთი პიროვნების საუბარი უფრო გულწრფელი და დამაჯერებელია, რის გამოც მას იოლად შეუძლია ახლობლების დაყოლიება უცხოეთში გამგზავრებაზე, რადგან ნაცნობები ენდობიან მას, არ მოელოებიან სიცრუეს მისგან.

საქართველოს ტერიტორიაზე რეკრუტირების ფაქტები, მსხვერპლთა საზღვარგარეთ ექსპლუატაციის მიზნით, ძალზე იშვიათია, რადგან საქართველოს მოქალაქეები ძირითადად საკუთარი ძალებით, შუამავლების გარეშე, ახდენენ საზღვრის გადალახვას, რის შემდეგაც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება მათი ტრეფიკინგში ჩაბმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში რეკრუტირების გამოვლენილი ფაქტების სიმცირეს განაპირობებს ტრეფიკინგის მაღალი ლატენცურობა და არა მოვლენის მცირე მასშტაბები.

**ბ). ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაადგილება, მათ შორის საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა**

ადამიანის ვაჭრობის, ტრეფიკინგის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მსხვერპლის ტრანსპორტირება, მისი გადაყვანა ისეთ გარემოში, სადაც იგი მოწვევტილი იქნება გარე სამყაროს და თავს უსუსურად და დაუცველად იგრძნობს. ასეთ ტრანსპორტირებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც მგზავრობის კანონიერი, ისე უკანონო საშუალებების და მეთოდების გამოყენებით. გაეროს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“ კონვენციის მიღებამდე ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე მკვლევარებში მიმდინარეობდა დისკუსია თუ როდის იყო ტრეფიკინგი, როდესაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო საზღვარზე პიროვნების გადაყვანას და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მის ექსპლუატაციას, თუ ქვეყნის შიგნით ერთი რეგიონიდან სხვა რეგიონში გადაყვანაც ტრეფიკინგად უნდა მიჩნეულიყო, რაც უკანასკნელი მიდგომის გათვალისწინებით გადაწყდა.

ტრეფიკინგის პრობლემის ირგვლივ მომუშავე მეცნიერები არ იყვნენ ერთსულოვანი ტრეფიკინგისა და მიგრანტთა კონტრაბანდის გამიჯვნის საკითხებშიც, პრობლემას წარმოადგენდა გარემოება, რომ ეს ორივე ქმედება დაკავშირებულია საზღვრების გადალახვასთან. არსებობდა გაურკვეველობები თუ რა იყო

მიგრანტთა კონტრაბანდა და რა ტრეფიკინგი, სად გადიოდა მათი გამოიჯენის ხაზი.[85]

საბოლოოდ მკვლევარები შეჯერდნენ, რომ მიგრანტთა კონტრაბანდა ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირის არალეგალური შესვლის უზრუნველყოფას ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიღების მიზნით, როდესაც ეს პირი არ არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე ან მუდმივად მაცხოვრებელი პირი.[115]

განსხვავებები მიგრანტთა კონტრაბანდასა და ტრეფიკინგს შორის ძალიან დახვეწილია და ხანდახან ისინი ერთმანეთს გადაფარავენ, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. იდენტიფიკაცია, არის თუ არა კონკრეტული შემთხვევა ადამიანით ვაჭრობის ფაქტი თუ ეს მიგრანტთა კონტრაბანდა და მასთან დაკავშირებული დანაშაულებებია, შეიძლება ძალიან რთული იყოს რიგი მიზეზების გამო:

- ტრეფიკინგის რიგ შემთხვევაში მომავალი მსხვერპლი თავდაპირველად შეიძლება თანახმა იყოს მხოლოდ მის საზღვარზე უკანონო გადაყვანის მომსახურების მიღებაზე და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინოს, რომ იგი იძულების, მოტყუების თუ სხვა მრავალი მეთოდის გამოყენებით გაება ტრეფიკინგის მახეში(მაგალითად იძულებული გახადონ თავისი შრომით, რომელიც ძალიან მცირე გასამჯელოს უხდიან, გადაიხადოს ტრანსპორტირების ხარჯები).

- ტრეფიკიორები ასევე იყენებენ მეთოდს, როდესაც ისინი ტრეფიკინგს ნიღბავენ მიგრანტთა კონტრაბანდის ქვეშ, ამ დროს ისინი მიგრაციის მსურველთ წინასწარ სთხოვენ გასამრჯელოს თავიანთი მომსახურებისთვის ისევე როგორც ამას მიგრანტთა კონტრაბანდით დაკავებული პირები აკეთებენ, რაც მათ მიმართ ნაკლებ ეჭვს იწვევს. ამ დროს ტრეფიკიორთა თავდაპირველი მიზანი მსხვერპლის შემდგომი ექსპლოატაციაა, ხოლო მსხვერპლისგან მიღებული თანხები მხოლოდ დამატებით შემოსავლის წყაროს და თაღლითობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

- მსხვერპლთა კონტრაბანდა შეიძლება არც წარმოადგენდეს თავდაპირველ მიზანს დამნაშავეთათვის, მაგრამ იგი შეიძლება წარმოჩინდეს როგორც საკმაოდ სარფიანი გარემოება, რომლის ხელიდან გაშვებაც დაუშვებელი იქნებოდა და მხოლოდ ასეთი შესაძლებლობის გამოჩენის შემთხვევაში ხორციელდება.

- ხშირად ადამიანთა ტრეფიკინგისთვის და მიგრანტთა კონტრაბანდისთვის გამოიყენება ერთი და იგივე სატრანსპორტო მარშრუტები, რაც ასევე ართულებს მათ გარჩევადობას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქმედება რომელიც დაიწყო მიგრანტთა კონტრაბანდის სახით, შესაძლებელია გადაიზარდოს ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიგრანტთა კონტრაბანდას და ტრეფიკინგს ერთმანეთისგან განმასხვავებელი ოთხი ნიშანი გააჩნიათ:

1. თანხმობა – მიგრანტთა კონტრაბანდა ხშირად ხორციელდება სიცოცხლისთვის საშიშ და სახიფათო მეთოდების გამოყენებით, რაზეც პიროვნება წინასწარ გაფრთხილებულია და იგი თანხმობას გამოთქვამს ამ მეთოდებით მის ტრანსპორტირებაზე. ტრეფიკინგის დროს მსხვერპლს აზრს არავინ ეკითხება და მის თანხმობასაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან მსხვერპლის ნება ითრგუნება იძულების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

2. ექსპლუატაცია – როგორც ტრეფიკინგის დეფინიციიდანაც ჩანს ექსპლუატაცია წარმოადგენს ტრეფიკინგის უპირველეს დამახასიათებელ ნიშანს. თუ მიგრანტთა კონტრაბანდა სრულდება პიროვნების დანიშნულების ადგილზე გადაყვანის მომენტის დადგომით, ტრეფიკინგის დროს მთავარი არა გადაყვანა, არამედ მსხვერპლის ექსპლოატაციის მიზანია, რომელიც გადაყვანის ეტაპის დასრულების შემდგომ იწყება.

3. ტრანსნაციონალურობა – მიგრანტთა კონტრაბანდა ყოველთვის ტრანსნაციონალური ხასიათისაა, მაშინ, როცა ტრეფიკინგს ადგილი აქვს შიდასახელმწიფოებრივადაც, როდესაც

მსხვერპლის გადაყვანა ხდება ქვეყნის ერთი რეგიონიდან სხვა რეგიონში ან თუნდაც ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში.

4. მოგების წყარო – მიგრანტთა კონტრაბანდის დროს დამნაშავეთათვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მიგრანტისგან საზღვრის გადალახვის ორგანიზებისთვის მიღებული გასამრჯელო, მაშინ, როდესაც ტრეფიკორთათვის შემოსავლის წყაროს მსხვერპლის ექსპლუატაციისგან მიღებული სახსრები წარმოადგენს.

ასევე აღსანიშნავია საზღვრის უკანონო გადალახვისთვის პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი, მიგრანტთა კონტრაბანდის დროს პირი, რომელმაც გადალახა სახელმწიფო საზღვრები, პასუხს აგებს კანონის წინაშე სრული სიმკაცრით, ხოლო ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის ასეთი პასუხისმგებლობა არ არსებობს.

ტრეფიკინგის დროს მსხვერპლის გადაადგილება და მათ შორის საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს მრავალი მეთოდის თუ ხერხის გამოყენებით:

ძირითადად მსხვერპლთა ტრანსპორტირება ხდება დამნაშავე ორგანიზაციის მიერ იძულების მეთოდების გამოყენებით, როდესაც მსხვერპლს რეკრუტირებას უკეთებენ ერთ სახელმწიფოში, ხოლო მისი ექსპლუატაციის ადგილი სხვა სახელმწიფოა.

არსებობს ასევე მსხვერპლთა კატეგორიები, რომლებიც უცხო სახელმწიფოში ხვდებიან ავტონომიურად, დანაშაულებრივი ორგანიზაციების ჩარევის გარეშე და უკვე იქ ლეგალურად ცხოვრების პირობებში ხვდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ანუ მსხვერპლთა გადაყვანას დანაშაულებრივი ორგანიზაციის მხრიდან ადგილი არ აქვს.

ასევე მსხვერპლის გადაყვანა საზღვარზე შეიძლება სრულად ჯდებოდეს კანონიერების ფარგლებში, მოხდეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ, მაგრამ ამ სეგმენტში – საზღვრის გადალახვის ეტაპზე – კანონის მოთხოვნების სრული შესაბამისობით (მსხვერპლი გადაიყვანონ საზღვარზე ლეგალურად სავიზო დო-

კუმენტაციის სრული დაცვით ტურისტულ, სასწავლო თუ სხვა საფარქვეშ).

საქართველოსგან განსხვავებით, მსოფლიო მასშტაბით ფართოდაა გავრცელებული მსხვერპლთა კანონდარღვევით და ფარულად გადაყვანა საზღვრებზე, რაც მსხვერპლთათვის სასიცოცხლო საფრთხეს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში მგზავრობის ეტაპზე მათი დაღუპვის მიზეზი ხდება, რაც შეემთხვათ ნიგერიელ არაღლეგალებს 2010 წლის თებერვლის თვეში საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში, თურქეთში არაღლეგალურად გადასვლის მცდელობისას, როდესაც ისინი ამინდის უეცარი გაუარესების გამო ტყეში გაიყინნენ.[69]

მსოფლიოში ყველაზე ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატების საზღვრების უკანონო გადაკვეთა ხორციელდება. ცნობილია, რომ საშუალოდ წელიწადში აშშ-ს ტერიტორიაზე უკანონოდ ნახევარ მილიონამდე ადამიანი შედის და საშუალოდ არაღლეგალ ემიგრანტების რაოდენობა ამერიკაში 11 მილიონ კაცს აღწევს.[79, 42] მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე რთული მდგომარეობა აშშ-მექსიკის საზღვრის პერიმეტრზეა, სადაც არაღლეგალ ემიგრანტებს მომსახურებას უწევენ და საზღვრის გადალახვაში ეხმარებიან ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელთაც „კოიტებს“ უწოდებენ, ამ გზით საზღვრის გადამკვეთთა ზუსტი რიცხვი უცნობია, მაგრამ 1998-2004 წლების პერიოდში, საზღვრის ამ სექტორის გადაკვეთისას დაიღუპა 1954 პიროვნება.[80] ამერიკაში შედწვევისთვის ასევე იყენებენ გემ-კონტინერშიდებს, ძირითადად აზიის ქვეყნებიდან წამოსული არაღლეგალებისთვის. 1993 წელს საზღვაო გზით ამერიკაში მიმავალი 283 ჩინელი გამოავლინეს, სამწუხაროდ, 10 მათგანი მგზავრობისას გარდაიცვალა.[81]

რაც შეეხება საქართველოს, აქ საზღვრის უკანონო გადალახვის პრობლემა ნაკლებად არსებობს, რადგან ნებისმიერ უცხოელ პიროვნებას შეუძლია უპრობლემოდ აიღოს საქართველოს ვიზა საზღვრის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე. ასევე საქართველოს მოქალაქეთათვის გაიოლებულია მოსაზღვრე აზერბაიჯანის, სომხ-



ეთის და თურქეთის ტერიტორიაზე ლეგალურად გადასვლა, რაც არ წარმოშობს არალეგალურად გადასვლის მოტივაციას და შესაბამის მომსახურეობის გამწვევ დაჯგუფებების არარსებობას განაპირობებს. განხვავებული მდგომარეობაა რუსეთის მიმართულებით, სადაც საომარი ვითარების გამო გაწყვეტილია საზღვრის ლეგალურად გადაკვეთის საშუალებები. პრობლემას ასევე წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო მიზნებით გამოყენება. აღსანიშნავია ასევე ქართველი სამართალდამცავების ეფექტური მუშაობა, რომლებიც არ უშვებენ ქვეყანაში უკანონო მიგრანტების არსებობას.

### **გ). ადამიანთ ვაჭრობის – ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაცია.**

ადამიანთ ვაჭრობა ტრეფიკინგის ბოლო სტადია მსხვერპლთა ექსპლუატაციაა, რაც გულისხმობს მოგების მიღების მიზნით ადამიანური რესურსების არაკანონიერ გამოყენებას. ტრეფიკინგად მიიჩნევა არა მხოლოდ პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალური ექსპლუატაცია, როგორც მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე ითვლებოდა, არამედ ყველა სახის იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა ან მონობის მსგავსი მდგომარეობა.

არჩევნ ადამიანების ექსპლუატაციის ორ სახეობას:

I) შრომის ექსპლუატაციას;

II) ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლუატაციას.

– შრომის ექსპლუატაციის დროს პიროვნებას აიძულებენ შექმნას რაიმე პროდუქცია ან გაწიოს მომსახურება. შრომის შინაარსის მიხედვით შრომის ექსპლუატაცია იყოფა – ფიზიკურ შრომის ექსპლუატაციად – როდესაც ხდება პიროვნების ფიზიკური შესაძლებლობების გამოყენება და ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციად – შესაბამისად გონებრივი შესაძლებლობების გამოყენების დროს.

ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია გულისხმობს პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების – ცოდნის, აზროვნე-

ბის უნარის, შემოქმედებითი ნიჭის გამოყენებას. ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია შეიძლება გამოიხატებოდეს ადამიანის იძულებაში ინტელექტუალური ნიჭით სამსახური გაუწიოს ექსპლუატატორს, რომელზეც ის დამოკიდებულია. ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციას ტრეფიკიორები იშვიათად მიმართავენ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რეალობაში არ არსებობს ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის გამოვლენილი ფაქტები, მაგრამ თეორიულად არსებობს მათი განხორციელების შესაძლებლობა და შესაბამისად აუცილებელია მისი განხილვაც.

შრომის ექსპლუატაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ლეგალურ სფეროში, ისე არალეგალურშიც.

ლეგალურ სფეროში ექსპლუატაცია, გულისხმობს მსხვერპლის შრომის-მომსახურეობის გამოყენებას ისეთ საქმიანობის ან პროდუქციის საწარმოებლად რომელიც ჯდება კანონის ფარგლებში, ხოლო არალეგალურის დროს იგულისხმება ის საქმიანობა, რაც თავის მხრივ არაკანონიერია.

ფიზიკური შრომის ლეგალურ სფეროში ექსპლუატაცია, გამოყენების სფეროს მიხედვით, შეიძლება დაიყოს სექსუალურ, საწარმოო და საშინაო სფეროში შრომის ექსპლუატაციად.

სექსუალურ სფეროში შრომის ექსპლუატაცია ყოველთვის არ გულისხმობს არალეგალურ საქმიანობას, რადგან არსებობს ამ სახის ბიზნესის ნაირსახეობები, მაგალითად საქართველოში სტრიპტიზის მოცეკვავედ მუშაობა, რომელიც სავსებით ლეგალურია. ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად გერმანიაში მეძავეობა და სხვა სახის სექსუალური მომსახურებაც კანონით რეგულირდება.

შრომის ექსპლუატაციას საშინაო მომსახურების სფეროში და შრომის ექსპლუატაციას საწარმოო სფეროში ერთმანეთისგან განასხვავებს ექსპლუატატორის მიზანი, ანუ საშინაო მომსახურების სფეროში შრომის ექსპლუატაციის დროს ადამიანის შრომა გამოიყენება ექსპლუატატორის უშუალოდ პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად: სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება; ხოლო წარმოების სფეროში შრომის

ექსპლუატაციისას მსხვერპლის შრომა გამოიყენება ექსპლუატატორის მიერ მოგების მიღების მიზნით ისეთ სფეროებში, როგორცაა, მაგალითად: იატაკქვეშა საამქროში სამრეწველო საქონლის რემონტი, სამკერვალოში, პლანტაციაში მუშაობა და სხვა ისეთი საქმიანობა, რომლის წარმოებისთვისაც გადამწვევტია იაფი მუშახელის არსებობა და სადაც ნაწარმი პროდუქციაც განკუთვნილია შემდგომი რეალიზაციისათვის.

რაც შეეხება შრომის ექსპლუატაციას არალეგალური საქმიანობის სფეროში, მოცემულ შემთხვევაში ადამიანის შრომა გამოიყენება დანაშაულებრივი ბიზნესის სფეროში, ანუ ისეთ საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას.

დანაშაულებრივ ბიზნესში საქმიანობის სფეროები სახეობების მიხედვით ემთხვევა კანონიერი შრომის საქმიანობის სფეროებს როგორც ინტელექტუალური ასევე ფიზიკური შრომის მხრივ, გარკვეული დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც მას არაკანონიერების ფარგლებში აქცევს.

ასე მაგალითად, ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის ლეგალური სფეროდან განსხვავებით არალეგალურ სფეროში შედის ისეთი საქმიანობის სფეროები, რომლებიც ვერანაირად ვერ ჩაჯდება კანონის ფარგლებში – როგორცაა:

1) მონაწილეობა სამხედრო ფორმირებებში (როდესაც მამაკაცები იძულებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ კონფლიქტებში, ტერორისტული აქტების მოწყობაში და სხვა მსგავს უკანონო ქმედებებში, სადაც გამოყენებას ექვემდებარება მსხვერპლთა ფიზიკური შესაძლებლობები), აქ განიხილება განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნებში გამოყენებული პრაქტიკა სამხედრო ფორმირებებში არასრულწლოვანი მებრძოლების გაწვევიანების. ამ პრაქტიკის საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2008 წელს მიიღო კანონი „ბავშვთა გასამხედროების პრევენციის აქტი 2008,“ [117] რომელიც ძალაშია 2009 წლის 21 ივნისიდან. კანონი ავალდებულებს სახელმწიფო დეპარტამენტს ტრეფიკინგის მდგომარეობის ყოველწლიურ ანგარიშში შეიტანოს

ინფორმაცია სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა სამხედრო ძალებში გამოყენების შესახებ და დააწესოს სამხედრო სახის სანქციები იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებშიც გამოვლინდება მსგავსი ქმედებები, როგორც ეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარუმატებელ სახელმწიფოთა მიმართ არის გათვალისწინებული. კერძოდ შემჩნეულ სახელმწიფოებს აეკრძალებათ საერთაშორისო სამხედრო სწავლებებში მონაწილეობა, შეუწყდებათ საზღვარგარეთიდან სამხედრო მიმართულებით დაფინანსება – დახმარება და გაუუქმდებათ ლიცენზიები საზღვარგარეთიდან სამხედრო აღჭურვილობის შექმნის ირგვლივ.[86]

ამ კანონის მიხედვით „ბავშვ სამხედროდ“ მიიჩნევა:

(1) ნებისმიერი პიროვნება 18 წლის ასაკამდე, რომელიც იღებს უშუალო მანაწილეობას სამხედრო მოქმედებებში როგორც სამთავრობო შეიარაღებული ძალების წევრი. (2) ნებისმიერი პიროვნება 18 წლის ასაკამდე, რომელიც დაექვემდებარა სამთავრობო შეიარაღებული ძალებში სავალდებულო სამხედრო გაწვევას. (3) ნებისმიერი პიროვნება 15 წლის ასაკამდე, რომელიც ნებაყოფლობით შევიდა სამთავრობო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. (4) ნებისმიერი პიროვნება 18 წლის ასაკამდე, რომელიც ირიცხება ან გამოიყენება სამხედრო მოქმედებებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ მყოფი სამხედრო ფორმირებების მიერ. ტერმინი „ბავშვი ჯარისკაცი“ მოიცავს ყველა პიროვნებას, რომელიც მოცემულია წინადადებებში: (1),(2),(3),(4) „რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ფუნქციით, მათ შორის ისეთი დამხმარე ფუნქციებით, როგორცაა მზარეული, მიმტანი, შიკრიკი, მედიცინის მუშაკი, მცველი და ასევე სექს-მონა.“[117]

2010 წლის ტრეფიკინგის მდგომარეობის ანგარიშის მიხედვით გამოვლენილ და დასჯილ სახელმწიფოებს განეკუთვნებიან: ბურმა, ჩადი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სომალი, იემენი, სუდანი.

2) შრომის ექსპლუატაცია არაკანონიერი პროდუქციის წარმოების და არაკანონიერი მომსახურების სფეროში, ისეთი საგნების

და საქონლის წარმოებისთვის, რომელიც არ ექვემდებარება ლეგალურ ბრუნვას. ასე მაგალითად, შრომის ექსპლუატაცია ნარკოტიკების წარმოებისა და გადამუშავებისთვის, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების, იარაღის წარმოებისათვის, მათი რეალიზაციის ღონისძიებებში მსხვერპლის გამოყენება და ა.შ;

3) შრომის ექსპლუატაცია კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვების, კონკურენტების და არასასურველი პირების დისკრედიტაციის ან სულაც მათი ლიკვიდაციის მიზნით. ასეთ სპეციფიკურ მომსახურებას ძირითადად ახორციელებენ მეძაგეები, რომლებსაც იყენებენ გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოსაპოვებლად, ამა თუ იმ პირის მონაწილეობით სექსუალური სცენების ფარული ვიდეოგადაღებების საწარმოებლად, მოცემულ პირზე სახელის გამტეხი ინფორმაციის შეკრებისა და მისი შემდგომი დაშანტაჟების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ გაწეული ნებისმიერი სამსახური, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ სფეროს, ნებისმიერ შემთხვევაში არის არალეგალური საქმიანობა და ეს ზემოთმოყვანილი დაყოფა მხოლოდ პირობით ხასიათის ატარებს, რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ გაწეული შრომის კანონის ფარგლებში მოქცევა, რაც გულისხმობს მის სახელმწიფო ორგანოების მხრიდან აღრიცხვას და დაბეგვრას, შეუძლებელია ადამიანთა ტრეფიკინგის არსიდან გამომდინარე.

– ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლუატაციისას შეიძლება ითქვას, რომ აქ მოიაზრება ადამიანის როგორც ღონორის, ან კომერციული რეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია, რაც გულისხმობს ორგანოების ტრანსპლანტაციას და სუროგატულ დედობას.

ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლუატაცია ხშირად დუხჭირი ცხოვრების გამო მსხვერპლთა მხრიდან ნებაყოფლობით ხდება. ადამიანები იძულებულნი ხდებიან თავისი ორგა-

ნოები და ახალშობილები სხვებს მიყიდონ, რადგან არ გააჩნიათ სხვა გასაყიდი ფასეულობა, ან ზოგიერთ შემთხვევაში არ აქვთ ახალშობილის გაზრდის საშუალება. ამ ბიზნესით დაკავებული პირები სარგებლობენ რა ასეთი პირების გაჭირვებული მდგომარეობით, პროცესს თავიანთი შემოსავლების წყაროდ აქცევენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2009 წელს აღრიცხული ყველა ტრეფიკინგის შემთხვევა მოიცავდა სწორედ ახალშობილი ბავშვებით ვაჭრობით ფაქტებს, მაგრამ ეს ფაქტები თეორიულად არ წარმოადგენდნენ ტრეფიკინგს, რადგან ბავშვები გამიზნული იყვნენ გაშვილებისთვის და არა ექსპლუატაციისთვის, რაც გადამწყვეტი ელემენტია ადამიანის ტრეფიკინგის დასამტკიცებლად და რაც კანონის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს.

ბოლო დროს მედიცინის მეცნიერების განვითარების კვალობაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოყენებამ ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით - რაც გულისხმობს ადამიანის ორგანოების სხვა ადამიანისთვის გადაწვრვას და რაც წინა საუკუნეებში წარმოუდგენელი იყო. თანამედროვე მედიცინამ შესაძლებელი გახადა ასეთი ოპერაციების ჩატარება ორგანოთა ფართო ჩამონათვალზე - გულზე, თირკმელზე, ღვიძლზე, თვალის რქოვანაზე, კანზე, ძვლის ტვინზე და სხვა მრავალ ორგანოზე, რომელთა ჩამონათვალი დღითიდღე იზრდება. ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს იშვიათი ჯგუფის სისხლით ვაჭრობა.

ორგანოების ტრანსპლანტაციის მიზნით ადამიანების გატაცებებზე პირველად საუბარი დაიწყო 1980-იან წლებში ცენტრალურ ამერიკის სახელმწიფოებში. იმ დროისთვის გავრცელდა მრავალი ჭორი, თითქოსდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმოდგენილები დადიოდნენ ცენტრალური ამერიკის ღარიბი სახელმწიფოების მივარდნილ სოფლებში და ეწეოდნენ ახალგაზრდების დატყვევებას, რომლებსაც ადგილზევე აცლიდნენ გადასანერგად ვარგის ორგანოებს, ხოლო დამახინჯებულ გარდაცვლილ სხეულებს იქვე გზის პირა ადგილებში ტოვებდნენ. ამ ჭორებმა

გამოიწვიეს აშშ-ს მოქალაქეთა მიმართ ზიზღი და ზოგიერთ შემთხვევაში მათ უსაფუძვლოდ ფიზიკურადაც კი გაუსწორდნენ, რამაც გამოიწვია ამერიკული ორგანიზაციების დახურვა ამ რეგიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოახდინა ამ ფაქტებზე და ჭორებზე რეაგირება. ჩატარდა კვლევები, მაგრამ ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით ექსტრაქციის მტკიცებულებები აღმოჩენილი ვერ იქნა. მიუხედავად ჭორების დიდი რაოდენობისა, არავის ჰყავდა ნანახი დამახინჯებული სხეულები და მთხრობელები მხოლოდ ზეპირ, გადმოცემებით იფარგლებოდნენ. შესაბამისად 1980იანი წლების მიწურულისთვის აშშ-ს მთავრობამ დანაშაულებრივ სამყაროს მიერ ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესაძლებლობას საერთო სახელი „Urban legend“ – ურბანული ლეგენდა უწოდა და იგი მითიური – არარსებულ მოვლენად აღიარა.[58, 3-11]

ადამიანის ორგანოთა ტრანსპლანტაციის უკანონო ბიზნესის არსებობაზე და მის ფართო მასშტაბებზე მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა ამერიკელმა ანთროპოლოგმა, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სამედიცინო ანთროპოლოგიის პროგრამის დირექტორმა ნენსი შეფერ-ჰიუჯსმა (**Nancy Scheper-Hughes**). მან 1997 წელს დაარსა ორგანიზაცია „Organs Watch“ (ორგანოებზე თვალყური) რომლის მიზანი იყო მსოფლიო მასშტაბით ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობის შესწავლა.

შეფერ-ჰიუჯსმა შეისწავალა რა ორგანოთა ტრეფიკინგის ბიზნესი, დაასკვნა, რომ ორგანოთა ტრეფიკინგის ბიზნესში ჩართულ ორგანიზაციათა უმრავლესობა არის ებრაული წარმოშობის, ისინი წარმოადგენენ ამ დანაშაულებრივი ბიზნესის წამმართავ მთავარ ძალას, რომელთაც გააჩნიათ კავშირები მსოფლიოს ყველა კუთხეში, ჰყავთ საკუთარი მსხვერპლთა რეკრუტირების დიდი სტრუქტურა, საბანკო ანგარიშები, გააჩნიათ საკუთარი სამოგზაურო სააგენტოები მსხვერპლთა ლეგალური ტრანსპორტირებისათვის.[50]

შეფერ-ჰიუჯსის განცხადებით, რომელიც მან CNN-ის გადაცემა „Hard Talk“-ში 2008 წელს გააკეთა, ამ საქმიანობით დაკავე-

ბულ ებრაელი წარმოშობის პიროვნებებთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას ამართლებენ ებრაელ ხალხის მიმართ განხორციელებული გენოციდით. ისინი მოქმედებენ პრინციპით „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, მათი თქმით „მსოფლიო ვალშია ებრაელთა მიმართ“ და ისინი “შეეცდებიან ყველა შესაძლო ორგანოს ხელში ჩაგდებას, რაზეც მათ ხელი მიუწვდებათ“.[50, 15-17]

აღსანიშნავია, რომ ისრაელის მთავრობამ გააცნობიერა რა არსებული ვითარება, 2008 წელს მოახდინა ორგანოთა ტრანსპლანტაციის ირგვლივ კანონმდებლობის მიღება და აკრძალა ერთმანეთისთვის უცხო პირებს შორის ორგანოთა ტრანსპლანტაცია, მხოლოდ პირს, რომელიც დაამტკიცებს, რომ რესიპიენტი მისი ნათესავია, შეუძლია გადაუნერგოს მას თავისი ორგანო.[83]

მსოფლიო მასშტაბით ყველაზე ფართოდ გავრცელებულია თირკმლის გადანერგვა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად მსოფლიოში ყოველწლიურად ტარდება 70 000 თირკმლის ტრანსპლანტაცია, სადაც დონორ ორგანოთა ერთი მეხუთედი არაკანონიერ – შავი ბაზრის მეშვეობით მარაგდება.[82] ტრანსპლანტაციის ასეთი ფართოდ გავრცელება გამოწვეულია უკანასკნელ წლებში მედიცინაში მიღწეული წარმატებებით. დღესდღეისობით სავალდებულო აღარ არის, რომ დონორი წარმოადგენდეს რესიპიენტის ახლო ნათესავს, თანამედროვე მედიკამენტების მეშვეობით შესაძლებელი გახდა, რომ ორგანიზმმა შეითვისოს უცხო წარმოშობის ორგანო. ხოლო უკანასკნელი კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ გარდაცვლილი დონორის თირკმელთან შედარებით ცოცხალი ადამიანისგან გადანერგილი თირკმელი ორჯერ უფრო გაახანგრძლივებს რეციპიენტის სიცოცხლეს.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოყენებას ორგანოთა დონორობის მიზნით ასევე ამწვავებს ორგანოთა გადანერგვის რიგში მყოფ ავადმყოფთა სიმრავლე, რომელთა რაოდენობამ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე 2009 წელს 100 000

პიროვნებას მიაღწია, მაშინ როდესაც ლეგალურ დონორთა რიცხვი - იმ პირთა რიცხვი, ვინც თანხმობა განაცხადა გარდაცვალების შემდეგ ორგანოთა დონორობაზე წელიწადში 5-დან 8 ათასამდე ადამიანს ფარგლებში მერყეობს. 2010 წლისთვის ამერიკაში თირკმლის რიგში ჩამდგარ ავადმყოფისთვის შესაფერისი დონორი ორგანოს მოლოდინი საშუალოდ 10 წელიწადს შეადგენს, მაშინ, როდესაც დიალიზზე მყოფი ავადმყოფის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 წელიწადს არ აჭარბებს, რაც ავადმყოფს სრულიად ბუნებრივად უბიძგებს სასურველი ორგანო ეძებოს არალეგალურ ბაზრებზე.[82]

ადამიანის ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლოატაციაზე მსხვერპლთა დაყოფიება ხდება ყველა შესაძლო ლეგალური თუ არალეგალური საშუალებებით. ნებაყოფლობითი თანხმობის გარდა რეკრუტირების მეთოდებს შორის ერთ-ერთ უპირველეს ადგილზეა მოტყუება, როდესაც მსხვერპლს იბირებენ საზღვარგარეთ სამუშაოს შოვნის დაპირებით და შემდეგ აიძულებენ ამა თუ იმ ორგანოს ჩალის ფასად გაყიდვას. ზოგჯერ ადამიანს პირდაპირ აძლევენ წინადადებას, გაყიდოს თავისი რომელიმე ორგანო. ღარიბებისთვის საკუთარი სხეულის ნაწილები ზოგჯერ ერთადერთი საქონელია, რომლის გაყიდვაც მათ შეუძლიათ, რათა ოჯახი მატერიალურად უზრუნველყონ ან თავი დაადწიონ სავალო კაბალას.

ბოლო დროს რუსეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა მრავალი ფაქტი, როდესაც წვევამდელ სამხედრო მოსამსახურეებს იყენებდნენ ორგანოთა დონორებად, რის შემდეგაც მათ ასაღებდნენ როგორც თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის მსხვერპლებად. ეს ფაქტები ფართოდ გაშუქდა სხვადასხვა მასმედიის საშუალებებით, მათ შორის ქართული საინფორმაციო არხებითაც და გამოიწვია საზოგადოების შეშფოთება. რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ორგანოთა ტრეფიკინგის გამოვლენილი ფაქტების არ არსებობა.

კომერციული მიზნით ქალის რეპროდუქციული უნარიც გამოიყენება. ამ შემთხვევაში ქალის ორგანიზმი ექსპლუატირდება ფეხმძიმობისა და მშობიარობისთვის. დაბადების შემდეგ კი ბავშვი სხვა ადამიანების ხელში ხვდება, რომელთაც შეუძლიათ ახალშობილი გაშიღების ან მაგალითად ორგანოთა ტრანსპლანტაციის მიზნით გაყიდვა.

ტრეფიკინგში ჩართულ დამნაშავეთათვის ასევე მეტად მიმზიდველია ორსული ქალების გადაყვანა საზღვარზე, იმ ქვეყნის მიმართულებით, სადაც არსებობს მოთხოვნა გასაშიღებელ ბავშვებზე. ასეთ ორსულებს ამშობიარებენ დანიშნულების სახელმწიფოში, რის საფუძველზეც დაბადებული ბავშვი ამ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე ხდება და მათი გაშიღება შესაბამისად მრავალი ფორმალობისგან თავისუფლდება. ეს პრაქტიკა ძირითადად გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართებით. ტრეფიკინგის ასეთი სახე დეტალურად აღწერეს უნგრეთში, სადაც პოლიციამ აშშ-სა და კანადაში გადასაყვანი ჯერ არ დაბადებული ბავშვებით მოვაჭრეთა მთელი იატაკქვეშა ქსელი აღმოაჩინა, რომელიც სამ წელზე მეტ ხანს მოქმედებდა და ასზე მეტი დანაშაულებრივი ქმედება განახორციელა.[19, 172]

აქვე უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში წარმოჩინდა ადამიანის ექსპლუატაციის ახალი მიმართულებები, რომლებიც ლოგიკურად ვერ ჯდება ვერც შრომის ექსპლოატაციაში და ვერც ფიზიოლოგიური პარამეტრების ექსპლოატაციაში. საუბარია ადამიანის წამების მიზნით ხელში ჩაგდებაზე და ინტერნეტ პედოფილიაზე. ინტერნეტ პედოფილიის დროს სავაჭრო ფასეულობას წარმოადგენს ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ასახავს არასრულწლოვან მსხვერპლზე ძალადობას. ხოლო რიტუალური წამების დროს მსხვერპლი გამოიყენება სატანისტურ და სხვა სახის რიტუალებში სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. ამ დროს ექსპლუატატორებისთვის მნიშვნელოვანია მსხვერპლის მიერ განცდილი ტკივილი, რაც არ წარმოადგენს არც ფიზიოლოგიური



პარამეტრების ექსპლუატაციის ნაირსახეობას და არც შრომის ექსპლუატაციის სახეს.[64]

საქართველოში ტრეფიკინგის ზოგიერთი გამოვლენის ფორმის დადასტურებული შემთხვევების არ არსებობის მიუხედავად არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ბუნებაში ადგილი არ ჰქონიათ, მხედველობაში მისაღებია რა ქართული მენტალიტეტი, მსხვერპლის საზოგადოებიდან გარიყვის შიში და საერთოდ ამ ტიპის დანაშაულის მაღალი ლატენცია.

## §2. ბრაფინგის მსხვერპლი სუბიექტები - ვიქტიმურება

ადამიანთა ტრეფიკინგზე სრული სურათის ჩამოსაყალიბებლად ასევე აუცილებელია გაანალიზდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი სუბიექტები და მათი ვიქტიმურება.[24, 46-47]

სუბიექტის მიხედვით ადამიანთა ტრეფიკინგი შეიძლება დაიყოს მამაკაცების, ქალთა და ბავშვთა ექსპლუატაციად.

ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგის მხრივ ვიქტიმურებით გამოირჩევიან მდედრობითი სქესის რეპროდუქციული ასაკის წარმომადგენლები.[21, 121-144] 1999 წლის მონაცემებით ტრეფიკინგის მსხვერპლთა აბსოლუტურ უმრავლესობას მდედრობითი სქესის პირები წარმოადგენდნენ, მსხვერპლთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 2%-ს შეადგენდნენ მამრობითი სქესის წარმომადგენლები.[39] რაც შეეხება უკანასკნელ კვლევებს, 2009 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით ეს სურათი შეცვლილია: ამჯერად სრულწლოვან ქალთა პროცენტული რაოდენობა შეადგენს 66%, სრულწლოვან მამაკაცთა რაოდენობამ შეადგინა 12%, არასრულწლოვანი გოგონების რაოდენობა 13 პროცენტია, ხოლო ბიჭების 9 პროცენტი.[25, 11] აღნიშნული მონაცემების სხვაობა განპირობებულია ტრეფიკინგის ახალი ფორმების იდენტიფიცირებით და ტრეფიკინგის გამოვლენის ფორმების დახვეწით.

მდედრობითი სქესის მსხვერპლთა რაოდენობა სჭარბობს, რადგან ქალები თავისი სოციალური სტატუსისა და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით უფრო მეტად ხდებიან კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლი. ამ ფენომენის ახსნის რამდენიმე მიზეზი არსებობს, ქალებს ახასიათებთ უფრო მკვეთრად გამოხატული ვიქტიმური ქცევა. ჩვეულებრივ, მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყნებში უმუშევრობა ქალებს შორის მეტია მამაკაცთა შორის უმუშევრობაზე. კარგად ანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის ერთადერთ შესაძლებლობად, მრავალ უმუშევარ ქალს, საზღვარგარეთ უფრო მდიდარ ქვეყნებში გასვლა ესახება და ამის განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევაში ის ნაკლებად ფიქრობს მოსალოდნელ საფრთხეებზე. გარდა ამისა, ფიზიკურად ქალები მამაკაცებზე სუსტები არიან, ამიტომ მოვაჭრეებს უიოლდებათ მათი გაკონტროლება და შესაბამისად ისინი უფრო მიმზიდველ სამიზნეს წარმოადგენენ. ამასთანავე, ქალების ექსპლუატაციის შესაძლებლობა განსაკუთრებით სექსუალურ ბიზნესში გაცილებით ფართოა, ვიდრე მამაკაცებში.

აღსანიშნავია ბოლო დროინდელი კვლევები, რომლის მიხედვითაც მდედრობითი სქესი წარმოჩინდა არა მხოლოდ როგორც ყველაზე გაგრძელებული ტრეფიკინგის მსხვერპლი, არამედ ისინი წარმოსდგებიან როგორც ექსპლუატატორთა მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად ლატვიაში ტრეფიკინგის მუხლით გასამართლებულ პირთა 53% ქალბატონები შეადგენენ, საფრანგეთში 32%, კვიპროსზე 30%, მაშინ, როდესაც დანაშაულთა საერთო მაჩვენებელში მათი რაოდენობა 10 პროცენტს არ აღემატება და ეს სურათი საერთოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევით მოცულ 46 სახელმწიფოთათვის.[25, 10]

რაც შეეხება მამაკაცთა ექსპლუატაციას, აქ ძირითადად გამოიყენება ფიზიკური შრომის იძულება. მაგალითად, მათ იყენებენ სახლების მშენებლობისთვის, მიწის სამუშაოებზე და სხვა მძიმე სამუშაოთა საწარმოებლად. გარდა ამისა, მამაკაცე-

ბის გამოყენების კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი ჩაბმა. მაგალითად, უკრაინაში ადგილი ჰქონდა მამაკაცების შეკრებას კავკასიის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. ამის ნაცვლად კი ისინი ყარაბაღის კონფლიქტის მონაწილეებად იქცნენ. [19, 158]

ხოლო “არასრულწლოვანი ბავშვების“ ექსპლუატაცია ხდება ისეთ სფეროებში, სადაც არ სჭირდებათ მძიმე ფიზიკური შრომა. მათ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ხელზე მოსამსახურებად და ა.შ., არაიშვიათად მათ აბამენ ბავშვთა პორნოგრაფიაში და პროსტიტუციაში.“[52] არასრულწლოვანების ექსპლუატაცია ფართოდ გავრცელებულია ინდოეთში და აზიის სხვა ნაკლებგანვითარებულ სახელმწიფოებში, იქ სადაც შობადობა მაღალია.

ადამიანით ვაჭრობა ტრეფიკინგისთვის ვიქტიმურ ქცევას წარმოადგენს პიროვნების წინდაუხედაობა, მისი მინდობლობა, რაც ძირითადად ცრუ დასაქმების ორგანიზაციებთან ურთიერთობაში ნეგატიურად იჩენს თავს. ასევე მომატებული ვიქტიმურობით გამოირჩევიან სექს-ინდუსტრიაში დასაქმებული პირები.

ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის დანაშაულისათვის დამახასიათებელია ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორც მსხვერპლთა „რევიქტიმიზაცია“ და „მეორადი ვიქტიმიზაცია“ - იგივე დანაშაულის შემდგომი ვიქტიმიზაცია.

რევიქტიმიზაცია ეს არის მოვლენა, როდესაც დანაშაულის თუ სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლი პიროვნება სტატისტიკურად დიდი ალბათობით მიდრეკილია განმეორებით გახდეს დანაშაულის თუ სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლი.[55, 479-502] რევიქტიმიზაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირველადი ვიქტიმიზაციიდან მოკლე პერიოდის შემდგომ, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ აღმოიფხვრა ის გარემო პირობები, რის გამოისობითაც პიროვნება გახდა მსხვერპლი. ასეთ პირობებად ხშირად გვევლინება საცხოვრებელი ან სამუშაო გარემო, მოუწესრიგებელი ოჯახური მდგომარეობა, ნარკომანია ან ალკოჰოლიზმი,

აგრესიული ტემპერამენტი, უმუშევრობა და ა.შ. რევიქტიმიზაციას ასევე შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირველადი ვიქტიმიზაციიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ, რაც ძირითადად დამახასიათებელია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, რომელთა უმრავლესობა, განსაკუთრებით განცდილი ფსიქოლოგიური ტრავმის გამო, რჩება მიდრეკილი მსგავსი ტიპის ვიქტიმურობისაკენ.[56]

ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლთათვის რევიქტიმიზაცია ძალზედ აქტუალური მოვლენაა, რადგან ის პირები, რომლებმაც მოახერხეს და თავი დააღწიეს მონობას, საკუთარ ოჯახში დაბრუნების შემდეგ ხშირ შემთხვევაში ბრუნდებიან ისევ იმ გარემო პირობებში (უმუშევრობა, სიღატაკე), რომელმაც იგი აიძულა ექცია დასაქმება არაკეთილსაიმედო ორგანიზაციებში, ხშირ შემთხვევებში კი ყოფილი მსხვერპლის რეკრუტირებაში თავდაპირველად ჩართულმა პირებმა იციან ამ პირების ოჯახის შესახებ და ისინი აიძულებენ მათ დაუბრუნდნენ ექსპლუატატორებს ზეწოლის და იძულების სხვადასხვა ხერხების გამოყენებით.

„მეორადი ვიქტიმიზაცია“ - დანაშაულის შემდგომი ვიქტიმიზაცია – არის მდგომარეობა, როდესაც პიროვნებას ცხოვრებაში ექმნება პრობლემები მისი პირველადი ვიქტიმიზაციიდან გამომდინარე.[88] ამ შემთხვევაში მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ გაუპატიურების შემთხვევა მკაცრ ორთოდოქსულ საზოგადოებაში - განსაკუთრებით მძიმე ფორმებში ეს მოვლენა გვხვდება თუ გაუპატიურების ფაქტით მოხდა ქალიშვილობის დაკარგვა, როდესაც მსხვერპლს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აღმოჩნდა მსგავსი დანაშაულის მსხვერპლი, თავის ცხოვრების მთელ მანძილზე ედება დადი, ხდება მათი საზოგადოებიდან იზოლაცია, ოჯახიდან განდევნა და უკიდურეს შემთხვევებში ხდება მათი ჩაქოლვაც კი.[89]

რევიქტიმიზაციის და მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოებში მოქმედებენ სპეციალიზირებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის ორგანიზა-



ციები, რომლებიც მსხვერპლთ უზრუნველყოფენ ფინანსურად, საცხოვრებლით და ახალი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, რათა არ მოხდეს მათი ტრეფიკერების მხრიდან იდენტიფიკაცია. მსგავსი ტიპის დაწესებულებები საქართველოშიც ფუნქციონირებენ, რაზეც მოგვიანებით გვაქვს საუბარი.

აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაც ტრეფიკინგის მსხვერპლთა რევიქტიმიზაციისგან და დანაშაულის შემდგომი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მხრივ, ასე მაგალითად, საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოება“ რამოდენიმე წლის მანძილზე აძლევდა თავშესაფარს ცენტრალური აზიის ერთ-ერთ სახელმწიფოს მოქალაქე გოგონას, რომელსაც სხვა ყველა საჭირო დახმარებასთან ერთად შეუქმნეს ეგრეთ წოდებული ბიოგრაფია, ვითომდა იგი ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში, რის დამადასტურებლად ფოტოშოპის მეშვეობით გაუკეთეს ფოტომასალა ცნობილ ღირშესანიშნაობებთან, ეს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ აზიური მენტალიტეტის გათვალისწინებით სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არ მომხდარიყო მისი ოჯახიდან გააძევა ან სხვა უფრო მკაცრი ზომების გატარება და მომხდარიყო მისი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია.[87]

### **§3. ადამიანთა ტრაფიკინგში ჩაბმული ორგანიზაციები და დანაშაულის აბაზორიები**

ადამიანთა ტრეფიკინგის განხორციელება უმეტეს შემთხვევებში პოულობს ჯგუფური დანაშაულობის, კერძოდ მისი ერთ-ერთი ფორმის ორგანიზებული დანაშაულობის სახეს, რისი განმასხვავებელი ნიშანია დამნაშავე პირებისათვის მოგების გეგმიური მიღება.

ადამიანთა ტრეფიკინგის სიმწვავეს, სირთულეს და ჯგუფურობას ადასტურებს მასში ჩაბმულ ორგანიზაციათა სახეები და ფორმები.

ისევე როგორც არსებობს სხვადასხვა სახის ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, კონკრეტული სპეციფიკიდან გამომდინარე სტრუქტურა, ასევე არსებობენ მრავალი სახის ტრეფიკინგით დაკავებული ორგანიზაციები. რიგ შემთხვევაში ტრეფიკინგით დაკავებული დაჯგუფებები მაღალი იერარქიულობით გამოირჩევიან, ჩართული არიან საერთაშორისო დანაშაულებრივ ქსელში, ეწევიან ნარკოტიკების, იარაღის, ადამიანების ვაჭრობას, ასევე განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევაში ერთეებიან ნებისმიერ სხვა მაღალანაზღაურებადი პროდუქციით საერთაშორისო უკანონო ვაჭრობის პროცესში. ასეთ ორგანიზაციებს გააჩნიათ მაღალი ეთნიკური იდენტურობა, ხშირ შემთხვევებში წარმოადგენენ ეთნიკურ მაფიურ დაჯგუფებებს, როგორცაა იტალიური, ალბანური, რუსული მაფია. სხვა შემთხვევებში გხვდება ტრეფიკინგით დაკავებული დაჯგუფებების სრულიად სხვა სურათი, როცა დანაშაული ხორციელდება მრავალი მცირე დაჯგუფების მიერ, რომელთაც დიდწილად არ გააჩნიათ მჭიდრო ურთიერთკავშირები, არ წარმოადგენენ მონოეთნიკურ დაჯგუფებებს და რომელთა კავშირის საფუძველი შემოსავლის მიღების მიზანია. ორგანიზაციების ასეთი განსხვავებულობა ქმნის პრობლემებს სამართალდამცავებისთვის, რადგან ის მიდგომა, რომელიც შეიძლება გამართლებული იყოს ერთი ტიპის დაჯგუფების მიმართ, სრულიად უსარგებლოდ გვევლინება სხვა შემთხვევებში.[29, 2]

ტრეფიკინგში ჩაბმულ სტრუქტურათა ქსელი, ექსპერტთა აზრით, სამი სახის ორგანიზაციებისგან შედგება:

ფართო მასშტაბიანი დაჯგუფებები - რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური კონტაქტები აქვთ, როგორც

მსხვერპლთა წარმოშობის ასევე ტრანზიტის და დანიშნულების სახელმწიფოებში;

საშუალო მასშტაბის დაჯგუფებები, რომელთა დანაშაულებრივი საქმიანობაც მხოლოდ ერთი ქვეყნით შემოიფარგლება;

მცირე დაჯგუფებები, რომელთა საქმიანობა ტრეფიკინგის კუთხით სისტემატურ და ინტენსიურ ხასიათს არ ატარებს.

ფართომასშტაბიანი დაჯგუფებებისათვის დამახასიათებელია იერარქიული საერთაშორისო სტრუქტურა, ყველა დონეზე პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირებით, როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების სახელმწიფოებში. მათ საქმიანობას ზოგადად ადგილი აქვს კანონიერ საფარს მიღმა, ტრანზიტისა და დანიშნულების სახელმწიფოთა განსხვავებულ სამართლისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის სრულყოფილ ცოდნას ეყარება, რის საშუალებითაც ისინი პოულობენ ადგილს ფუნქციონირებისათვის. ასეთი დაჯგუფებების ელემენტებს შეადგენენ ლეგალური ორგანიზაციებიც, ანუ ფირმები, რომლებიც მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში სრულიად ლეგალურად არიან დარეგისტრირებულები და შესაბამისად მსხვერპლთ არ უჩნდებათ ეჭვი მათ რეალურ მიზნებთან დაკავშირებით. ასევე ასეთ ორგანიზაციათა ქსელში შეიძლება იყოს ლეგალურად მომუშავე ტუროპერატორები, სამოგზაურო სააგენტოები და მსგავსი მომსახურების გამწვევი ორგანიზაციები რომლებიც სხვა შემთხვევებში ლეგალურადაც ახორციელებენ ადამიანთა საზღვარზე გადაყვანას და საკმაოდ მაღალი რეპუტაცია გააჩნიათ.

საშუალო ზომის დაჯგუფებები ძირითადად იმით განსხვავდებიან ფართომასშტაბიანი დაჯგუფებებისგან, რომ სხვა ჯგუფებზე არ ყიდიან მსხვერპლთ, ზოგიერთ შემთხვევაში არ აწარმოებენ ადამიანთა კონტრაბანდას და მხოლოდ დანიშნულების სახელმწიფოში იგდებენ მათ ხელთ, ისინი თავიანთი კონტროლის ქვეშ აყავთ, ათავსებენ და ამუშავენ თავიანთ დაწესებულებებში.

მცირე დაჯგუფებების საქმიანობა, როგორც ცნობილია, ეფუძნება არალეგალური მუშახელის მოთხოვნას ბაზარზე და

შესაბამისი მოთხოვნის განენასთან ერთად, სავარაუდო მსხვერპლის იოლი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ერთვება ამ საქმიანობაში. ასეთი დაჯგუფებების მოღვაწეობა ადამიანთა ტრეფიკინგის კუთხით არასისტემატიურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სარფიანი შემოთავაზების გაჩენის შემთხვევაში ჩადის მას.

ეს გრადაცია სრულად შეესაბამება ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის ძირითად ფაზებს, სადაც უმარტივეს დონეს – შემთხვევითი ფორმა, საშუალო დონეს – დუალისტური ფორმა და უმაღლეს დონეს – განვითარებული ფორმა წარმოადგენს. [3, 39] შესაბამისად შეიძლება პარალელები გაეკვლოს უმარტივეს – მცირე მასშტაბიანთან, საშუალო დონე – საშუალო მასშტაბიანთან და უმაღლეს დონეს – ფართომასშტაბიან დაჯგუფებასთან.

ძირითადად, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხასიათის მიუხედავად, ადამიანთა ტრეფიკინგში ჩართული არიან დამნაშავეთა შემდეგი კატეგორიები:

1. შემკრები - პირი, რომელიც ახდენს მსხვერპლთა რეკრუტირებას;
  2. გამცილებელი - პირი, რომელიც ახორციელებს გადაყვანას, მათ შორის და არამხოლოდ სახელმწიფოთა საზღვრებზე;
  3. ექსპლუატატორი - პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს მსხვერპლთა რესურსების უკანონოდ გამოყენებას;
  4. შუამავალი - პირი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს შემკრებებს, გადამყვანებსა და ექსპლუატატორებს შორის;
  5. დამხმარე - პირი, რომელიც ტრეფიკინგის სხვადასხვა ეტაპზე ახორციელებს მომსახურების აუცილებელ სახეებს: დაცვას, ფალსიფიცირებული დოკუმენტების დამზადებას და ა.შ.;
  6. მფარველი - პირი, რომელიც ახდენს დაცვას სახელმწიფო და სამართალდამცავი სტრუქტურებისაგან.[19, 139]
- ეს პირები შეიძლება მოგვევლინოს როგორც კონკრეტული ადამიანის, დაჯგუფების, ასევე მთელი ორგანიზაციული სტრუ-

ქტურის სახით და არ არის სავალდებულო, რომ კონკრეტულ დანაშაულში მონაწილეობა მიიღოს ყველა ზემოთხამოთვლილმა კატეგორიამ.

არსებობს ასევე მცირერიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც დანიშნულების სახელმწიფოში ხვდებიან ზემოთმოყვანილი ორგანიზაციების და დამნაშავეთა კატეგორიების მხრიდან დახმარების გარეშე. ეს ადამიანები საზღვრის გადასაკვეთად იყენებენ როგორც კანონიერი, ისე უკანონო მეთოდების ფართო სპექტრს, ხშირად სხვათა დახმარებასაც.

მიუხედავად იმ საშუალებისა, რომლითაც მსხვერპლი მოხვდა დანიშნულების ქვეყანაში, ტრეფიკინგის შუამავალი რგოლის გავლით თუ არა, ისინი მიმდებ სახელმწიფოს სამართალდამცავების მხრიდან დაკავების და დეპორტაციის შიშით თითქმის ყოველთვის შედიან ტრეფიკინგის იმავე წრეში, სადაც იძულებული არიან გამოიყენონ დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული დაბალ-ანაზღაურებადი და არალეგალური სამსახური, რაც ხშირად ნებაყოფლობით საფუძველზე ხდება.

აქვე გვინდა საქართველოს რეალობაზე გავამახვილოთ ყურადღება. საქართველოში ადამიანთა ვაჭრობას ძირითადად სპონტანური ხასიათი გააჩნია, შესაბამისად, მცირე მასშტაბიან დაჯგუფებებს და კერძო პირთა ინდივიდუალურ-დანაშაულებრივ ინიციატივას აქვს ადგილი, რასაც ადასტურებს სასამართლო სტატისტიკა, რის მიხედვითაც ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგით დაკავებულ ყველაზე დიდ ჯგუფებში, რომელთა გასამართლებაც მოხდა 2010 წლამდე, მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 5 პირს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა მოიცავდა მხოლოდ ერთი პირის ბრალეულ ქმედებას.

საქართველოში ტრეფიკინგის დანაშაულისთვის გასამართლებული ფიზიკური პირები თუ დაჯგუფებები უპირატესად ეწეოდნენ მსხვერპლთა საზღვარგარეთ გადაყვანას, რადგან საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლება, დღესდღეისობით თითქმის შეუძლებელია მსხვერპლთა

ფარული ექსპლუატაცია. ასეთი ვითარება ალბათ ქართული სამართალდამცავი ორგანოების სიძლიერეს და ხელისუფლების შესაბამის ნებას უნდა მივაწეროთ.

უკანასკნელ წლებში საქართველოში გამოვლენილ ტრეფიკინგში ჩართულ პირთა ფუნქცია უმეტესწილად მსხვერპლთა რეკრუტირებით შემოიფარგლებოდა, რისთვისაც ძირითადად მსხვერპლის მოტყუება გამოიყენებოდა.

ტრეფიკინგის დანაშაულში მონაწილე დამნაშავე პირები თავის თავში აერთიანებდნენ შემკრების, გამცილებლის და ნაწილობრივ დამხმარის ფუნქციასაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ გამოვლენილა ორგანიზაცია, რომელიც სისტემატურად და დიდი რაოდენობით მსხვერპლთა ერთდროულ გადაყვანას ახდენდა საზღვარზე.

ქართული წარმოშობის მსხვერპლნი უმეტეს შემთხვევაში თავად აფინანსებენ საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯებს, ფიქრობენ რა, რომ იქ ჩვეულებრივი ლეგალური დასაქმება ელით. ხოლო საქართველოში მსჯავრდებულთა უმრავლესობა, მხოლოდ ერთი პიროვნების მიმართ ტრეფიკინგის განხორციელებისთვის არის დაპატიმრებული, ანუ მათთვის ეს საქმიანობა სისტემატიურ ხასიათს არ ატარებდა..

საქართველოს შესახებ ზემოთმოყვანილ დებულებებს ამტკიცებს და საქართველოზე, როგორც მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოზე საუბარია 2010 წლის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის ტრეფიკინგის ყოველწლიურ ანგარიშში, სადაც საქართველოს შესახებ მოხსენების ნაწილი იწყება შემდეგი ტექსტით:

„საქართველო წარმოადგენს მდებარეობითი სქესის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოს, განსაკუთრებით იძულებით პროსტიტუციის მიზნით და იძულებით შრომის მსხვერპლ სრულწლოვან პირების წარმოშობის სახელმწიფოს. 2009 წელს ქართველი გოგონები და ქალები წარმოსდგნენ, როგორც იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლნი უშუალოდ საქართველოს ტერი-

ტორიაზე, ასევე თურქეთს, არაბეთის გაერთიანებული საემიროების და საბერძნეთის ტერიტორიაზე. ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე ქართველ მანდილოსანთა იძულებითი პროსტიტუციის შემთხვევები დოკუმენტალურად დაფიქსირდა ასევე რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის საზღვრებში. ქართველ მამაკაცთა და ქალთა შრომის იძულება ხდება როგორც თავად საქართველოს, ასევე ლიბიისა და თურქეთის ტერიტორიაზე. ხოლო თურქი მამაკაცების შრომის ექსპლუატაციას ადგილი აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს ხელისუფლების კონტროლიდან გასული ტერიტორიაა...“ [84, 154]

საქართველოს ხელისუფლების წარმატება ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან ბრძოლაში აშკარაა და ყველა შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო შეფასების და ანალიზის მონაცემებით დასტურდება. ქვეყანაში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი და, რაც მთავარია, წარმატებული ბრძოლა დანაშაულობის წინააღმდეგ, მაგრამ რატომღაც პროსტიტუცია წარმოადგენს გამონაკლისს, რაზეც სახელმწიფო ჯერ-ჯერობით თვალს ხუჭავს, უშვებს რა ბორდელების და სხვა სექსმომსახურეობის დაწესებულებების „ფარულ“ არსებობას. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს რეალობაში, ასეთ დაწესებულებებში მომსახურე პერსონალი ნებაყოფლობით საფუძველზე გროვდებიან და ძირითადად არ აქვს ადგილი მათ მიმართ პროსტიტუციის იძულებას, რისი მტკიცების საშუალებას ასეთი იძულების ფაქტების გამჟღავნების არ არსებობა გვაძლევს. შესაბამისად, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ სექს ინდუსტრიის დაწესებულებების ასე თავისუფლად არსებობა ქმნის რაიმე სახის ნეგატიურ ფონს ადამიანთა ტრეფიკინგის გავრცელების კუთხით.

ამგვარად, მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოში ტრეფიკინგის პრევენცია ყველაზე ეფექტურად შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების საშუალებით,

განსაკუთრებით ვიქტიმურობით გამორჩეულ ფენებში, როგორცაა უმუშევრები და ქვეყნის დატოვების მსურველნი.

ვთვლით, რომ აუცილებელია მოხდეს მიზნობრივი პერმანენტული ანტიტრეფიკინგული საინფორმაციო ღონისძიებების გატარება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მცირე დანახარჯებით ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად თბილისის მერიის პროგრამა „ინგლისურის და კომპიუტერის უფასო კურსები“, სადაც უმუშევარი მოსახლეობის დიდი მასების თავმოყრა ხდება და რომლებიც ტრეფიკინგის მხრივ მომეტებული ვიქტიმურობით გამოირჩევიან. მათ შეიძლება დაურიგდეთ ბუკლეტები ან ვერბალური ინფორმაცია მიეწოდოს ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ. ასევე სასურველი იქნება ისეთ მიზნობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც აწარმოებენ სპეციფიკური განცხადებების გავრცელებას, მაგალითად: „სიტყვა და საქმე“, შესაბამის გვერდზე მოხდეს ტრეფიკინგის შესახებ მცირე ვიზუალური მასალის გამოქვეყნება.

#### §4. ბრეფინგის მსხვერპლთა დასამორჩილებლად გამოყენებული იძულების საშუალებები

ადამიანთა ვაჭრობის - ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასამორჩილებლად გამოიყენება იძულების შემდეგი საშუალებები:

1. ფიზიკური იძულება;
2. ფსიქოლოგიური იძულება;
3. ეკონომიკური იძულება;
4. იურიდიული დამოკიდებულება.

1) ფიზიკური იძულება – კრიმინალური ექსპლუატაციის მოცემულ შემთხვევაში მსხვერპლს ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებენ გაწიოს სამსახური და შესაძლებელია იგი ფიზიკურად დაშავდეს კიდევ.[36, 52] მსხვერპლი იძულებულია დაემორჩილოს ექსპლუატატორის მითითებებს და შეასრულოს

კონკრეტული საქმიანობა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ფიზიკური ძალადობის, სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანების, ცემის, წამების შიშით. ამ დროს მსხვერპლისათვის არსებობს ეგრეთწოდებული წერილობითი „ქცევის წესები“, რომლის ყოველი დარღვევისთვის მსხვერპლს მკაცრად, ფიზიკურად უსწორდებიან. მაგალითად, ძალადობის გამოყენებას ადგილი აქვს მსხვერპლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, დაკისრებული სამუშაოს არასათანადოდ შესრულებისთვის, გაქცევის მცდელობისას და ა.შ. მოცემული პიროვნების მიმართ გამოიყენება მკაცრი სასჯელი სასტიკი ცემის, წამების, საკვების შეწყვეტის და წინააღმდეგობის ჩახშობის სხვა სასტიკი მეთოდების გამოყენების სახით.

ფიზიკური იძულების გამოყენების დროს, გარდა უშუალოდ ძალადობისგან სხეულზე მიყენებული ფიზიკური ტრავმებისა, საუბარია იმ შემთხვევებზეც, როდესაც ექსპლუატატორი მიზანდასახულად აღუკვეთს მსხვერპლს სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას, კერძოდ: საკვების, სასმელის, სამედიცინო დახმარების არ მიცემაზე, ან გადაადგილების და ურთიერთობის თავისუფლების შეზღუდვაზე. მსგავსი შეზღუდვებით მსხვერპლს აიძულებენ გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ.

ფიზიკური იძულებისას ძალადობასთან ერთად ტრეფიკორები ზოგჯერ მიმართავენ ძლიერმოქმედ ფსიქოტროპულ პრეპარატებსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რომელთაც ისინი იყენებენ მსხვერპლის ნების დასათრგუნად და ექსპლუატაციის გასაადვილებლად (ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენება სექსუალური ექსპლუატაციის დროს).

ტრეფიკერებმა ნარკოტიკული პრეპარატები შეიძლება გამოიყენონ, როგორც მსხვერპლისთვის ძალდატანებით, ასევე ძალდაუტანებლად, პრეპარატის საკვებში შერევით, ან მისი მიცემით ვითომდა წამლის სახით. რაც შემდგომში მსხვერპლის ამ პრეპარატებზე დამოკიდებულს ხდის და უზრუნველყოფს

მსხვერპლთა მზადყოფნას შეასრულოს ექსპლუატატორის ნებისმიერი მოთხოვნა პრეპარატის მორიგი დოზის მიღების მიზნით.

ფსიქოტროპული ნივთიერების გამოყენების მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ რუსეთის ტელევიზიით გადმოცემული რეპორტაჟი, რომელიც ეხებოდა ადამიანთა ჯგუფის ისტორიას, რომლებიც აღმოჩენის დროს ვერ იხსენებდნენ ვერაფერს თავიანთი წარსულის შესახებ. გამოძიებამ კი ივარაუდა, რომ ისინი იყვნენ კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი, რომლებზეც ზემოქმედებდნენ რაღაც უცნობი ძლიერმოქმედი ქიმიური პრეპარატის საშუალებით, რითაც ხდებოდა მათი ნების, წინააღმდეგობის უნარის დაქვეითება და ასევე მეხსიერების წაშლა.[36, 52]

2) ფსიქოლოგიური იძულება – გულისხმობს მუქარას თავად მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრთა მიმართ. იგი არის მსხვერპლზე ზემოქმედების და კონტროლის მეტად დახვეწილი და მნიშვნელოვანი ფორმა, რადგან ფსიქოლოგიური იძულების გამოყენებისას არ რჩება განხორციელებული ძალადობის მატერიალური მტკიცებულებები, როგორც ეს მსხვერპლის სხეულზე მიყენებული ტრავმული ანაბეჭდების სახით გვხვდება ფიზიკური იძულების დროს.

ფსიქოლოგიური იძულების ერთადერთ მტკიცებულებად მსხვერპლის სიტყვიერი ჩვენება გვევლინება. მიუხედავად განცდილი ფიზიკური ტკივილის არ არსებობისა ფსიქოლოგიური იძულება მსხვერპლს აყენებს არანაკლებ ტკივილს, რომელიც რიგ შემთხვევებში უფრო მძიმედ აისახება პიროვნებაზე და მის შემდგომ ცხოვრებაზე.

ძალადობის ეს სახეობა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მსხვერპლის, ასევე მისი ახლობლების მიმართ. ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქიკური იძულების ორი სახე: შანტაჟი და ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარა.

შანტაჟი – მას ძირითადად საფუძვლად უდევს მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ სახელის გამტეხი ინფორ-



მაციის გავრცელების საფრთხე. ადამიანი ხდება დამორჩილებული, ვინაიდან მას არ შეუძლია დაუშვას ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ნეგატიური სახის შედეგები, ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პირის ან პირებისთვის. ამის გამო მსხვერპლი თანახმაა ექსპლუატაციაზე და მორჩილებაზე. ამის მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ხდება საზღვარგარეთ სპეციალობის მიხედვით სამუშაოდ წასული ქალის ექსპლუატირება სექსინდუსტრიაში, იგი ხშირად იძულებულია განაგრძოს ამგვარი საქმიანობა იმის მუქარის შიშით, რომ ამის შესახებ ცნობილი გახდება მისი ახლობლებისა და ოჯახისათვის.[19, 160]

ლიტერატურაში დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა სექს-ბიზნესში ექსპლუატირებულ ქალებს იღებდნენ ვიდუოკამერით და აშანტაუებდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ამ მასალის გავრცელებით, რითაც ცდილობდნენ აღეკვეთათ ექსპლუატაციაზე უარის თქმის, გაქცევის ან დასახმარებლად პოლიციისათვის მიმართვის შემთხვევები. თბილისში მოხდა ტრაგიკული შემთხვევა: ტრეფიკინგის ერთ-ერთმა მსხვერპლმა, რომელიც ცდილობდა პასუხისგებაში მიეცა ადამიანები, რომელთაც იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პროსტიტუციისთვის გაყიდეს, დახმარებისა და თავშესაფრისათვის მიმართა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს. დაზარალებულს სდევნიდნენ ადამიანებით მოვაჭრეები, რომლებიც იმუქრობდნენ მის მკომპრომეტირებელი ვიდუომასალის ოჯახის წევრებისათვის გადაცემით. შემდგომში მსხვერპლმა ვეღარ გაუძლო ფიზიკურ ზეწოლას და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.[71]

გარდა ზემოთ თქმულისა, ფსიქოლოგიური ძალადობა შანტაჟის სახით ხორციელდება უკანონო მიგრანტების მიმართ. დანიშნულების ქვეყანაში უკანონოდ მყოფ მსხვერპლს მუდმივად დაპატიმრების და დეპორტაციის საფრთხე ემუქრება, რასაც იყენებენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები და აიძულებენ ასეთ

პირებს შეასრულონ სხვადასხვა სახის სამუშაოები, რადგან პოლიციისთვის გადაცემის შიშით მათი ქცევა ადვილად კონტროლირებადი ხდება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფსიქიკური იძულების ეს მეთოდი - შანტაჟი ცალკე იშვიათად გამოიყენება, რადგანაც არსებობს უფრო რადიკალური და ეფექტური საშუალებები, რაზეც ქვემოთაა საუბარი.

ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარა - ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება ხდება მოკვლის ან სხეულისთვის რაიმე სახის დაზიანების მიყენების მუქარით. ასეთი მუქარა შეიძლება მიმართული იყოს როგორც პირადად ტრეფიკინგის მსხვერპლის, ასევე მისი მშობლების, შვილების და ახლობლების მიმართ, მაგრამ ქმედებას თან არ ახლავს მუქარის ობიექტის ფიზიკური ხელშეუხებლობის რეალური ხელყოფა, თუმცა ამის საფრთხე დგება, რადგან მუქარას ხშირად თან ახლავს უხეში ძალის თვალსაჩინო დემონსტრაცია, რის გამოც ფიზიკურად გასწორების საფრთხე დაზარალებულის მიერ რეალურად აღიქმება.

ტრეფიკერები დაუმორჩილებლობის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში ხშირად მიმართავენ ძალადობის გამოყენების მუქარას მსხვერპლის დაშინებისა და ნების დათრგუნვის მიზნით. ასეთ მუქარას ძირითადად პრევენციული ხასიათი გააჩნია, რათა მსხვერპლს არ გაუჩინოს სურვილი თავის დაღწევაზე ფიქრის.

ფსიქოლოგიური იძულება მეტად ეფექტური აღმოჩნდა რამოდენიმე გარემოებიდან გამომდინარე:

I) ტრეფიკორები ძირითადად იგივე საზოგადოების, კულტურისა და ტრადიციების წარმომადგენლები არიან როგორც მათი მსხვერპლი, შესაბამისად მათ კარგათ იციან თუ რა სახის ინფორმაციის გავრცელება, ან ზეწოლის მოხდენა იქნება ყველაზე ეფექტური კონკრეტული პიროვნების ნების დასათრგუნავად.

II) უკანონო მიგრანტებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან იმ სახელმწიფოს სალაპარაკო ენა, კულტურა და კანონმდებლო-

ბა, სადაც ისინი არალეგალურად იმყოფებიან, შესაბამისად ტრეფიკორები მსხვერპლთა თვალში იოლად აყალიბებენ წარმოდგენას, თითქოს მსხვერპლთა სამართალდამცავების მიერ აღმოჩენის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან ციხეში, მოხდება მათი დაჯარიმება საზღვრის უკანონო გადალახვისათვის, ქვეყანაში უკანონო ცხოვრებისათვის და უკეთეს შემთხვევაში მოხდება მათი დეპორტაცია, რასაც მოყვება მათ რეალურ საქმიანობაზე ინფორმაციის გავრცელება მასმედიის საშუალებებით. ეს მეთოდი ძალიან წარმატებულია და ხშირ შემთხვევაში მსხვერპლი განიცდის სინდისის ქეჯნას, რადგან ჰგონია, რომ ტრეფიკორი მას სიკეთეს უკეთებს.[90]

III) როგორც ზემოთ აღინიშნა, ფსიქოლოგიური იძულების გამოყენების დროს ნაკლებად რჩება ბრალის დამადასტურებელი ფიზიკური მტკიცებულებები, რაც ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ტრეფიკორთათვის მართლმსაჯულების განხორციელებისგან თავის დაღწევისთვის მეტად მოსახერხებელია.

3) ეკონომიკური იძულება – ზოგიერთ შემთხვევაში ექსპლუატატორსა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის საფუძვლად ფინანსური ვალდებულება გვეკლინება. ამ დროს პიროვნება ვერ ახერხებს რა, რომ თავისი სახსრებით შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება მომავალი ექსპლუატატორის მიმართ, იძულებულია დაემორჩილოს მის მოთხოვნებს და ვალის დაფარვის სანაცვლოდ შეუსრულოს სხვა და სხვა სახის მძიმე სამუშაოები.

ეკონომიკური იძულების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას სავალო კაბალა წარმოადგენს. იგი მონობის მსგავსი მდგომარეობის ნაირსახეობაა და გულისხმობს პირის სტატუსს ან მდგომარეობას, რომელიც აღმოცენდება მოვალის მიერ ვალის უზრუნველყოფის საშუალებად საკუთარი ან მის დამოკიდებულებაში მყოფი პირის მომსახურების გამოყენებით, თუკი ამ მომსახურების ღირებულება, გონივრული შეფასებით, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ვალის აღმოსაფხვრელად

ან ასეთი მომსახურების ხანგრძლივობა ან ბუნება არ არის სათანადოდ განსაზღვრული და შეზღუდული.

სავალო კაბალაში ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი ძირითადად ხვდებიან უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს, როცა გაუსაძლისი მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული არიან აიღონ სესხი, რათა დაიკმაყოფილონ სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტარული მოთხოვნილებები, რასაც ძირითადად სავალო კაბალაში მოქცევით დაინტერესებული პირები უზრუნველყოფენ. ასევე მრავლად არის ფაქტები, როდესაც პირს უცხოეთში გასამგზავრებლად უწევს ვალების აღება, რის გასასტუმრებლადაც იძულებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

სავალო კაბალას გააჩნია ობიექტური და ტრაგიკული შედეგების გამოხატვის სხვადასხვა ფორმები. მაგალითად, რეგისტრირებულია ფაქტები, როცა იმედ-დაკარგული ადამიანები კრედიტორებთან ანგარიშსწორებისთვის საკუთარ ორგანოებს ყიდდნენ. კერძოდ, იყო შემთხვევა, როცა საქართველოს მოქალაქემ სანქტ-პეტერბურგის ფირმის მეშვეობით ესპანეთში თავისი თირკმელი გაყიდა, რისთვისაც 30 000 ამერიკული დოლარი მიიღო და ვალები გაისტუმრა. [19, 163]

ეკონომიკური იძულება ხორციელდება არა მხოლოდ ვალის არსებობის მეშვეობით, არამედ იგი შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც მსხვერპლს არ გააჩნია საკუთარი შემოსავლის წყარო და იგი მატერიალურად დამოკიდებულია ექსპლუატატორზე, ცხოვრობს მასთან და არსებობს მისი შემოსავლებით, რის გამოც იძულებულია შეასრულოს ექსპლუატატორის მოთხოვნები, რასაც ეს უკანასკნელი ბოროტად იყენებს.

4) იურიდიული დამოკიდებულება - ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიქმნას საქორწინო კავშირის, სამეურვეო ზემომხედველობის და შეილად აყვანის დროს, როდესაც ბავშვის აყვანის, მეურვეობის, ან დაოჯახების მიზანია პიროვნების ექსპლუატაცია.

ქორწინებაში შესვლით წარმოქმნილი იურიდიული დამოკიდებულების შემთხვევებში ქორწინება რეგისტრირდება ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, ან ასეთი მიზნის გარეშე, როდესაც ექსპლუატაციის სურვილი შემდგომში წარმოიქმნება. როგორც წესი, ასეთი დამოკიდებულება აღმოცენდება, როცა ერთ-ერთი მეუღლეთაგანი სხვა, ნაკლებგანვითარებული ქვეყნის მოქალაქეა. უმეტეს შემთხვევებში ამ დროს ერთ-ერთი მეუღლე ხდება დამოკიდებული მეორეზე იმის გამო, რომ სურს დარჩეს მეუღლის საცხოვრებელ ქვეყანაში.

ქორწინებაში შესვლით წარმოქმნილი იურიდიული დამოკიდებულების ვიქტიმს ძირითადად მდებარებითი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ, რომლებიც მეუღლესთან ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასვლის შემდეგ იზოლაციაში ხვდებიან და იძულებული არიან დაექვემდებარონ ექსპლუატაციას, რადგანაც იურიდიული დამოკიდებულება გადადის ეკონომიკურში. გარდა ამისა, ქმარს შეუძლია დეპორტირებითაც დაემუქროს უცხოელ ცოლს, ვინაიდან, როგორც წესი, მოქალაქეობის მიცემა ნებისმიერ ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ ხდება და მსხვერპლი ცდილობს მოითმინოს ეს სავალდებულო პერიოდი.

ანალოგიური სიტუაცია იქმნება, როდესაც ქორწინება ფიქტიურია. არის საფრთხე რომ, ასეთ ქორწინებაში მყოფ ქალს „ქმარი“ გარკვეული დროის განმავლობაში თვითონ გამოიყენებს, ხოლო შემდეგ სექსინდუსტრიაში ექსპლუატაციისათვის გაყიდის. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, გერმანიის, შვეიცარიის) კანონები უცხოელ ცოლს, მიგრანტი ქალებისაგან განსხვავებით, უფლებას აძლევს მუშაობა იმუშაოს. ქორწინების საფარველის ქვეშ ექსპლუატაციისათვის გადაყვანილი ქალი ამგვარად შეიძლება მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდეს „ქმარზე“, რომელიც რეალურად სექსმომსახურეობის დაწესებულების მფლობელი ან სუტენიორია.[59, 248-252]

რაც შეეხება არასრულწლოვანთა იურიდიული დამოკიდებულების მდგომარეობაში ჩაყენებას, ეს პრაქტიკა ძირითადად ხორციელდება სამეურვეო ზედამხედველობის და შვილად აყვანის პრაქტიკის მეშვეობით. ამ დროს არასრულწლოვანი პირები მეტად დაუცველი არიან საკუთარი ასაკის გამო და ისინი შეიძლება იოლად გახდნენ მეურვის თუ მშვილბელების ექსპლუატაციის მსხვერპლნი. საქართველოში შვილად აყვანა ძალზედ გავრცელებული მოვლენაა, რაც განპირობებულია ბავშვის აყვანით დაინტერესებულ პირთა სიმრავლით, რომლებიც მზად არიან დიდი თანხები გადაიხადონ ჩვილ ბავშვებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2009 წელს გამოვლინდა 30-ზე მეტი არასრულწლოვანი უკანონო ვაჭრობის ფაქტი, რა დროსაც ისინი გაშვილების ობიექტს წარმოადგენდნენ, ხოლო რა განზრახვა ამოძრავებდათ მყიდველებს, მათ ყიდულობდნენ შვილად აყვანის, შემდგომი რეალიზაციის, ექსპლუატაციის, თუ კიდევ სხვა რაიმე მიზნით, არავინ იცის.

#### **§5. ადამიანთა ვაჭრობის ობიექტების მდგომარეობის დინამიკის ძირითადი ტენდენციები საქართველოსთვის.**

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ადამიანთა ტრეფიკინგის მხრივ მდგომარეობა დადებითი დინამიკა წარმოიხინდა, მკვეთრად შემცირდა საქართველოდან ემიგრანტთა ნაკადი და საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2009 წლის საანგარიშო მოხსენების თანახმად, რომელიც საქართველოს პარლამენტში 2010 წლის 26 თებერვალს წარადგინა, პირიქით საქართველოში დაბრუნებული ადამიანების რაოდენობა სჭარბობს წამსვლელებს, [70] რაც თავის მხრივ ამცირებს ჩვენი მოქალაქეების უცხოეთში ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის საერთო რისკს.

ადამიანის ვაჭრობის – ტრეფიკინგის შემცირების მხრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დამნაშავეთა ორგანიზებულ სამყაროს წინააღმდეგ, ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ გატარებულმა პოლიციურმა ღონისძიებებმა. მათ მკვეთრად შეამცირეს დანაშაულებრივი ორგანიზაციების რიცხვი და მათი გავრცელების მასშტაბები, ისინი თითქმის უკვე აღარ არსებობენ ჩვენს ქვეყანაში და შესაბამისად ვერ ახდენენ ჩვენი მოსახლეობის ფართომასშტაბიან ჩაბმას არალეგალურ ბიზნესში.

ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის შემცირების მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პროგრამა: „უცხოეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხული ქართველი სტუდენტების ხარჯების სრულიად ანაზღაურების შესახებ“. რომელიც გულისხმობს საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების სწავლის, ცხოვრების, მგზავრობის ხარჯების სრულად ანაზღაურებას, რაც აქარწევლებს რისკს ამ პროგრამით მოსარგებლე პირების ტრეფიკიორთა მახეში გაბმისა და ახალისებს სწავლის გარტყელების მსურველთა მოტივაციას, რათა გაიდრმონ ცოდნა მსოფლიოში წამყვან სასწავლებლებში, რაც თავის მხრივ მათ შემდგომ დასაქმებას მაღალ ანაზღაურებად დაწესებულებებში უზრუნველყოფს.[91]

რაც ყველაზე ნათელია, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება თავისთავად იწვევს დადებით ტენდენციას ტრეფიკინგთან ბრძოლაში, მაგრამ აქვე ჩნდება ახალი საფრთხე, საქართველოს მსხვერპლთა წარმოშობისა და ტრანზიტის სახელმწიფოდან, დანიშნულების სახელმწიფოდ გადაქცევისა, რაც გარდაუვალია და თავის მხრივ არ მოგვცემს მოდუნების საშუალებას.

როცა ვსაუბრობთ საქართველოს მაგალითზე რაიმე სახის დინამიკის შესახებ, არ შეიძლება გვერდი აუვართ აგრესიული სეპარატიზმის როლს. საქართველოში ნათლად წარმოჩინდა აგრესიული სეპარატიზმის მნიშვნელობა ადამიანთა ტრეფიკ-

ინგის გავრცელების ხელშეწყობის კუთხით, ისევე როგორც მისი განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფოს განვითარების შეფერხების საქმეში, დამანგრეველი როლი ერთა შორის ურთიერთობებისთვის და მისი სხვა მრავალი ნეგატიური მხარე, მათ შორის საქართველოში ბოლო 20 წლის დანაშაულის დინამიკასთან მიმართებით.

აგრესიული სეპარატიზმი არის დემოკრატიულ სუვერენულ სახელმწიფოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხის ეროვნული, რელიგიური თუ ენობრივ უმცირესობათა ლიდერების მიერ დანერგილი იდეოლოგია ან პრაქტიკა, რომელიც ასაბუთებს ამ სახელმწიფოსგან გამოყოფის აუცილებლობას ყველა ძალისმიერი საშუალების, პირველ რიგში კი შეიარაღებული ძალის გამოყენებით.[11, 8-9] სეპარატიზმი ტრანსნაციონალური კორპორაციის ნაწილად გვევლინება. სეპარატისტული ჯგუფი ჩვეულებრივ, იმ ხელისუფლების სტრუქტურებით მოქმედებს, რომელიც მას ხელთ ჩაუვარდა. ჯგუფის პირობების უზრუნველყოფის მთელი სისტემა „ოფიციალური სტრუქტურების“ ფორმის სახით მოქმედებს. ჯგუფის მიზანი ანგარებითია. ხოლო მოქმედება ძირითადად გარედან, სხვა სახელმწიფოდან, არის ნაკარნახევი.[48, 92-95] ეს მისწრაფება გამოყოფისკენ საქართველოს შემთხვევაში ინსპირირებული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში, სადაც მოხდა ქართველების და ოსების, ქართველების და აფხაზების ეთნიკური დაპირისპირების სისხლისღვრაში გადაყვანა. ხოლო დღესდღეისობით ეს რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რადგან მათ დაინახეს საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ამ რეგიონებში იქ მოქმედი ბანდიტური დაჯგუფებების – მმართველი ელიტის ალაგმვის შესაძლებლობა და საქართველოს გაერთიანების გარდაუვალობა, რაც რუსეთის მმართველების მიერ დაუშვებლად მიიჩნევა.

ადამიანთა ტრეფიკინგის მხრივ აგრესიული სეპარატიზმის მნიშვნელობა გამოიხატება სეპარატისტულ რეგიონებში ქართული მოსახლეობის ეთნიკურ დისკრიმინაციაში, მათ უუფლებო – მონურ მდგომარეობაში და მათ სასტიკ ექსპლუატაციაში,



რის მაგალითსაც ხშირად ვეცნობით მასმედიის საშუალებებით და რასაც თითქმის ყოველდღიური ხასიათი გააჩნია.[72]

ასევე სეპარატისტული რეგიონები გამოიყენება როგორც მნიშვნელოვანი პუნქტები ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადაყვანის მარშრუტებზე და ხშირად გვევლინება უცხოელ მოქალაქეთა ექსპლუატაციის დანიშნულების ადგილებადაც. რაზეც საუბარია 2010 წლის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში ტრეფიკინგის შესახებ, სადაც წერია რომ აფხაზეთში ხდება თურქეთის მოქალაქეთა შრომითი ტრეფიკინგი.

უკონტროლო რეგიონების არსებობამ მკვეთრად გაზარდა საქართველოში ტრეფიკინგის ფაქტები (როგორც ადამიანების, ისე იარაღის და ნარკოტიკების). უკონტროლო ზონები ვარდების რევოლუციამდე წარმოადგენდა ძირითად კრიმინოგენული ვითარების გამამწვავებელ ფაქტორს, როგორც მიმდებარე ტერიტორიებისთვის ისე მთელი სახელმწიფოსთვის, სადაც ხდებოდა ნაქურდალი სატრანსპორტო საშუალებების თუ სხვა ნივთების რეალიზაცია.

ადამიანთა ტრეფიკინგის მხრივ ბოლო წლების დინამიკის პროცესების საილუსტრაციოდ და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის დასტურად გვინდა მოვიშველიოთ საქართველოს სასამართლოების სტატისტიკა ტრეფიკინგის საქმეებთან დაკავშირებით, რადგან სტატისტიკა არ არის მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია, არამედ ის დაკავშირებულია აგრეთვე მოვლენების ანალიზთან.

საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სასამართლო სტატისტიკა სათავეს იღებს 2004 წლიდან, როდესაც ძალაში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რითაც მოხდა ადამიანთა ვაჭრობის კრიმინალიზაცია და ამ ბრალდებით, 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ორ პირს. ყოველ მომდევნო წელს განხილულ საქმეთა რაოდენობა და მსჯავრდე-

ბულ პირთა რიცხვი განიცდიდა მკვეთრ მატებას და მიიღო შემდეგი რაოდენობრივი სახე[იხ. დანართი 2]:

2005 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 8 ერთეული. განსასჯელთა რაოდენობამ – 12, სასჯელის ზომა მერყეობდა თავისუფლების აღკვეთით წლინახევრიდან 9 წლამდე, მათ შორის პირობით თავისუფლების აღკვეთით. ამ წელს ბრალდებულთა უმრავლესობა წარმოადგენდა არაქართველი წარმოშობის ადამიანებს.

2006 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოში, 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით, განიხილეს 14 სისხლის სამართლის საქმე 17 პირის მიმართ, სასჯელის დიაპაზონმა შეადგინა წლინახევრიდან 15 წლამდე.

2007 წელს იმავე მუხლებით მსჯავრდებული იქნა 22 პიროვნება, 15 სისხლის სამართლის საქმეზე. აქ უკვე სასჯელის მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 5 წელი და 6 თვე, ხოლო მაქსიმალურმა 26 წელი, ასევე პირველად იქნა გამოყენებული ჯარიმა როგორც დამატებითი სასჯელი, რომლის მოცულობამაც შეადგინა 5000 ლარი.

2008 წელს სასამართლოში 9 სისხლის სამართლის საქმის განხილვა დასრულდა, მსჯავრდებული იქნა 12 პიროვნება, სასჯელის ზომა მერყეობდა თავისუფლების აღკვეთით 8-დან 30 წლამდე და დამატებითი ჯარიმების ოდენობამ შეადგინა ერთ შემთხვევაში 10 000, ხოლო მეორე შემთხვევაში 20 000 ლარი.

რაც შეეხება 2009 წელს, აქ პირველი ათი თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლოში, განაჩენი დადგა 33 პირის მიმართ, 23 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც ყველა მოიცავდა 143<sup>2</sup> მუხლს ანუ არასრულწლოვანი ბავშვებით ვაჭრობას, უფრო კონკრეტულად კი ახალშობილებით ვაჭრობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფომ ყურადღება მიაქცია ამ მეტად საჭირობოროტო თემას, რომელსაც, როგორც ეს მონაცემებიც ადასტურებს, აქამდე ყურადღება არ ექცეოდა და შესაბამისად სამართალდამცავების დაინტერესებამ გამოავლი-



ნა მათი განსაკუთრებული სიმრავლე. რაც შეეხება სასჯელებს, 2009 წელს კვლავ წარმოჩინდა, ისევე როგორც წინა წლებში, სასჯელების გამკაცრების ტენდენცია, გაიზარდა დამატებითი სასჯელის სახით ფულადი ჯარიმების გამოყენების პრაქტიკა (მიესაჯა 33 მსჯავრდებულიდან 30-ს) და მისმა მაქსიმალურმა რაოდენობამ 40 000 ლარს მიაღწია.

რაც შეეხება ამავე პერიოდში მიღებულ სააპელაციო და საკასაციო გადაწყვეტილებებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უმეტესწილად არ ცვლიდნენ და ძალაში ტოვებდნენ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებს, კერძოდ:

2006 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა 4 გადაწყვეტილება 4 პირის მიმართ, რამაც შედეგად მოიტანა მხოლოდ ერთი პირის მიმართ განაჩენის დამძიმება 2 წლიდან 8 წლამდე.

2007 წელს გასაჩივრდა 11 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 14 პირის მიმართ, რამაც მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეამსუბუქა მსჯავრდებულის სასჯელი 1 წლით, 9 წლიდან - 8 წლამდე და 1 შემთხვევაში დაამძიმა ხუთნახევარ წლიდან - 8 წლამდე.

2008 წელს სააპელაციო წესით გაასაჩივრეს 19 პირის მიმართ არსებული სასამართლო გადაწყვეტილება, 12 სისხლის სამართლის საქმეზე. საიდანაც რადიკალურად გადაიხედა ერთი განაჩენი და სასჯელი შემცირდა 9 წლიდან და 6 თვიდან - 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ დაემატა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით. ხოლო 8 შემთხვევაში სასჯელი შემცირდა, სხვადასხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი ოდენობით.

რაც შეეხება 2009 წლის პირველ 10 თვეს, აქ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება 2 პირის მიმართ, სადაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის განაჩენი.

მთლიანად სისხლის სამართლის კოდექსში 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლების შეტანის დღიდან 2009 წლის ოქტომბრის ჩათვლით კასაციაში შეტანილ იქნა 13 პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება, საიდანაც რადიკალურად გადაიხედა ერთი განაჩენი და სასჯელი შემცირდა 9 წლიდან და 6 თვიდან - 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ დაემატა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით. ხოლო 8 შემთხვევაში სასჯელი შემცირდა, სხვადასხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი ოდენობით.

ყვეტილება, საიდანაც 12 განხილვისათვის დაუშვებლად მიიჩნია სასამართლომ, ხოლო 1 გაითხოვა კასატორმა.[73]

სასამართლო სტატისტიკა ნათლად ცხადყოფს საქართველოში ადამიანთა უფლებების - ტრეფიკინგის - თემის აქტუალობას, ისევე როგორც სახელმწიფო სტრუქტურების - სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობის ზრდას მასთან ბრძოლის საქმეში.

სტატისტიკა ამტკიცებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ცდილობს აღკვეთოს დანაშაულებრივი საქმიანობის აქამდე არააქტუალური და ხელმიშვებული მიმართულებები, ამ შემთხვევაში ჩვილ-ბავშვებით ვაჭრობა. 2009 წელს 143<sup>2</sup> მუხლით განხილულ საქმეთა სიმრავლე ამ მხრივ სახელმწიფო სტრუქტურების გამახვილებულ ყურადღებაზე, ლატენტურობის შემცირებაზე მიუთითებს.

სტატისტიკა ასევე ავლენს ბოლო წლებში მიღწეულ დადებით შედეგებს - 2009 წლის პირველ 10 თვეში სასამართლოებში არცერთი საქმე არ განხილულა 143<sup>1</sup> მუხლით, რაც უდავოდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს და ამ დანაშაულის დაბალ დონეზე მიუთითებს.

სასამართლო სტატისტიკა ცხადყოფს სახელმწიფოს მისწრაფებას გაამკაცროს სასჯელები, მოახდინოს მათი სიმკაცრის შესაბამისობაში მოყვანა ჩადენილ ქმედების - ადამიანთა უფლებების - სიმძიმესთან და ამის მეშვეობით, სხვა საშუალებებთან ერთად, მოახდინოს დანაშაულის თავიდან აცილება - პრევენცია.[43, 139]

აღსანიშნავია მოსამართლეების სწრაფვა, დამნაშავე პირებს დამატებით სასჯელად დაუნიშნონ ფულადი ჯარიმა, რომელთა რაოდენობა და მისჯის სიხშირე მკვეთრად იზრდება წლების მანძილზე.

ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკური მონაცემები ასახავენ რეალურად მომხდარი ადამიანის ტრეფიკინგის ფაქტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს, რაც განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით:

1. საქართველოს მოქალაქეები ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან უმეტესწილად საზღვარგარეთ და ეს ფაქტები არ ხდებიან საქართველოს იურისდიქციის მოქმედების სფეროში, შესაბამისად არ ხდება მათი დაფიქსირება სტატისტიკურ ბაზაში.

2. ხშირად ტრეფიკინგის ფაქტი განიხილება, როგორც არალეგალური მიგრაციის გამოვლინება, რადგან ობიექტურად ძნელია ამ კატეგორიების გამოიჯვანა.

3. ადამიანის ტრეფიკინგი ტრადიციულად ხასიათდება ლატენტობის ძალიან მაღალი დონით და მისი ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები ყველა ქვეყანაში დაბალია.

4. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი შედგენილია სერიოზული ხარვეზებით და გამოიყენება არასრულყოფილი ტერმინოლოგია. მაგალითად, ტერმინები ადამიანის ყიდვა და გაყიდვა არ ასახავენ დანაშაულის ობიექტურ სიტუაციას და იწვევენ დაბნეულობას ფაქტის გამოვლენისა და გამოძიების პროცესში.

5. ადამიანის ტრეფიკინგი არის რთული კონსტრუქციის მქონე დანაშაული ფართოდ გავრცელებული დროსა და სივცეში, რაც სერიოზულად აფერხებს დანაშაულის პრევენციას, გამოვლენას, გამოძიებასა და დასჯას.

**§6. საზოგადოებრივი აზრი ადამიანით ვაჭრობის ბრეფიკინგის შესახებ - სოციოლოგიური აპლკაციის შედეგები.**

**ა) სოციოლოგიური კვლევის მიზნები და მეთოდური საფუძვლები**

ადამიანთა ტრეფიკინგი თავის გამოვლენის მრავალფეროვნების, ლატენტურობის მაღალი ხარისხის, სამართლებრივად განმარტების სიახლის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო საზო-

გადოების წევრთა შორის ჯერ კიდევ არაერთგვაროვნად აღიქმება და ბუნდოვანია. ზოგისთვის ადამიანთა ტრეფიკინგი ჯერ ისევ მხოლოდ ქალთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან იგივედგება, ზოგისთვის მხოლოდ საზღვრის უკანონო გადალახვას წარმოადგენს - საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით და ვისთვის ეს ცნება მხოლოდ მონობასთან ასოცირდება ან არაფრისმოქმედილია.[45]

ამგვარად, საჭიროება მოითხოვდა ჩატარებულიყო მცირე სოციოლოგიური კვლევა, რათა საზოგადოებისგან მიგველო ინფორმაცია მათში ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგთან დაკავშირებით არსებულ წარმოდგენების შესახებ, რაც თავისმხრივ წარმოაჩენდა იმ საჭირო დონისძიებების რაობას, რომელიც გამოვლენილ არამართებულ წარმოდგენებს და სახელმწიფოს მიერ დაშვებულ შეცდომებს აღმოფხვრიდა და მოსახლეობის ცოდნას ტრეფიკინგის შესახებ აამაღლებდა.

კვლევა ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ, 2009 წლის დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ „საერთაშორისო იურიდიული ცენტრის და იურიდიული კლინიკის“ დახმარებით ჩატარდა.

კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდის გამოყენებით, რომელშიც ანონიმურად მონაწილეობა მიიღო 420 ადამიანი. საიდანაც 210 (საერთო რაოდენობის 50%) - მდებდრობითი სქესის, ხოლო 210(50%) – მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო.

რესპონდენტთა რაოდენობა ასევე თანაბრად დაიყო უმუშევართა, სტუდენტთა და დასაქმებულთა კატეგორიებად, სადაც რაოდენობრივად 140 – 140 ადამიანი განაწილდა. თითოეულ კატეგორიაში ასევე დაცული იყო გენდერული ბალანსი.

რაც შეეხება ასაკობრივ გრადაციას, აქ შესაბამისი სიმეტრია ვერ იქნა დაცული. კვლევაში 20 წლამდე ასაკის 70 პიროვნებამ (საერთო რაოდენობის 16.7%-მა) მიიღო მონაწილეობა, 20-35 შუალედის – 210-მა(50%), 35 წელს გადაცილებულმა

– 140-მა(33.3%) [იხ. დანართი 3]. ეს დაყოფა, გამართლებულია, რადგან 20-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქეები ყველაზე მკონობიარენი არიან ადამინთა ტრეფიკინგის მიმართ და შესაბამისად მათი აზრი შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ადამინის ტრეფიკინგთან ბრძოლის შემდგომი სტრატეგიის განსაზღვრის საქმეში.

რაც შეეხება კვლევის ვალიდურობას, კვლევა მოიცავდა თბილისის მცხოვრებთ, რომლებიც შეირჩნენ ეგრეთწოდებულ „nonprobability“ პრინციპით – ანუ წინასწარ განსაზღვრული იყო მონაწილეთა მხოლოდ ასაკობრივი და გენდერული თანაფარდობები და არა მათი პროფესია. ხოლო კონკრეტული პირის კვლევაში მონაწილეობის ვარგისიანობა განისაზღვრებოდა ჩვენს მიერ. კვლევას არ აქვს პრეტენზია, რომ იგი წარმოადგენს მთელი მოსახლეობის აზრის უტყუარ ანარეკლს.

კვლევაში გამოყენებული ანკეტა მოიცავდა 17 პუნქტს. დასმული იყო შემდეგი კითხვები:

- 1) თქვენი აზრით, ტრეფიკინგი წარმოადგენს?;
- 2) ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზია?;
- 3) ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება იყოს?;
- 4) თქვენი აზრით, ტრეფიკინგთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა?;
- 5) თქვენი აზრით, რომელი ჩამოთვლილი ორგანიზაციის ფუნქციურ მოვალეობაში შედის ტრეფიკინგთან ბრძოლა?;
- 6) თქვენი აზრით, რა შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზი?;
- 7) გკონონიათ თუ არა თქვენ რამენაირი შეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთან?;
- 8) სახელმწიფოს მხრიდან რომელი ორგანოა ჩაბმული ტრეფიკინგის მსხვერპლის რეაბილიტაციის პროგრამებში?;
- 9) როგორ შეაფასებდით სახელმწიფო სტრუქტურების ბრძოლის დონეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ?;
- 10) თქვენი აზრით, რა ზომები იქნება ეფექტური ტრეფიკინგის დონის შესამცირებლად?;

11) აღნიშნული ქმედებები დააღაგეთ თქვენი აზრით, ქმედების სიმძიმის მიხედვით ყველაზე მძიმედან ნაკლებად მძიმისკენ;

12) თქვენი აზრით, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირს თავისუფლება უნდა შეეზღუდოს?;

13) არის თუ არა ტრეფიკინგი აქტუალური პრობლემა საქართველოსთვის?;

14) თქვენი აზრით, საქართველო ძირითადად წარმოადგენს?;

15) თქვენი აზრით, საქართველოდან ემიგრირებულებისათვის ტრეფიკინგის მხრივ საშიში რეგიონებია?;

16) თქვენი აზრით, რომელი ასაკში უფრო მეტია ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოში?;

17) ტრეფიკინგი არის?.

კვლევის შედეგები დაჯამდა სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, მათ შორის: **MS Office – Excel, Access; Statistica 8.**

შედარებითი ანალიზის გასაკეთებლად და დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მიღებული მონაცემების შეჯერება მოხდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის და დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ, 2007 წელს განხორციელებული, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის - „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა“ შედეგებთან, რომლის განხორციელებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო კრებულის ავტორმაც, როგორც პროექტის ასისტენტმა.[61, 130-150]

ამ ორი კვლევის კითხვარები, მონაწილეთა რაოდეობა, მათი განშლა და სხვა ელემენტები ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, რაც საშუალებას იძლევა შედარებითი ანალიზით მიღებული ყოფილიყო ჩვენთვის საჭირო პასუხები.

## ბ) კვლევით მიღებული შედეგების ანალიზი

[*ბრაჟილი მასალა იხილეთ დანართი 4-ში*]

სოციოლოგიური კვლევის პირველ კითხვაზე: “თქვენი აზრით ტრეფიკინგი წარმოადგენს?”, სავარაუდო პასუხები ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

- 1) ადამიანთა უკანონო შრომის გამოყენებას შემოსავლის მიღების მიზნით;
- 2) ქალთა იძულებით სექსუალურ ექსპლუატაციას;
- 3) ადამიანთა უკანონო გადაყვანას საზღვარზე;
- 4) ადამიანებით ვაჭრობას;
- 5) ადამიანის ორგანოებით ვაჭრობას.

ანკეტების დაჯამებამ გვაჩვენა, რომ მოსახლეობაში უპირატესად გავრცელებული შეხედულებით, ადამიანთა ტრეფიკინგი ესაა „ადამიანთა უკანონო შრომის გამოყენება შემოსავლის მიღების მიზნით“, რაც ფიგურირებდა გაცემული პასუხების 46 პროცენტში(253 რესპოდენტი) და ყველაზე ხშირ პასუხს წარმოადგენდა ყველა კატეგორიაში, გარდა 20 წლამდე ასაკისა, სადაც მან მხოლოდ 30 პროცენტი(27 რესპოდენტი) შეადგინა და მცირედი დაუთმო ადამიანით ვაჭრობას (დასახელდა პასუხების 37 პროცენტში (33 რესპოდენტი)). გასათვალისწინებელია, რომ 20 წლამდე კატეგორიის რესპოდენტებს სტუდენტები წარმოადგენდნენ, რომელთა შორის სჭარბობდა იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლები, შესაბამისად მათ უნდა სცოდნოდათ ტრეფიკინის სისხლისსამართლებრივი დეფინიცია, სადაც ის მოხსენებულია როგორც ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ამით შეიძლება აიხსნას, ამ კატეგორიის წარმომადგენელთა შორის შესაბამისი პასუხის მცირედი გადახრა სტანდარტულიდან.

საერთო ჯამში „ადამიანებით ვაჭრობა“ წარმოიჩინდა, როგორც მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი 28 პროცენტით (158 რესპოდენტი). ხოლო ქალთა იძულებით სექსუალურ ექსპლუატაციაზე აქცენტი გაკეთდა ყველა ცალკე აღებულ ჯგუფში პასუხების არაუმეტეს 17 პროცენტში (სულ 84 რესპოდენტი),

რაც მოწმობს იმ ფაქტს, რომ ადამიანთა ტრეფიკინგი საქართველოში უმეტესწილად არ ასოცირდება ქალთა იძულებით სექსუალურ ექსპლუატაციასთან. რაც მეტად საინტერესო ფაქტია, რადგან ამ მოვლენის კვლევით დაკავებული წამყვანი კრიმინოლოგები მიუთითებენ ძირითადად ტრეფიკინგის მსხვერპლთა სექსუალურ ექსპლუატაციაზე.[41]

ყველა მოცემული ვარიანტი, როგორც ადამიანთა ტრეფიკინგის სახე, შემოსახა 10-მა პიროვნებამ (გამოკითხულთა 2,3 პროცენტმა). რაც შეიძლება გახდეს იმის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ გამოკითხულთა ამდენივე პროცენტს აქვს მეტნაკლებად ზუსტი ცოდნა ადამიანთა ტრეფიკინგის რაობის შესახებ.

კვლევაში შემდეგი დასმული კითხვა, ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

2) ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზია?:

1. შესაძლო მსხვერპლის არასაკმარისი განათლების დონე;
2. შესაძლო მსხვერპლის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

3. ტრეფიკინგის საშუალებით დიდი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა დამნაშავეთა სამყაროს მხრიდან;

4. ტრეფიკინგის დანაშაულის გამოვლენის და დასჯადობის დაბალი ხარისხი.

მიღებული შედეგების დაჯამებამ აჩვენა, რომ რესპოდენტების ზუსტად ნახევარმა(210 პიროვნებამ), ადამიანთა ტრეფიკინგის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მაინც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაასახელა. რაც გამართლებულია საქართველოს ახლო წარსულის გათვალისწინებით, როდესაც უმუშევრობის და გაჭირვების მიზეზით უამრავი ადამიანი გარბოდა ქვეყნიდან, საზღვარგარეთ უკეთესი ცხოვრების იმედით.

საერთო სურათიდან გამოიყოფა 20-35 წლის ასაკის სტუდენტ მანდილოსანთა კატეგორიის პასუხი. ამ კატეგორიიდან 24-მა რესპოდენტმა (70%) ერთ-ერთ მიზეზად შესაძლო მსხვერპლის განათლების არასაკმარის დონეზე მიუთითა, მაშინ როცა

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას – 12-მა (33%) დაუჭირა მხარი. რაც შეიძლება აიხსნას ამ ჯგუფის ადამიანების მიდრეკილებით განათლების, ცოდნის მიღებისკენ. ისინი ტრეფიკინგის მიზეზად პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებას უსვამენ ხაზს, რაც გამოიხატება განათლებით, ცოდნით, მენტალურ შესაძლებლობებით. ამ ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით პრობლემა მდგომარეობს ტრეფიკინგის საფრთხის განჭვრეტის შეუძლებლობაში მსხვერპლთა მხრიდან, მათივე პიროვნებიდან გამომდინარე.

შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ 35 წელს გადაცილებული უმუშევარი ქალბატონები ადამიანთა ტრეფიკინგის მიზეზებში, სხვა ჯგუფებზე უფრო დიდ როლს ანიჭებენ ამ ტიპის დანაშაულის გამოვლენისა და დასჯადობის დაბალ ხარისხს (გამოკითხული 35 პიროვნებიდან 12-მა ერთ-ერთ მიზეზად მაინც დაასახელა აღნიშნული მიზეზი, რაც საშუალოდ 2,5-ჯერ აღემატება სხვა ჯგუფებში იგივე მაჩვენებელს). აღნიშნული შეიძლება აიხსნას ამ ჯგუფის ასაკობრივი თავისებურებიდან – ისინი, საკუთარი თავიდან გამომდინარე, გააჩნიათ რა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და აკუმულირებული აქვთ ცოდნა, აღარ ანიჭებენ შესაბამის მნიშვნელობას ცოდნის და გამოცდილების სიმცირეს საერთოდ და მათ შორის ტრეფიკინგის მიზეზად, ამგვარად პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებიდან აქცენტი გადააქვთ სახელმწიფოს როლზე, რომელიც მათი სოციალური მდგომარეობის – უმუშევრობის გათვალისწინებით, აღიქმება არაეფექტურად, ბრალდება ქვეყანაში და მათ შორის მათ პირად ცხოვრებაში არსებული უარყოფითი გამოვლინებები. აღნიშნულს ამტკიცებს, ამავე კითხვაში მათივე გაკეთებული მეორე არჩევანიც – 20-მა პიროვნებამ 35-დან (58%) ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ, პასუხად აირჩია შესაძლო მსხვერპლის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რაც მეორე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 20-35 წლის ფარგლებში მოქცეულ, ასევე დაუსაქმებელ ქალბატონების შემდეგ (22 პა-

სუხი 35-დან (63%)), და ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლის მნიშვნელობას ტრეფიკინგის მიზეზთა შორის.

აქვე, შედარებითი ანალიზისთვის, გვინდა მოვიშველიოთ დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის 2007 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის „არასრულწლოვანი და დანაშაულობა“ შედეგები, სადაც კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგი წარმოადგენდა.[61, 130-150]

ზემოთხსენებული კვლევის ფარგლებში დასმული იყო კითხვა: თქვენი აზრით რა არის ტრეფიკინგის გამომწვევი მთავარი მიზეზი?

1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
2. მიგრაციის მსურველთა დიდი რაოდენობა;
3. ტრეფიკინგის არსის, სიმძიმისა და შედეგების გაუცნობიერებლობა;
4. სამართლებრივი განათლების დაბალი დონე;
5. სხვა.

პასუხებმა გამოავლინა მეტად საინტერესო ფაქტი, თუ უფროსი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა მიუთითებდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე, სტუდენტებში ეს სხვაობა შემცირდა, წინ წამოიწია რა განათლების მნიშვნელობა, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობაში კი პირველობა, მეორე ვარიანტმა - მიგრაციის მსურველთა დიდმა რაოდენობამ დაიკავა, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ მკვეთრად დათმო პოზიციები (უფროს თაობაში 72 ხმა 156-დან, სტუდენტებში 63 - 175-დან, მოსწავლეებში 47 - 150-დან), რაც ადასტურებს ჩვენს მიერ წამოყენებულ თეზისს, ასაკის მიხედვით პიროვნების მსოფლმხედველობის ცვლილებებზე ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის დროს.

რაც შეეხება ჩვენი კვლევის მესამე კითხვას, თუ ვინ შეიძლება იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი, აქ სავარაუდო პასუხების არჩევანი გამოიყურება შემდეგნაირად:



1. მხოლოდ ქალები;
2. არასრულწლოვნები;
3. მხოლოდ მამაკაცები;
4. მხოლოდ სრულწლოვანი მოქალაქეები;
5. ნებისმიერი მოქალაქე განურჩევლად სქესისა და ასაკისა.

მიღებულ პასუხებში რესპოდენტთა თითქმის ერთსულოვნება გამოვლინდა - გამოკითხულ 420 რესპოდენტიდან 389 ადამიანი (92%) მართებულად მიუთითა, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლი, და მხოლოდ 6-მა პროცენტმა (25-მა რესპოდენტმა) ადამიანთა ტრეფიკინგი ისევ ქალთა სექსუალურ თუ სხვაგვარ ესპლუატაციასთან გააიგივა, რაც კორელაციაშია ამავე კვლევის პირველ კითხვაში მიღებულ პასუხებთან, სადაც 84-მა პიროვნებამ (გამოკითხულთა 20 პროცენტი) ტრეფიკინგის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ გამოვლინებად ქალთა იძულებითი სექსუალურ ექსპლუატაციაზე მიუთითა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ ამ ციფრების სანდოობა, ანუ ამ 84 რესპოდენტიდან საგარაუდოდ 25 ადამიანთა ტრეფიკინგს აიგივებს მხოლოდ ქალთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან ხოლო დარჩენილი 59 - მას განიხილავს, არა როგორც ტრეფიკინგის ერთადერთ გამოვლინებად, არამედ მის ნაირსახეობად.

რაც შეეხება დარჩენილ სამ საგარაუდო პასუხზე მიღებულ მონაცემებს (არასრულწლოვნები; მხოლოდ მამაკაცები; მხოლოდ სრულწლოვანი მოქალაქეები;) ისინი ხედებიან სტატისტიკურად დასაშვებ ცდომილების ფარგლებში და არ გვაძლევენ რაიმე დასკვნების გაკეთების საშუალებას, გარდა ერთისა, რომ რესპოდენტებმა სწორედ იციან თუ ვინ შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი და ცალ-ცალკე მხოლოდ ეს კატეგორიები არ წარმოადგენენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესაძლო წყაროს.

კონკრეტულად არასრულწლოვნებთან მიმართებით საზოგადოების აზრის გაგებისთვის, კვლავ მოვიშველიებთ 2007 წელს ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევას, რომლის განხორციელებ-

ბაშიც პირადად მონაწილეობდა აღნიშნული ნაშრომის ავტორი და რომლის უპირველესი მიზანი სწორედ არასრულწლოვნების ირგვლივ დანაშაულობის შესწავლა იყო.

ამ კვლევის ფარგლებში დასმული შესაბამისი კითხვა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

თქვენი ინფორმაციით, რამდენად ხშირად ხდებიან არასრულწლოვნები ტრეფიკინგის მსხვერპლი?

1. ხშირად;
2. იშვიათად;
3. მიჭირს პასუხის გაცემა.

მონაცემების ანალიზმა ცხადჰყო, რომ მიღებული 299 პასუხიდან 156-ში ფიგურირებდა ვარიანტი 1. ხშირად, მაშინ როცა მეორე ვარიანტს, იშვიათად, უპირატესობა მიანიჭა 62 რესპოდენტმა და პასუხის გაცემა გაუჭირდა 81 პიროვნებას, რაც მიუთითებს საზოგადოებაში უპირატესად გავრცელებულ მოსაზრებაზე, რომ არასრულწლოვნები შეიძლება საკმაოდ ხშირად მოგვევლინონ როგორც ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

ეს პასუხი კორელაციაშია უშუალოდ ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევასთან, სადაც რესპოდენტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, მათ შორის არასრულწლოვანები, შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი.

კვლევის შემდეგი, მეოთხე კითხვა დასმული იყო შემდეგი სახით:

თქვენი აზრით, ტრეფიკინგთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა:

1. მოსახლეობის სამართლებრივი განათლების ამაღლება;
2. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
3. ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება;

4. სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება;
5. საკანონდებლო ბაზის გაძლიერება.

ამ კითხვაზე მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ესაა სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლება (420 გამოკითხულიდან 238-მა ანუ 55%-მა აღნიშნული პრობლემა დაასახელა), რაც მნიშვნელოვნად უსწრებს მეორე ადგილზე გასულ მოსაზრებას – მოსახლეობის სამართლებრივი განათლების ამაღლებას, რომელმაც 157 ხმა (37%) მიიღო. ხოლო თავად ჯგუფებს შორის ამ ორ მოწინავე აზრს შორის ჭიდილშიც შეიძლება გარკვეული ტენდენციების დანახვა, კერძოდ: სტუდენტები, განსაკუთრებით 20 წლამდე სეგმენტში, პირველ ადგილზე აყენებენ განათლების მნიშვნელობას (32 ხმით, 21-ს წინააღმდეგ), მაშინ როცა უფროსი თაობის წარმომადგენლები (93 ხმით, 39-ს წინააღმდეგ) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იხრებიან. რაც ამყარებს მეორე კითხვაზე გაკეთებულ დასკვნებს: უფროსი ასაკის წარმომადგენლების მხრიდან ცოდნის და გამოცდილების მეორე პლანზე დაყენების და სახელმწიფოს როლის პრიორიტეტულობის შესახებ და პირიქით სტუდენტების მხრიდან ცოდნის მნიშვნელობის პრიორიტეტულობაზე.

რაც შეეხება კითხვა ოთხში მოცემულ დარჩენილ სამ შესაძლო პასუხს, (ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება; სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება; საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება;) ისინი პასუხების საერთო რაოდენობის მხოლოდ 27 პროცენტს წარმოადგენდნენ, საიდანაც შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება, რომ სულ მცირე გამოკითხულთა 73 პროცენტი დამაკმაყოფილებლად თვლის სახელმწიფოს მიერ გატარებულ სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ რეფორმებს, სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მუშაობას და მიღწეულ შედეგებს. რესპოდენტებს საჭიროდ აღარ მიაჩნიათ სახელმწიფო მართვის ორგანოების შემდგომ გაუმჯობესებაზე ქვეყნის სახსრების ხარჯვა და მიუ-

თითებენ განათლების და სოციალური დაცვის პრიორიტეტულობაზე.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა: როგორ განაწილდებოდა რესპოდენტთა ხმები, თუ სავარაუდო პასუხებში არ იქნებოდა, საქართველოს პირობებისთვის ისეთი ნათლად გამოკვეთილი პრობლემა, როგორცაა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება?, რაც აპრიორ დომინანტ აზრად გვევლინება.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ისევ და ისევ, უნდა მოვიშველიოთ 2007 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, სადაც მსგავსი შინაარსის კითხვა დასმული იყო შემდეგი რელაქციით:

რა შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტური გზა ტრეფიკინგთან ბრძოლაში?

1. კანონის გამკაცრება;
2. მოსახლეობის ინფორმირება;
3. საზღვრების მკაცრი კონტროლი;
4. სხვა.

როგორც ხედავთ, აქ სავარაუდო პასუხებში არ ფიგურირებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ მაინც არის ველი „სხვა“ სადაც შესაძლებელი იყო მისი მითითება, თუ ამ პასუხამდე რესპოდენტი თავისით მივიდოდა, ყოველგვარი შეხსენების გარეშე. რაც 300 რესპოდენტიდან 10-მა მიუთითა. ეს შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ციფრად ასეთი კითხვარის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც რესპოდენტები ძირითადად ასარჩევ ვარიანტებიდან ირჩევენ პასუხს და არ ცდილობენ საკითხს შემოქმედებითად მიუღწეონ.

2007 წლის კვლევაში ხმების უმრავლესობა მიენიჭა პასუხს: მოსახლეობის ინფორმირება, რომელსაც მცირედით ჩამორჩა ვარიანტი: საზღვრების მკაცრი კონტროლი, ხოლო ხმათა რაოდენობით ბოლო ადგილზე გავიდა – კანონის გამკაცრება. ეს შედეგები ამაგრებს 2009 წელს ჩატარებული კვლევით, მსგავსი შინაარსის ზემოთხსენებულ კითხვაზე, მიღებულ დასკვნებს:

რესპოდენტებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდგომ, პრიორიტეტულობით სარგებლობს მოსახლეობის ინფორმირება, რაც თავისთავში მოიაზრებს მოსახლეობის სამართლებრივი განათლების ამადლებასაც.

რესპოდენტებს დამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ სახელმწიფო მართვის და სამართალდამცავი ორგანოების დღევანდელი მდგომარეობა. განსხვავებით 2007 წლიდან, როდესაც რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა მიუთითა საზღვრების კონტროლის გამკაცრების საჭიროებაზე, უკვე 2009 წლის მიწურულისათვის აღნიშნულმა საკითხმა პრობლემატურობა დაკარგა, რაც ალბათ ამ პერიოდისთვის უკვე დასრულებული საზღვრის დაცვის რეფორმის დამსახურებაა და მიუთითებს ქვეყნის ხელისუფლების მუშაობის ეფექტურობაზე, გამოვლენილ ნაკლოვანებათა სწრაფი აღმოფხვრის მიმართულებით და ამ საქმიანობის საზოგადოების მიერ გაცნობიერების და შედეგების დადებითად შეფასების მხრივ.[92]

რესპოდენტებს მიუღებლად მიაჩნიათ კანონის გამკაცრების პოლიტიკა, რაც დასტურია გავრცელებული აზრისა, რომ კანონის გამკაცრებით დანაშაულობას ვერ აღმოფხვრი.

სოციოლოგიური კვლევის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

თქვენი აზრით, რომელი ჩამოთვლილი ორგანიზაციის ფუნქციურ მოვალეობაში შედის ტრეფიკინგთან ბრძოლა:

1. სამართალდამცავი ორგანოები – შსს, პროკურატურა;
2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
3. საერთაშორისო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
4. არც ერთი.

აღნიშნული კითხვა გათვლილი იყო, რათა მიღებული ყოფილიყო ინფორმაცია თუ რომელი სახის ადამიანთა ტრეფიკინგის აღმოფხვრისკენ მიმართულ ღონისძიებების განმხორციელებელ ორგანიზაციებზე აქვთ წარმოდგენა რესპოდენტებს.

მიღებული პასუხების შინაარსიდან სჩანს, რომ ყველა ქვეყანაში, ისევე როგორც საერთო ჯამში, გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 298 რესპოდენტმა 420-დან, ანუ 71 პროცენტმა, აღიარა სამართალდამცავი ორგანოების როლი ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში, მაშინ, როცა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე აქცენტი გაკეთდა პასუხების 19 პროცენტში, ხოლო სპეციალურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ შექმნილი სახელმწიფო ფონდის არსებობის შესახებ, როგორც ჩანს, ინფორმაციას ფლობდა მაქსიმუმ 60 პიროვნება 420-დან, ანუ გამოკითხულთა 14 პროცენტი.

აღნიშნული კითხვის დამატებად შეიძლება მოვიშველიოთ 2007 წელს ჩატარებული კვლევა, რომელშიც რესპოდენტებს ამ ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის შეფასება ეთხოვათ.[61, 130-150] კერძოდ დაისვა კითხვა:

ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში რომელი ორგანოების საქმიანობას შეაფასებთ ყველაზე ეფექტურად?

1. სამართალდამცავი ორგანოების;
2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის;
3. საერთაშორისო ორგანიზაციების;
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების;
5. მიჭირს პასუხის გაცემა

აქ რესპოდენტთა უმრავლესობა – 106 პიროვნება უთითებს, რომ უჭირს პასუხის გაცემა. სამართალდამცავების ეფექტურობაზე აქცენტი კეთდება 74 შემთხვევაში, რაც შედეგებით მხოლოდ მეოთხე ადგილზეა და წინ უშვებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის(89 ხმა) და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს (77 ხმა). რაც შეეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათი, სხვებთან შედარებით, უპირატესი ეფექტურობა მხოლოდ 57-მა რესპოდენტმა აღნიშნა.

თუ ამ ორი კვლევის შედეგებს შევაჯამებთ, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რესპოდენტები ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეს აიგივებენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობასთან, ამავდროულად ისინი მათ საქმიანობას არაეფექტურად მიიჩნევენ.

სოციოლოგიური კვლევის მომდევო, მეექვსე კითხვა გამიზნული იყო გაგვეგო რესპოდენტების აზრი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზი. აქ მოცემული გვექონდა შემდეგი სავარაუდო პასუხები:

1. მოტყუება;
2. ფიზიკური იძულების გამოყენება;
3. ვალის დადება;
4. ნებაყოფლობითი თანხმობა.

მიღებული პასუხების დაჯამებამ მოგვცა საშუალება გავგვეკეთებინა შემდეგი სახის დასკვნები:

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, 339 პირი 420-დან (81 პროცენტი) ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის ერთ-ერთ მიზეზად, თუ ერთადერთად არა, ასახელებს მოტყუებას.

მხოლოდ 19-მა პიროვნებამ (რაც 4 პროცენტი) უპასუხა, რომ ყველა შემთხამოთვლილი ქმედება შეიძლება გახდეს ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზი, რაც ძალზედ დაბალი რიცხვია და გვიჩვენებს საჭიროებას, რომ მოსახლეობაში მოხდეს ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგზე შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება, რითაც ამადლდება საზოგადოების წინდახედულება და მოხდება ტრეფიკინგის პრევენცია.

აღსანიშნავია, ფიზიკური იძულების როლზე ხაზგასმაც, რაც მოხდა რესპოდენტთა 27 პროცენტის შემთხვევაში და ასევე ის ფაქტი, რომ მიუხედავად სხვა და სხვა სოციალური მდგომარეობისა, ასაკისა, თუ სქესისა, ამ მიზეზებს შორის ხმათა პროცენტული გადანაწილება წარმოგვიდგა შედარებით იდენტურად – მოტყუება მერყეობდა 57-63 პროცენტის ფარგლებში, გარდა

35 წელს ზემოთ ასაკისა, 51 პროცენტი, რაც შეიძლება, ისევე და ისევე ავსნათ ამ კატეგორიის ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილების და ცოდნის დაგროვების, ასევე საკუთარ თავში დარწმუნების მხრივ, ისინი ადამიანის მოტყუებას ნაკლებად შესაძლებელს თვლიან და აქცენტი გადააქვთ ფიზიკური იძულებისკენ.

ფიზიკურმა იძულებამ, თავის მხრივ, სხვა და სხვა ჯგუფებში ხმები მიიღო 16-20 პროცენტის ფარგლებში, გარდა ზემოთხსენებული 35 წელს გადაცილებული ასაკის ჯგუფისა - 24 პროცენტი.

ვალის დადებასა და ნებაყოფლობით თანხმობაზე გაცემული პასუხების რაოდენობა მერყეობდა 9-15 პროცენტის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 4-მა პროცენტმა შემოხაზა ერთბაშად ოთხივე შემთხვევითი მიზეზი, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სავარაუდოდ მხოლოდ ამ ორ უკანასკნელთაგან რომელიმეს თვლის ადამიანის ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის მიზეზად, არის მიზერული და არ აღემატება 10 პროცენტს.

როგორც ჩანს, მოსახლეობისთვის ტრეფიკინგში მსხვერპლთა რეკრუტირებაზე წარმოდგენა ძალზედ მარტივი მეთოდებით შემოიფარგლება, რაც მოითხოვს შესაბამის სამართალდამცავ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან რეკრუტირების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელებას, რათა სავარაუდო მსხვერპლებმა შეძლონ შესაძლო შედეგებზე, მოსალოდნელ საფრთხეებზე წინასწარ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

კვლევაში მოცემული შემდეგი, მეშვიდე, კითხვა ითვალისწინებდა გაგებას: რაიმე შეხება ჰქონიათ თუ არა, ან თუ იცნობდნენ რესპოდენტები ტრეფიკინგის მსხვერპლთ. ასევე დადებითი პასუხის შემთხვევაში, კითხვის ფორმატი ითვალისწინებდა გაგებას თუ რა ტიპის ურთიერთობა იყო, ან რა სახის ტრეფიკინგს ჰქონდა ადგილი, რისთვისაც დატოვებული იყო შესაბამისი ველი შესავსებად.



აღნიშნულ კითხვაზე 420 რესპოდენტიდან 11-მა (2.6-მა პროცენტმა) უპასუხა, რომ ჰქონდა შეხება მსხვერპლთან, საიდანაც 7 იყო 20-35 წლამდე ქალბატონი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ 11 რესპოდენტიდან უმრავლესობამ არ მონიღომა მსხვერპლთან კავშირის შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება, ანუ შესაბამისი ველი ცარიელი დატოვა და მხოლოდ შემოხაზა, რომ ჰქონია კავშირი. ხოლო, სრული პასუხის გამცემ რესპოდენტების კითხვარის შესაბამის ველში ჩანაწერები მოიცავდა შემეგ ინფორმაციას:

ერთმა სტუდენტმა გოგონამ თქვა, რომ ჰქონდა ურთიერთობა მსხვერპლთან, როგორც რესპოდენტთან უნივერსიტეტში კვლევის ჩატარების დროს;

ასევე ერთმა გოგონამ დაასახელა, რომ მას სახლში ბავშვის მომვლელად ჰყავდა 50 წლამდე ასაკის ქალბატონი, რომელიც მასთან მოხვედრამდე ცდილობდა არაღვეაღურად ეგვიპტის გავლით სამუშაოდ წასულიყო ისრაელში, მაგრამ ეგვიპტის ტერიტორიაზე გამხდარა ტრეფიკინგის მსხვერპლი, რასაც შემთხვევით დაადწია თავი და შეძლო სამშობლოში საკუთარი ძალებით დაბრუნება;

რესპოდენტების პასუხებიდან ყველაზე უნიკალური და საინტერესოა ერთ-ერთი რესპოდენტის აზრი და საკუთარი გამოცდილება, იგი ყვება, რომ სტუდენტობის პერიოდში სწავლობდა ერთ-ერთ ცნობილ, გავლენიან და ამაღდროს ძვირადღირებულ უნივერსიტეტში, სადაც იგი ასევე ეწეოდა შრომით საქმიანობას, საიდანაც მიღებული შემოსავლითაც იხდიდა ამ უნივერსიტეტშივე სწავლის ხარჯებს, რაც მისი აზრით გამოიყენა ამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ - იცოდნენ რა, რომ ამ გოგონას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, სამსახური რომ მიეტოვებინა უნივერსიტეტსაც ვერ დაამთავრებდა, როგორც სხვა ფინანსური წყაროს არ ქონის გამო(ვერ მოახერხებდა სწავლის საფასურის დაფარვას), ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის რესურსებიდან გამომდინარე (მიანიშნეს, რომ შეუქმნიდნენ პრობლემებს

სწავლის პროცესში), შესაბამისად ეწეოდნენ მის მაქსიმალურ ექსპლუატაციას მიზერული ანაზღაურების პირობებში. მისი თქმით მას შუადღესაც არ ჰქონდა შესაძლებლობა გასულიყო შესვენებაზე და სადამოსაც გვიანობამდე იძულებული იყო ყოფილიყო სამუშაო ადგილას, რასაც ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვდა. აღნიშნული მისი თქმით გრძელდებოდა იქამდე, სანამ მან არ აიღო განათლების დამადასტურებელი დიპლომი, რის შემდეგაც დაანება იქ მუშაობას თავი.

რამდენად ჯდება აღნიშნული სურათი ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის იურიდიულ განმარტებაში, ეს სადაოა და სუბიექტური აღქმაზე დამოკიდებული და შეიძლება სხვა და სხვა სპეციალისტში სხვა და სხვა მიდგომა - განმარტება გამოიწვიოს, მაგრამ ფაქტია, რომ რესპოდენტი საკუთარ თავს ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევს და აქვს ამის საფუძველი.

აღსანიშნავია მამრობითი სქესის წარმომადგენლების მხრიდან მიღებული შედეგი: გამოკითხულ 210 მამაკაციდან არცერთმა არ აღნიშნა, რომ ჰქონია რაიმენაირი შეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთან. თუ ვამბობთ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ძირითადი გამოყენების სფეროა პროსტიტუცია (რასაც ბევრი ექსპერტ-კრიმინოლოგი მიუთითებს), რომლითაც მამაკაცები სარგებლობენ, მაშინ მიღებული შედეგი მეტად დამაფიქრებელია და ჩემი აზრით მიუთითებს საქართველოში პროსტიტუციის მხრივ ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოყენების სიმცირე-არარსებობაზე, რადგან გამორიცხებულია ამდენი მამაკაციდან არცერთს არ ჰქონოდა შეხება პროსტიტუციის ფაქტებთან, ან ყველა მათგანს რატომღაც ერთიანად გაჩენოდა ასეთი ფაქტის დამაღვის სურვილი?!

შემდეგი კითხვა, რომელიც დაისვა სოციოლოგიურ კვლევაში, ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

სახელმწიფოს მხრიდან რომელი ორგანოა ჩაბმული ტრეფიკინგის მსხვერპლის რეაბილიტაციის პროგრამებში:

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო;



2. პროკურატურა;
3. ჯანდაცვის სამინისტრო;
4. სპეციალურად ამ საქმისთვის შექმნილი სხვა ორგანოები.

კითხვის მიზანი იყო, მიღებული ყოფილიყო ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა იცოდნენ რესპოდენტებმა იმ დახმარების შესახებ, რომელიც ტარდება სახელმწიფო ორგანოების მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლის რეაბილიტაციის მიზნით.

მიღებული პასუხების შეჯამებამ აჩვენა:

სპეციალური ორგანოების არსებობას მიუთითებს გამოკითხულთა 56 პროცენტი (234 პირი), რაც მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ასეთი დაწესებულებების შექმნის სიახლიდან გამომდინარე, რადგან მხოლოდ 2006 წლის 20 ივლისიდან ფუნქციონირებს ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი ბათუმში, რომელიც არის პირველი მსგავსი დაწესებულება საქართველოში, იგი თავის სპეციფიკიდან გამომდინარე მუშაობს ანონიმურობის პრინციპის სრული დაცვით და შესაბამისად არ ხდება მისი საქმიანობის მასმედიის საშუალებით რეკლამირება.[93]

რაც შეეხება სხვა პასუხებს, აქ შედეგები გამოიყურება შემდეგი სახით: შინაგან საქმეთა სამინისტრო 17%(80 ხმა); პროკურატურა 8%(36 ხმა); ჯანდაცვის სამინისტრო 24%(109ხმა). მონაცემთა გაბნევა ადასტურებს მოსახლეობის დიდ ნაწილში ტრეფიკინგის რეაბილიტაციის ღონისძიებების შესახებ წარმოდგენის არ ქონის ფაქტს. მათ შორის ვინც ეს სამი ვარიანტი შემოხაზა, თითქმის ნახევარი ლოგიკურად უთითებს ჯანდაცვის სამინისტროს, რადგან იგი სახელიდან გამომდინარე აღიქმება რეაბილიტაციის ღონისძიებების განმახორციელებლად, ხოლო მეორე ნახევარი უთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაც შეიძლება აისხნას ჩვენი ქვეყნის პირობებში ამ სამინისტროს მნიშვნელობით და ფუნქციათა სიმრავლით.

მომდევნო საკითხი, რაზეც კითხვარის მეცხრე პუნქტში გახვილდა ყურადღება, ეხებოდა მოსახლეობის მხრიდან სახ-

ელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებას. კითხვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

როგორ შეაფასებდით სახელმწიფო სტრუქტურების ბრძოლის ღონეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ?

1. აკეთებს შესაძლებლობის მაქსიმუმს;
2. როგორც სათანადოს;
3. არასათანადოს;
4. მიჭირს პასუხის გაცემა.

შედეგებიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ან ნეგატიურად აფასებს სახელმწიფოს მხრიდან გატარებულ ღონისძიებებს(42%) ან არ გააჩნია კონკრეტული მოსაზრება(44%), ხოლო დადებითად უყურებს გამოკითხულთა მხოლოდ 14 პროცენტი, რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში გატარებულ აქტიურ და მრავალწახნაგოვან საქმიანობას ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის და მხარდაჭერის მხრივ. ეს შედეგები ამყარებს ამავე კვლევის მეხუთე კითხვით მიღებულ დასკვნებს, სადაც რესპოდენტთა მხრიდან ნათლად დადასტურდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობით უკმაყოფილება.

კვლევამ გამოავლინა საჭიროება, იმისა, რომ მოხდეს სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების და მიღებული შედეგების საზოგადოებაში პოპულარიზაცია, რადგან ადამიანებით ვაჭრობა – ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომებით, საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში. რასაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური კვლევა ადასტურებს, ვიმყოფებით რა შეფასების მიხედვით პირველ კალათაში ყველაზე წარმატებულ 20-მდე სახელმწიფოს გვერდით.[84, 154]

შემდეგი კითხვა ლოგიკურ ჯაჭვშია ზემოთხსენებულ მეცხრე კითხვასთან. იგი რესპოდენტებისგან მოითხოვდა მოცემული ვარიანტებიდან შეერჩიათ ის ზომები, რომლებიც მათი აზრით

ყველაზე ეფექტური იქნებოდა ადამიანთა ტრეფიკინგის დონის შესამცირებლად. სავარაუდო პასუხებს წარმოადგენდნენ:

1. თითოეული ემიგრანტის ადგილსამყოფელის და საქმიანობის აღრიცხვა;

2. დაუოჯახებელი 25 წლამდე მოქალაქეების ქვეყნის დატოვების შეზღუდვა;

3. უცხოეთთან პირდაპირი სამუშაო ხელშეკრულებების დადება ლეგალური კვოტების მიღების მიზნით;

4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება.

მიღებული შედეგების დაჯამებიდან გამომდინარე, რომ რესპოდენტებში არ არის ერთიანი გადამჭრელი მიდგომა, ადამიანთ ვაჭრობა – ტრეფიკინგის პრობლემასთან საბრძოლველად თუ რომელი ზემოთ მოყვანილი მეთოდთაგანი იქნებოდა უმჯობესი, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება, რომ ყველა ჯგუფი ერთიანად წინააღმდეგია რაიმენაირი სასაზღვრო შეზღუდვების დაწესების (მიეთითა 2-7 პროცენტის ფარგლებში ჯგუფების მიხედვით) და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრების (18-27 პროცენტის ფარგლებში მიუთითეს).

გამოკითხულთა 46 პროცენტის აზრით, სასურველი იქნებოდა სახელმწიფოს დაედო ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რათა იქ ყოფილიყო ჩვენი მოქალაქეების ლეგალური დასაქმების შესაძლებლობა, რაც თავისთავად შეამცირებდა ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა მონდომებულია განახორციელოს მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმება, მაგრამ ჯერჯერობით პარტნიორი ქვეყნები თავს იკავებენ მსგავსი მოლაპარაკებების წარმოებისგან ხელშეკრულებების გაფორმებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

პოპულარობის მიხედვით, რესპოდენტთა შორის, მეორე ადგილზე გავიდა იდეა, რომ მოხდეს ემიგრანტთა ადგილსამყოფელის და საქმიანობის კონტროლი, რასაც მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 35 პროცენტმა. უნდა ითქვას, რომ ეს იდეა მუსირებდა

სახელისუფლებო წრეებში, მაგრამ განხორციელების სირთულის გამო ვერ მიიღო შესაბამისი პოლიტიკური მხარდაჭერა.

სოციოლოგიურ კვლევა ასევე ვერ დატოვებდა უყურადღებოდ საკითხს - დანაშაულებს შორის სიმძიმის მიხედვით, სად ხედავენ რესპოდენტები ადამიანთა ტრეფიკინგს. აღნიშნული ინფორმაციის მიღება გათვალისწინებული იყო მეთერთმეტე კითხვით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

აღნიშნული ქმედებები დააღაგეთ, თქვენი აზრით, ქმედების სიმძიმის მიხედვით ყველაზე მძიმედან ნაკლებად მძიმისკენ. (მიუწერეთ შესაბამისი ნუმერაცია)

1. ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით; ( ..)
2. განზრახ მკვლელობა; ( ..)
3. გაუპატიურება; ( ..)
4. ტრეფიკინგში ჩაბმა; ( ..)
5. სხეულის მძიმე დაზიანება. ( ..)
6. ქრთამის აღება ( ..)
7. ქონების განადგურება ( ..)

რესპოდენტთა აზრის მიხედვით მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულობების დაჯგუფება სიმძიმის მიხედვით 3 პირობით ჯგუფად:

პირველ ჯგუფში მოხვდა ყველაზე მძიმედ აღიარებული დანაშაულის ორი სახე: განზრახ მკვლელობა, რომელიც ანკეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში პირველობას არავის უთმობდა და სტაბილურად მეორე ადგილას მყოფი გაუპატიურება.

მეორე ჯგუფში მოხვდნენ დანაშაულობები, რომლებიც რესპოდენტების ყველა კატეგორიაში თითქმის თანაბრად ინაწილებდნენ მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებს, ესენია: ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ტრეფიკინგში ჩაბმა და სხეულის მძიმე დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით ყველა ცალკე აღებულ კატეგორიის ჯამურ მაჩვენებელში სიმძიმის მიხედვით მესამე ადგილზეა, იგი მაინც მოხვდა ამ ჯგუფში, რადგან

აქ მოხვედრილ ქმედებებს შორის ციფრობრივი განსხვავება ძალზედ უმნიშვნელო იყო.

მესამე ჯგუფში მოხვდნენ ქრთამის აღება და ქონების განადგურება, ისინი მუდმივად ბოლო ორ ადგილზე გვევლინებოდნენ, როგორც რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ნაკლებ მნიშვნელოვანი დანაშაულებები. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად შემცირდა ქრთამის აღება-მიცემის ფაქტები და შესაბამისად მოსახლეობისთვის ამ დანაშაულმა აქტუალობა დაკარგა.

ჩემი აზრით თუ გაუპატიურება აღიქმება როგორც ერთ ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული, მაშინ ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი მასზე წინ თუ არა მის დონეზე მაინც უნდა იდგეს. რადგან გაუპატიურება ძირითადად ერთი შემთხვევით შემოფარგლული დანაშაულია, ხოლო ტრეფიკინგის შემთხვევაში იგივე გაუპატიურების ქმედებას მრავალჯერადი და დროში გაჭიმული სახე შეიძლება ჰქონდეს. ხოლო მიღებული შედეგი მიუთითებს, რომ საჭიროა საზოგადოებაში ტრეფიკინგის ძირითადი ფორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

შემდეგი, მეთორმეტე კითხვა, რომელიც მოცემული იყო სოციოლოგიურ კვლევაში ლოგიკურად აგრძელებდა წინა კითხვის აზრს და რესპოდენტს სთხოვდა დაესახელებინა, თუ რამდენი წლით უნდა აღეკვეთოს თავისუფლება ადამიანის ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირს?. კითხვა მიგვანიშნებდა, თუ რას ფიქრობენ რესპოდენტები ტრეფიკინგის დანაშაულის სიმძიმეზე.

კითხვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

12) თქვენი აზრით ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირს თავისუფლება უნდა შეეზღუდოს:

1. უვადოდ;
2. 15 -20 წლით;
3. 10-15 წლით;

4. 5-10 წელით

5. 5 წელზე ნაკლები ვადით.

პასუხებით გამოვლინდა, რომ რესპოდენტების აზრი გაიყო, საერთო ჯამში ვერცერთმა პასუხის ვარიანტმა ვერ დააგროვა 28 პროცენტზე მეტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 5 წელზე ნაკლებ სასჯელს მხოლოდ 5 რესპოდენტი მიემხრო (საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი პროცენტი), ხოლო ყველაზე მეტი რაოდენობა, 119 ერთეული (28 პროცენტი), უვადოდ პატიმრობამ მიიღო.

მიღებული შედეგი მიუთითებს საზოგადოებაში მკაცრი დასჯის მომხრეთა მცირედ მაგრამ მაინც სიჭარბეზე და ასევე ტრეფიკინგის პრობლემის საერთო ჯამში მწვავედ აღქმაზე.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრები სხვებზე უფრო მკაცრები აღმოჩნდნენ ამ საკითხში, სხვა კატეგორიებთან შედარებით. მათ შორის ყველაზე დიდმა პროცენტმა (36%) დაასახელა უვადოდ პატიმრობა მისაღებ სასჯელად, რაც ალბათ გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ისინი თავის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე აცნობიერებენ ტრეფიკინგის საფრთხეს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირადად მათ მიმართ და შესაბამისად სურთ მაქსიმალური სასჯელის მისჯა ამ საქმით დაკავებულთათვის, რათა ამან იქონიოს პრევენციული ზემოქმედება.

შემდეგი, მეცამეტე, შეკითხვა, რომელიც დაისვა სოციოლოგიურ კვლევაში, ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: არის თუ არა ტრეფიკინგი აქტუალური პრობლემა საქართველოსთვის:

1. დიახ – არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გამო;
2. დიახ – საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო;
3. არა – აღნიშნული დანაშაულებრივი მოვლენის გამოვლენის სიმცირის გამო;
4. არა – რადგან ქვეყანაში არსებობს სხვა მრავალი უფრო მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხების დაჯამებით მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა I ვარიანტის: დიახ – არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გამო; აბსოლუტური უპირატესობა, რომელმაც 313 ხმა - 420 შესაძლებლობიდან მიიღო (პასუხების 71 პროცენტი). ამ შედეგმა აზრი დაუკარგა მონაცემების კატეგორიების მიხედვით დაჯამებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცენტი არის მიღებულ პასუხებს შორის ხვედრითი წილი და შესაბამისად რესპოდენტების საერთო რაოდენობაში მისი წილობრივი მაჩვენებელი 71 პროცენტის მაგივრად 75 პროცენტამდე იზრდება.

რაც შეეხება სხვა პასუხებს, უნდა აღინიშნოს რომ, პრობლემის აქტუალობა ეჭვქვეშ დააყენეს პასუხების 18 პროცენტში, საიდანაც ნახევარში მითითება გაკეთდა ქვეყანაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობაზე.

კვლევაში ასევე დაისვა კითხვა, იმის გასაგებად, თუ რას ფიქრობს ხალხი საქართველოს როლზე ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულებრივი ქსელის საერთაშორისო სტრუქტურაში, არის ის მსხვერპლთა ტრანზიტის, წარმოშობის, თუ ექსპლუატაციის სახელმწიფო. ამ საკითხს ეხებოდა მეთოთხმეტე კითხვა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით:

- 14) თქვენი აზრით საქართველო ძირითადად წარმოადგენს:
1. ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოს;
  2. ტრანზიტის სახელმწიფოს მსხვერპლთა გადასაყვანად;
  3. მსხვერპლთა დანიშნულების – ექსპლუატაციის ადგილს;
  4. მიჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხვის შედეგად მივიღეთ, რომ რესპოდენტთა 37 პროცენტს უჭირს რაიმე კონკრეტულის დასახელება, 33 პროცენტისთვის საქართველო წარმოადგენს მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოს, 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო არის მხოლოდ სატრანზიტო ტერიტორია, ხოლო 6 პროცენტისთვის ექსპლუატაციის ადგილი.

მიღებული მონაცემების კატეგორიებს შორის შედარებამ უჩვენა, რომ კატეგორიებში სურათი ძირითადად შეესაბამება საერთოს, მაგრამ აქაც აღმოჩნდა ერთი საინტერესო ფაქტი: დასაქმებულებს და უმუშევრებს შორის გაცემული პასუხების შედარებამ უჩვენა, რომ დასაქმებულები ძირითადად (75 შემთხვევაში 156-დან(49%)) საქართველოს ასახელებენ როგორც ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოს, ხოლო უმუშევრები იგივეს ამბობენ 33 შემთხვევაში 140 დან (23%). უმუშევრებს შორის ყველაზე გავრცელებული პასუხია „მიჭირს პასუხის გაცემა“- 62 შემთხვევა (44%). რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ უკანასკნელი კატეგორიის ადამიანებმა, სცადეს მაგრამ მაინც ვერ შეძლეს, ვერც უცხოეთში არაღელვარად წასვლა და ვერც საქართველოში რამენაირი, თუნდაც მძიმე და თუგინდ ნაკლებანაზღაურებადი სამსახურის შოვნა და შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ტრეფიკინგთან შეხებას ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ.

სოციოლოგიურმა კვლევამ აგრეთვე გვეჩვენა ვერ აუარა საკითხს, თუ რომელი ქვეყნები მიაჩნიათ რესპოდენტებს ადამიანთა ტრეფიკინგის მხრივ საშიშად, რაც მეთხუთმეტე კითხვის შინაარსს წარმოადგენდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

თქვენი აზრით, საქართველოდან ემიგრირებულებისათვის ტრეფიკინგის მხრივ საშიში რეგიონებია: (დანომრეთ საშიშროების კლების მიხედვით უმაღლესი საშიშროება-1)

1. საბერძნეთი;
2. რუსეთი;
3. თურქეთი;
4. აშშ;
5. დასავლეთ ევროპა;
6. არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

მიღებული პასუხების გადამუშავებამ გამოავლინა, რომ რესპოდენტები ერთხულოვნად აღნიშნავენ თურქეთს, როგორც საქართველოდან წასულთათვის ადამიანთა ტრეფიკინგის სა-

შიშროების მხრივ ლიდერ სახელმწიფოს, 420 რესპოდენტთან 308 (74%). ხოლო საბერძნეთი, როგორც ყველაზე სახიფათო დაასახელა 49 რესპოდენტმა (11%), რუსეთი – 16-მა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები – 14-მა, ამერიკის შეერთებული შტატებიც – 16-მა რესპოდენტმა, ხოლო დასავლეთ ევროპა 17-მა რესპოდენტმა დაასახელა, რაც თითოეულზე საშუალოდ 4 პროცენტამდეა.

ამ კითხვაშიც, ისე როგორც მეთერთმეტე კითხვაში მოხდა ქვეყნების ვირტუალური დაჯგუფება:

პირველ ჯგუფში მოხვდა რესპოდენტთა აზრით ყველაზე საშიში 3 სახელმწიფო – რომლებიც ანკეტათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ასეთად გვევლინებიან, ესენია:

1. თურქეთი;
2. საბერძნეთი;
3. რუსეთი.

მეორე ჯგუფში მოხვდნენ ის სახელმწიფოები, რომლებზეც ხალხს აქვთ დადებითი წარმოდგენა როგორც წარმატებული და დემოკრატიული ქვეყნების, და რომლებიც ამ პასუხების შედეგებად გამოვლინდნენ, როგორც რესპოდენტთა აზრით ნაკლებად საშიში სახელმწიფოები, ესენია:

1. ამერიკის შეერთებული შტატები;
2. დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

ხოლო ცალკე დგას არაბეთის გაერთიანებული საემიროები, რომელიც რესპოდენტებში ერთგვაროვან მიდგომებს არ წარმოშობს და შესაბამისად მასზე მინიჭებული საშიშროების ინდექსი პიროვნებებში, ინდივიდუალური წარმოდგენების და ამ ქვეყანაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, არაპროგნოზირებადი და ურთიერთგამომრიცხველიცაა - მას „1“ ანუ უდიდესი საშიშროება მიანიჭა 14 პიროვნებამ, 2 – 90-მა, 3 – 72-მა, 4 – 55-მა, 5 – 65-მა, ხოლო 6 – ანუ უმცირესი საშიშროება ყველაზე მეტმა 124 რესპოდენტმა, ანუ 29 პროცენტმა – რაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

მომდევნო, მეთექვსმეტე კითხვა გამიზნული იყო რესპოდენტებისგან გაგვეგო მათი აზრი საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა ასაკის შესახებ, კითხვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი ფორმით:

თქვენი აზრით, რომელ ასაკში უფრო მეტია ტრეფიკინგის მსხვერპლი საქართველოში:

1. 16-18;
2. 18-21;
3. 21-29;
4. 29-40;
5. 40 და მეტი.

რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა ასაკია 21-29 წელი, რაც 258 რესპოდენტმა აღნიშნა 420-დან (62 პროცენტი). ხოლო მეორე ადგილზე გასულ მაჩვენებელს - 18-21 წელს, რესპოდენტთა 26 პროცენტმა მიანიჭა უპირატესობა (111 რესპოდენტი). არასრულწლოვანთა და უფროსი თაობის ადამიანების ტრეფიკინგის არსებობას რესპოდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა აღიარებს. რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართველოში არ არის გავრცელებული არასრულწლოვანთა პორნოგრაფია და მსგავსი ტიპის დანაშაულობები, სადაც გამოიყენება აღნიშნული ასაკის პიროვნებათა იძულებითი ექსპლუატაცია.

და ბოლოს, სოციოლოგიური კვლევის დამასრულებელი კითხვა მიზნად ისახავდა რესპოდენტებისგან ინფორმაციის მიღებას თუ დანაშაულთა რომელ ჯგუფში ხედავენ ისინი ადამიანთა ტრეფიკინგს.

კითხვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით:

17) ტრეფიკინგი არის:

1. ორგანიზებული დანაშაულობა;
2. ტრანსნაციონალური დანაშაულობა;
3. ჯგუფური დანაშაულობა;
4. გაუფთხილებელი დანაშაულობა.



პასუხების დათვლა – გაანალიზებამ მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება: ბრესპოდენტთა უმრავლესობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ადამიანთა ტრეფიკინგი გააიგივა ორგანიზებულ დანაშაულთან, 260 რესპოდენტი (ხმების 54%), რაც სავსებით მართებულია. უმრავლესობის აზრით, ტრეფიკინგი შეიძლება მოხდეს ერთ სახელმწიფოს საზღვრებშიც, რადგან მხოლოდ 131 რესპოდენტმა გაუსვა ხაზი ტრანსნაციონალურობას.

აღნიშნული მონაცემების კატეგორიების მიხედვით დათვლას არ შეეუდებოდა, რადგან მათში არ არის რაიმე არსებითი სხვაობა საერთო ჯამთან მიმართებით.

დასკვნის სახით გვინდა შევაჯეროთ კვლევის ცალკეული პუნქტებით მიღებული შედეგები.

საზოგადოების აზრის კვლევამ გამოავლინა საჭიროება იმისა, რომ აუცილებელია მოხდეს სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების და მიღებული შედეგების საზოგადოებაში პოპულარიზაცია, რადგან, ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომებით, საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში, რაც საზოგადოების აზრში არ აისახება.

ასევე, კვლევით გამოვლინდა, რომ სახელმწიფოში გატარებულმა ისეთმა რეფორმებმა, რომლებიც მოსახლეობისთვის თვალსაჩინოა, ჯეროვანი ასახვა ჰპოვეს საზოგადოებრივ აზრში, რაც სასაზღვრო კონტროლის მაგალითზე გამოჩნდა: თუ 2007 წლის კვლევით, რესპოდენტების სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებდნენ, უკვე 2009 წლისთვის (ამ დროისთვის მოხდა მნიშვნელოვანი რეფორმები სასაზღვრო პოლიციაში) აღნიშნული პრობლემატიკა აღარ ფიგურირებს.

კვლევით გამოვლინდა, რომ მოსახლეობა მართებულად ერკვევა ტრეფიკინგის არსში, აქვს საკუთარი ზოგადი წარმოდგენა, რომ ადამიანთა ტრეფიკინგი საზრდოობს ეკონომიკური სიდუხჭირისგან და სახელმწიფოს სისუსტისგან, მისი უუნარობისგან, ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

მოქალაქეები ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ უპირველეს საშუალებად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზღვრების გახსნას და უცხოეთში ლეგალური შრომის შესაძლებლობას ასახელებენ.

რესპოდენტები ჯეროვნად აფასებენ შესაძლებლობას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოქალაქე სქესის და ასაკის განურჩევლად. ისინი დიდ როლს ანიჭებენ განათლებას, რადგან მოტყუება იქნა მიჩნეული უმეტესწილად მსხვერპლად გახდომის მიზეზად.

კვლევის პასუხებიდან გამომდინარე, რესპოდენტების მიერ, ხაზგასმულია ტრეფიკინგის შიდასახელმწიფოებრივი ხასიათიც, მომატებული საშიშროებაც და სამართალდამცავი ორგანოების როლი ტრეფიკინგთან ბრძოლაში - რაც არაჯეროვნად მიიჩნევა.

დადებითად შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მხოლოდ რესპოდენტთა ორ პროცენტს ჰქონდა რაიმე სახის კონტაქტი ტრეფიკინგის მსხვერპლთან, და ისიც ნაწილობრივ პროფესიონალიდან გამომდინარე, რაც აღნიშნული დანაშაულობის სიმცირეზე, ან მის მაღალ ლატენციაზე მიუთითებს.

საინტერესო ფაქტია, რომ მამრობითი სქესის არცერთმა წარმომადგენელმა არ მიუთითა, რომ ჰქონია რაიმე ფორმის შეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთან და არც იცნობდა ასეთს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურება გამოიყენება სექსინდუსტრიის დაწესებულებებში (ყოველ შემთხვევაში საქართველოში ამის დამადასტურებელი არავითარი ფაქტი არ მოგვეპოვება).

შედეგების ანალიზში ბევრჯერ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასაკი და საქმიანობა განაპირობებს პიროვნების მიდრეკილებას მხარი დაუჭიროს რომელიმე გავრცელებულ აზრს. ჩვენ შემთხვევაში ხაზი მრავალჯერ გაესვა უფროსი ასაკის წარმომადგენლების თვითდაჯერებულობას, განათლების როლის ჩრდილში მოქცევას და სახელმწიფოს მნიშვნელობის გაზვიადებას. მა-

შინ, როდესაც ახალგაზრდა თაობა და განსაკუთრებულად სტუდენტები ხაზს უსვამენ პიროვნების განათლების დონის მნიშვნელობას და ნაკლებად აკეთებენ აქცენტებს სახელმწიფოს როლზე და პასუხისმგებლობაზე.

რესპოდენტებმა ტრეფიკინგი ჯეროვნად შეაფასეს, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც ტრანსნაციონალურობის მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივი სახეც გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტები არ იცნობენ ტრეფიკინგის ისეთ მნიშვნელოვან სახეს, როგორცაა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა (შემოსახა რესპოდენტთა მხოლოდ სამმა პროცენტმა).

თუ 2007 და 2009 წლების სოციოლოგიური კვლევის შედეგებს შევჯამებთ, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რესპოდენტები ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეს აიგივებენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობასთან, ამავდროულად, ისინი მათ საქმიანობას არაეფექტურად მიიჩნევენ.

რესპოდენტებს მიუღებლად მიაჩნიათ კანონის გამკაცრების პოლიტიკა, რაც დასტურია გავრცელებული აზრისა, რომ კანონის გამკაცრებით დანაშაულობას ვერ აღმოფხვრი.

როგორც ჩანს, მოსახლეობისთვის ტრეფიკინგში მსხვერპლთა რეკრუტირებაზე წარმოდგენა ძალზედ მარტივი მეთოდებით შემოიფარგლება, რაც მოითხოვს შესაბამის სამართალდამცავ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან რეკრუტირების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელებას, რათა სავარაუდო მსხვერპლმა შეძლოს შესაძლო შედეგებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე წინასწარ პრევენციული ღონისძიებების მიღება.[44]

### თავი III - ადამიანთ ვაჭრობის - ტრაფიკინგის დაზარაობა - მიზეზები

#### §1. ადამიანთ ვაჭრობის ორგანიზაციის წარმოშობის მიზეზებისა და პირობების ზოგადი დახასიათება.

ისევე როგორც სხვა ნებისმიერ მოვლენას ადამიანთა ტრეფიკინგსაც გააჩნია გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. ისინი შეიძლება დაჯგუფდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, როგორცაა სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, საერთო სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, და სხვა მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.

საერთო სოციალურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი მოვლენები, როგორებიცაა:

– უმუშევრობა – წარმოდგენს ადამიანთა ტრეფიკინგის ერთ-ერთ მთავარ საზრდოს, ქვეყანაში შესაბამისი სამსახურის პოვნის შეუძლებლობა ადამიანს აიძულებს დათანხმდეს ნებისმიერ თუნდაც ნაკლებად ანაზღაურებად და სარისკო სამუშაოს, იმის იმედით, რომ ეს მხოლოდ დროებითი საზრდოს წყარო იქნება. ასევე ეს მიზეზი უბიძგებს შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობას დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და თავისი შესაძლებლობების გამოვლენა შეეცადოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

– გაჭირვება – წარმოდგენს ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგს, ამ დროს პიროვნება ვარდება სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, ეუფლება უიმედობა, რაც უბიძგებს მას გააკეთოს ნებისმიერი საქმე, ოღონდ გადაარჩეს და თავი დააღწიოს გაჭირვებას, მათ შორის არ თაკილობს კრიმინალს, ორგანოთა და საკუთარი შვილებით ვაჭრობასაც;

– მოსახლეობის განათლების დონე – განათლება ადამიანს ლეგალური, ღირსეული დასაქმების საშუალებას აძლევს და სახელმწიფოს განვითარების წინაპირობაა. საერთო განათლების

მნიშვნელობასთან ერთად, ინტელექტი ხდის პიროვნებას უფრო დაკვირვებულს და გადაწყვეტილებების მიღებაში უფრო ფრთხილს, რაც პიროვნების ტრეფიკინგში მოტყუებით ჩაბმას ნაკლებ სავარაუდოს ხდის.

საჭიროა ხაზი გავუსვათ სამართლებრივი განათლების მნიშვნელობას, ჩვენ შემთხვევაში მოსახლეობაში ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. საჭიროა, რომ საზოგადოებამ იცოდეს თუ რა სახის ქმედებებია დასჯადი, რა ქმედებები შეიძლება შეიცავდნენ ფარულ საფრთხეს, რისი უფლებები და მოვალეობები აქვთ მოქალაქეებს ქვეყნის წინაშე და სახელმწიფოსგან რის მოთხოვნა შეუძლიათ.

– მოსახლეობის სიმჭიდროვე – ცნობილია, რომ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, განსაკუთრებით აზიის რეგიონში ფართოდ გავრცელებულია ადამიანთა ტრეფიკინგი, რადგან მჭიდროდ დასახლებულ ზონებში შესუსტებულია სახელმწიფო კონტროლი და ფართოდაა წარმოდგენილი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები. აქ მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მატერიალური სიკეთეზე გართულებულია, რაც უბიძგებს მოსახლეობას წავიდნენ ემიგრაციაში უკეთესი პირობების მოლოდინით. მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში იოლია ადამიანთა გადაძალვა. ასევე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში დიდია უმუშევრობა, პროსტიტუცია და ბავშვთა მიუსაფრობის გავრცელება.

– მოსახლეობის რელიგიური და სხვა წარმოდგენები – ზოგიერთ რელიგიურ მიმდინარეობებში ტრეფიკინგის დეფინიციით მოცული ქმედებები, ისეთები როგორცაა ადამიანის მონურ მდგომარეობაში ყოფა, განსაკუთრებით სხვა რელიგიის წარმომადგენლების, ოჯახის წევრებით ვაჭრობა, მათზე ყოველგვარი უფლების ქონა არის ჩვეულებრივი მოვლენა, რაც თავად ამ ქმედებების ობიექტებშიც არ აღძრავს მიუღებლობის გრძნობას და ისინი არ ცდილობენ თავი დააღწიონ ექსპლუატაციას.

– სოციალურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში ასევე ერთიანდება ყველა სხვა სოციალური მოვლენა, რაც გავლენას ახდენს დანაშაულობის მაჩვენებლებზე, როგორცაა ქალთა ემანსიპაციის ხარისხი, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

ეკონომიკურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში, რომლებიც მეცნიერთა აზრით წარმოადგენენ მიგრაციის და ტრეფიკინგის მთავარ მიზეზს,[32, 12] შეიძლება მოვიხსნათ:

– იაფ მუშახელზე მოთხოვნა – მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში ბოლო პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ გამოიწვია სამუშაო ბაზარზე ისეთი ვაკანსიების გაჩენა, რომელთა დაკავებასაც ადგილობრივი მოსახლეობა არ თანხმდება, რასაც აქვს მრავალი საფუძველი, მათ შორის შეიძლება დასახელდეს: სამუშაოს არაპრესტიჟულობა, სამუშაო პირობების სიმძიმე, სამუშაოს მძიმე გრაფიკი, ზოგ შემთხვევაში კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეთათვის სახელმწიფოს მიერ უმუშევრობის სოციალური დაცვის მექანიზმებით მიღებული დახმარება მოქალაქეთათვის უფრო სარფიანია, ვიდრე კონკრეტულ სამუშაო ადგილიდან მიღებული შესაძლო შემოსავალი, მაგრამ ამგვარი სამუშაოს შესრულება მაინც აუცილებლობას წარმოადგენს, რისთვისაც ამ სახელმწიფოებში ხდება დარიბი ქვეყნებიდან ნაკლებ-პრეტენზიული მუშახელის ლეგალური იმპორტი ან ასეთ საქმიანობაში ჩაბმულ არალეგალურ მუშახელზე თვალის დახუჭვა – სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არ რეაგირება.

– სპეციალურ კვალიფიკაციის მუშახელზე მოთხოვნა – ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (ძირითადად არალეგალურ სფეროში) ისეთი ვაკანსიების და სამუშაოების არსებობა, რომელთა შესრულებაც მხოლოდ გარკვეული კვალიფიკაციის და ცოდნის პიროვნებებს შეუძლიათ და სადაც ასეთი კვალიფიკაციის ადამიანების დეფიციტია (მაგალითად: ნარკობიზნესში ქიმიკოსების, ძვირფას ნაკეთობების ბიზნესში იუველიერების, არალეგალურ ორგანოთა ტრანსპლანტაციაში ქირურგების და ა.შ.)

ძირითადად ეს სამუშაოები თუ მომსახურება მაღალანაზღაურებადია და შესაბამისად მეტად მიმზიდველია არალეგალურად მომუშავე ორგანიზაციებისთვის და ადამიანით მოვაჭრეთათვის. ამ შემთხვევაში მოიაზრება ასევე ადამიანის ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია, რაც პიროვნების დატყვევების პირობებში მარტივად შესასრულებელია.

– ადამიანთა ტრეფიკინგში ჩართული ორგანიზაციებისთვის თავად ამ საქმიანობისგან უზარმაზარი მოგების მიღების შესაძლებლობა, გამოვლენის და დასჯადობის დაბალი ხარისხით. ნარკოტიკების და იარაღის დანაშაულებრივი ბიზნესისგან განსხვავებით, სადაც პროდუქცია ერთჯერად რეალიზაციას ექვემდებარება და პროდუქტის გაყიდვით სრულდება, ადამიანთა ტრეფიკინგში მსხვერპლთა მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობაა და პიროვნება შემოსავლის წყაროს მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება წარმოადგენდეს. დამნაშავე ორგანიზაციებისთვის ასევე მარტივია არსებული ნარკო და იარაღის გადაზიდვისთვის შექმნილი მარშრუტების გადაკვალიფიცირება ადამიანთა გადასაზიდად. საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნებით ადამიანთა ტრეფიკინგს წელიწადში მილიარდ დოლარამდე შემოსავალი მოაქვთ დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის და ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება.[29, 2]

– ტრანსპლანტაციის ბიზნესში არსებული სასიცოცხლოდ აუცილებელ ორგანოებზე დიდი მოთხოვნა და შესაბამისი მიწოდების არ არსებობა. მაშინ როცა მდიდარი მომაკვდავი რეციპიენტები მზად არიან საჭირო ორგანოსთვის უზარმაზარი თანხები გაიღონ.

ორგანოთა დონორობის პრობლემას და მის როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოყენების ერთ-ერთ მიმართულებას ხაზს უსვამს არსებული სტატისტიკა, კერძოდ ორგანოთა გადაწერვის რიგში მყოფ ავადმყოფთა სიმრავლე, რომელთა რაოდენობამ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე 2009 წელს 100 000 პიროვნებას მიაღწია, მაშინ, როდესაც

ლეგალურ დონორთა რიცხვი (იმ პირთა რიცხვი, ვინც თანხმობა განაცხადა გარდაცვალების შემდეგ ორგანოთა დონორობაზე) წელიწადში 5-დან 8 ათასამდე ადამიანის ფარგლებში მერყეობს. 2010 წლისთვის ამერიკაში თირკმლის რიგში ჩამდგარ ავადმყოფისთვის შესაფერისი დონორი ორგანოს მოლოდინი საშუალოდ 10 წელიწადს შეადგენს, მაშინ, როდესაც ტრანსპლანტაციის რიგში მდგომი ავადმყოფის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 წელიწადს არ აჭარბებს, რაც ავადმყოფს სრულიად ბუნებრივად უბიძგებს სასურველი ორგანო ეძებოს არალეგალურ ბაზრებზე და ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით.[82]

– მსხვერპლის რეკრუტირებისთვის და ტრანსპორტირებისთვის საჭირო დანახარჯების დაბალი მაჩვენებლები, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით რეკრუტირების პროცესიდანაც დამნაშავეთათვის მოგების მიღების შესაძლებლობა, რაც მიმზიდველს ხდის ამ ბიზნესს. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მომავალი მსხვერპლი ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება დაზარალებული, რადგან მას უმეტეს შემთხვევაში ართმევენ ტრანსპორტირების, საბუთების და უცხოეთის ტერიტორიაზე დაპირებული დასაქმებისთვის გარკვეულ ანაზღაურებას, ასე რომ ძირითადად ისინი თავის რეკრუტირებას და ტრანსპორტირებას თვითონ აფინანსებენ, რადგან მოტყუების ან ფსიქოლოგიური იძულების მსხვერპლი ხდებიან.

სახელმწიფო-პოლიტიკურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიპოვოთ:

– სახელმწიფოს ნების არ არსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას – აღნიშნული დამახასიათებელი იყო 90-იანი წლების საქართველოს ხელისუფლებისათვის, რა დროსაც ქვეყნის მთავრობას, შეიძლება ითქვას, რომ არ ეცალა მიგრაციის პროცესების კონტროლისათვის, თავად იყო სხვა და სხვა მაფიოზური დაჯგუფების მონაწილეებისგან შემდგარი და შესაბამისად ხდებოდა ბრძოლა ხელისუფლების და მასთან ერთად უკანონო შემოსავლების ხელში ჩასაგდებად, ხოლო ადამიანთა



ტრეფიკინგის მსგავსი ქმედებები მათთვის შემოსავლის წყაროსაც კი წარმოადგენდა.

დღესდღეისობით, რატომღაც ბრძოლის სახელმწიფოს ნების არ არსებობა შეიძლება მივუსადაგოთ პროსტიტუციასთან მიმართებით ქვეყნის პოლიტიკას. ქვეყანაში მრავლად ფუნქციონირებს უკანონო სექს მომსახურების დაწესებულებები და კერძოდ მომუშავე პროსტიტუტები, რომლებზეც ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს აქვს, მაგრამ არ ხდება კანონის შესაბამისად მათი ფუნქციონირების აღკვეთა.

– სახელმწიფო-პოლიტიკური ადამიანთა ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირობა შეიძლება იყოს ასევე მთავრობის უსუსურობა – ანუ როცა ქვეყანაში არსებობს ბრძოლისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა, მთავრობას გააჩნია ნება შეებრძოლოს ამ მოვლენას, მაგრამ არ გააჩნია ფინანსური, მატერიალური თუ საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რათა განახორციელოს მიღებული კანონმდებლობა.

– კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები – აღნიშნული წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან პირობას, რაც საშუალებას აძლევს ტრეფიკინგით დაკავებულ ორგანიზაციებს კანონის გვერდის ავლით დაუსჯელად იმოქმედონ. ასევე აქვე იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის არაპარმონიულობა და მათ შორის ლავირების შესაძლებლობა ტრანსნაციონალური დაჯგუფებებისათვის, რომლებიც ასეთი ნაკლოვანებებით საზრდოობენ.

– კორუფცია – იგი წარმოდგება ამ მაღალშემოსავლიანი ბიზნესისთვის მეტად სასურველ მაპროვოცირებელ ელემენტად, რადგან ტრეფიკერებს ბიზნესის მაღალშემოსავლიანობის ხარჯზე შეუძლიათ იოლად მოისყიდონ კორუმპირებული ჩინოვნიკები და დაუსჯელად განახორციელონ მათი საქმიანობა, რაც სხვა შემთხვევებში მეტად სარისკო იქნებოდა.

– სახელმწიფო პოლიტიკურ მიზეზებში შეიძლება მოექცეს ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტები – როგორც ღია

საომარი დაპირისპირებები, ასევე მწვავე პოლიტიკური წინააღმდეგობები, რაც კავშირს და თანამშრომლობას გამორიცხავს დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის და საშუალებას აძლევს დამნაშავეთა საზოგადოებას იპოვონ თავშესაფარი მტრული ქვეყნების ტერიტორიაზე და იქედან დაუსჯელად მართონ დანაშაულებრივი ქსელი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს და რუსეთის დამოკიდებულება. რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა საქართველოდან გაქცეული დამნაშავეების თავმოყრა. მათზე იქ არავითარი სამართლებრივი რეაგირება არ ხდება მიუხედავად ინტერპოლით გამოცხადებული ძებნისა. ხოლო ისინი თავის მხრივ ცდილობენ საქართველოში არსებული კრიმინალური სამყაროს მართვას. ასევე ქართველი ეროვნების ადამიანები უმეტეს შემთხვევაში თავს გრძნობენ დაუცველად და განიცდიან შევიწროვებას რუსეთის ტერიტორიაზე.

ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება ვიგულისხმოთ:

– მგზავრობის გამარტივება – XXI საუკუნეში მანძილები შემცირდა როგორც არასდროს. თუ მეთექვსმეტე საუკუნემდე ატლანტიკის გადაცურვა წარმოუდგენელი იყო და მაშინდელი ტექნოლოგიებით ამას, დიდი სასიცოცხლო რისკის პირობებში, რამოდენიმე თვე დასჭირდებოდა, XXI საუკუნეში თბილისიდან ნიუ იორკამდე მგზავრობისთვის, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, 1 დღეც არაა საჭირო. ასევე აღსანიშნავია XXI საუკუნეში მგზავრობის სიიაფე და მგზავრთა კონტროლის დაბალი ხარისხი. ეს უკანასკნელი ნელ-ნელა უმჯობესდება 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ.

ავიაციის, საზღვაო ტრანსპორტის, რკინიგზის და სხვა თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების ფართო არჩევანი დიდ ასპარეზს უქმნით ადამიანთა უკანონოდ გადაყვანის მსურველთ.

– მობილური კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარება – მობილური ტელეფონების გამოგონებამ გაამარტივა კავშირები დანაშაულებრივი დაჯგუფების რგოლებს შორის, გაზარდა



მათი ოპერატიულობა და მოქნილობა, შესაბამისად საგრძნობლად გაართულა მათი გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა.

– ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება – აღნიშნული ადამიანების კონტროლის ახალ განზომილებას წარმოქმნის. აიოლებს ადამიანზე ინფორმაციის შეგროვებას, მათზე ყოველმხრივი კონტროლის დამყარებას და ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას. ამარტივებს არალეგალური საქონლის და მომსახურების რეალიზაციას, ინტერნეტ რეკლამის და ვაჭრობის ვირტუალური საშუალებების გამოყენებით. ელექტრონული ვაჭრობა მნიშვნელოვანი სეგმენტია, რადგან აქ ფართო საშუალებებია ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის მონაწილე მხარეების ანონიმურობის გარანტირებისთვის და შესაბამისად არალეგალური პროდუქციის რეალიზაციისთვის.

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოქმნა ადამიანთა ტრეფიკინგისთვის მიმზიდველი მომსახურებების გაწევის შესაძლებლობები, როგორცაა პორნო საიტები და ვირტუალური სექსუალური მომსახურების ნაირსახეობები, ასევე ვირტუალური ბორდელები, სადაც მომსახურებას სთავაზობენ რეალური პროსტიტუტები, და ყველა მსურველს შეუძლია რეალურად შეხვედრის პირობების შეთანხმება, აღნიშნული კარგად ფუნქციონირებს საქართველოშიც, რაზეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რატომღაც არ რეაგირებს ქართული სამართალდამცავი ორგანოები.

– ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიპოვოთ საზოგადოებაში აზრის - ინფორმაციის გავრცელების ზოგადად გამარტივება თანამედროვე ტექნოლოგიების უამრავი სიახლის მეშვეობით, რაც აიოლებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა შეგროვების ღონისძიებებს, ცრუ რეკლამების და ცრუ დაპირებების გავრცელების მეშვეობით, მათ შორის ტელევიზიის გამოყენებით.

– ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში ასევე მოიაზრება მაღალტექნოლოგიური ქირურგიული ოპერა-

ციების – სუროგატული დედობის, ორგანოთა და ქსოვილების გადანერგვების ჩატარების შესაძლებლობა – რაც წარმოუდგენელი იყო რამოდენიმე ათწლეულის წინ. ყოველწლიურად იზრდება იმ ორგანოთა ჩამონათვალი, რომლის გადანერგვაც შესაძლებელია. ასევე იზრდება ტრანსპლანტაციისთვის ამოღებულ ორგანოთა შენახვის გახანგრძლივების ტექნოლოგიები. ყველაფერი ზემოთაღნიშნული ზრდის ჯანსაღ ორგანოებზე მოთხოვნას, ხოლო ლეგალური დონორების სიმცირე და დიდი რიგები, რეციპიენტებს აიძულებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ორგანოებზე იზრუნონ სხვა არალეგალური გზების გამოყენებითაც, რაშიც მზად არიან გაიღონ უზარმაზარი სახსრები.

აღნიშნული მიზეზების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ქვეყნების მიხედვით მრავალი სიახლის და განსხვავების შეტანა შეიძლება. თვით სახელმწიფო თავის განვითარების ღონით განსახდევრავს მასში შესაძლო ტრეფიკინგული ქსელის რაობას და თვით სახელმწიფოს განვითარების, ეკონომიკური წარმატების მაღალი დონეც არ წარმოადგენს გარანტიას ტრეფიკინგისგან დაცულობისა და მხოლოდ ცვლის მის სახეს, თუ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი ორგანიზაციები მსხვერპლთა რეკრუტირებით არიან დაკავებული, განვითარებულ ქვეყნებში ისინი ძირითადად რეალიზატორ-ექსპლუატატორებად გვევლინებიან და შეიძლება ითქვას, უფრო მძლავრ – გამძლე ორგანიზმად ყალიბდებიან.

ყველა ზემოთჩამოვლილი ელემენტი წარმოადგენს ზოგადად ადამიანთა მიგრაციის და ტრეფიკინგის მაპროვოცირებელ ელემენტებს. მეცნიერთა უმრავლესობა ამ ელემენტების სისტემატიზაციისას ემხრობა ეგრეთწოდებულ „push –pull“ თეორიას და შესაბამისად განაცალკევებს ერთმანეთისგან იმ ფაქტორებს, რომლებიც წარმოსდგებიან როგორც ქვეყნის დატოვების მაპროვოცირებელ ერთეულებად - „push factors“ და იმ ფაქტორებს, რომლებიც იზიდავენ მათ კონკრეტულ მიმღებ სახელმწიფოებში გამგზავრებისკენ - „pull factors“.[38, 22]

ფაქტორებს, რომლებიც წარმოსდგებიან როგორც ქვეყნის დატოვების მაპროვოცირებელ ერთეულებად, წარმოადგენენ: „დემოგრაფიული ზრდა, დაბალი ცხოვრების სტანდარტები, არასაკმარისი ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკური შეზღუდვები.“[38, 22] რეალურად ეს ფაქტორები გაერთიანებული არიან, ასე ვთქვათ, მონუსხულ ჯაჭვში, განაპირობებენ რა ერთმანეთს. ასე მაგალითად დემოგრაფიული ზრდა იწვევს რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირებას, რაც მოიცავს ყველაფერს საცხოვრებელიდან დაწყებული, წყლის რესურსით, საკვებით და დასაქმების შესაძლებლობით დამთავრებული და შესაბამისად იწვევს ცხოვრების სტანდარტების და ეკონომიკური შესაძლებლობების დაქვეითებას, რაც თავის მხრივ იწვევს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, რათა შეინარჩუნოს ხელისუფლება. მეორე მხრივ ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიული პოლიტიკა იწვევს საერთაშორისო ინვესტიციების შემცირებას და შესაბამისად ეკონომიკის და ცხოვრების სტანდარტების დაცემას.[27, 6]

რაც შეეხება ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ემიგრანტისთვის კონკრეტულ მიმღებ სახელმწიფოს მიმზიდველობას, ესენია: „მოთხოვნა მუშა ხელზე, ხელმისაწვდომობა მიწაზე, კარგი ეკონომიკური შესაძლებლობების არსებობა და პოლიტიკური თავისუფლებები“.[38, 22]

მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ პიროვნება მიგრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს უბრალო დაკვირვებით მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს და სასურველ, დანიშნულების სახელმწიფოს შიგნით არსებული ვითარების შედარებით, იმ მოგება დანახარჯის ანალიზით თუ როგორი ეკონომიკური შედეგების მომტანი იქნება მისთვის გამგზავრება და რას მოეღოს დარჩენის შემთხვევაში. ხოლო ტრეფიკინგის პირობებში ანალიზს აკეთებს არა მხოლოდ მსხვერპლი, რომელსაც ჰგონია, რომ მიგრაციაში ერთვება, არამედ ტრეფიკიორიც, რომელიც ანგარიშობს, ღირს თუ არა კონკრეტულ შემთხვევა-

ში ტრეფიკინგის განხორციელება, რა მატერიალური შედეგების მომტანი იქნება და რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება იგი.

თავად ტრეფიკიორის ქცევასაც განაპირობებს რიგი ფაქტორები, როგორცაა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და დაბალი ხელფასები, რომლებიც მომხიბვლელს ხდის ტრეფიკინგის განხორციელებას როგორც მაღალშემოსავლიან ბიზნესს ტრეფიკიორთათვის, ქვეყანაში კორუფციის მაღალი დონე, რომელიც ტრეფიკიორს უქმნის განცდას, რომ იგი შეძლებს მართლმსაჯულებიდან თავის დაღწევას.

და ბოლოს, შეჯამების სახით გვინდა ჩამოვთვალოთ ყველა ის ჰიპოთეზა, რომლებიც მოცემულია ადამიანის ტრეფიკინგის სხვადასხვა სახელმძღვანელოში და კვლევაში, როგორც ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირობები, ესენია:

ა) ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების მხრივ:

1) მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში უმუშევრობის ზრდის პირდაპირ-პროპორციულად იზრდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი;

2) ქვეყანაში ერთ სულზე გადაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებასთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი;

3) ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში ეკონომიკური უთანასწორობის ზრდასთან ერთად იმატებს მსხვერპლთა რაოდენობა;

ბ) ქვეყანაში დემოკრატიზაციის გავრცელების მხრივ:

1) ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარება იწვევს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის შემცირებას;

2) ქვეყანაში ქალთა უფლებების წინწამოწევა და გენდერული თანასწორობა იწვევს ტრეფიკინგის საფრთხის შემცირებას;

გ) სხვა მნიშვნელოვანი პირობები:

1) ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობასაც უკვე გააჩნია მჭიდრო მიგრაციული კავშირები ტრეფიკინგის მიმღებ სახელმწიფოს-

თან, არის უფრო მაღალი ვიქტიმურობა ტრეფიკინგის მხრივ, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კავშირები არ აღინიშნება;

2) ქვეყნებში, რომელთაც გააჩნიათ სახმელეთო საზღვარი ტრეფიკინგის დანიშნულების სახელმწიფოებთან, უფრო მეტია ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი, ვიდრე ისეთ სახელმწიფოებში, რომლებსაც სახმელეთო საზღვარი მსგავს სახელმწიფოსთან არ გააჩნიათ;

3) მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში კორუფციის დონის ზრდა იწვევს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის ზრდას;

4) მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოში კანონის უხეიანობის მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლება იწვევს ამ სახელმწიფოდან მსხვერპლთა რაოდენობის ზრდას;

5) ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი სავიზო კონტროლი მიმდებ სახელმწიფოსთან, წარმოადგენენ ნაკლებ რისკს მსხვერპლთა წარმოშობის მხრივ, ვიდრე ის სახელმწიფოები, ვისაც თავისუფალი მიმოსვლა აქვთ მსხვერპლთა დანიშნულების სახელმწიფოსთან.

## §2. ადამიანთ ვაჭრობის ობიექტების მიზნები და პირობები საქართველოში.

საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილია ზემოთხსენებული ადამიანთა ტრეფიკინგის მიზეზების და ხელშემწყობი პირობების უმრავლესობა, რომლებიც სხვადასხვა სიმწვავეთ დგანან საზოგადოების წინაშე და შესაბამისად სხვადასხვა ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ადამიანთა ტრეფიკინგის გავრცელებაზე. ამ მიზეზებიდან და ხელშემწყობ პირობებიდან შეიძლება გამოვყოთ:

– იძულებით გადაადგილებულ პირთა არსებობა - საქართველოში გვყავს იძულებით გადაადგილებულ პირთა უზარმაზარი მასა. 2009 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში

რეგისტრირებულია 258 000-ზე მეტი დევნილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს.[74]

– საომარი მდგომარეობა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან – საქართველო არის საომარ მდგომარეობაში რუსეთის ფედერაციასთან, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი და შესაბამისად ამ ტერიტორიებზე არსებული კრიმინოგენული ვითარება ყველანაირ ზღვარს გადაცილებულია, არის მრავალი ფაქტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველი ეროვნების ადამიანთა შევიწროებისა, წამებისა და ყოველგვარი არაჰუმანური მოპყრობისა, მათ შორის ტრეფიკინგის. 2010 წლის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მსოფლიო მასშტაბით ტრეფიკინგის შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი წარმოადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაციის ადგილს, სადაც ძირითადად თურქი წარმოშობის მსხვერპლთა ექსპლუატაციაა გამოვლენილი. ქართველობა ოკუპირებულ ზონებში უუფლებობას ნიშნავს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად, საქართველოში ლტოლვილთა საერთო რიცხვს ამ რეგიონებიდან კიდევ 26 000-მდე ადამიანი დაემატა. რუსეთში თავშესაფარი ჰპოვეს საქართველოდან გაქცეულმა კრიმინალებმა და იქედან ცდილობდნენ საქართველოს შიგნით არსებული ვითარების გაკონტროლებას და არევას. რუსეთის ხელი-სუფლება კი, არც კი ცდილობს ინტერპოლის საშუალებით ძებნილ პირთა დაკავებას და პირიქით, ახალისებს მათ.

– საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია უშუალოდ საზღვრისპირას, მაგრამ არა საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე და ჯერ კიდევ ბოლომდე გადაუწყვეტელი ორი რეგიონალური კონფლიქტი – მთიანი ყარაბაღის და ჩრდილო კავკასიური.

ჩენეთის ომის დროს საქართველო ბუნებრივად წარმოადგენდა ჩენური წინააღმდეგობისთვის მომარაგების კორიდორს,

რის გამოც საზღვრის მიმდებარე რეგიონში ფართოდ იყო გავრცელებული ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. აღნიშნული კონფლიქტების კვლავ გაღვივების შემთხვევაში ისინი ჩამოყალიბდებიან ადამიანთა ტრეფიკინგის და სხვა მიმემ დანაშაულის საზრდო წყაროდ, ასევე ბუნებრივად მოხდება რეგიონის ეკონომიკური სტაგნაცია, რაც თავის ნეგატიურ გავლენას კრიმინოგენულ ვითარებაზეც იქონიებს.

– საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარება – საქართველოს ეკონომიკა არ დგას შესაბამის დონეზე რათა დააკმაყოფილოს მოსახლეობის დასაქმების რაოდენობრივი მოთხოვნილება, ასევე დასაქმებულებს შესთავაზოს შესაბამისი ხელფასები.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიხედვით ქვეყანაში 2009 წელს აქტიურ მოსახლეობას, სამუშაო ძალას წარმოადგენდა 1 991 800 ადამიანი, მათ შორის დასაქმებული იყო 1 656 100 პირი, უმუშევარი იყო 335 600 მოქალაქე, რაც უმუშევრობის დონეს 16.9 პროცენტით განსაზღვრავდა და რაც საკმაოდ დიდი ციფრია.[იხ. დანართი 5]

რაც შეეხება ხელფასებს, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2008 წელს 534.9 ლარს შეადგენდა მაშინ, როცა 2007 წელს იგი მხოლოდ 368.1 ლარის დონეზე იყო და მეტიც 2006 წელს მხოლოდ 277 ლარს შეადგენდა.[იხ. დანართი 6] თუ შევხედავთ ხელფასების ზრდის დინამიკას აღსანიშნავია ხელფასების მატების მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენცია, რაც მისასაღებელია და განაპირობებს მოსახლეობის ქვეყნის დატოვების სურვილის შემცირებას.

არ უნდა დაგუკარგოთ სააკაშვილის ხელისუფლებას მიღწეული ეკონომიკური შედეგები, მან წინამორბედისგან განსხვავებით, შეძლო ქვეყნის ჩიხიდან დაძვრა, იგრძნობა ეკონომიკის გამოცოცხლება. ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მატება აშკარაა და 2006-2008 წლებში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 1763 აშშ დოლარიდან 2921 აშშ დოლარამდე გაიზარ-

და. ასევე გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მაჩვენებლები.[იხ. დანართი 7]

საქართველოში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებაზე მიუთითებს ასევე სხვა დემოგრაფიული მონაცემები, მაგალითად 2009 წლისთვის 2003-თან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია მოსახლეობის რიცხოვნობა და იგი შეადგენს 4 385 400 ადამიანს, რაც დაახლოებით 42 000 კაცით მეტია 2003 წლის მონაცემზე, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაც გაზრდილია და თუ 2003 წელს მათი რაოდენობა 46 194 ახალშობილს უდრიდა 2009 წელს უკვე 63 377 ახალშობილი გაჩნდა. ამავე პერიოდში გაზრდილია ასევე ქორწინებათა რიცხვი და თუ 2003 წელს 12 696 სამოქალაქო ქორწინება აღირიცხა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 31 752 ერთეულს უდრიდა. ამავე პერიოდში საკმაოდ გაზრდილია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუ 2000 წელს ეს მაჩვენებელი მამაკაცებისთვის 67.51 და ქალბატონებისთვის 74.98 წელს შეადგენდა, 2009 წელს დაბადებულთათვის იგივე მონაცემი მამაკაცებისთვის 69.28 და ქალბატონებისთვის 78.99 წლით განისაზღვრა.[75]

– მიგრაციული პროცესები – საგრძნობია ბოლო წლებში საქართველოდან იმიგრირებულთა რაოდენობა, ამასთან აღსანიშნავია იგივე პერიოდში ტენდენცია მათი რაოდენობის შემცირებისკენ, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ამ კრიზისის მიერ გამოწვეულმა უცხოეთში დასაქმების გართულებამ. მაგრამ საერთო ჯამში უარყოფითი სადღო კვლავ სახეზეა. თუ 2000 წელს საქართველო დატოვა 35 200 ადამიანი, 2005 წელს საქართველოში პირიქით დაბრუნდა 76 300 ადამიანი, ხოლო მომდევნო 3 წელიწადში საერთო ჯამში საქართველო დატოვა 43 000 პიროვნებამ.[75] რაც ამ წლებში დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას და 2008 წელს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებამ გამოიწვია.

– სახმელეთო საზღვრის არსებობა ტრეფიკინგის მიმდებარე სახელმწიფოსთან – თურქეთთან, რომელიც წარმოსდგება

საქართველოს მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ექსპლუატაციის ძირითად ქვეყნად. აღნიშნული ფაქტი ნათელი დადასტურებაა ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირობების შესახებ ზემოთმოყვანილი თეზისების, სადაც ნათქვამია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლუატაციის ქვეყანასთან სახმელეთო საზღვრის არსებობა ზდის ამ კონკრეტულ ქვეყანაში მსხვერპლთა რიცხვს და ასევე იგივე ეფექტი აქვს ასეთ ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლის არსებობას, რაც ასევე მტკიცდება საქართველო-თურქეთის მაგალითზე.

თურქეთის შემთხვევაში ასევე მოქმედებს თეზისი, რომ მიმღებ სახელმწიფოსთან კარგად ჩამოყალიბებული მიგრანტთა კავშირები ასევე ზრდის ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობას.

– სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებული შედეგები – საქართველოში ბოლო წლებში გაჩაღდა აქტიური ბრძოლა კანონიერი ქურდების და ორგანიზებულ დაჯგუფებების წინააღმდეგ, გამოცხადდა დამნაშავეთა მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რამაც გამოიწვია მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის ზრდა, თუ 2001 წელს საპატიმროებში იმყოფებოდა 7618 მსჯავრდებული, 2009 წლისთვის მათი რაოდენობა 21075-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია ქალ პატიმართა რაოდენობა, რომელიც იგივე პერიოდში 227-დან 967-მდე გაიზარდა, ხოლო არასრულწლოვანთა – 35-დან 260-მდე. მაგრამ განსხვავებით სხვა კატეგორიებისა, სადაც რიცხოვნება განუხრელად იზრდება ან პრაქტიკულად ერთ დონეზეა, არასრულწლოვნებში ასეთი პიკი იყო 2007 წელს, როდესაც საპატიმროებში 349 არასრულწლოვანი პატიმარი ირიცხებოდა და მას შემდეგ შეინიშნება შემცირების ტენდენცია.[75]

ხოლო, ამავე პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა თითქმის სამჯერ და თუ 2001 წელს 15 662 ერთეული დანაშაული იქნა ოფიციალურად რეგისტრირებული, 2009 წლისთვის ეს რიცხვი უკვე 35 949-მდე გაიზარ-

და. აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებულ დანაშაულთა პიკი მოდის 2006 წელზე, როდესაც 62 283 დანაშაული იქნა რეგისტრირებული.

საქართველოში რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი ტალღისებურად გამოიყურება. ერთი შეხედვით, ვინც საქართველოს მაშინდელ რეალობას არ იცნობს, შეიძლება იფიქროს, რომ 2003 - 2006 წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა კრიმინოგენულ რეგრესს, რაც ასე ნამდვილად არ არის. ყველაფერი ძალზედ მარტივად ასახსნელია, უბრალოდ 2003 წლამდე სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებული იყო კორუფცია და შესაბამისად არ ხდებოდა რეალურად მომხდარი დანაშაულობების აღრიცხვა. ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად ქვეყანაში ყველაფერთან ერთად მოხდა აღრიცხვიანობის გაუმჯობესება, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე დანაშაულობასთან ბრძოლა, შესაბამისად აღრიცხვიანობის გაუმჯობესება სწრაფად აისახა სტატისტიკაზე. ხოლო 2006 წლიდან უკვე გამოჩნდა ქვეყანაში გატარებული რეფორმების დადებითი შედეგები, რასაც მოყვა რეალურად დანაშაულობის შემცირება, რაც ძირითადად მძიმე დანაშაულზე აისახა.

სხვა მიზეზებთან ერთად, გამოვლენილ დანაშაულობათა ასეთი დინამიკა ნაწილობრივ განპირობებული იყო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც ძალაში შევიდა 2005 წლის მაისიდან და რომლებიც ითვალისწინებს მოკვლევის ორგანოების გაუქმებას და წინასწარი გამოძიების დაწყებას დანაშაულის ჩადენის მომენტიდან.

ციფრები ცხადყოფს ჩვენი ხელისუფლების ნებას აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროს მიმართ, რაც თავისთავად ადამიანთა ტრეფიკინგთანაც ბრძოლას გულისხმობს და მას აცლის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების სახით. მაგრამ მაინც რჩება ადგილი სპონტანურად და არასისტემატიურად მომუშავე მსხ-



ვერპლთა რეკრუტირებით დაკავებულ პირებისთვის, რადგან ისევე დიდია ქვეყნის დატოვების მსურველთა ნაკადი.

საქართველოს მოქალაქეთათვის ტრეფიკინგის მხრივ მთავარი რისკი არის ის, რომ რეკრუტირებული გახდეს არა საქართველოს ფარგლებში, არამედ უკვე საზღვრის გადალახვის შემდეგ, უცხო სახელმწიფოში, რადგან მათ არ აქვთ იქ ლეგალურად შრომის შესაძლებლობა.

– მოსახლეობის განათლების დონე – საქართველოში უმაღლეს განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უმაღლეს სასწავლებლებში 2008-2009 სასწავლო წელს ირიცხებოდა 100 000-მდე სტუდენტი ახალგაზრდა, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის (44 მილიონი) გათვალისწინებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრია.[75]

როცა განათლებაზე ვსაუბრობთ, იძულებული ვართ მოვიშველიოთ ამ ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ადამიანთა ტრეფიკინგის სწორი იდენტიფიკაცია ვერ მოახდინა.

– თანამედროვე ტექნოლოგიები – რაც შეეხება საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და მათ როლს ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებაში, უნდა ითქვას, რომ ტექნოლოგიებმა საგრძნობლად გააიოლეს აღნიშნული ტიპის დანაშაულის ჩადენა.

თანამედროვე კომუნიკაციების და ტრანსპორტირების საშუალებებმა აღმოფხვრა სირთულეები საქართველოდან მსოფლიო დედაქალაქებში მოხვედრის გზებზე, თბილისის აეროპორტიდან ყოველკვირეულად შესაძლებელია პირდაპირ, გადაჯდომების გარეშე, მსოფლიოს 30-მდე დიდი ქალაქში მოხვედრა, ამერიკის შეერთებულ შტატებში თბილისიდან 16 საათში მოხვდები, რაც 90-იან წლებში წარმოუდგენელი იყო.

საქართველო წარმოსდგა როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა მობილური ტექნოლოგიების დანერგვაში. ასევე

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ინტერნეტ ტექნოლოგიები, მათ შორის ინტერნეტ მაღაზიები და ელექტრონული ვაჭრობაც, რაც არალეგალური პროდუქციის და მომსახურების დაუსჯელად რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

ასევე ბოლო წლებში ჩვენ ქვეყანაში საგრძნობლად გაუმჯობესდა სატრანსპორტო ქსელის შესაძლებლობები, აღმოიფხვრა გზებზე არსებული განუკითხაობა და წარმოუდგენლად გამოსწორდა საგზაო ინფრასტრუქტურა. დღეს შესაძლებელია საქართველოს ერთი ბოლოდან მეორეში ისე მგზავრობა, რომ არ შეგხვდეს გზაზე არავითარი დაბრკოლება, გზაზე მდგარი ჩასაფრებული პოლიციელის თუ უგზოობის სახით, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო და შეიძლება ვინმემ ადამიანთა ტრეფიკინგისთვის ხელშემწყობ ფაქტორადაც დაგვისახელოს, რადგან მსხვერპლთა ფარულად და სწრაფად გადაყვანა უფრო გამარტივებულია.

ასევე გაუმჯობესებულია სხვა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურებაც, მათ შორის აღსანიშნავია ფოთის და ბათუმის საზღვაო კავშირები მსოფლიოს დიდ საპორტო ქალაქებთან.

– თანამედროვე ტექნოლოგიები და სამედიცინო სფეროს მიღწევები – შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მუდამ ცნობილი იყო როგორც ჯანდაცვის სფეროს განვითარების მხრივ დაწინაურებული სახელმწიფო. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა ამ სფეროს რეგრესი, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია მიდის სფეროს რეაბილიტაციის პროცესი. საქართველოში ისევე მოგვეპოვება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და ისევე ტარდება მნიშვნელოვანი ოპერაციები, მათ შორის ორგანოთა გადანერგვის. ასე რომ, სამედიცინო ბაზის, როგორც განათლების ისე ტექნოლოგიების მხრივ ასე თუ ისე კარგი მიღწევებით საქართველო შეიძლება ჩაითვალოს რისკ ჯგუფში ადამიანთა ტრეფიკინგის ამ მიმართულების შესაძლო გავრცელების მხრივ.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა ტრეფიკინგის უმთავრესი მიზეზი საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილის მძიმე სოციალური და მატერიალური მდგომარეობაა, რაც უბიძგებთ მათ ეძიონ სამუშაო ნებისმიერი პირობებით. ხშირად უმუშევრობა მოქალაქეებს ვითარების ლოგიკური განსჯის უნარს უქვეითებს და აბედინებს, შესაძლო და მოსალოდნელი საფრთხეების მიუხედავად, რისკზე წასვლას. შესაძლო ხიფათის არსებობის შესახებ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლთა განჭვრეტისთვის საკმაოდ ინფორმაცია და ცოდნა გააჩნიათ და ძალუძთ თავიდან აიცილონ ეს მოსალოდნელი დამღუპველი შედეგები.

ზემოთხსენებული დებულება დადასტურდა ამ ნაშრომთან დაკავშირებით ჩატარებულ საზოგადოების აზრის კვლევით, სადაც კითხვაზე თუ რა არის ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზი, გამოკითხულთა უმრავლესობამ უპასუხა – შესაძლო მსხვერპლის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

რაც შეეხება დამნაშავეთა სამყაროსთვის ამ ტიპის დანაშაულის ჩადენის ძირითად მოტივს, ამაღ გვევლინება მატერიალური მოგების მიღების შესაძლებლობა. თან, როგორც ცნობილია, ეს ბიზნესი მსოფლიო მასშტაბით მესამე ადგილზეა იარაღის და ნარკოტიკების უკანონო ბიზნესის შემდეგ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თუ ნარკოტიკი ერთჯერადი გამოყენების პროდუქტია, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანი, შეიძლება მრავალი თვეების და წლების მანძილზე გახადო შემოსავლის წყაროდ. ხოლო მომსახურების სახეობები, რომელიც შეიძლება მან გასწიოს, ძალზე მრავალფეროვანია, დაწყებული სექსუალური ექსპლუატაციიდან დამთავრებული სამხედრო კონფლიქტებში მონაწილეობით.

და ბოლოს, შევარდნაძის მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით საქართველოში დღეს-დღეისობით აღმოფხვრილია ადამიანთა ტრეფიკინგის გამომწვევი და ხელშემწყობი მრავალი პირობა, გაუმჯობესებულია ეკონომიკური ვითარება, გამკა-

ვრებულია საბაჟო კონტროლი, გაძნელებულია დოკუმენტების გაყალბება, გაუმჯობესებულია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, გაზრდილია დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმებულთა ხელფასები, შემცირებულია მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა, აღმოფხვრილია დიდი დანაშაულებრივი დაჯგუფებების პარპაში, გაზრდილია მოსახლეობის განათლების დონე და ინფორმირებულობა ტრეფიკინგის შესახებ, აღმოფხვრილია არაკონტროლირებადი და დაუმორჩილებელი რეგიონების პრობლემა (თუ არ ჩავთვლით ოკუპაციის ზონებს).

მოკლედ, ხელისუფლება აკეთებს, ჩვენი აზრით, შესაძლებლობის მაქსიმუმს, რათა აღარ იყოს საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეკრუტირების შესაძლებლობა. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება წინა თავში მოცემულ სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების უმრავლესობა, ალბათ მათ აქვთ შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რადგან ქვეყანაში ისევ ფართოდაა გავრცელებული პროსტიტუცია, რაზეც შესაბამისი რეაგირება არ ხდება და ყველამ იცის, სად შეიძლება მსგავსი მომსახურების მიღება, რაზეც სამართალდამცავი ორგანოები არ აკეთებენ სათანადო რეაგირებას. ასევე მოსაგვარებელია ქუჩის მათხოვრობის და მაწანწალების პრობლემა, რადგან ამ საქმიანობას აკონტროლებენ შესაბამისი საქმიანობით დაკავებული არალეგალური ორგანიზაციები თუ პირები, ვისაც აქვთ დაყოფილი ქალაქი კონტროლის ზონებად და შესაბამის სამათხოვრო ადგილებს ანაწილებენ ქუჩის მაწანწალებზე, ვისთვისაც ეს საქმიანობა შეიძლება სულაც არ იყოს გადარჩენისთვის აუცილებელი ერთადერთი სასიცოცხლო წყარო.

### **§3. პროსტიტუცია, როგორც ადამიანთა ვაჭრობის - ბრუნვის მიზეზი**

თანამედროვე საქართველოში პროსტიტუცია წარმოადგენს ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას, კერძოდ დანაშაულებრივი

საქმიანობის ეს მიმართულება გამოირჩევა სახელმწიფოს მხრიდან ხელშიშეკუთვნებით და მხოლოდ გამონაკლის - იშვიათ შემთხვევებში ხდება სამართალდამცავების მხრიდან მის წინააღმდეგ რაიმე სახის ქმედითი ღონისძიების გატარება.

პროსტიტუციის წინააღმდეგ საქართველოში გატარებული ბოლოდროინდელი ღონისძიებები ძირითადად სხვა მძიმე დანაშაულის გამოძიების პროცესში წამოჭრილ აუცილებლობის გამო უფრო გატარდა, როგორც ეს მოხდა გლდანში ცნობილი „როენას“ საროსკიპოს დახურვის დროს, რაც იქ მომხდარი ადამიანის გაუჩინარების ფაქტის გამო დადგა დღის წესრიგში საროსკიპოს დახურვა, ვიდრე რაიმე გეგმაზომიერი - დაგეგმილი და გააზრებული კამპანიის მსვლელობიდან გამომდინარე. პროსტიტუციაში ჩაბმულ დამნაშავეთა დასჯა მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით თუა შესაძლებელი, რაც პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემისთვის დასჯას გულისხმობს.[76]

საქართველოში პროსტიტუციის გავრცელება - პოპულარიზაციის ძირითად ხელშემწყობ პირობად, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოჩინდა. ინტერნეტის საშუალებით მარტივი გავრცელების გზები გაჩნდა პორნო-პროდუქციისთვის, დაინტერესების შემთხვევაში ყოველგვარი გადასახადების გარეშე იოლი ხელმისაწვდომია შესაბამისი ფოტო თუ ვიდეო პროდუქცია, რაც ინტერესს აღუძრავს დაუოჯახებელ პირებს, რათა რეალურადაც მიიღონ შესაბამისი მომსახურება. ასევე ინტერნეტის მეშვეობით, სპეციალიზირებული „ჩატების“ გამოყენებით შესაძლებელია ანონიმური კავშირის დამყარება ნებისმიერი მიმართულების სექს მომსახურების გამწვევ პირებთან, რაც მათ უადვილებს ამ სფეროში „მოღვაწეობას“.

პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით მეტად სარფიან ბიზნესად იქცა, განსაკუთრებით გავრცელდა ისეთ ნეგატიურ პროდუქციაზე მოთხოვნა, როგორიცაა ბავშვთა პორნოგრაფია, მაგალითად გერმანიაში ბავშვთა პორ-

ნოგრაფიის მომხმარებელთა რიცხვი შეფასებულია 30 000-დან 40 000 პიროვნებამდე, ხოლო ყოველწლიური შემოსავალი სავარაუდოდ 250 მილიონ დოლარს აღწევს. მსოფლიო მასშტაბით ბავშვთა პორნოგრაფიის ყველაზე დიდ ბაზრად მიჩნეულია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ბავშვთა პორნოგრაფიის გაყიდვების ყოველწლიური მოცულობა 6 მილიარდ დოლარს აღწევს – მხოლოდ ლოს-ანჯელესის ტერიტორიაზე პორნოგრაფიაში ექსპლუატირდება 30 000 ბავშვზე მეტი.[51, 147-157]

აქვე აღსანიშნავია ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების დამოკიდებულება სექსინდუსტრიისადმი. აღნიშნული ბიზნესის წარმომადგენლები შედიან ინტერნეტ ტექნოლოგიების უახლოესი მიღწევების მომხმარებელთა ხუთეულში, ისინი წარმოსდგნენ როგორც ინტერნეტის გავრცელების და ევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ელემენტები: „თუ გადაწყდა და ერთ დღეს აიკრძალა ინტერნეტით სექსის შემცველი პროდუქციით მანიპულირება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტი დაუბრუნდება წარსულს – როდესაც იგი მხოლოდ მეცნიერთა შორის ელექტრონული წერილების გაცვლის საშუალებას წარმოადგენდა“.[54]

პროსტიტუცია წარმოჩინდა, როგორც ფართოდ გავრცელებული და მოთხოვნადი მომსახურება საქართველოშიც, რაც განპირობებულია ძირითადად ეკონომიური გაჭირვებით, რომელიც სუსტი ნებისყოფის ქალბატონებს უქმნის ცდუნებას ჩაებას ამ მაღალანაზღაურებად საქმიანობაში და ასევე ტრადიციებით – უფრო კონკრეტულად კი ქალიშვილობის ინსტიტუტით. ქართული კულტურული ნორმების მიხედვით, სექსი ქორწინებამდე ამორალური აქტია და იგი ქალზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს. „ქალიშვილობის ტრადიცია“ აქ ჯერ კიდევ ბატონობს,[57, 125-170] რომელიც უბიძგებს ახალგაზრდა მამაკაცებს გამოიყენონ საროსკიპოების და ცალკე მომუშავე პროსტიტუტების მომსახურება, აღნიშნულ მოსახურებას ამტკიცებს ჩატარებული კვლევები, სადაც რეპროდუქტიული ასაკის (16 – 45 წელი) 2000

რესპოდენტი მდებარეობით სქესის წარმომადგენლიდან მხოლოდ 1.3%-მა განაცხადა, რომ ჰქონდა სექსუალური კავშირი გათხოვებამდე, ხოლო 2000-ზე მეტი რესპოდენტი გაუთხოვარი ქალიდან, მხოლოდ 12-მა თქვა, რომ სექსუალური გამოცდილება ჰქონია, მაშინ როცა გამოკითხულ მამაკაცთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ სექსუალური ცხოვრება ქორწინებამდეც აქვს.[57, 127-170] რაც ლოგიკურად მიუთითებს მათი მხრიდან სექს ინდუსტრიის მომსახურების გამოყენების ფაქტზე.

პროსტიტუცია წარმოადგენს ვენერიული სნეულებების გავრცელების ერთ-ერთ მთავარ წყაროს ნარკომანიასთან ერთად, რადგან მისი არალეგალურობიდან გამომდინარე არ ხდება იქ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა-კონტროლი.[22] რაც განსაკუთრებით ნეგატიურ მხარეს წარმოადგენს თუ გავითვალისწინებთ ახალგაზრდა თაობის მაღალ დაინტერესებას ამ მომსახურების მიღებით, რაც მათ სექსუალურ გაუნათლებლობასთან ერთად დაავადების გავრცელების მაღალ რისკს ქმნის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, მოსახლეობის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით, პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლენილ ავადმყოფთა რაოდენობას, წლების მიხედვით გააჩნია შემდეგი რაოდენობრივი სახე:

ათამანგით დაავადებულთა რიცხვი 2000-2003 წლებში 900-დან 1450 ერთეულამდე მერყეობდა, 2004 წლიდან ეს მაჩვენებელი 681 ერთეულიდან განუხრელად მცირდება და 2008 წლისთვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელამდე - 346 პაციენტამდე შემცირდა.

რაც შეეხება გონორეით დაავადებულთა გამოვლენილ მაჩვენებელს, მას ტალღისებური სახე გააჩნია: 2000 წელს გამოვლინდა 591 დაავადებული, 2001 წელს - 970, 2002 - 1614, 2003 - 832, 2004 - 935, 2005 - 1202, 2006 - 1235, 2007 - 720, 2008 - 684.

საინტერესოა, რა ახსნას უპოვიან მედიცინის მუშაკები ამ მეტად საინტერესო სტატისტიკას, ციფრების მკვეთრ განსხვავებას.

ფაქტია, რომ თითოეული დაავადებული რისკის ქვეშ აყენებს მის გარშემო მყოფთ და თუ ეს სტატისტიკა რეალობის ამსახველია, მაშინ მისასაღმებელია ბოლო წლების დაავადებულთა რაოდენობის შემცირების მკვეთრი დინამიკა.

რაც შეეხება ისეთ მომაკვინებელი დაავადების გავრცელების მაჩვენებლებს, როგორსაც აივით ინფიცირება და შიდსი წარმოადგენს, მონაცემებს აქვთ შემდეგი სახე:

2000 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 186 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 79 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 28 დაავადებული;

2001 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო უკვე 280 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 93 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 43 პირი;

2002 წლის ბოლოსთვის გამოვლენილი იყო 375 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 95 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 54 დაავადებული;

2003 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 475 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 100 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 75 დაავადებული;

2004 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 638 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 163 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 130 დაავადებული;

2005 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 880 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 242 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 191 დაავადებული;

2006 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 1156 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 276 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 244 დაავადებული;

2007 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 1500 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 344 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 321 დაავადებული;



2008 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო უკვე 1851 დაავადებული, მათ შორის ახალ შემთხვევას წარმოადგენდა 351 ერთეული, ამავე წელს გარდაიცვალა 433 დაავადებული;

როგორც ხედავთ, სტატისტიკა და შესაბამისად რეალობა ძალზედ შემაშფოთებელია, ამ დაავადებით ინფიცირების რეგისტრირებული შემთხვევები 9 წლის განმავლობაში 5-ჯერ გაიზარდა, ინფიცირებულ პიროვნებათა რიცხვი – 10-ჯერ, წლის მანძილზე გარდაცვლილ პირთა რიცხვი – 12-ჯერ და 2008 წლისთვის ამ დაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობამ გადააჭარბა ახლად გამოვლენილ დაავადებულთა რიცხვს. როგორც ხედავთ ყველა მონაცემებში არის განუხრელი და მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია, რაც შემაშფოთებელია.

რაც შეეხება უშუალოდ პროსტიტუტებში ამ დაავადებათა გავრცელებას, მსგავსი ტიპის კვლევა ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოვლინდა, რომ ქუჩის პროსტიტუტებში დაავადებათა გავრცელება რამდენადმე მეტია სხვა ტიპის პროსტიტუტებთან შედარებით. კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნევადის შტატის (ერთადერთი შტატი ამერიკაში სადაც პროსტიტუტია ლეგალურია) პროსტიტუტებს შორის, იმ ნაწილში, ვინც ბორდელებში მუშაობს, არცერთი აივ-შიდსით ინფიცირებული პირი არ აღმოჩნდა, მაშინ, როცა ქუჩის პროსტიტუტებში 6 პროცენტს აღმოაჩნდა ეს მომაკვდინებელი დაავადება. ხოლო ნიუ იორკში, ვაშინგტონში და ნიუარკში ჩატარებული კვლევით აღმოჩნდა რომ იქ მომუშავე პროსტიტუტების შესაბამისად 35, 50 და 57 პროცენტი ინფიცირებული იყო.[35, 21]

პროსტიტუტია ასევე იწვევს ადამიანში მორალური ფასეულობების რღვევას, მის გარიყვას ოჯახიდან და საზოგადოებიდან, რაც შემდგომში სხვა მძიმე დანაშაულობების მიზეზი ხდება.

არაოფიციალური მონაცემების მიხედვით თბილისში და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში კომერციულ სექს-მუშაკთა

რამდენიმე კატეგორია არსებობს და შესაბამისად მათი მომსახურების ფასებიც განსხვავებულია.

1. უმდაბლეს კატეგორიას ე.წ. „ქუჩის კომერციული სექს-მუშაკები“ წარმოადგენენ, რომლებიც ძირითადად ცენტრალურ ქუჩებზე, რკინიგზის სადგურებსა, სატრანზიტო გზებზე და სხვა ფართოდ გავრცელებულ ადგილებზე მუშაობენ; მათი ფასები მერყეობს 30-დან 70-ლარამდე საათში, მომსახურების სახეებიდან გამომდინარე;

2. „საშუალო“ კატეგორიას წარმოადგენენ სასტუმროებში, საუნებში, აბანოებში და სხვა დაწესებულებებში მომუშავე კომერციული სექს-მუშაკები, რომელთა ანაზღაურება საათში 100 – 150 ლარს შეადგენს;

3. „უმადლეს“ კატეგორიას გამოძახებით მომუშავე „ელიტარულ“ კომერციულ სექს-მუშაკებს უწოდებენ, რომელთა მომსახურებაც 100 დოლარიდან იწყება და რიგ შემთხვევებში შეიძლება საათში 300 დოლარსაც გადააჭარბოს;

საქართველოში კომერციული სექს-მუშაკების უმეტესობა (87.3%) აცხადებს, რომ ამ საქმიანობას ფინანსური გაჭირვების გამო ეწევა. მათი უმრავლესობისათვის, ეს სამუშაო საკუთარი თავისა და ოჯახების შესანახად საჭირო შემოსავლის ერთადერთი წყაროა. არსებობს რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც გათხოვილი ქალები არც თუ ისე გაჭირვებული ოჯახიდან, მეუღლეებს გამოექცნენ და ქუჩასა თუ საუნაში კომერციული სექს-მუშაკები გახდნენ. როდესაც მათ ეკითხებიან: „რა ხელფასი უნდა გქონდეთ, ამ საქმიანობას თავი რომ დაანებოთ“, ისინი საკუთარ ყოველთვიურ შემოსავალზე ბევრად უფრო დიდ თანხას ასახელებენ. ფსიქოლოგების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქუჩისაკენ სიღუბჭირე უბიძგებს, პროსტიტუტით დაკავების ახსნა, ძირითადად, პერსონალური პრობლემებით შეიძლება. კომერციული სექს-მუშაკების უმრავლესობა (236 (90.75%)) თვლის, რომ დროებითაა ამ საქმიანობაში ჩართული და გარკვეული თანხის მოგროვებისთანავე მას თავს დაანებებს (ან სხვა



სამსახურს იშოვის). 17.3 პროცენტი (19 მანდილოსანი) თვლის, რომ მხოლოდ დროებით (მცირე ხნით) არის ამ საქმიანობით დაკავებული.[77]

ქუჩასა და ბარ/საუნებში მომუშავე კომერციული სექს-მუშაკები ჩვეულებრივ, ღარიბი ოჯახებიდან არიან და მათ ხშირად სამ სულზე მეტი ადამიანის შენახვა უხდებათ. არსებული სტიგმის გამო კომერციული სექსმუშაკები მშობლიურ ქალაქებსა და რაიონებში არ მუშაობენ და საქართველოს სხვა რეგიონებში მიემგზავრებიან. ახალგაზრდა კომერციული სექს-მუშაკი, ვინც გარკვეული თანხის დაზოგვა შესძლო, ქვეყნის ტოვებს და საზღვარგარეთ მიემგზავრება. მრავალი მათგანი თურქეთში მიდის, ზოგი ევროპაში „მუშაობს“.[26, 89] სადაც ხდება ამ ორი ნეგატიური მოვლენის - პროსტიტუციის და ადამიანთა ტრეფიკინგის გადაკვეთა. რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ეს პირები უცხოეთში სექს ინდუსტრიაში ჩაბმისათვის მიმართავენ სხვადასხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, იყენებენ რა ამ პროსტიტუტების უფლებო მდგომარეობას, ახდენენ მათ ვიქტიმიზაციას. ასე ხდება ნებაყოფლობით პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის მსხვერპლად გადაქცევა.

იმის გარკვევა თუ რა ხარისხითაა წარმოდგენილი პროსტიტუციაში ჩაბმულ პირთა შორის ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა, ძალზედ რთული და შეუძლებელი ითქვას, რომ წარმოდგენილი ამოცანაა, რადგან ეს ორივე დანაშაულობა – პროსტიტუცია და ადამიანით ვაჭრობა ტრეფიკინგი – გამოირჩევიან მაღალი ლატენცურობით.

პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებს არ უყვართ და შეუძლებელი ითქვას, რომ აღიზიანებთ, როდესაც მათ უსვამენ კითხვებს და შესაბამისად თავს არიდებენ მათზე პასუხის გაცემას. ზოგიერთი მათგანი სოციალური სფეროს მუშაკებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, მოკლედ ყველა იმ ადამიანს, ვინც ცდილობს მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს, ან კვლევა აწარ-

მოოს, თავს არიდებს და მათი საქმიანობის სულ მცირე მინიშნებაზეც კი აგრესიით პასუხობს.[26, 88]

ასევე შეუძლებელია დაზუსტებით იმის გარკვევა თუ რით არიან დაკავებული საზღვარგარეთ არალეგალურად მომუშავე პირები, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთ არა აქვთ საშუალება კონტაქტი იქონიონ გარესამყაროსთან.

ასევე კომერციული სექს მუშაკებიც მაღავენ თავიანთი საქმიანობის სფეროს, რადგან ამის გამჟღავნება მათი ოჯახიდან და საზოგადოებიდან გარიყვის ტოლფასი ხდება. ამავე მიზეზით ის პირებიც კი, ვინც შეძლო და თავი დააღწია ტრეფიკინგს, ცდილობენ დამალონ წარსული სექსუალური ექსპლოატაციის არსებობის ფაქტი.

მიუხედავად მაღალი ლატენცურობისა, სავარაუდოა, რომ პროსტიტუცია წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის უპირველეს მამოძრავებელ ძალას და პირთა ექსპლოატაციის სფეროს, პროსტიტუტების მომსახურების ბაზარზე მაღალი მოთხოვნიდან, მაღალი ანაზღაურებიდან, და ბიზნესის არალეგალურობიდან გამომდინარე.

საქართველოსთვის უკანონო პროსტიტუციასთან ბრძოლისათვის, რაც თავის მხრივ დადებით ეფექტს იქონიებს ადამიანის ტრეფიკინგის შემცირების მიმართებითაც, წარმოადგენს ამ მოვლენის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა – ლეგალიზაცია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, პროსტიტუციის არალეგალურობა ქმნის ამ კონტაქტურ სფეროში სანიტარულ – ჰიგიენური ნორმების დაუცველობას და წარმოადგენს ვენერიულ სნეულებათა გავრცელების ბუდე. ამ ბიზნესის არალეგალურობა ასევე იწვევს მომსახურე პერსონალის – კომერციულ სექს მუშაკების - უფლებო მდგომარეობას, მათ აღურიცხაობას და ალბათ არალეგალურობიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტიც კარგავს მნიშვნელოვან სახსრებს, რომელიც საზოგადოების წინსვლის მაგივრად დანაშაულებრივ სამყაროს გაძლიერებას ხმარდება.

პროსტიტუციის ლეგალიზაციას საქართველოს რეალობაში აფერხებს რამოდენიმე მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, მათ შორის უპირველესია საქართველოს ხელისუფლების მოკრძალებული დამოკიდებულება ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მიმართ, რომელსაც საფუძვლიანად გააჩნია მაღალი ხარისხის მხარდაჭერა და პატივისცემა ქართული საზოგადოების მხრიდან.

საპატრიარქო, როგორც ცნობილია, მხარს ვერ დაუჭერს პროსტიტუციის ლეგალიზაციის იდეას მართლმადიდებლური დოგმატიკიდან გამომდინარე, ასე რომ ამ საქმიანობის ლეგალიზაცია გამოიწვევს სასულიერო მოღვაწეთა მხრიდან ფაქტის დაგმობას, რაც თავისმხრივ ნეგატიურად იმოქმედებს ასეთ გადაწყვეტილების მიმღებ ხელისუფლების რეიტინგზე საზოგადოებაში, აქედან გამომდინარე, არ ხდება ამ პროცესის დაძვრა.

ასევე საზოგადოებაში არსებობს ეჭვები, რომ თავად ეს ბიზნესი კონტროლდება არსებული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რომელთა ინტერესშიც არ შედის პროსტიტუციის ეკონომიკის ლეგალურ სფეროში გადაყვანა და შესაბამისად მათი საქმიანობის დაბეგვრა. ამ მოსაზრებას საფუძველს უქმნის სახელმწიფოს მხრიდან გატარებული აღმკვეთი ღონისძიებების სიმცირე იმ პირობებში, როცა ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამართალდამცავებმაც, კარგად იციან თუ სად მდებარეობენ ასეთი დაწესებულებები.

მოსახლეობის ერთი ნაწილის აზრით საჭიროა პროსტიტუციის არა ლეგალიზაცია, არამედ მკაცრი დასჯა-აღკვეთა, რაც, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით ხორციელდებოდა საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის დროს, როდესაც სახელმწიფოს შესწევდა ძალა გაეკონტროლებინა ყველა და ყველაფერი, თან იმ პერიოდში ტექნოლოგიები არ იყო განვითარებული ისე, როგორც ეს დღესაა, არ არსებობდა ინტერნეტი, ციფრული ვიდეოაპარატურა, მობილური კავშირგაბმულობა და სხვა მრავალი ტექნოლოგია, რაც იმ დროისთვის ერთიორად აიოლებდა

კონტროლის პროცესს. ხოლო დღესდღეისობით, როგორც ვხედავთ, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოშიც კი ყველაზე ფართოდაა გაგრძელებული როგორც ადამიანთა ტრეფიკინგი ისე პროსტიტუცია-პორნოგრაფია, თანაც იმ პირობებში, როცა ეს სახელმწიფო (ამერიკის შეერთებული შტატები) ამავედროულად წარმოსდგება როგორც ამ დანაშაულობების წინააღმდეგ მებრძოლი ლიდერი ქვეყანა.

## თავი IV – ადამიანით ვაჭრობა - ბრძოლაში და სახელმწიფო პოლიტიკა.

### §1. ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.

კონკრეტულად ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება აქტიურად მხოლოდ 1990 წლების ბოლოს დაიწყო, მაგრამ მიუხედავად ამ მცირე ვადისა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ მყისიერად შესძლო ჩამოეყალიბებინა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბაზა, რათა ქვეყნებს მოეხდინათ ტრეფიკინგთან ბრძოლის ურთიერთ კოორდინაცია და საერთო სტანდარტების დანერგვა.

საერთაშორისო მაშტაბით მოქმედ ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტების ძირითად წყაროებად გვევლინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროსაბჭოს და ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ მიღებული დოკუმენტები.

#### ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტები

მთავარ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც ეხება ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემას და აყალიბებს საერთაშორისო სტანდარტების ბაზისს, წარმოადგენს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია“ მიღებული 2000 წლის 15 ნოემბერს და ამ კონვენციის დამატებითი ოქმი – „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, მიღებული 2000 წლის 12 დეკემბერს.

აღნიშნული კონვენციის პირველივე მუხლში წერია, რომ მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანი თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კონვენციაში ასევე მოცემულია რომ მისი მიზანია -

აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლის სამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს ტრანსნაციონალური ხასიათის მქონე შემდეგი ქმედებები:

- 1) დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა;
- 2) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება;
- 3) კორუფცია;
- 4) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა;
- 5) მძიმე დანაშაულებები, თუ ეს დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით.[114]

როგორც ვხედავთ, სწორედ ამ მეხუთე მუხლის ჩარჩოებში ჯდება ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაული და შესაბამისად კონვენცია არეგულირებს მის წინააღმდეგ მსოფლიო თანამეგობრობის ბრძოლის კოორდინაციის საკითხებს.

კერძოდ, ჩამოთვლილ ქმედებებთან დაკავშირებით, კონვენცია სახელმწიფოებს უქმნის ჩარჩოებს – მიუთითებს თუ კონკრეტულად რა ქმედებები უნდა ისჯებოდეს სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით. კონვენცია ასევე სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა დანაშაულებრივად მოპოვებული ქონების კონფისკაცია და ყადაღა; იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა; სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო გადაწყვეტილება და სანქციები; იურისდიქცია კონვენციით მოცულ დანაშაულობებზე; სამართლებრივი ურთიერთდახმარება ქვეყნებს შორის; თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებს შორის; დამნაშავეთა ექსტრადიცია და სისხლის სამართლის პროცესუალური საკითხები.

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მკაცრად დასჯადი იყოს ყველა ის დანაშაული, რაზეც კონვენციაში არის საუბარი.

კონვენცია უშუალოდ არ ეხება ტრეფიკინგს, მაგრამ წარმოადგენს ფართო მასშტაბის დოკუმენტს, სადაც წარმოდგე-

ნილია თუ რა სტანდარტები უნდა დანერგონ და დაიცვან სახელმწიფოებმა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივად ისე საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ, რათა მოხდეს აღნიშნული ტიპის ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა და მისი პრევენცია. ეს სტანდარტებია:

პირველ რიგში კონვენცია განსაზღვრავს სტანდარტს თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა დანაშაული ტრანსნაციონალურად: მუხლი 3, პარაგრაფი 2. - დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს, თუ იგი:

1. ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში;
2. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში;
3. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; ან
4. ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება მეორე სახელმწიფოში.

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს. კონვენცია მიუთითებს, რომ მიუხედავად დანაშაულის ტრანსნაციონალურობისა, სახელმწიფოებს ეკრძალებათ ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩარევა: მუხლი 4.

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვით.

2. ამ კონვენციაში არაფერი არ ანიჭებს მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი იურისდიქცია და ფუნქციები, რომლებიც განეკუთვნება მხოლოდ ამ სახელმწიფოს ორგანოების კომპეტენციას ამ უკანასკნელის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს მოახდინონ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალ-

იზაცია. აქ მოცემულია სტანდარტები თუ რა უნდა იქნეს ამ მიმართულებით გათვალისწინებული სახელმწიფოების შიდა-კანონმდებლობით: მუხლი 5, პარაგრაფი 1.

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისათვის:

ა) ქვემოთ დასახელებულ ქმედებათაგან ერთ-ერთი ან ორივე დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის მიუკუთვნებლად და დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტობრივი ჩადენის მიუხედავად;

ი) ერთ ან რამდენიმე პირთან შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, და თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონმდებლობა, ასევე იგულისხმება ერთ-ერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივი განხორციელება შეთანხმების რეალიზაციისათვის, ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა;

იი) ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდიონოს შესაბამისი დანაშაულები, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს:

ა. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში;

ბ. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მიზნების მიღწევას;

ბ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.

კონვენცია მიუთითებს სახელმწიფოებს თუ რა უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათვორებად და შესაბამისად კრიმინალად: მუხლი 6, პარაგრაფი 1.

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ დანაშაულად იქნეს აღიარებული შემდეგი განზრახ ჩადენილი ქმედებები:

ა)(ი) წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის ჩადენის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას.

(იი) წინასწარი შეცნობის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.

ბ) საკუთარი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების დაცვის პირობით:

ი) ქონების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, იმის შეცნობით, რომ მისი მიღების მომენტისათვის, ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის გზით მიღებულ ქონებას.

იი) ამ მუხლში დადგენილი დანაშაულებების ჩადენის მიზნით შეკავშირება ან შეთანხმებაში მონაწილეობა, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მცდელობა და დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და დანაშაულის ჩადენის თაობაზე რჩევის მიცემა.

კონვენციაში მოცემულია სტანდარტი, თუ რა არის კორუფცია და რამდენად დასჯადი უნდა იყოს იგი: მუხლი 8, პარაგრაფი 1.

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების დანაშაულად გამოცხადებისათვის.

ა) საჯარო მოხელისათვის, პირდაპირ და არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება ან მინიჭება ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ, იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან;

ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა საჯარო მოხელის მიერ, პირადად ამ მოხელის ან სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის სასარგებლოდ იმისათვის, რომ ამ მოხელემ მისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან;

კონვენციაში მოცემულია მოთხოვნა, სტანდარტები და შემთხვევები თუ რას უნდა წარმოადგენდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა: მუხლი 10

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, თავისი სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დასაწესებლად იმ სერიოზულ დანაშაულებებში მონაწილეობისათვის, რომლებშიც ჩართულია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი და ამ კონვენციის მე-5, მე-6, მე-8 და 23-ე მუხლების შესაბამისად ასეთად მიჩნეულ დანაშაულებებში მონაწილეობისათვის.

2. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების დაცვის პირობით, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციული.

3. ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება ზიანს არ უნდა აყენებდეს დანაშაულებათა ჩამდენი ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.



4. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, ამ მუხლის შესაბამისად პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ უნდა უზრუნველყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ზემოქმედების მქონე სისხლისსამართლებრივი ან არასისხლის სამართლებრივი სანქციების, მათ შორის, ფულადი სანქციების გატარება.

ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ სტანდარტებისა, რომელიც მოცემულია ამ კონვენციით და ჩვენ იგი წარმოვადგინეთ კონვენციის მნიშვნელობის დემონსტრაციის მიზნით. როგორც ხედავთ, აქ ამომწურავად არის მოცემული კონკრეტული საკითხების იურიდიული გადაწყვეტა.

კონვენციით გადაწყვეტილი საკითხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რადგან როგორც ხედავთ, კონვენციით მოცული ყველა საკითხი (კორუფცია, იურიდიული პირების დასჯადობა, ტრანსნაციონალურობა, დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფები, დანაშაულის გზით მიღებული კონფისკაციაქმნილი შემოსავლების ან ქონების განკარგვა, იურისდიქცია, სამართლებრივი ურთიერთდახმარება და სხვა მრავალი) მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებიდან უშუალოდ ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს ქმნის ზემოთგანხილული „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის“ დამატებითი ოქმი – „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, რომლის მიღების მიზანი იყო:

1) ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა;

2) ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მათი უფლებების სრული პატივისცემით;

3) აღნიშნული მიზნების მისაღწევად მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების პროცესში აღნიშნული ოქმის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის, რომ აქ პირველად იყო მოყვანილი ადამიანთა ტრეფიკინგის საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე დეფინიცია, რომლის მიხედვითაც შეიქმნა და რომლის იდენტურია მრავალ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამკვიდრებული ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიცია.

საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების მხრივ ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დამატებით ოქმს შემოაქვს საერთაშორისო სტანდარტები ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლისთვის აუცილებელ მრავალ რეგულაციურ მიმართულებით, რათა მოხდეს ტრეფიკინგთან ბრძოლის ეფექტურობის, ერთიანობის და კოორდინაციის ამაღლება. ამგვარად, ოქმი ავალდებულებს სახელმწიფოებს:

1) მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რომლებიც აუცილებელია, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს ტრეფიკინგის ტიპის დანაშაულის ჩადენა, როგორც განზრახ, ისე მისი მცდელობა, თანამონაწილეობა და ასევე დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფორმირება;

2) დაიცვას ტრეფიკინგის მსხვერპლთა პირადი ცხოვრება და ვინაობა ტრეფიკინგთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონფიდენციალურობის ჩათვლით;

3) ტრეფიკინგის მსხვერპლთ შეუქმნან პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას, მათ უსაფრთხოებას, კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა დაზარალებულები უნდა უზრუნველყონ:

(ა) შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით;

(ბ) მათთვის გასაგებ ენაზე რჩევით და ინფორმაციით, განსაკუთრებით მათ სამართლებრივ უფლებებთან დაკავშირებით;

(გ) სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარებით;

(დ) დასაქმებით, განათლებითა და სწავლებით.

4) გაითვალისწინონ ისეთი საკანონმდებლო ან სხვა სათანადო ზომების მიღება, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში ტრეფიკინგის მსხვერპლთ მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად დარჩენის ნებას დართავს;

5) მოახდინონ ტრეფიკინგის მსხვერპლთა უსაფრთხო და დაუბრკოლებელი რეპატრაცია ყველა საჭირო პროცედურების უზრუნველყოფით;

6) შეიმუშაონ ამომწურავი პოლიტიკა, პროგრამები და სხვა ღონისძიებები ტრეფიკინგის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, განმეორებით მსხვერპლად ქცევისაგან დაცვის მიზნით; ამისათვის უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა კვლევითი საქმიანობა, საინფორმაციო და მასმედიის კამპანიები, სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები, საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები;

7) საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ინფორმაციის გაცვლა და შეიმუშაონ ისეთი ხარისხის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გაყალბება მარტივი არ იქნება;

8) გაატარონ საზღვრის კონტროლის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ტრეფიკინგის აღკვეთისა და გამოვლენისათვის;

9) სახელმწიფოების სამართალდამცავმა, საემიგრაციო და სხვა შესაბამისმა ორგანოებმა ითანამშრომლონ ინფორმაციის გაცვლის გზით.

10) სახელმწიფოებმა მოახდინოს სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება.

აღნიშნული კონვენცია და ოქმი წარმოადგენს ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის მთავარ, მაგრამ არა ერთადერთ სა-

შუალეხას გაეროს მასშტაბით, კერძოდ გაერომ 2000 წელს მიიღო „ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი: ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, რადგან მსგავსი ქმედებები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ინტერნეტ ტექნოლოგიების გავრცელებასთან ერთად.

ოქმში მოცემულია ზემოთხსენებული ტერმინების დეფინიციები, არის მოწოდება ქვეყნებისადმი, რომ აკრძალონ და ებრძოლონ მსგავს ქმედებებს არასრულწლოვანთა მიმართ. აგრეთვე მიიღონ საჭირო ზომები, რათა სათანადოდ იქნას დაცული არასრულწლოვანის უფლებები გამოძიების პერიოდში, გამომდინარე მათი სპეციფიკურობისა.

ოქმის მეორე მუხლი გვამცნობს, რომ:

(ა) ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფის ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად;

(ბ) ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად;

(გ) ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვა და სხვა საშუალებებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვას ძირითადად სექსუალური მიზნებისათვის.

ოქმის მესამე მუხლი ქვეყნებს ავალდებულებს:

1. თითოეული მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოს ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართალთან ან პენიტენციურ სამართალთან შემდეგი ქმედებების შესაბამისობას, იმის და მიუხედავად, ჩადენილია თუ არა დანაშაული ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ, ერთი პირის თუ ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

(ა) მე -2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვებით ვაჭრობა;  
(ი) ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაეცემა ან მიღება შემდეგი მიზნებისათვის:

- ა. ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია;
- ბ. ბავშვის ორგანოების გადაცემა ანაზღაურების მისაღებად;
- ც. ბავშვის გამოყენება იძულებით სამუშაოებზე;

(იი) შეიღობა აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევით ბავშვის შეიღობა აყვანისათვის შუამავლის იძულებითი თანხმობის უკანონოდ მოპოვება;

(ბ) მე -2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის შეთავაზება, მიღება, მიწოდება ან ბავშვებით უზრუნველყოფა პროსტიტუციის მიზნით:

(გ) მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გადანაწილება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან შენახვა ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის;

2. მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად ანალოგიური ზომები გამოიყენება ნებისმიერი აღნიშნული ქმედების ჩადენის მცდელობის მიმართ ან ნებისმიერ აღნიშნულ ქმედებაში თანამონაწილეობის ან მონაწილეობის მიმართ.

3. თითოეული მონაწილე სახელმწიფო ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულისათვის შესაბამის სასჯელს მისი სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე.

4. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებს ზომებს მოცემული მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევისათვის იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად იურიდიულ პირთა ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

4. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა სათანადო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვის შეიღობა აყვანის საქმეში მონაწილე ყველა პირი მოქმედებდეს სათანადო საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ოქმში ასევე გაწერილია ქვეყნების ურთიერთდახმარების, დამნაშავეთა ექსტრადიციის, ყადაღა-კონფისკაციის, სასამართლო წარმოების ნიუანსების რომლებიც ეხება ბავშვთა ვაჭრობის ფაქტებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ 2006 წლისათვის მოახდინა ამ სამივე გაეროს დოკუმენტის რატიფიცირება და ქართული კანონმდებლობა სრულიად შეესაბამება აქ მოყვანილ დებულებებს.

#### **ბ) ევროსაბჭოს სტანდარტები**

გაეროს კონვენციების გარდა, ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების მხრივ, ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია 2005 წლის 16 მაისს მიღებული და საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 22 დეკემბერს რატიფიცირებული, ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

კონვენციის მიერ საერთაშორისო საზოგადოებისთვის მოტანილი სარგებლობა, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ კონვენცია ადასტურებს, ადამიანებით უკანონო ვაჭრობა ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს, აგრეთვე ხელყოფს ადამიანის ღირსებას და ხელშეუხებლობას, ამიტომ ყველა მისი მსხვერპლისთვის აუცილებელია მეტი დაცვის უზრუნველყოფა, კერძოდ საჭიროა მსხვერპლთა დაცვისკენ მიმართული ზომებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით მოქმედების გაძლიერება.

კონვენცია ვრცელდება ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმაზე, იმისდა მიუხედავად ის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს

ფარგლებში ხორციელდება თუ გააჩნია ტრანსნაციონალური ხასიათი და არის თუ არა ის დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან, რაც განასხვავებს მას გაეროს კონვენციიდან.

ევროპის საბჭოს კონვენცია აღიარებს ტრეფიკინგის პრობლემის სიმწვავეს და ყოვლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობას.

კონვენციის მიზნებია: გენდერული თანასწორობის პირობებში და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გარეშე - ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვა, მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვისა და დახმარების კომპლექსური სისტემის შექმნა, ეფექტური გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფა, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

კონვენცია ავალდებულებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ ეფექტური პოლიტიკა და პროგრამები ადამიანებით ვაჭრობის პრევენციის და მოთხოვნის შესუსტების მიზნით, ისეთი საშუალებების გამოყენების გზით, როგორცაა: კვლევა, ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება და საგანმანათლებლო კამპანიები, სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები და სასწავლო პროგრამები, სასაზღვრო, დოკუმენტაციის უსაფრთხოების, კონტროლის, კანონიერების და ნამდვილობის მექანიზმები. აქ მოცემულია ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოები სახელმწიფოთათვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტურად სამოქმედოდ და განსაზღვრულია თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პროცედურების და მსხვერპლთა დაცვის კუთხით, მაგალითად:

– სახელმწიფოთათვის შიდა კანონმდებლობაში გასათვალისწინებლად სავალდებულოა მსხვერპლთათვის ზეგავლენის დაძლევისა და გამორკვევის 30 დღიანი პერიოდის მიცემა, რათა

მან დასძლიოს და თავი დააღწიოს ტრეფიკიორთა ზეგავლენას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობის შესახებ; (მუხლი 13)

– თითოეული მონაწილე მსხვერპლის სახელზე ვალდებულება გასცეს ცხოვრების ნებართვა; (მუხლი 14)

– თითოეული მონაწილე უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთათვის, მათ მიერ კომპეტენტურ ორგანოებთან ურთიერთობის დამყარებისთანავე, ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე შესაბამისი სასამართლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმის წარმოების შესახებ. თითოეული მონაწილე თავის შიდა კანონმდებლობაში გაითვალისწინებს მსხვერპლთა უფლებას მიიღონ იურიდიული დახმარება და უფასო იურიდიული კონსულტაცია თავისი შიდა კანონმდებლობის პირობათა შესაბამისად. თითოეული მონაწილე თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინებს მსხვერპლთა უფლებას მიიღონ კომპენსაცია დანაშაულის ჩამდენ პირთაგან. თითოეული მონაწილე მიიღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნას მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდა თავისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მსხვერპლთა საკომპენსაციო ფონდის შექმნის ან ისეთი ზომების ან პროგრამების განხორციელების გზით, რომლებიც მიზნად ისახავს მსხვერპლთათვის სოციალური დახმარების გაწევასა და მათ სოციალურ ინტეგრაციას; (მუხლი 15)

– მონაწილე, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს მსხვერპლი ან რომლის ტერიტორიაზეც ამ პირს ჰქონდა მუდმივად ცხოვრების უფლება მიმღები მონაწილის ტერიტორიაზე შესვლის დროს, ხელს შეუწყობს ამ პირის დაბრუნებას არამართებული ან უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე. პირის უფლებების, უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით; (მუხლი 16)

– თითოეული მონაწილე განიხილავს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომების გატარების შესაძლებლობას, რომელიც

აუცილებელია, რათა თავის შიდა კანონმდებლობაში სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ხორციელდება წინასწარი შეცნობით იმისა, რომ ეს პირი ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლია; (მუხლი 19)

– თითოეული მონაწილე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც აუცილებელია, რათა ქმედებები გამოცხადდეს სისხლის სამართლის დანაშაულად, იმ შემთხვევაში თუ ისინი ჩადენილია განზრახ და ადამიანებით ვაჭრობის განხორციელების მიზნით:

ა) მგზავრობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაყალბება;

ბ) ასეთი დოკუმენტის მოპოვება ან მიწოდება;

გ) სხვა პირის მგზავრობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მითვისება, მოშორება, დამალვა, დაზიანება ან განადგურება; (მუხლი 20)

– თითოეული მონაწილე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად დადგენილი დანაშაულებისთვის სასჯელის განსაზღვრისას, შემდეგი სახის გარემოებები მიჩნეულ იქნას დამამძიმებელ გარემოებებად:

ა) დანაშაული განზრახ ან უხეში დაუდევრობით საფრთხეში აგდებდა მსხვერპლის სიცოცხლეს;

ბ) დანაშაული ჩადენილ იქნა ბავშვის წინააღმდეგ;

გ) დანაშაული ჩადენილ იქნა საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს;

დ) დანაშაული ჩადენილ იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის ფარგლებში. (მუხლი 24)

– თითოეული მონაწილე თავისი სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლთ არ დაეკისროს სასჯელები კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში მონაწილეობის გამო, იმ შემთხვევაში თუ ისინი იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ. (მუხლი 26)

– თითოეული მონაწილე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიება ან მათთან დაკავშირებით სამართლებრივი დევნის განხორციელება არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე ან მის მიერ გაკეთებულ საბრალდებო განაცხადზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილ იქნა მის ტერიტორიაზე. (მუხლი 27)

ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ სტანდარტებისა რასაც გუთავაზობს ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და საკმარისია იმის საჩვენებლად თუ რა ყოვლისმომცველი, კონკრეტული და აუცილებელია ამ დოკუმენტის მიერ შემოღებული სტანდარტები.

აქვე მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტის მეორე ასევე დადებითი მხარის გაუღერება, კერძოდ: კონვენცია აყალიბებს მონაწილეთა მიერ ზემოთხსენებული სტანდარტების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმს ექსპერტთა ჯგუფის სახით (შემდგომში GRETA), 10 – 15 წევრის შემადგენლობით, რომელთაც აირჩევენ 4 წლის ვადით წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებიდან.

GRETA-ს წევრები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეაფასებენ რაუნდებად, სპეციალურად შედგენილი შეფასების პროცედურების და შეფასების ნორმების მიხედვით, რომლებსაც თავად განსაზღვრავენ. შეფასების თითოეული რაუნდისათვის GRETA-ს შეუძლია შეადგინოს კითხვარი, რომლის საფუძველზეც მოხდება მონაწილეთა მიერ წინამდებარე კონვენციის განხორციელების შეფასება. ასეთი კითხვარი მიეწოდება ყველა მონაწილეს. მონაწილეები შეავსებენ კითხვარს, ამავე დროს ისინი შეასრულებენ GRETA-ს ნებისმიერ მოთხოვნას ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. GRETA-ს ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებისაგანაც, მოაწყოს ვიზიტები კონკრეტულ სახელმწიფოებში ადგილზე ვითარების გასარკვევად.



ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე GRETA მოამზადებს ანგარიშის პროექტს, რომელიც შეიცავს იმ დებულებათა განხორციელების ანალიზს, რომელთა მიხედვითაც შედგენილია შეფასება და ასევე წინადადებებსა და მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაჭრას ქვეყანამ მის წინაშე მდგარი პრობლემები. ანგარიშის პროექტი კომენტარისათვის გადაეცემა იმ სახელმწიფოს, რომელიც გადის შეფასებას. ამ კომენტარების გათვალისწინებით GRETA შეადგენს ანგარიშს, სადაც გააკეთებს დასკვნებს შესაბამისი მონაწილის მიერ წინამდებარე კონვენციის დებულებათა განხორციელების მიზნით გატარებული ზომების შესახებ. ეს ანგარიში და დასკვნები გადაეგზავნება შესაბამის სახელმწიფოს და კომიტეტს. GRETA-ს ანგარიში და დასკვნები საჯაროა მათი დამტკიცებისთანავე, შესაბამისი ქვეყნის საბოლოო კომენტარებთან ერთად.

მონაწილეთა კომიტეტს შეუძლია განხილული ქვეყნისთვის მიიღოს რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება GRETA-ს დასკვნის განხორციელებისათვის საჭირო ზომების მიღებას და აუცილებლობის შემთხვევაში, ამ დასკვნების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების თარიღის დადგენას და მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობას.

2010 წლისთვის მოხდა GRETA-ს სათათბიროს სამი შეხვედრა, რომლებზეც მოხდა ქვეყნების შეფასებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შეჯერება. დაიწყო GRETA-ს ფარგლებში ქვეყნების შეფასების პირველი რაუნდი, რისთვისაც 2010 წლის თებერვლის თვეში ევროპის 10 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, გაეგზავნა შესავსებად კითხვარები, რომელთა პასუხის გასაცემად მიეცა ვადა 2010 წლის პირველ სექტემბრამდე. კითხვარი მოიცავს 55 კითხვას ტრეფიკინგის დანაშაულის ყველა საკითხს ირგვლივ. კითხვარი ასევე მოითხოვს დანაშაულის ირგვლივ სტატისტიკურ მონაცემების მიწოდებას.[94]

GRETA-ს ეგიდით, 2010 წლისთვის, ჩატარებულია 2 საერთაშორისო კონფერენცია, სადაც სხვებთან ერთად მონაწილეობა

მიიღეს საქართველოს წარმომადგენლებმა. კერძოდ, 2006 წელს ათენში მოეწყო რეგიონალური კონფერენცია, ხოლო 2007 წელს ერევანში მოეწყო რეგიონალური სემინარი ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ზომების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა. მათ მონაწილეებს გააცნეს საქართველოში არსებული მდგომარეობა ტრეფიკინგის კუთხით.

### გ) ამერიკის შეერთებულ შტატების სტანდარტები.

საერთაშორისო დონეზე ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტების ჩამოყალიბების მხრივ აღსანიშნავია ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა. შტატების მიერ გატარებული პოლიტიკა მართალია არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს და არ არის ვალდებულება, რომ სხვა სახელმწიფოებმა იხელმძღვანელონ მის მიერ შემუშავებული მეთოდებით, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური გავლენის და ეკონომიკური ბერკეტების გათვალისწინებით სხვა სახელმწიფოები გარკვეულწილად იძულებული არიან გაითვალისწინონ აშშ-ს დამოკიდებულება და შეასრულონ მათ მიერ წაყენებული მოთხოვნები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აშშ იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, ვინც აღიარა ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის წარმატებისათვის საერთაშორისო ძალისხმევის მნიშვნელობა, რის გამოც აშშ-ში 2000 წელს მიიღეს „ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის აქტი 2000“, რომელშიც პერიოდულად – ფისკალური წლების მიხედვით ხდება დამატებების შეტანა სპეციალური კანონის მეშვეობით, რაც განხორციელდა 2003, 2005 და 2008 წლებში.

ამ აქტით აღიარებულ იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევები და სახელმწიფოს მიერ მათი დახმარების ვალდებულება. რაც მთავარია, აქტი აღიარებს ტრეფიკინგის საფრთხეს და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცი-

ლებლობას არა მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე, არამედ იგი ქმნის გარკვეულ შეფასების და დახმარების სისტემას მსოფლიო მაშტაბით.

ამ აქტის შესაბამისად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში შეიქმნა ტრეფიკინგთან ბრძოლის და მონიტორინგის სამსახური. რომლის მიზანია ტრეფიკინგთან ბრძოლის საშუალებების და მეთოდების შემუშავება და ასევე მსოფლიო მაშტაბით არსებული მდგომარეობის გაანალიზება.

ეს სამსახური აწარმოებს მსოფლიოს სახელმწიფოების ყოველწლიურ შეფასებებს, მათ მიერ გაწეული რეფორმების, მიღებული შედეგების და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რის მიხედვითაც ადგენს რეიტინგულ ცხრილს და აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს ტრეფიკინგის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ორმაგი დანიშნულების ხელსაწყოს, იგი წარმოდგინდება, როგორც ერთგვარი წამახალისებელი, ბიძგის მიმცემი ინსტრუმენტი, რათა სახელმწიფოები ეცადონ დაწინაურდნენ და მოხდნენ მაღალი შედეგების მქონე სახელმწიფოთა რიცხვში და შესაბამისად მიიღონ მატერიალურ-ტექნიკური თუ სხვა სახის დახმარება აშშ-ს მხრიდან. ხოლო მეორე-მხრივ აღნიშნული დოკუმენტი არის დიპლომატიური, პოლიტიკური ხეწოლის საშუალება რათა ამერიკის მთავრობამ მოახდინოს არადაამაკაყოფილებელ შედეგების მქონე სახელმწიფოებზე გავლენა, იქ ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ სადაოა მათ მიერ გამოყენებული ხეწოლის ხერხების მიზანშეწონილობა, რომლებიც თავის თავში გულისხმობს ტრეფიკინგთან ბრძოლის მხრივ ცუდი შედეგის მქონე ისედაც სუსტი ეკონომიკის სახელმწიფოთათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის შეწყვეტას, როგორც უშუალოდ აშშ-ს მხრიდან, ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ბერკეტების გამოყენებას, რათა არ მოხდეს ამ სახელმწიფოთათვის საერთაშორისო მასშტაბით შესაძლო სხვა საშუალებების

ბებიდან ფინანსური დახმარების მიღება. ამ გზით აშშ უბიძგებს და ეხმარება სხვადასხვა სახელმწიფოებს, რათა გააქტიურონ თავიანთი ბრძოლა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით.

ამგვარად აშშ აღიარებს ადამიანთა ტრეფიკინგის საერთაშორისო საფრთხის მნიშვნელობას და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისთვის საერთაშორისო საზოგადოების ერთიან ძალისხმევას.

ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებენ მსხვერპლისთვის მომატყუარ საფრთხეს გამოძიების პერიოდში. რის გამოც ამერიკაში ტრეფიკინგის მსხვერპლის დასაცავად და რეაბილიტაციისთვის შემუშავებულია მრავალი სახის დახმარების, დაცვის და რეაბილიტაციის ღონისძიება, მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლ არალეგალური მიგრანტთათვის გათვალისწინებულია შტატების ტერიტორიაზე ლეგალური შრომის უფლების მინიჭება და ქვეყანაში დარჩენის უფლების მიცემაც კი.

როგორც ხედავთ, საერთაშორისო სტანდარტები შედგება ისეთი ელემენტებისგან რომლებიც, ერთი შეხედვით, წარმოადგენს ყველასათვის მისაღებ და ერთმნიშვნელოვნად გასატარებელი ღონისძიებებისა და პრინციპების ერთიანობას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაში სრულად არის გაზიარებული.

საქართველომ ბოლო წლების მანძილზე კარდინალურად გააუმჯობესა სტანდარტების დანერგვის მხრივ მდგომარეობა და თუ 2003 წლამდე ზემოთხსენებულ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, მსოფლიო მასშტაბით ტრეფიკინგის შეფასების დოკუმენტში, ვიმყოფებოდით ბოლო კალათში წარუმატებელი სახელმწიფოების გვერდით, 2010 წლისთვის საქართველო განაწილებულია I კალათში როგორც წარმატებული ქვეყანა ტრეფიკინგთან ბრძოლის და არსებული მდგომარეობის მხრივ, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის საქმეში და ამ მიღწეულ შედეგს წლების მანძილზე ინარჩუნებს.[78]

## §2. ადამიანით ვაჭრობის ორგანიზაციის წინააღმდეგ არსებული პრაქტიკული ზომები

ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი არის სწორედ ის დანაშაული, რომელიც საზრდოობს ქვეყანაში არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით, სახელმწიფო ორგანოების სისუსტე-ნაკლოვანებებით, საკანონმდებლო ხარვეზებით და მოსახლეობის ისეთი სუბიექტური ფაქტორებით, როგორცაა განათლების დაბალი დონე, გულუბრყვილობა, მიმდობლობა და ა.შ.

ღარიბი, შრომისუნარიანი და დაუსაქმებელი მოქალაქეები წარმოადგენენ მოსახლეობის იმ სეგმენტს, რომლებიც თავის-დაუნებურად ხდებიან დამნაშავეთა ყურადღების სფეროში და მათ მიერ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით – მოტყუება, ფიზიკური იძულება, სავალო კაბალა და სხვა მრავალი ხერხით – ხვდებიან დამნაშავეთა გავლენის ქვეშ.

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულმა პრევენციულმა ზომებმა შეიძლება გამოხატვა ჰპოვოს შემდეგ ღონისძიებების სახით:

1. ორგანიზაციული – ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო სპეციალური ორგანიზაციების შექმნა, საქმიანობა;
2. სამართლებრივი – სპეციალური კანონმდებლობის მიღება, განხორციელება;
3. კვლევითი – არსებული ვითარების, საკანონმდებლო ბაზის, სპეციალური სტრუქტურების, მიზნობრივი ჯგუფების, საფრთხეების ყოველმხრივი ანალიზი, მოდელირება და ნაკლოვანებების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა;
4. საგანმანათლებლო – ზოგადად მოსახლეობის და კერძოდ მიზნობრივი ჯგუფების ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება, ლექციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების საშუალებით;
5. საინფორმაციო – სატელევიზიო რგოლების და მასმედიის საშუალებებით ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება,

მათ შორის სპეციალური სატელეფონო „ცხელი ხაზები“-ს გამოყენება;

6. სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ზომები, რომლებიც მართალია უშუალოდ ადამიანთა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით არ ხორციელდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებებად არის მიჩნეული.

სოციალური ხასიათის პრევენციული ზომები, რომლებიც წარმოადგენენ წარმატების საწინდარს ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართებით, შეიძლება დასახელებდეს: მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი დასაქმება, სათანადო სტაბილური ხელფასით უზრუნველყოფა, რითაც პოტენციურ მსხვერპლთ სურვილი აღარ გაუნძღვრებათ საზღვარგარეთ დასაქმების ძიების, მითუმეტეს, არაღეგალურად და არაგარანტირებულ სამუშაოს შემოთავაზების პირობებში.

ეს მიდგომა დადასტურდა სოციოლოგიური კვლევის შედეგებითაც, რომელიც მოცემულია ამავე ნაშრომში და, სადაც რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაასახელა, ხოლო კითხვაზე თუ რა იქნებოდა ყველაზე ეფექტური საშუალება ადამიანთა ტრეფიკინგთან საბრძოლველად, შედეგებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, გამოკითხული 420 პიროვნებიდან 238-მა, ერთ-ერთ პასუხად სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლება დაასახელა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება არ არის მარტივი ამოცანა, საჭიროებს სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის დიდ ძალისხმევას დოვლათის შექმნის საქმეში და წარმოადგენს დროში გაწევილ პროცესს.

მეორე საშუალება, რაც შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა ტრეფიკინგის სოციალური ხასიათის პრევენციულ ზომად – ესაა ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის არსის, მასთან

ბრძოლის და თავიდან აცილების მეთოდების შესახებ ადამიანთა ცნობიერების ამაღლება, რაც გულისხმობს მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებას აღნიშნულ პრობლემის ირგვლივ, რის განხორციელებაც შედარებით რეალურია და უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მას აქტიურად ახორციელებს.

გარდა სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ზომებისა, ტრეფიკინგის პრევენციის მხრივ მნიშვნელოვან აქტივობას აქვს ადგილი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც, მაგალითად შეიძლება მოვიშველიო „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ მოღვაწეობაც, რომლის ერთ-ერთი თანადამფუძნებელიც გახლავთ აღნიშნული ნაშრომის ავტორი.[6]

ამ ორგანიზაციამ 2007 წელს განახორციელა პროექტი „აფხაზეთის სამართლებრივი დახმარება“, რომლის ფარგლებშიც ზემო აფხაზეთის ყველა დასახლებულ პუნქტში ჩატარდა სპეციალური ლექცია-სემინარები საქართველოს კანონმდებლობის შესახებ მოსახლეობისთვის სამართლებრივი განმარტების მიცემის მიზნით. მონაწილეებს დაურიგდათ მათთვის სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელოები, სადაც ჩვენს მიერ სპეციალურად შეტანილი იქნა ადამიანთა ვაჭრობა – ტრეფიკინგის შესახებ ცალკე თავი, რადგან ზემო აფხაზეთისთვის ეს პრობლემა უცხო არ იყო და ამიტომაც მათთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნული ღონისძიება.[47]

ასევე ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში მისასაღმებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოების“ მოღვაწეობა, რომელიც წლების მანძილზე ატარებს სპეციალურ სემინარებს, ტრენინგებს, მრგვალ მაგიდებს, შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს, გააჩნია ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი. ორგანიზაციის - მიერ განხორციელდა ორი დიდი ანტიტრეფიკინგული პროექტი: „არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა ქალებისა და ბავშვებით ვაჭრობის

წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შემუშავებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ და „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია“.[87]

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს სოციალური ხასიათის პრევენციულ ზომებსაც, ისინი განხილულია 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს კანონით „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.“ აღნიშნული კანონის მეორე თავში - „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები და სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში“ - შეტანილია შემდეგი ორი მუხლი:

მუხლი 5. – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები; და მუხლი 6. – სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში.

კანონის მიხედვით, ტრეფიკინგის თავიდან აცილების მექანიზმებად წარმოდგენილია ორგანიზაციული, სამართლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა. ისინი განხორციელებას ჰპოვებენ სამოქმედო გეგმების სახით. ამ გეგმებს შეიმუშავებს, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით შექმნილი, „ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთა-შორისო მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო“ მთავარი პროკურორის თავმჯდომარეობით.

სამოქმედო გეგმა აგებულია ეგრეთ წოდებულ „სამი პის“ პრინციპზე, რაც მოიაზრებს ადამიანთა ვაჭრობის დანაშაულის პრევენციას, მსხვერპლთა დაცვას და დანაშაულის გამოძიებას.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და საქმიანობა შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებითაა ჩამოყალი-

იბეებული და იგი გულისხმობს აღნიშნულ საკითხებზე საქართველოს ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობას.

ამასთან, სამოქმედო გეგმა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მონიტორინგის სისტემას ითვალისწინებს: თითოეული უწყება ვალდებულია საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ყოველ სამ თვეში ერთხელ.

ამ დროისთვის დასრულებული, შეჯამებული და გაანალიზებულია, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 25 იანვრის №23 ბრძანებულებით დამტკიცებული, ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ხოლო ამჟამად ხორციელდება პრეზიდენტის 2009 წლის 20 იანვრის 46-ე განკარგულებით დამტკიცებული 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმები გულისხმობს ადამიანთა ვაჭრობის პრევენციის მხრივ შემდეგი მიზნების მიღწევას და ღონისძიებების გატარებას:

– ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის არსისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ადამიანთა ცნობიერების ამაღლება შემდეგი საქმიანობის გატარებით:

1) საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების წარმართვა – ვიდეო რგოლების, სატელევიზიო და რადიო გადაცემების მომზადება;

2) ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება სამოქალაქო რეესტრის, საქართველოს საკონსულო დაწესებულებების, საქართველოში მოქმედი ტურისტული და დასაქმების სააგენტოების მიერ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარსა და ტრეფიკინგის სხვა, პოტენციური რისკის მქონე რეგიონებში;

3) უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებებში საჯარო დისკუსიების გამართვა ადამიანთა ვაჭრობის – ტრეფიკინგის თემაზე;

4) ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი სატელეფონო ერთიანი ცხელი ხაზის პოპულარიზაცია, ადამიანთა ტრეფიკინგის პრევენციისა და ამ დანაშაულისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით;

5) ადამიანებით ვაჭრობის შესახებ შესაბამის უწყებათა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება და ვებგვერდების შესაბამისი განყოფილების შემდგომი დახვეწა.

ზემოთხსენებული პუნქტებიდან პირველი სამი პუნქტი საერთოა 2007-2008 და 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმებისთვის, ხოლო მეოთხე და მეხუთე პუნქტები აქტუალური მხოლოდ 2009-2010 წლის გეგმაში გახდა, რაც მიანიშნებს მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის მხრივ სახელმწიფოს ყურადღების გამახვილებაზე და ინტერნეტ სივრცის მნიშვნელობის გაზრდაზე ამ მხრივ.

– ადამიანთა ვაჭრობის აღკვეთისა და მსხვერპლთა რეფერირების სტანდარტების გაცნობა და დახვეწა, რაც მოიაზრებს ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური ტრენინგების ჩატარებას, მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის:

1. მესაზღვრეები;
2. უბნის ინსპექტორები;
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლები;
4. საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები;
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები;
6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები – ა) სოციალური მუშაკები ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკები;
7. სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკები;



– ტრეფიკინგის დანაშაულის თავიდან აცილების საშუალებების გაცნობა არასრულწლოვანთათვის, რაც უნდა განხორციელდეს განათლების სამინისტროს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების და სრულყოფის გზით და მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1. ზოგადსაგანმანათლებლო ეროვნულ სასწავლო გეგმაში ტრეფიკინგის შესახებ არსებული საგანმანათლებლო სტანდარტების დახვეწა;

2. ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ სამოდულო გაკვეთილის მოდულის საფუძველზე სპეციალურად მომზადებული მასწავლებლებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე რეგიონებში.

3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა ობოლ და მხრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში.

ზემოთხსენებული ორი პუნქტი საერთოა 2007-2008 და 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმებისათვის, ხოლო შემდეგი მუხლი უკვე განსხვავდება წლების მიხედვით ქვეყანაში შეცვლილ ვითარებიდან და მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე:

თუ 2007-2008 წლების გეგმაში აქცენტი გაკეთდა ადამიანთა ტრეფიკინგის მასშტაბების კვლევაზე, 2009-2010 წლის გეგმაში აღნიშნული აღარ ფიგურირებს და მისი ადგილი უკავია ტრეფიკინგის გამოვლენილი შემთხვევების ანალიზს, შემდგომი სტრატეგიის განსაზღვრის და საქმიანობის დაგეგმვის მიზნით.

უფრო კონკრეტულად კი, 2007-2008 წლების გეგმის მიხედვით სახელმწიფო მიზნად ისახავდა ეწარმოებინა კვლევა შემდეგი მიმართულებებით:

1. ტრეფიკინგის შემთხვევების ანალიზი, მსხვერპლთა/დაზარალებულთა ანონიმურობის დაცვით, მიმდინარე გამოძიების ჩათვლით;

2. მსხვერპლთა ანონიმური კვლევა მათი წარმოშობის რეგიონის, მსხვერპლად გახდომის მიზეზების გამოკვლევის აქცენტირებით;

3. ბავშვებით ვაჭრობის/ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების კვლევა;

4. კვლევათა წლიური ანგარიშების შეჯამება.

მაშინ, როცა 2009-2010 წლების გეგმის მიხედვით კვლევების მხრივ აქცენტი გაკეთდა შემდეგზე:

1. ტრეფიკინგის საკითხებზე კვლევითი საქმიანობის განმარტოვებული ჯგუფის საქმიანობის დახვეწა;

2. კვლევათა წლიური ანგარიშების შეჯამება, მათ შორის, გადაცემათა რეიტინგის კვლევა, ტენდენციების გამოვლენა და სამომავლო საქმიანობის გამოკვეთა;

3. არასრულწლოვნებით ვაჭრობის გამომწვევი მიზეზების და მასშტაბების კვლევა;

4. ტრეფიკინგის შემთხვევების აღმწესხველი მონაცემთა ბაზის დახვეწა.

როგორც ხედავთ, კვლევების მასშტაბები გაიზარდა და უშუალოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოკითხვიდან, რაც ძირითადად მიზეზების გამოვლენისკენ იყო მიმართული, გავრცელდა ასევე სახელმწიფოს მიერ გატარებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის კვლევაზე.

საერთო ჯამში კი უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვნად დაიხვეწა – გაითვალისწინა რა თანამედროვე პირობებში მომხდარი ახალი გარემოებები, ამავდროულად სახელმწიფოს მიერ აქცენტი სოციალური ხასიათის პრევენციული ზომებიდან გადავიდა მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებაზე, რაც მართებულია.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ერთ-ერთი რეფორმის ზეგავლენა ადამიანთა მიგრაციულ პროცესებზე და ამგვარად ტრეფიკინგზე. კერძოდ, გვერდს ვერ ავუვლით საგანმანათლებლო რეფორმის როლს

და მის შედეგებს, რომელთა შედეგად შემცირდა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა – სტუდენტთა მისაღები ადგილების ჩათვლით, მკვეთრად – დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა სწავლის საფასური, გართულდა სასურველ ფაკულტეტზე და სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრის შესაძლებლობა, რამაც გამოიწვია ერთის მხრივ ახალგაზრდებში დაუსაქმებელი პირების რაოდენობის ზრდა – დაუსაქმებლობაში იგულისხმება როგორც სამსახურის არ მქონე პირთა რაოდენობა, ასევე ისეთი მდგომარეობა, როცა პიროვნება არც რაიმე ცოდნის მიღებითაა დაკავებული. მეორეს მხრივ სწავლის საფასურის მნიშვნელოვანმა ზრდამ გაზარდა უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მსურველთა ნაკადი, რომლებიც იქ ძირითადად არამარტო სწავლით არიან დაკავებულნი და წარმოადგენენ ტრეფიკორთა იოლ სამიზნეს. ასევე მნიშვნელოვანია იმ სტუდენტთა მასა, რომლებიც მოხვდნენ ისეთ ფაკულტეტზე, რომელიც მათთვის სასურველი და პრიორიტეტული არ იყო, შესაბამისად ისინი მხოლოდ მოვალეობის მოხდის გრძნობით დადიან ლექციებზე, უმეტესწილად მოსალოდნელი ფინანსური სანქციების თავიდან ასაცილებლად და სამომავლოდ სხვა - სასურველ უნივერსიტეტში გადასვლის იმედით, რაც ძირითადად ვერ ხერხდება და მათ მომავალ პროფესიონალიზმს და საერთოდ ასეთ განათლების ღირებულებას ეჭვქვეშ აყენებს. საჭიროა, რომ სახელმწიფომ მოახდინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფრო მკაცრი მონიტორინგი და ფასების რეგულირება, რათა მოხდეს ამ უარყოფითი ტენდენციის შემობრუნება და შესაბამისად ახალგაზრდა მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება.

### **§3. ადამიანთ ვაჭრობის ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ორგანიზაციული ასპექტები.**

საქართველოს სახელმწიფო მართვის სტრუქტურაში ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები ძალზე

კომპლექსური ხასიათისაა და შედგება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში დაქსაქსულ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მათთვის სასჯელის შეფარდების უზრუნველყოფ სტრუქტურებისგან, აგრეთვე ორგანიზაციებისგან რომლებიც აუცილებელია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარებისათვის. ეს ორგანიზაციები შეიძლება დაჯგუფდეს, მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შინაარსიდან გამომდინარე, შემდეგნაირად:

უმაღლესი კოორდინაციის განმახორციელებელი ორგანო:

– ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საშტაბო საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს მთავარი პროკურორის თავმჯდომარეობით.

ფუნქციური კოორდინაციის განმახორციელებელი ორგანოები, ანუ ისეთი ორგანოები, რომელთა როლი შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული ფუნქციური მიმართულების კოორდინაციით, ასეთებია:

– ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მაკოორდინირებელი ჯგუფი;

– მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხრივ, კი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.[98]

კონკრეტული ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოები:

– სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას, ამ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელებას:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფები: სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, ერთიანი საინფორმაციო ბანკი, კრიმინალური პოლიცია და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაწესებულებები, კერძოდ საქართველოს მთავარი პროკურატურა, რომელიც ტრეფიკინგის საქმეებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას..

– ორგანიზაციები რომლებიც აწარმოებენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის ღონისძიებებს:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, მისი სტრუქტურული ერთეულის – თავშესაფრის, და სხვა სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

– ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობაში შედის საზოგადოების აზრის ჩამოყალიბება, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება:

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი სატელევიზიო და რადიო საშუალებებით, ბეჭდვითი პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებები.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, უმაღლესი სკოლების, საჯარო სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით.

ყველა ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებში ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის მიმართულებით საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები და ნორმები მოცემულია საქართველოს

კანონში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.“

ზემოთხსენებული კანონის მეათე მუხლის თანახმად შეიქმნა ტრეფიკინგის პრობლემატიკაზე მომუშავე ქვეყნის მასშტაბით მთავარი ორგანო – „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო“. საბჭოს თავჯდომარეობს საქართველოს მტავარი პროკურორი, ხოლო მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვათ: საქართველოს პარლამენტის, სახალხო დამცველის, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის, აშშ-ს საელჩოს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ეუთოს მისიის, გაეროს ბავშვთა ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და არასამთავრობო ორგანიზაცია – „თანადგომის“ წარმომადგენლებს. საბჭოს ასეთი ფართო წარმომადგენლობა განპირობებულია მისი, როგორც ტრეფიკინგის მხრივ უმაღლესი მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციით და საჭიროებით, რომ ყველა დაინტერესებული ორგანო იყოს წარმოდგენილი ტრეფიკინგის წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

სტრუქტურის მხრივ, საბჭოს ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, შექმნილია მუდმივმოქმედი ჯგუფი კოორდინატორის და ექსპერტების შემადგენლობით და ასევე მობილური ჯგუფი.[107]

მუდმივმოქმედი ჯგუფი წევრებს მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების საკითხს 48 საათის განმავლობაში იმ დროიდან,

როცა პოტენციური მსხვერპლი მიმართავს თავშესაფარს ან სხვა შესაბამის დაწესებულებას (თუ მსხვერპლს არ გააჩნია არანაირი საცხოვრებელი ადგილი, სადაც დარჩებოდა 48 საათის განმავლობაში, მაშინ მას გამოეყოფა ოთახი თავშესაფარში).

მუდმივმოქმედი ჯგუფი შედგება 5 წევრისგან. ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება ხდება არანაკლებ 4 წევრის მიერ. აღსანიშნავია, რომ საკოორდინაციო საბჭომ, პირველად თავის მეორე სხდომაზე 2006 წლის 22 დეკემბერს, დაამტკიცა მუდმივმოქმედი ჯგუფის საქმიანობის წესი, უფლებამოსილება და მუდმივმოქმედი ჯგუფის 5 წევრი და 3 ალტერნატიული წევრი, რომლებიც ძირითადი წევრების არყოფნის შემთხვევაში შეცვლიან მათ, ისინი წარმოადგენენ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება სპეციალურ მობილურ ჯგუფებს, ისინი შედგება ორი ექსპერტისგან: ფსიქოლოგისგან და იურისტისგან, რომელთაც არჩევს მუდმივმოქმედი ჯგუფი.

სპეციალური მობილური ჯგუფი მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა მოხდება პოტენციური მსხვერპლის აღმოჩენა ან მსხვერპლის თვით-იდენტიფიკაცია. ჯგუფი ესაუბრება მსხვერპლს და აესებს საიდენტიფიკაციო კითხვარს. კითხვარზე და სპეციალური მობილური ჯგუფის წევრების ზეპირ განცხადებებზე დაყრდნობით, მუდმივმოქმედი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე.

რაც შეეხება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების განხორციელების მაკოორდინირებელი ჯგუფს, იგი შეიქმნა ადამიანთ ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საქართველოს პროკურატურის და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე. იგი კოორდინაციას უწევს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედებების

განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედ ჯგუფს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის, საელჩოებისა და საკონსულოებისაგან, უშუალოდ მიიღოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

ხოლო, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: ფონდის დებულება დამტკიცებულ იქნა 2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის №437 ბრძანებულებით. მისი მიზანია უზრუნველყოს კომპენსაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და ასევე დააფინანსოს როგორც ადამიანთა ტრეფიკინგის ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების, რეაბილიტაციის ღონისძიებები, უზრუნველყოს ისინი თავშესაფრით, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და/ან სხვა სახის მომსახურებით, რათა მოხდეს მათი ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობა.[98]

ფონდის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელმაც 2007 წელს სახელმწიფო ფონდისათვის გამოყო 300 000 ლარი, ხოლო 2010 წლის ბიუჯეტით მისი დაფინანსება განისაზღვრა 588 700 ლარით, მომუშავეთა რაოდენობა კი 23 საშტატო ერთეულით.[102]

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების და სახელმწიფო სამსახურში მომსახურეთა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ამ მიმართულებით შესამჩნევია როგორც საშტატო რაოდენობის, ასევე დაფინანსების ზრდაც, რაც სახელმწიფოს დიდ ყურადღებაზე მიუთითებს.

ჩვენი აზრით, საჭიროა დაფინანსების არსებული მეთოდების და წყაროების შეცვლა, ასეთ დაწესებულებების დაფინანსება არ შეიძლება ხორციელდებოდეს წლის მანძილზე წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის გამოყოფით, რადგან არავინ იცის

რამდენი მსხვერპლის იდენტიფიცირება მოხდება კონკრეტულ წელს. ქვეყნისთვის უფრო ეფექტური იქნებოდა, ამ მიზნებისათვის ალტერნატიული წყაროების გამოყენება, როგორც შეიძლება იყოს ტრეფიკერებისათვის ჩამორთმეული ქონება, საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხები ან ჯარიმები.

ზემოთხსენებული მიდგომის განხორციელების რეალურობას ამყარებს სასამართლო სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს ტრეფიკინგის საქმეებზე გამოტანილი განაჩენებით, ჯარიმის სახით, დაკისრებული სახსრების დიდ მოცულობას - 2009 წელს, პირველი ათი თვის მდგომარეობით, მხოლოდ ჯარიმებით დაკისრებული იყო საერთო ჯამში 261 000 ლარი, მაშინ როცა, „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“ 2010 წლის ბიუჯეტით დაფინანსება განესაზღვრა 588 700 ლარით.[102]

დაფინანსების ასეთი მეთოდით გარკვეულ ჯაჭვში ებმევა ქვეყანაში გამოვლენილი ტრეფიკინგის ფაქტები, გავრცელების მაშტაბები და რეაბილიტაციის და დახმარების ღონისძიებები, მათი მოცულობა კონკრეტული წლის განმავლობაში.

კონკრეტული ღონისძიებების განმახორციელებელი ორგანოებიდან, რომელთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლა არ წარმოადგენს ერთადერთ ფუნქციას და არ არის ექსკლუზიურად ამ ფუნქციისთვის შექმნილი (როგორც ზემოთხსენებული ფონდი) აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პირადი უსაფრთხოების დაცვას, ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებას, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში არის სპეციალურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი სტრუქტურა - სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველო და ასევე ფუნქციონირებს ერთიანი საინფორმაციო ბანკი.

ერთიანი საინფორმაციო ბანკი შეიქმნა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მერვე მუხლის მეცხრე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2008 წლის 28 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის №1544 ბრძანებით და შეადგენს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სისტემურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, მონაცემების ხარისხსა და მათ სრულყოფაზე.

საინფორმაციო ბანკი შეიქმნა ადამიანით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობად; აგრეთვე ადამიანით მოვაჭრეთა შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის; ადამიანის ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) საბრძოლველად სახელმწიფო ორგანოთა ეფექტური ურთიერთ-თანამშრომლობის, კოორდინაციისა და მობილიზაციისათვის; სისტემატიზებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე დანაშაულის პრევენციისათვის; სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთა და მსხვერპლთა ეფექტური და დროული დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის ხელშეწყობისათვის.

ერთიან საინფორმაციო ბანკში შედის ადამიანით ვაჭრობის დანაშაულთან დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების, წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის შედეგად ან/და საერთაშორისო კრიმინალური პოლიციიდან (ინტერპოლიდან) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია.

ერთიან საინფორმაციო ბანკში შეტანილი ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გაცნობა და გაცემა ხდება საიდუმლო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისათვის საქართვე-



ლოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დაცულ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებათ და მისი გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ სპეციალური სიით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს და ასევე ადამიანთ ვაჭრობის მსხვერპლს ან დაზარალებულს, კანონით დადგენილი წესით, მხოლოდ მათ შესახებ არსებულ ინფორმაციაზე.[100]

კვლევა დაგვანახა, რომ აუცილებელია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის არსებული მექანიზმის - “საინფორმაციო ბანკის“ დახვეწა და სპეციალური დაშვების კომპიუტერული სისტემების დანერგვა, არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში, არამედ ყველა იმ დაწესებულებებში თუ ორგანიზაციაში, სადაც ხდება ხშირი კონტაქტი ამ კატეგორიის ადამიანებთან, რათა მსხვერპლის ირგვლივ არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს პირთა უკიდურესად ვიწრო წრისთვის და ცნობილი იყოს ყოველ ეტაპზე, თუ კონკრეტულად ვინ დაინტერესდა ამა თუ იმ ინფორმაციით. რადგან, ჩვენი აზრით, ინფორმაციის გაუონვის შესაძლებლობა მსხვერპლში წარმოშობს შიშს, უქრობს თვითიდენტიფიკაციის და დახმარების მიღების სურვილს და სერიოზულად ლახავს ამ კატეგორიის პირთა უფლებებსა და ღირსებას.

რაც შეეხება სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველოს მუშაობას, მის ეფექტურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გატარებული მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით.[იხ. დანართი 1]

როგორც მონაცემები ცხადყოფს, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტის, ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველოს ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოძიება დაუწყია 125 საქმეზე, საიდანაც 69 წარმოადგენდა ტრეფიკინგის დანაშაულს, პასუხისგებაში მიუცია 63 პირი, მათ შორის 30 ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის, დაუკავებია 60

ბოროტმოქმედი – 26 ტრეფიკინგის დანაშაულისთვის, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია საქართველოს რეალობისათვის.

სტატისტიკა ასევე ნათლად გამოსახავს ჩვენი ქვეყნის რეალობას. კერძოდ, 2008 წელი გამოირჩევა დაბალი მაჩვენებლებით ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე, ასევე საგრძნობია დაწყებული გამოძიებების სასამართლომდე მიყვანის შედარებით დაბალი მაჩვენებლები.

რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარს, იგი წარმოადგენს სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულს, მაგრამ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს, დააარსოს თავშესაფარი არაკომერციული იურიდიული პირის სახით.

თავშესაფარი შეიქმნა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ასევე მათი დახმარება, რეაბილიტაცია და სრული ინტეგრაცია ოჯახში და საზოგადოებაში.

პირის მოთავსება თავშესაფარში ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას მიენიჭება ტრეფიკინგის მსხვერპლი/დაზარალებულის სტატუსი და მხოლოდ მისი თანხმობის არსებობისას, თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლის მოთავსება არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, იგი დათანხმდება თუ არა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას დანაშაულის გამოძიების სტადიაზე.

მსხვერპლი თავშესაფარში თავსდება ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი ასაკი, სქესი და სხვა სპეციალური მოთხოვნები. თავშესაფარში შესვლისას მსხვერპლი ვადის სამედიცინო შემოწმებას;

თავშესაფარის მდებარეობა არის გასაიდუმლოებული, მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. თავშესაფარში ყოფნის ვადა არის 3 თვე. ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია. მსხვერპლს შეუძლია, ნებაყოფლობით დატოვოს თავშესაფარი ვადის ამოწურვამდე;

თავშესაფარი უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებას:  
ა. უსაფრთხო საცხოვრებელ ადგილს ნორმალური პირობებით;

ბ. საკვებს და ტანსაცმელს;

გ. ფსიქოლოგიურ მომსახურებას;

დ. სამართლებრივ დახმარებას და სასამართლოში წარმომადგენლობას (ასეთი სახის დახმარება მოიცავს საჩივრების შეტანას, სასამართლოში წარმოდგენას მოწმის სტატუსით, თავშესაფრის მოთხოვნას, დოკუმენტების მოპოვებას წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისთვის);

ე. ინფორმაციის მიწოდებას მსხვერპლისთვის გასაგებ ენაზე; აუცილებლობის შემთხვევაში ადვოკატის დახმარებით უზრუნველყოფას;

ვ. რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებში მონაწილეობას;

და ბოლოს, ორგანიზაციებზე რომელთა მოვალეობაში შედის საზოგადოების აზრის ჩამოყალიბება, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება, შეიძლება ითქვას, რომ 2009-2012 წლების სამოქმედო გეგმაში მათ საქმიანობაზე გამახვილებულია მნიშვნელოვანი ყურადღება როგორც ტრეფიკინგთან მიმართებით უმთავრეს პრევენციულ საშუალებაზე.

დასკვნისთვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ტრეფიკინგის პრობლემას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ტარდება მრავალი ტრეინინგ-სემინარი, საინფორმაციო პრევენციული კამპანიები და სხვა მრავალი ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ დაინტერესებულ პირთა დიდი მასები. მათი საქმიანობის მნიშვნელობა განმტკიცებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და არასამთავრობო ორგანიზაცია – „თანადგომის“ მონაწილეობით ტრეფიკინგთან ბრძოლის საუწყებართაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში.

#### §4. ადამიანთ ვაჭრობის ბრეფინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტი საქართველოში.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინალიზაცია საქართველოში 2003 წელს სისხლის სამართლის კოდექსში 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლების შეტანით განხორციელდა. ამის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს და ევროსაბჭოს მოთხოვნებთან საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიაში მოყვანის მიზნით აიღო ვალდებულება.[1, 306] და სისხლის სამართლის კოდექსის ახალი მუხლებით დასჯადად გამოცხადდა ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მიმართული სრულწლოვანი ადამიანების წინააღმდეგ და ცალკე არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

2006-2008 წლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კვლავ განიცადა ცვლილებები. შესწორებები შევიდა არსებულ მუხლებში და ასევე 2007 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა კიდევ ერთი - 143<sup>3</sup> მუხლი - „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა.“[97]

ცვლილებების შედეგად ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის დეფინიცია სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან და „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ დამატებით ოქმთან, რის შედეგადაც ტრეფიკინგის მიმართულებით ქართულმა სამართლებრივმა გარემომ სხვადასხვა ორგანიზაციების საერთაშორისო კვლევების მიხედვით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

სისხლის სამართლის კოდექსში ადამიანთ ვაჭრობა ტრეფიკინგის მარეგულირებელი მუხლები მოცემულია შემდეგი სახით:

მუხლი 143<sup>1</sup>. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

შენიშვნა:

1. კოდექსის ამ და 143<sup>2</sup> მუხლების მიზნებისათვის, ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 143<sup>2</sup>. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006)

1. არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაძალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით;

გ) ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების

ჩამორთმევით სამი წლის ვადით ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 143<sup>3</sup>. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (8.05.2007)

1. წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

გ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ბ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.



4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მუხლი 143<sup>1</sup> და არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მუხლი 143<sup>2</sup> მათი ნორმების შინაარსის მიხედვით იდენტურია, მაგრამ მათ შორის არის შემდეგი სხვაობა:

1. ადამიანით ვაჭრობისას, ვაჭრობის ობიექტი ნებისმიერი სქესისა და ასაკის პირია, ხოლო არასრულწლოვანით ვაჭრობისას – მხოლოდ ორივე სქესის არასრულწლოვანი;

2. ადამიანით ვაჭრობის იძულების ნიშანი მოცემულია მისი პირველი ნაწილის დისპოზიციაში, ხოლო არასრულწლოვანით ვაჭრობისას ნორმის მეორე ნაწილში, ისინი ამ დანაშაულისათვის მაკვალიფიცირებელ ნიშნებად ითვლებიან, ხოლო ადამიანით ვაჭრობისას კი – არა.

3. ადამიანით ვაჭრობისას მაკვალიფიცირებელ ნიშნად მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულია „დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ ვაჭრობა“, ხოლო არასრულწლოვანით ვაჭრობაში ეს ნიშანი საერთოდ არ არსებობს, ეს შეიძლება მივიჩნიოთ კანონის ხარვეზად, რადგან არასრულწლოვანი ფეხმძიმე ქალით ვაჭრობასაც შეიძლება ქონდეს ადგილი.[5, 79]

საერთოდ კი ასეთი დაყოფა ადამიანით ვაჭრობა/არასრულწლოვანით ვაჭრობა ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის აზრით უსაფუძვლოა და იმის გათვალისწინებით, რომ ეს 2 მუხლი პრაქტიკულად იდენტურია, მიზანშეწონილია მათი გაერთიანება და არასრულწლოვნის ან მცირეწლოვნის ტრეფიკინგის დამამძიმებელ გარემოებად გამოტანა.[20, 127]

რაც შეეხება 143<sup>3</sup> მუხლს - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგე-

ბლობას, იგი ძალიან პროგრესულ და საჭირო პრევენციულ ინსტრუმენტად მივიჩნიეთ, რადგან მან აღმოფხვრა ის არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი, რის საშუალებითაც ტრეფიკერები სავარაუდოდ მოახერხებდნენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ მომხდარა ამ მუხლზე დაყენებით განაჩენის გამოტანა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად თანაბრად დასჯადია ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შრომითი ექსპლუატაციისა და სექსუალური ექსპლუატაციისათვის. ხაზგასასმელია, რომ ამ დებულებათა მოქმედება ვრცელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ, შიდა ტრეფიკინგის ფაქტებზე, ისე იმ ფაქტებზეც, როდესაც დანაშაულის მსხვერპლთა ექსპლუატაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ ხდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამ დანაშაულის ჩამდგენთა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წელს შეტანილი ცვლილებებით გაიზარდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქცია. 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლები განსხვავებულ სანქციებს აწესებს: მინიმალური სასჯელი გათვალისწინებულია 143<sup>1</sup> მუხლით და არის თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, მაშინ როდესაც 143<sup>2</sup> მუხლი მინიმალურ სანქციად 8 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული მაქსიმალური სანქციებიც განსხვავებულია. კერძოდ, 143<sup>1</sup> მუხლი მაქსიმუმ 20 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მაშინ როდესაც 143<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად შესაძლებელია უვადო თავისუფლების აღკვეთაც.

რაც შეეხება იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ტრეფიკინგის დანაშაულისათვის, იგი საქართველოს კანონმდებლო-



ბაში 2006 წელს შეტანილი ცვლილებებით შეიტანეს. გასაგებია რითი იხელმძღვანელა კანონმდებელმა (აღნიშნული დებულებების კანონმდებლობაში გათვალისწინება მოითხოვება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეათე მუხლით), მაგრამ ჩვენი აზრით, იურიდიული პირის დასჯა ნონსენსია, რადგან იურიდიულ პირს ხელმძღვანელობენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა გაწეულ საქმიანობის კანონიერებისთვის, ხოლო იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა რაც შეეხება - უკანონო და დანაშაულებრივ ფუნქციებს იგი თავის წესდებაში იხედავს ვერ გააფორმებს და საერთოდ იურიდიული პირის ლიკვიდაცია მფლობელთათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ახალი იურიდიული პირის რეგისტრაცია საქართველოში ძალზე მარტივი პროცედურითაა შესაძლებელი, ხოლო ადამიანის ვაჭრობით დაკავებულ ორგანიზაციების საგაჭრო ნიშნის ღირებულება არ წარმოადგენს ისეთ ფასეულობას, რომლის დაკარგვაც მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი იქნება. (მაგალითად „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ და სხვა ძვირადღირებული ბრენდები).

ადამიანთა ტრეფიკინგის არსიდან გამომდინარე, უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის ზოგიერთ სხვა მუხლშიც შევიდა ცვლილება-დამატებები შენიშვნების სახით, რათა ისინი შესაბამისობაში მოსულიყვნენ საერთაშორისო სტანდარტებთან და არ მომხდარიყო ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასჯა მათ მიერ იძულების ქვეშ ჩადენილი ქმედებებისათვის, კერძოდ ეს მუხლები და შესაბამისი შენიშვნები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

მუხლი 322<sup>1</sup> ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა

1. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტო-

რიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით, –

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ეს მუხლი არ ვრცელდება აგრეთვე პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 344. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა (20.06.2006.)

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ეს მუხლი აგრეთვე არ ვრცელდება პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 362. ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (20.06.2006.)

1. ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, შექმნა, შენახვა გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება,

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 371. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (20.06.2006.)

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

მუხლი 375. დანაშაულის დაფარვა (23.10.2008)

მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 3391 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვა წინასწარ შეუპირებლად,

შენიშვნა: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული, და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი მკაცრი სანქციებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის მექანიზმების შემოღების პარალელურად 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც „განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებ-

ბამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.“[96]

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მიზანი მოცემულია ამავე კანონის მეორე მუხლში, სადაც წერია:

ამ კანონის მიზანია:

ა) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია;

გ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები;

დ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები.

ამ კანონით განმარტებულია მრავალი ტრეფიკინგისთვის რელევანტური დეფინიცია: შანტაჟი, უმწეო მდგომარეობა, ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა, სექსუალური ექსპლუატაცია, მონობის მსგავსი მდგომარეობა, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, ადამიანით მოვაჭრე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, წარმოშობის სახელმწიფო, დანიშნულების სახელმწიფო, ტრანზიტის სახელმწიფო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), დაზარალებული.

საინტერესოა ამ კანონით ტრეფიკინგის ცნების საკუთარი კრიმინოლოგიური განმარტების არ არსებობა და სამაგიეროდ სისხლის სამართლის შესაბამის მუხლებზე მითითებით შემოფარგვლა, რაც ალბათ სისხლის სამართლებრივი დეფინიციაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში მათი ავტომატური გაზიარების მიზნით არის გაკეთებული და შეიძლება კანონის ნაკლად ჩაითვალოს. თუ ასეთი მითითებით შემოფარგვლა კანონმდებლობისთვის მისაღები იყო, მაშინ ზემოთხსენებული სხვა მრავალი დეფინიციის არ შეტანა და გაეროს კონვენციაზე, დამატებით ოქმზე და ევროსაბჭოს კონვენციაზე მითითება (რომლებიც ოფიციალურად ნათარგმნი და რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და, სადაც ეს დეფინიციები უკვე მოცემულია) სავსებით საკმარისი იქნებოდა და თუ ეს პრაქტიკა კანონმდებელმა არამართებულად ჩათვალა, მაშინ, ჩვენი აზრით, მას ტრეფიკინგის დეფინიციასთან მიმართებითაც იგივე პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა.

სხვა მხრივ კანონი წარმოადგენს სრულყოფილ ინსტრუმენტს, სადაც გაწერილია თუ რომელი მიმართულებით კონკრეტულად რომელ სახელმწიფო დაწესებულებას მოეთხოვება ზომების მიღება. კანონში აღნიშნული კონკრეტული ზომებიც გაწერილია.

ტრეფიკინგთან ბრძოლისთვის სპეციალური კანონის მიღებასთან ერთად ცვლილებები და დამატებები შევიდა საქართველოს მთელ რიგ კანონებში, როგორებიცაა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, საქართველოს კანონი სასაზღვრო პოლიციის შესახებ და სხვ. გამოიკვეთა რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც კონკრეტული უწყებების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არეულირებენ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

– საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა შემდეგი დამატებები:

მუხლი 1723. პროსტიტუცია

პროსტიტუცია, – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევრიდან ერთ მინიმალურ ოდენობამდე.[99]

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე. (28.04.2006)

მუხლი 185. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირი, თუ აღნიშნული ქმედება მათ ჩაიდინეს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

– საქართველოს კანონში „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ღეგალიზაციის შესახებ“ შევიდა დებულება, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: ა) იმ პირებზე, რომლებმაც შემოსავალი (ქონება) დააგროვეს ისეთი დანაშაულებრივი გზით, როგორცაა: ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი და სხვა ტრანსნაციონალური დანაშაულები;

– საქართველოს კანონის „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ მეათე მუხლში – „სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები“ საქმიანობის სხვა მიმართულებებთან ერთად ნათქვამია:

ე) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საქართველოს საზღვაო სივრცეში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდული საქონლის, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების გადატანის/გადმოტანის თავიდან აცილება, გამოფლენა და აღკვეთა;

ზ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა ინსპექტირება, მიგრაციისა და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა;<sup>[103]</sup>

– საქართველოს კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

კარი II „უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, სატრანზიტო გავლა და საქართველოდან გასვლა“, თავი II „უცხოელის საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, სატრანზიტო გავლისა და საქართველოდან გასვლის ზოგადი მოთხოვნები“,

მუხლი 3 – პრინციპები –

თ) სახელმწიფომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე შეიძლება უარი უთხრას ნებისმიერ უცხოელს, რომელიც ეჭვმი-

ტანილია ისეთ საერთაშორისო დანაშაულებში, როგორებიცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), და ინფექციური დაავადებით დაავადებულ პირს; (7.12.2006)

მუხლი 19 – საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვა

1. საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს არა უმეტეს 6 წლის ვადით საქართველოში დარჩენის მსურველ უცხოელზე:

ზ) რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; (11.07.2009)

მუხლი 22. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა (17.03.2006.)

1. საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო თუ იგი იმყოფება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მეშვეობით. (19.12.2008)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განცხადების წარდგენის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან პირს.

2.1. უცხოელზე, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, დროებითი ბინადრობის ნებართვას გასცემს და აღნიშნული პირის დროებითი ბინადრობის ნებართვას აგრძელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებუ-

ლების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე. (7.12.2006)

2.1. უცხოელზე, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, დროებითი ბინადრობის ნებართვას გასცემს და აღნიშნული პირის დროებითი ბინადრობის ნებართვას აგრძელებს სააგენტო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე. (19.12.2008)

3. ბინადრობის ნებართვის მიღებასა და გაგრძელებაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოში საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს. (19.12.2008)

მუხლი 58. ქვეყნები, რომლებშიც შეიძლება გაძევებულ იქნეს უცხოელი, და განსაკუთრებული გარემოებები:

1. უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს:

ა) მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში;

ბ) იმ სახელმწიფოში, საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში;

გ) ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც თანახმაა მიიღოს იგი.

2. უცხოელის გაძევება დაუშვებელია იმ სახელმწიფოში, რომელშიც:

ა) მას დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება;

ბ) მას დევნიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის;

გ) მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

3. საქართველოდან არ შეიძლება გაძევებულ იქნეს:

დ) უცხოელი, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრე-

ფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში; (7.12.2006)

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პირები შეიძლება გაძევებულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას და საზოგადოებრივ წესრიგს განსაკუთრებული ზიანი ადგება.[105]

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დებულების მეშვიდე მუხლში „დეპარტამენტის ამოცანები“ 2008 წლის 31 დეკემბრის ცვლილებით შევიდა შემდეგი ამოცანა:

„საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, კერძოდ კომპეტენციის გათვალისწინებით სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ტრეფიკინგის, კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, მასობრივი განადგურების საშუალებების, და სხვა კანონმდებლობით აკრძალული მოქმედებების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა“;[104]

– და ბოლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადამიანთა ტრეფიკინგს მოერგო შემდეგნაირად: ორმოცდამეათე მუხლში- „პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მოწმე“ ნათქვამია: 1. მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

და მუხლი 182. სასამართლო სხდომის საჯაროობა

1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ.

3. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:



დ) სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით.[101]

როგორც ხედავთ, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის გამო საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა მრავალი პროგრესული და აუცილებელი ცვლილება, რითაც მოხდა მსხვერპლთა იდენტიფიკაციის, მათი სამართლებრივი დაცვის და საერთოდ სამართლიანობის უზრუნველყოფა, ისევე როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ და მის პრევენციისთვის მომუშავე სტრუქტურათა სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფა. ყველაფერი მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოს მონდომებაზე მოახდინოს ამ დანაშაულზე სათანადო რეაგირება, რაც მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე სათანადოდ უნდა შევაფასოთ.

## ეახხვავ

კვლევამ და პრაქტიკის ანალიზმა გვჩვენა, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ადამიანის ტრეფიკინგის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.[46] წარმოჩინდა ამ დანაშაულთან ბრძოლის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რატიფიცირება გაუკეთდა გაეროს შესაბამის კონვენციას, ოქმებს, ევროპის მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ქვეყანაში შემუშავდა საკმაოდ პროგრესული საკანონმდებლო ბაზა, შეიქმნა სპეციალური ღონისძიებების განმახორციელებელი სტრუქტურები – როგორც სამართალდამცავი ფუნქციების მატარებელი ორგანიზაციების სახით, ასევე მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების და რეაბილიტაციის მხრივ და ასევე მათი კორდინაციის ფუნქციის მქონე სუბიექტები.

მიუხედავად ყველა გატარებული ზომისა, საქართველოს მოქალაქეთათვის ტრეფიკინგის საფრთხე გაქარწყლებულად მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, ამის თქმის უფლებას იძლევა ჩატარებული კვლევები, ოფიციალური მასალები და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული სტატისტიკური მასალა. ტრეფიკინგის მხრივ კვლავ პრობლემას წარმოადგენს:

1. გამოძიების პროცესში დაზარალებულის და მოწმეების პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელია, ამიტომ ტრეფიკიორს ყოველთვის ექნება საშუალება გავლენა იქონიოს დაზარალებულზე, ან იმ პირზე, ვინც საქმეში ფიგურირებს როგორც ბრალმდებელი მხარე ან როგორც მოწმე.

2. პრაქტიკულად შეუძლებელია ტრეფიკინგით დაზარალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ: ტრეფიკიორებს ხშირად გააჩნიათ ინფორმაცია მსხვერპლის ახლობლების შესახებ და მათ შეუძლიათ

ყველა ღონისძიებას მიმართონ, რათა დაზარალებულმა უარი თქვას მათ წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ხოლო სახელმწიფოს მხრიდან არ არის შემუშავებული შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიები, რაც საქართველოს გეოგრაფიული და დემოგრაფიული სიმცირის გამო ძალზედ რთული გასაკეთებელია.

3. ტრეფიკინგის მსხვერპლ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთაც მეტწილად არ აქვთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სირთულეები ექმნებათ საქართველოში მათი კანონიერი ყოფნის უზრუნველყოფის პროცესში, ნოტარიულ ბიუროებში მომსახურებისას, სამუშაოზე მოწყობისას და ა.შ.

4. ტრეფიკინგით დაზარალებულთა საადვოკატო დაცვის გამოცდილების არარსებობა.

5. დაზარალებულის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა ირღვევა ასევე მსხვერპლთა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ ტრანზიტის ან დანიშნულების ქვეყნების სახელმწიფო სტრუქტურები მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში აგზავნიან პიროვნების შესახებ ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას.

6. სერიოზული პრობლემები არსებობს ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიკაციის სფეროში და კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ რამოდენიმე შემთხვევაში ტრეფიკინგით დაზარალებულები საზღვრის არალეგალური გადაკვეთის ბრალდებით აღმოჩნდნენ ციხეში, რადგან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, ადვოკატებმა და მოსამართლეებმა არ მოახდინეს მათი იდენტიფიკაცია და მათ მიმართებით არ გამოიყენეს კანონმდებლობაში არსებული დებულებები, რითაც დაარღვიეს კანონი და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

კვლევის თანახმად ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ კომპლექსური

ზომების გამოყენებით, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს ზოგად და სპეციალურ ნაწილებად.

ზოგად ზომებში მოიაზრება:

1. ქვეყნის საერთო აღმშენებლობა და ეკონომიკური ღონის გაუმჯობესება;

2. შრომის ანაზღაურების და სოციალური დაცვის ღონისძიებების ევროპის სტანდარტებამდე მიყვანა;

3. მოსახლეობის განათლების ღონის ამადლება.

სპეციალურ ღონისძიებების განეკუთვნება:

1. ქვეყანაში არსებული „სექსინდუსტრიის“ შესწავლა და პროსტიტუციასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება;

2. არასრულწლოვანთა და განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა გაშვილების და საზღვარგარეთ გაყვანის მკაცრი კონტროლი, რათა არ მოხდეს მათი უცხო სახელმწიფოებში გაყიდვა;

3. საზღვარზე კონტროლის ახალი მეთოდების დანერგვა, რათა მოხდეს ყოველი მოქალაქის საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლის აღრიცხვა და კონტროლი, სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის დადგენისთვის და პირთა წრის იდენტიფიცირებისათვის;

4. ყოველი საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობის რეგისტრაცია და მონიტორინგი პერიოდულ საფუძველზე, რათა პიროვნების გაუჩინარების შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი რეაგირება;

5. საზოგადოებაში ადამიანთა ვაჭრობა ტრეფიკინგზე სწორი წარმოდგენების დასანერგად სპეციალური საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების გატარება, ლიტერატურის გავრცელება, რადგან როგორც კვლევამ ცხადჰყო, მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახდენს ადამიანთა ვაჭრობის სწორ იდენტიფიცირებას;

6. საბუთების გაყალბებისგან დაცულობის მაქსიმალური სტანდარტების დანერგვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყალბი და სხვისი დოკუმენტებით საზღვრის გადალახვა;

7. ქალთა როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობისთვის სპეციალური პრევენციული ზომების შემუშავება;

8. პროსტიტუციის ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, რათა მოხდეს აქ დასაქმებულ პირთა დაცვა, კონტროლი როგორც სამართლებრივად ისე ჯანმრთელობის.

9. ტურისტული სააგენტოების საქმიანობის მკაცრი კონტროლი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ დასაქმების შემთავაზებელი ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგი, რადგან საქართველოს მოქალაქეთათვის უცხოეთში ლეგალური დასაქმება თითქმის შეუძლებელია.

10. სამართალდამცავი სტრუქტურების, საკონსულო დაწესებულებათა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, მოსამართლეებისა და ადვოკატების პროფესიონალური დონის ამაღლება.

11. კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი შესწორებების შეტანისა და ჰარმონიზაციის ღონისძიება.

12. ტრეფიკინგით დაზარალებულთა მოწმეების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მიზნით დაცვის პროგრამის მიღება სასამართლო გამოძიებისას, სასამართლო დარბაზში შესვლისას, გამოსვლისას და ა.შ.

13. ტრეფიკინგით დაზარალებულთა იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა მატერიალური დახმარების აღმოჩენა უშუალოდ იდენტიფიკაციის შემდეგ მიუხედავად იმისა, მისცემენ თუ არა ისინი ჩვენებას ტრეფიკორების წინააღმდეგ, რათა მათ შეუმსუბუქდეთ ადაპტაციის პროცესი სამშობლოში დაბრუნებისას.

14. საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ტრეფიკინგით დაზარალებულთა რეფერალური მექანიზმების ოპტიმიზაცია მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

15. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სამშობლოში დასაბრუნებელი დოკუმენტების მიღების პროცედურის გამარტივება; მათ

ასევე არ უნდა გადაიხადონ საკონსულო მოსაკრებელი/შესატანი.

16. არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის რაციონალური მექანიზმების შექმნა.

17. ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სფეროში არსებული მიღწევების ინდიკატორებმა უნდა გაზარდოს დაზარალებულთა გამოვლენა და უნდა იყოს უფრო ხარისხობრივი, ვიდრე რაოდენობრივი; აუცილებლად იქნას გამოყენებული მონაცემთა ანალიზის კორელაციური მეთოდები.

18. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის მოტივაციის გაზრდა, რათა მათ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირებისთვის, არსებული მსხვერპლთა კომპენსაციის, რომელიც 2009 წელს 1000 ლარს შეადგენდა, ისეთი ოდენობით გაზრდა, რომ პიროვნებას უბიძგოს თვითიდენტიფიკაციისკენ.[102]

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მიუხედავად მიღწეული შედეგებისა – რის მიხედვითაც საქართველო ირიცხება ტრეფიკინგთან მებრძოლ ლიდერ სახელმწიფოთა შორის, გასაკეთებელი კიდევ ბევრია და თუ გავითვალისწინებთ ადამიანთა ტრეფიკინგის ბუნებას, მის მრავალსახოვნებას და იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური წარმატება არ წარმოშობს მისგან დაცულობის გარანტიას და მხოლოდ ქვეყნისთვის სტატუსის შეცვლის პირობას წარმოადგენს – მსხვერპლთა წარმოშობის სახელმწიფოდან, მსხვერპლთა ექსპლუატაციის სახელმწიფოსკენ - და პირიქით განვითარებულ ქვეყნებში ადამიანით ვაჭრობა უფრო დიდ და საშიშ მასშტაბებს და ფორმებს იღებს, მივალთ იმ დასკვნამდე რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისია.

## დასკვნითი რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. კვლევამ გამოავლინა საქართველოსთვის აქტუალური ექსპლუატაციის სახეობები, რომლებიც ტრეფიკინგის კუთხით მომეტებულ საშიშროებას წარმოადგენენ ქვეყნისათვის. ესენია: ჩვილი ბავშვებით ვაჭრობა და ქალთა პროსტიტუცია. კვლევის მიხედვით, სახელმწიფომ მხოლოდ 2009 წელს მიაპყრო ყურადღება არასრულწლოვნებით ვაჭრობის პრობლემას და გარკვეული წარმატებებიც აქვს მასთან ბრძოლის საქმეში, რასაც ვერ ვიტყვით პროსტიტუციაზე. ჩვენი რეკომენდაცია ამ მხრივ იქნებოდა:

– არასრულწლოვნების კუთხით, ჩვილი ბავშვების საზღვარგარეთ გაშვილების სრული აკრძალვა და საზღვარზე არასრულწლოვნების გადაადგილების მკაცრი კონტროლი. შესაბამისად, საჭიროება მოითხოვს ცვლილებების შეტანას შესაბამის კანონებში. აღნიშნული გამართლებულია იმ გარემოებითაც, რომ საქართველოში არსებობს გასაშვილებელ ბავშვთა დეფიციტი და სრულებით შესაძლებელია, ყოველმა მზრუნველობამოკლებულმა არასრულწლოვანმა მიმღები ოჯახი იპოვოს საქართველოს ტერიტორიაზე, რაც თავის მხრივ გააიოლებს მათზე სახელმწიფოს მხრიდან მეთვალყურეობას და საჭიროების შემთხვევაში ჩარევის შესაძლებლობას, რაც საზღვარგარეთ გაშვილების შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან გაშვილებული არასრულწლოვანი კარგავს კავშირს წარმოშობის სახელმწიფოსთან. აღნიშნული, თავის მხრივ, ჩვენნაირი უარყოფითი დემოგრაფიული საღდოს მქონე სახელმწიფოსთვის მიუღებელი მოვლენაა და ამყარებს ზემოთხსენებულ რეკომენდაციას. არასრულწლოვანთა გაშვილება საზღვარგარეთ მიზანშეწონილი იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რომლის მკურნალობა საქართველოში შეუძლებელია.

– პროსტიტუციის მხრივ, საჭიროა ამ საქმიანობის ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის

შემუშავება და იმის მკაცრი რეგლამენტაცია, თუ რა სახის მომსახურების გაწევა და ვის მიერ შეიძლება მოხდეს ლეგალურად და რაა მკაცრად დასჯადი, რადგან, როგორც ცნობილია, შეუძლებელია ამგვარი საქმიანობის სრული აღმოფხვრა, ხოლო პროსტიტუციის არალეგალურობა ხელს უწყობს როგორც ტრეფიკინგისთვის მის მიმზიდველობას, ასევე ვენერიული და სხვა დაავადებების გავრცელებას და წარმოადგენს სხვა მომიჯნავე დანაშაულობების ხელშემწყობ პირობას. ამგვარად, ამ საქმიანობის ლეგალიზაცია და შესაბამისად კონტროლი გამოიწვევს საზოგადოებაში მრავალი პრობლემის აქტუალობის შემცირებას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პროსტიტუციის ლეგალიზაცია საქართველოში დაკავშირებული იქნება სერიოზულ წინააღმდეგობებთან პირველ რიგში მართლმადიდებელი ეკლესიის და ფართო საზოგადოების მხრიდან. მსოფლიოში მხოლოდ რამოდენიმე დემოკრატიულ ქვეყანაშია პროსტიტუცია ოფიციალურად დაშვებული.

2. საქართველოსთვის ტრეფიკინგის ერთ-ერთ მიმართულებას შესაძლოა ქუჩის მაწანწალათა და მათხოვრების არსებობა წარმოადგენდეს, ეს „ბიზნესი“ ჯერჯერობით არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი, შესაბამისად არ მოიპოვება ინფორმაცია ამ ფენომენის რეალური მდგომარეობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესახებ. მაგრამ, როგორც პირველადი დაკვირვება გვიჩვენებს, ეს ასოციალური საქმიანობა გამოირჩევა მაღალი ორგანიზებულობითა და ადამიანის ექსპლუატაციის სპეციფიური ფორმებით. ამგვარად, სასურველია, რომ ხელისუფლებამ მოახდინოს მსგავსი საქმიანობის კონტროლი და მისი მინიმუმამდე შემცირება. კერძოდ, მკაცრი სამართლებრივი ზომები უნდა გატარდეს იმ მშობლების მიმართ, რომლებიც თავიანთ შვილებს სამათხოვროდ ან სხვა უკანონო საქმიანობისთვის იყენებენ. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს გამასწორებელი სამუშაოების შესრულებას და მშობლის უფლებების შეჩერებასა თუ წართმევას.

3. კვლევა გვერდს ვერ აუვლიდა ტრეფიკინგის დეფინიციის განხილვას, ცნობილია, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი დეფინიცია წარმოადგენს გაეროს დეფინიციის ზუსტ თარგმანს. ჩვენი აზრით, აუცილებელია აღნიშნული დეფინიციის ქართულ სამართლებრივ რეალობებთან ჰარმონიზაცია. კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნა ტრეფიკინგის საქართველოს რეალიებისათვის ადაპტირებული დეფინიცია: „ადამიანის მიმართ უკანონო, ბათილი გარიგების განხორციელება, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“ დეფინიციის ამგვარი ჩამოყალიბება გაამარტივებს მის გამოყენებას, რადგან უკანონო და ბათილი გარიგებები სამოქალაქო სამართლის მიხედვით თავის თავში მოიცავს ამჟამად მოქმედი ტრეფიკინგის დეფინიციის ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს. კერძოდ, ავტომატურად უკანონო და ბათილია გარიგებები, რომლებიც დადებულია „მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია“. შესაბამისად, ამ გარემოებების მოხსენიება დეფინიციას მხოლოდ მოცულობაში ზრდის და ართულებს მას. რაც შეეხება ადამიანის ყიდვა-გაყიდვის მოუხსენებლობას, ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანი, სამოქალაქო სამართლის თანახმად, არ შეიძლება იყოს ლეგალური ვაჭრობის ობიექტი და შესაბამისად, ეს ქმედებებიც ერთიანდება უკანონო გარიგების ცნების ქვეშ.

4. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სისხლის სამართლის კოდექსს, კერძოდ მის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup> და 143<sup>3</sup> მუხლებს, სადაც მოცემულია ტრეფიკინგის საქართველოს კანონდებლობით დადგენილი დეფინიცია და შესაბამისი სანქციები. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ კოდექსში ტრეფიკინგის მუხლების - 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup> - დაყოფა

ადამიანით ვაჭრობად და არასრულწლოვნებით ვაჭრობად უსაფუძვლოა და იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი მუხლი პრაქტიკულად იდენტურია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გაერთიანება და არასრულწლოვნის ან მცირეწლოვნის ტრეფიკინგის დამამძიმებელ გარემოებად გამოტანა, რადგან ასეთ პრაქტიკას ადგილი აქვს სხვა დანაშაულობების მიმართ.

5. არასწორედ მიგვაჩნია ტრეფიკინგთან დაკავშირებული იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან იურიდიულ პირს ხელმძღვანელობენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელთაც უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა გაწეული უკანონო საქმიანობისათვის. ხოლო, რაც შეეხება იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან ლიკვიდაციას, ეს სანქციები შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებით იმ შემთხვევებში, როდესაც იურიდიული პირი უხეშად არღვევს წესდებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობას ან ეწევა არალეგალურ საქმიანობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაციას არ გააჩნია სერიოზული პრევენციული მნიშვნელობა, ვინაიდან ახალი იურიდიული პირის რეგისტრაცია სხვა სახელით ძალიან მარტივია და არ ითხოვს სერიოზულ დანახარჯებს. ადამიანის ვაჭრობით დაკავებული ორგანიზაციების სავაჭრო ნიშნის ღირებულება არ წარმოადგენს ისეთ ფასეულობას, რომლის დაკარგვაც მნიშვნელოვან ზარალს გამოიწვევდა (მაგალითად: „კოკაკოლა“, „მაკდონალდსი“ და სხვა ძვირადღირებული ბრენდები). ისინი ხშირად იცვლიან სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს არალეგალური საქმიანობის დაფარვის მიზნით.

6. ნაშრომში მომდევნო რეკომენდაცია ეხება ტრეფიკინგის სტადიებს, კერძოდ, მსხვერპლთა რეკრუტირებას. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირება არ ხდება იმ მეთოდებითა და ფორმებით, რომლებითაც ის 10-15 წლის წინ ხორციელდებოდა. ტექნოლოგიების განვითარება (კერძოდ, ინტერ-



ნეტისა) საშუალებას იძლევა რეკრუტირება დისტანციურად, საზღვარგარეთიდან განხორციელდეს. ამ ტენდენციის გასანეიტრალებელ ერთადერთ ხელმისაწვდომ საშუალებად მიგვაჩნია ქვეყნის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, სავიზო დაწესებულებებში და ზოგადად ისეთ სპეციალიზებულ დაწესებულებებში, სადაც ქვეყნის დატოვების მსურველთ უწევთ მოძრაობა, მოხდეს პერმანენტული, თვალსაჩინო ანტიტრეფიკინგული საინფორმაციო ღონისძიებების გატარება რისკ-ჯგუფის წევრთა მაქსიმალური ინფორმირების მიზნით. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ 18-21 წლამდე ახალგაზრდების საზღვარგარეთ გამგზავრება შესაძლებელი იყოს მხოლოდ მშობლების წერილობითი თანხმობით.

7. რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთა რევიქტიმიზაციის, ასევე მეორადი ვიქტიმიზაციის პრობლემას და მათ გადასაჭრელად შემუშავებულ რეკომენდაციებს, უნდა ითქვას, რომ მათი თავიდან აცილებისთვის სახელმწიფოებში მოქმედებენ სპეციალიზირებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებულს უზრუნველყოფენ ფინანსურად, საცხოვრებელით და ახალი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ჩვენი აზრით, ასეთ დაწესებულებების დაფინანსება არ შეიძლება ხორციელდებოდეს წლის მანძილზე წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის გამოყოფით, რადგან არაეინციის რამდენი მსხვერპლის იდენტიფიცირება მოხდება კონკრეტულ წელს. ამ მიზნებისათვის აუცილებელია ალტერნატიული წყაროების გამოყენება, როგორც შეიძლება იყოს ტრეფიკინგისათვის ჩამორთმეული ქონება, საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხები ან ჯარიმები. ამ მიდგომის განხორციელების რეალურობას ამყარებს სასამართლო სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს ტრეფიკინგის საქმეებზე გამოტანილი განაჩენებით, ჯარიმის სახით, დაკისრებული სახსრების დიდ მოცულობას - 2009 წელს, პირველი ათი თვის მდგომარეობით, მხოლოდ ჯარიმებით დაკისრებული იყო საერთო ჯამში 261 000 ლარი,

მაშინ როცა, „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“ 2010 წლის ბიუჯეტით დაფინანსება განესაზღვრა 588 700 ლარით.[102]

8. კვლევამ დაგვანახა, რომ არ ხდება სათანადო ღონეზე ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი სერიოზულად ღაზავს ამ კატეგორიის პირთა უფლებებსა და ღირსებას. ამიტომ აუცილებელია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის არსებული მექანიზმების დახვეწა - სპეციალური დაშვების კომპიუტერული სისტემების დანერგვა, არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში, არამედ ყველა იმ დაწესებულებებში სადაც ხდება ხშირი კონტაქტი ამ კატეგორიის ადამიანებთან, რათა მსხვერპლის ირგვლივ არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს პირთა უკიდურესად ვიწრო წრისთვის და ცნობილი იყოს ყველა ეტაპზე, თუ კონკრეტულად ვინ დაინტერესდა ამა თუ იმ ინფორმაციით.

9. ტრეფიკინგის პრევენციის სერიოზულ საშუალებას წარმოადგეს სწორი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება ლეგალური სამუშაო ადგილების შექმნაზე საქართველოს საზღვრებს გარეთ. დასავლეთის მეგობარი ქვეყნების ხელშეწყობით შესაძლებელია ოფიციალური სამუშაო ქვოტების გამოყოფა გარკვეული ვადების ფარგლებში. მაგალითად, ასეთი ქვოტები შეიქმნა სამხრეთ კორეასა და აშშ-ს ურთიერთშეთანხმების შედეგად 50 ათას შრომის მიგრანტზე. რა თქმა უნდა, ეს საჭიროებს სახელმწიფოთა შორის ჩარჩო ხელშეკრულებების გაფორმებას და შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციას, რის შედეგადაც მივაღწევთ ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის შემცირებას.

10. რაც შეეხება საზოგადოებაში ტრეფიკინგზე სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ამ გზით ტრეფიკინგის პრევენციას, ვთვლით, რომ აუცილებელია მოხდეს მიზნობრივი პერმანენტული ანტიტრეფიკინგული საინფორმაციო ღონისძიებების

გატარება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მცირე დანახარჯებით ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორცაა, მაგალითად თბილისის მერიის პროგრამა “ინგლისურის და კომპიუტერის უფასო კურსები,” სადაც უმუშევარ მოსახლეობას, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლი ვიქტიმურობით გამოირჩევა, შეიძლება დაურიგდეს ბუკლეტები და ინფორმაცია მიეწოდოს ტრეფიკინგის საფრთხის შესახებ. ასევე სასურველი იქნება ისეთ მიზნობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც აწარმოებენ განცხადებების გავრცელებას, მაგალითად: „სიტყვა და საქმე,” შესაბამის გვერდზე მოხდეს ტრეფიკინგის შესახებ მცირე ვიზუალური მასალის გამოქვეყნება.

11. ტრეფიკინგის გამოვლენის ეფექტურობის გაზრდის მიზნით აუცილებელია, დაიხვეწოს დაზარალებულის თვითიდენტიფიკაციის და სამართალდამცავებთან თანამშრომლობისთვის დაწესებული კომპენსაცია. მიგვაჩნია, რომ 1000 ლარის დახმარება, რომელიც გაიცემა ტრეფიკინგის მსხვერპლებზე, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან, არ არის საკმარისი და უნდა გაიზარდოს მინიმუმ 10-ჯერ. როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, ჯილდოს დაწესება ხელს უწყობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა აქტიურობის ზრდას და შესაბამისად დანაშაულის ეფექტურად გახსნას.

## English Resume

Human trafficking has seriously endangered the 21st century world (as well as Georgia) given its rapid growing rate and volume of spread. The number of trafficking victims is increasing each year. At every given moment, assumed number of trafficking victims is about 2.5 million people worldwide. The spheres of exploitation of trafficking victims have also enhanced. If at the initial stage, it was limited to slavery, today, in line with development of the medical sphere, victims are used for removal of human organs (transplantation) and surrogate motherhood. Human trafficking is becoming a high-cost and profitable business as technologies improve.

Due to its geo-political location and hard economic conditions, Georgia is at serious risk of trafficking development; that's why it is regarded to be a source as well as transit country for trafficking. The situation is worsened by migration of the biggest part of our population(1/5), more than a million Georgian citizens are gone abroad to find some work. Their majority are illegal emigrants, therefore, they are occupied in illegal and low-paid jobs and are potential victims for human trafficking.

The problem needs urgent and streamline response of the state. It is important to create a thorough anti-trafficking policy on combat of human trafficking and on identification, protection and rehabilitation of victims. Trafficking found reflection in the legislation of Georgia and other countries only in the 21st century, which gives us ground to doubt the completion of the current legislation and to promote the actions for development of anti-trafficking policy and respectively, legislation. For this purpose, we do believe, it is important to identify reasons, conditions and prevention methods of this phenomenon which on its side, is a subject of The Criminology.

Topicality of this work is conditioned by recent increase of human trafficking rates supported by modern economic situation

where economy depends on human resource and availability of labour and its price determines competitiveness of produce and respectively, its profitability on the market. In the developed states of the globe, local legal labour costs much thus making some occupations uneconomical; besides, not all legal labour agrees to do low-paid jobs. All the aforementioned results in the increased demand on cheap labour which cannot remain unnoticed by organized criminal groups. They have a good knowledge of the economic situation and try to develop criminal directions which involve less risk and can bring much profit with little investments. These organizations use their own international distribution networks of arms and drug traffic and have contributed to development of trafficking as the fastest growing criminal industry in the world. Consequently, trafficking has become the third biggest transnational criminal business by volume of illicit income after the illegal arms industry as the second largest and the drug-trade as the first. This business provides trafficking of human beings from less developed regions to “welfare” states”, such as West European countries and South-East Asia. At the beginning of the 21st century, study of this negative business and its eradication became the most actual issues for research.

In recent period, human trafficking has captured the whole world, it has affected much more countries than ever. Together with growth of economic disparities among world countries, development of transport communications, especially airshipping has also contributed to increase of trafficking rates. Today, transportation all around the globe is not a problem any more; it takes only 16 hours of fly from Tbilisi to New York, unlike previous centuries when few months of dangerous journey was needed to cover this distance.

Developing countries are mainly source countries from where victims are transferred through transit countries or directly to the destination state for exploitation purposes. Apparently, trafficking

is a crime from which even the highly-developed country cannot be insured; Development level simply transforms the country from source into exploiting state.

## **Book Content**

**First Chapter** – dedicated to human trafficking as a major subject of criminological survey.

**The first paragraph** of the referred chapter provides brief historic outline on the origin and spread of trafficking-related crime in Georgia and generally, on the globe. In this respect, the research reviews extracts from Bible, Hammurabi laws, Rome Empire History, the novel - Spartak, works of Cavin Bailys, Ron Soodalter, Stephan Oath on the history of slavery in America. It makes conclusions that human trafficking and slavery were familiar to the society of any formation.

With regard to human trafficking history in Georgia, we have reviewed a set of juridical books by the King Vakhtang VI, particularly, the book - Greek Law and its article “On Sale of Children”, which says: “Where someone sells his own offspring, either a girl or a boy for poverty reasons, it is deemed to be a trade”. The work also applied a collection of legal books by Bekha-Agbuga, accordingly to which the main reasons for enslavement in Georgia were debts, defeat in the war or in the direct fight with rival. The readers will also find story about the measures taken by David Dadiani, Prince of Mingrelia, against human trade. Accordingly to the referred work, slave trade became massive and extremely dangerous in Georgia in the 15th and 16th centuries. Jean Chardin, a French traveler informs that only from Mingrelia, more than 3000 (three thousand) captives were transferred to Persia every year. Famous scholar, Charles Darwin wrote: “Persian blood has been ennobled by the blood of two nations – Georgians and Cherkhesians who are more beautiful people than others. You can’t find a single Persian

Noble whose mother would not be an offspring of the Georgian or Cherkhezian family”. The paragraph also refers to the achievements of trafficked Georgians in various countries, especially in Egypt where they could even be found among the governors of the country in the years of 1318-1517.

We could not pass by the activities of those Georgian feudals who were concerned only with their own welfare and didn't care about the fate of their serfs. Let us look at what famous Georgian scholar Ekvtime Takaishvili said about these feudals: King Aleksander (1683-1695) – “indecent, evil, trader of slaves”, Mamia Gurieli – “used to sell Gurian captives to Imeretian nobles”; Giorgi Abashidze (1702-1707) – “No one would dare to sell slaves except himself”; Giorgi Chkondideli – “Godless, filthy, graceless Sodom, trader of slavers and filled with evil”; Svimon Kutateli – “Bishop involved in slave trade”.

The Work pays special attention to Solomon Pirveli's work; he was the first to introduce laws against slave trade “He eradicated the two biggest crimes in Imereti: murder and kidnapping of humans”. He was the first to establish Law of Catholocosis by which, for the first time in history, human trafficking became subject to putting to death. The paragraph also mentions violent actions of peasants against slave traders.

The paragraph has a separate section on changes in the Georgian reality in the aftermath of Russian occupation in 1802, as a result of which Georgian laws were cancelled and Russian rule was introduced finally bringing an end to slave trade by feudals. However, instead, North Caucasian people became active and they began attacking and destroying Georgian villages and kidnapping locals. In later times, throughout the whole Soviet period, human trade was practically extinguished owing to a powerful State, strict control mechanisms, closed borders, improvement of social-material living conditions and employment of people.

Quite an important part of the paragraph is dedicated to the developments in the post-Soviet period, such as impoverishment of the population (the level of life decreased by 7 times from 1988 to 1998, GDP per capita – reduced from USD 2 250 to 370, resulting in mass poverty, almost 80% of the population fell beyond the poverty line; average salaries were much less than the living wage, about USD 50 per month), deterioration of criminological state, weakening of state government and rapid migration of Georgians (more than a million Georgian citizens migrated in the hope of a better life; they are mostly occupied in illegal and low-paid jobs thus falling under the attention of traffickers).

And finally, accordingly to the paragraph, trafficking in human beings was condemned only in the 20th century as a follow-up of democratic transformation, i.e. recognition of human rights, human equality and labour rights. This is when anti-trafficking actions began and trafficking was put within the frames of criminal (it was not an ordinary event any more). In the same period, human enslavement and trafficking instruments changed too; today victims are trafficked mainly by deception and coercion, lack of expenses results in decrease of price of the victim, respectively, motivation to leave the victim alive also weakens. . .

**The second paragraph** of the first chapter analyzes the concept of trafficking in the perspective of international legal acts and Georgian legislation.

There are all international conventions or agreements related to the thesis topic reviewed in the paragraph, particularly,

1. May 18, 1904, International Agreement for the Suppression of the White Slave Traffic”.
2. May 4, 1910, International Agreement for the Suppression of the White Slave Traffic”.
3. **September, 30, 1921, International Convention** for the Suppression of the Traffic in Women and Children

#### 4. 1926 Slavery Convention

5. 1930 Forced labour Convention, ILO

6. October 11, 1933, **International Convention** for the Suppression of the Traffic in Women of Full Age

7. December 10, 1948, Universal Declaration of Human Rights

8. 1949 Geneva Convention “On Human Trade and suppression of exploitation of prostitution by the third person

9. November 15, 2000, UN Convention on Transnational Organized Crime and its supplementing protocol “To Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children”, adopted on December 12, 2000.

10. May 16, 2005, European Council **Convention** on Action against Trafficking in Human Beings, adopted in Warsaw.

The paragraph presents detailed analysis of definitions of the term - trafficking by UN, EU and Criminal Code of Georgia.

The thesis provides proposed amendments to the Georgian definition of trafficking- trafficking means “implementing illicit, annulled deal against a human person, his/her deception, transfer, concealment, recruitment, transportation, hand over, harboring or/ and receipt for the purpose of exploitation”. This kind of definition would make it easily comprehensible because by Civil Law of Georgia, illicit and annulled deals already include circumstances considered under the current definition of trafficking. Particularly, deals automatically become annulled and illicit if they were made by “menace, violence or other form of coercion, kidnapping, blackmailing, cheating, deception, ill usage of helpless condition or power by giving or receiving money for getting consent of the person who can influence the other person”. Respectively, mentioning of these circumstances makes the definition much longer and complicated. With regard to not mentioning human trade, according to the Civil Law of Georgia, human trade cannot be subject of legal trade, therefore, these actions also fall under the concept of illicit deals.

Hereby, it is also mentioned that although the concept of trafficking was grasped in the legislation of Georgia short time ago, the latter didn't stay behind international standards and managed to fully harmonise national legislative base with international standards within very limited time, deserving the highest assessments of world societies and experts and becoming one of the leader countries in anti-trafficking fight.

**Second Chapter** – dedicated to the current state and statistics of trafficking.

**The First paragraph** of the second chapter analyzes trafficking stages, particularly, recruitment, transportation of victim (including crossing of international borders) and victim exploitation (illegal exploitation of human resources for profit gaining purposes).

Accordingly to the referred paragraph, recruitment of victims for exploitation abroad are relatively rare on the territory of Georgia, because Georgian citizens manage to cross borders themselves, with their own resources and without any mediators; however, they are affected by trafficking in destination countries. Interestingly, lack of recruitment cases doesn't mean it is a small-scale problem, it is just characterized with high latency level. Not only criminal groups are involved in recruitment of victims, but also independently working physical persons. Sometimes they have officially registered legal firms or work illegally. Recruitment of victims by physical persons has some specifics. They either act intentionally acknowledging what will happen to people recruited by them, or unintentionally. Sometimes, they even become victims themselves.

The paragraph reviews differences and similarities between smuggling and trafficking of humans in much detail. As it states, any action which begins in the form of smuggling of migrants might result into human trafficking. Thereby, you will also find four major features differentiating smuggling and trafficking of migrants,



